საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№20 (111)
8 – 14 ივნისი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

„ლატენტური ფაშისტი“ და უზნეობის კომპასი 2

მეუფე იობი:

## რა თქმა უნდა, მოთმინებით ძალიან ბევრი რამ უნდა მოვითმინოთ, მოთმინება ღვთიური ნიჭია, მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს!.. წერტილი უნდა დაესვას იმას, რაც დღეს საქართველოში ხდება 14



## ჩვენ, სასულიერო პირები, უნდა ვიყოთ მაგალითის მიმცემნი ერისთვის, თუნდაც თავგანწირვის ფასად! დიახ, ჩვენ უნდა დავდოთ თავი ერისთვის მისთვის მნიშვნელოვან ჟამს და სწორედ ამის შემდეგ გამოფხიზლდება და გაერთიანდება ერი

3 ბანანიზაცია, ანუ გმადლობთ, რომ ისოცებით...

სოსო მანჯავიძე:

„26 მაისის კავშირი“ უზრუნველყოფს რეფერენდუმის 6 ჩატარებას

რატომ ესროლა ზუგდიდელმა 8 პოლიციელმა მამა ილარიონს ეკლესიის ეზოში

„რუსთაველში“ მომხდარ გაუპატიურებაზე ინფორმაცია 17 ბროვდება

## სააკაშვილის დრო წავიდა!



აკაკი ასათიანი:

მათთვის ირანული ოპოზიციის დაფინანსება გაცილებით ადვილია, ვიდრე ხელისუფლების დატოვება 3



## თბილისის ვერბის ავტორი, ცნობილი მხატვარი, 74 წლის ემირ ბურჯანაძე 26 მაისს სპეცნაზმა ცემით სიკვდილის პირას მიიყვანა 15

„ემირ ბურჯანაძეც გამოიყვანეს, პატარა ბიჭიც და კიდევ ვიღაც მოხუცი. 8 თუ 9 კაცი ვიყავით. ესენი გვერდზე დააწვინეს. ამ საწყალ ბურჯანაძეს სისხლი მოსდიოდა. მხოლოდ თვალები უჩანდა. მოვტრიალდი და ერთ-ერთ სპეცრაზმელს ვუთხარი: – ბიჭო, ნახე ეს კაცი რა დღეშია, ხელები გამიხსენი და სადმე წავიყვან. ცემა გინდოდათ და უკვე გვცემეთ-მეთქი.

7



## სააკაშვილის ძირითადი ინსტინქტი

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**დღეს არავის მოუვა აზრად, ნიკარაგუას ყოფილი მმართველი ლიბერალად მოიხსენიოს, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ეს შესაძლებელია. დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა გია ნოდიას შემთხვევაშიც. კაცი დგას და ლამის ღიად პოლიტიკური რეპრესიების დაწყებას მოითხოვს; რა სამართალი, რის პრეზუმპცია, რომელი უფლებების უზენაესობის პრიმატი... ეფექტი ძალზე შთამბეჭდავია, დაახლოებით ისეთი, საშინელებათა ფილმებში, ერთის შეხედვით კეთილშობილი პროფესორი სისხლს მოწყურებულ მაქციად რომ გარდაისახება.**

# „ლატენტური ფაშისტი“ და უზნეობის კომპასი



**ის, ვინც გასული კვირის განმავლობაში განათლების ყოფილი მინისტრის – გია ნოდიას განცხადებებს აკვირდებოდა, შესაძლოა ხშირად იხსენებდა სხარტ ფრაზას ერთი კარგი ესპანური ფილმიდან: „ფაშისტი სხვა არავინაა, თუ არა შეშინებული ლიბერალი“. ესპანელებს ამ საკითხის კარგად გაეგებათ, თუმცა, ალბათ, აჯობებს, ეს შეფასება ნოდიას არ მივუსადაგოთ, თუნდაც იმიტომ, რომ დიდი ხანია, მას შეუძლებელია „ლიბერალი“ ეწოდოს; ხოლო ვიდრე ტერმინებზე შევთანხმდებით, შეგვიძლია დროებით „თვითგამოცხადებულ ლიბერალად“ მოვიხსენიოთ. ეს, პრინციპში, გაცილებით ელასტიური განსაზღვრებაა, ვიდრე, მაგალითად, „ლატენტური ფაშისტი“.**

სხვანაირად კი გამოვა, რომ ანასტასიო სომოსაც (უმცროსი) ლიბერალებში უნდა ჩავწეროთ. **ხუმრობის გარეშე, ნიკარაგუაში ორი პარტია იყო, კონსერვატორები და ლიბერალები, დიქტატორი მეორეს მიეკუთვნებოდა, ისევე, როგორც მისი მამა და ძმა, რომელთაგან ხელისუფლება გადაიბარა. ამ ბუმბერაზი ლიბერალების ოჯახმა 300 ათასამდე ადამიანი მოკლა. სომოსას გამოსვლებში სიტყვა „ლიბერალური“ უფრო უხვად იყო წარმოდგენილი, ვიდრე თვით მიხეილ სააკაშვილის შესაბამის ტექსტებში.** იქაური კონსერვატორები კი, რომელთა ოპოზიციურობის ხარისხი, სადღაც ჩვენებურ ქრისტიან-დემოკრატებსა და ედპ-ს შორის მერყეობდა, დაახლოებით ასე რეაგირებდნენ: **„კარგის არდანახვა არ შეიძლება. ძალიან ლიბერალური კაცი ხარ, ანასტასიო, მაგრამ კიდევ უფრო ლიბერალური უნდა გახდე!“. „მივესალმები კონსტრუქციული ოპოზიციის კრიტიკას! – პასუხობდა გულაჩუყებული სომოსა, – პირობას ვდებ, რომ ამ კურსს არ გადავუხვევ!“. შემდგომი ლიბერალიზაცია, როგორც წესი, დახვრეტილების რიცხვის გაორმაგებაში გამოიხატებოდა.**

დღეს არავის მოუვა აზრად ნიკარაგუას ყოფილი მმართველი ლიბერალად მოიხსენიოს, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ეს შესაძლებელია. დაახლოებით მსგავსი სიტუაციაა გია ნოდიას შემთხვევაშიც. კაცი დგას და ლამის ღიად პოლიტიკური რეპრესიების დაწყებას მოითხოვს; რა სამართალი, რის პრეზუმპცია, რომელი უფლებების უზენაესობის პრიმატი... ეფექტი ძალზე შთამბეჭდავია, დაახლოებით ისეთი, საშინელებათა ფილმებში, ერთის შეხედვით კეთილშობილი პროფესორი სისხლს მოწყურებულ მაქციად რომ გარდაისახება.

გია ნოდიამ თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად ჯერ ხელი მოაწერა განცხადებას სადაც შემდეგი პასაჟი იყო: **„სახელმწიფოს მხრიდან სრულიად გამართლებული იყო აქციის ალკვეთა ძალის გამოყენებით. სამართლიანია, რომ თვით გადაწყვეტილება აქციის დაშლისა არ იწვევს არც ერთი კომპეტენტური შემფასებლის ეჭვს. ამასთან, რაკი წინასწარ ცხადი იყო, რომ პოლიციას საქმე ექნებოდა ექსტრემისტულად განწყობილ ჯგუფთან, გამართლებული იყო ამგვარი აქციების დასაშლელად კანონით გათვალისწინებული ყველაზე ეფექტური მეთოდების გამოყენება, რათა ექსტრემისტებს მინიმალური შანსები დარჩენოდათ ფართომასშტაბიანი ძალადობის პროვოცირებისათვის“.**

მას შემდეგ, რაც ხელისუფლებას მოუწოდა, „გამოიძიოს აქციის ორგანიზატორთა მოქმედება და გადადგას ადეკვატური სამართლებრივი ნაბიჯები“ (ობიექტურობისთვის **უნდა აღინიშნოს, რომ ლოზუნგის „Смерть врагам народа!“ პირდაპირ ციტირებას ადგილი არ ჰქონია)** ნოდია არ გაჩერებულა. მეტიც, მის შემდგომ განცხადებებში, ცოტა არ იყოს ექსტატიური ხილვების ნიშნები გაჩნდა: **„იქ, ერთის მხრივ, იყო ორგანიზაცია, ქსელი, რომლის მიზანი იყო სამოქალაქო ომისა და მასობრივი ძალადობის ინიცირება, მეორეს მხრივ – ჯგუფი, რომელიც საზოგადოებას ამ ძალადობისგან იცავდა. როცა მთლიანობაში ამ ვითარებას ვაფასებთ, უნდა გვქონდეს კარგად აწყობილი მორალური კომპასი, რომელია უფრო დიდი საფრთხე და რომელზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება პირველ რიგში“**, – თქვა ნოდიამ და იქვე აღნიშნა, რომ ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ პოლიციამ ძალას გადაამეტა, არაადეკვატური დამოკიდებულებაა („ინტერპრესნიუსი“). „მორალური კომპასის“ ხსენება ამ კონტექსტში, ალბათ, დაახლოებით იგივე იყო, რაც აპელირება „классовое чутьё“-ს მიმართ არცთუ შორეულ წარსულში. ისე, ეს „კომპასი“ ფრიად საინტერესო რამ არის, შეგვიძლია ხელში ავიღოთ და ცოტა წავითამაშოთ კიდეც, დაახლოებით ასე:

**როგორც გასული წლის შემოდგომაზე გაირკვა, გია ნოდიას მინისტრობის პერიოდში განათლების სამინისტროდან ასეულ ათასობით ლარი „აორთქლდა“. ბავშვების კუთვნილი ფულის მოპარვა, ალბათ, გაცილებით მძიმე და უზნეო დანაშაულია, ვიდრე „მოლოტოვის“ ჰიპოთეტურ კოქტეილში წარმოსახვითი ბენზინის ჩასხმა; ვასილი ალიბაბაევიჩის თქმის არ იყოს, *„то – бензин, а то – дети ...“*** ბარემ ნოდიას სტილი მოვიშველიოთ: „იქ იყო მთელი ორგანიზაცია, ქსელი, რომლის მიზანი არა მხოლოდ პირადი გამდიდრება, არამედ უცხო ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე, ახალგაზრდობისთვის გამანადგურებელი დარტყმის მიყენება იყო. **ამასთან, რაკი წინასწარ ცხადი იყო (ეს „წინასწარ ცხადი იყო“ უკიდურესად მაგარი რამეა), რომ მსგავსი დანაშაულებრივი დაჯგუფების ჩამოყალიბება შეუძლებელია ისე, რომ მისი კრიმინალური საქმიანობის შესახებ მინისტრს არაფერი სცოდნოდა, მოვუწოდებთ ხელისუფლებას, გამოიძიოს განათლების ყოფილი მინისტრის, გია ნოდიას მოქმედება და ადეკვატური სამართლებრივი ნაბიჯები გადადგას. ჩვენი მორალური კომპასი მიუთითებს, რომ უპირველესი საფრთხე სწორედ მათგან მოდის, ვინც ბავშვებს ფულს პარავს“.**

ნორმალური მოქალაქე მსგავს ტექსტს ხელს არასოდეს მოაწერს, რადგან მისთვის შეუწყნარებელია აზრი იმის თაობაზე, რომ ყველა მისი ეჭვის და ვარაუდის მიუხედავად, შეიძლება თუნდაც ერთი უდანაშაულო ადამიანი დაისაჯოს. თუმცა, გია ნოდიასთვის სიტყვები „Praesumptio Innocentiae“, როგორც ჩანს, უკვე აღარაფერს ნიშნავს.

ბონუსის სახით, ნოდიას კიდევ ერთი ციტატა: **„ჩემი ინფორმაციით, იყო ძალის გადამეტების შემთხვევები, მაგრამ არ მაქვს საფუძველი, ვთქვა, რომ ძალის გადამეტებას სისტემური ხასიათი ჰქონდა. ეს იყო ცალკეული პირების არასაკმარისი პროფესიონალიზმი ან კონკრეტულ სიტუაციაში არაზუსტი გათვლა, მაგრამ ეს პრობლემა ტრაგიკული ხასიათის არ არის“** („ინტერპრესნიუსი“). საინტერესოა, ზნეობრივი კოორდინატების ნოდიასეულ სისტემაში რამდენი ადამიანი უნდა მოკლან იმისთვის, რომ პრობლემამ ტრაგიკული ხასიათი შეიძინოს?

ნოდიას ესოდენ დიდი, ერთობ გაკაპასებული აქტიურობის მიზანი, შესაძლოა, შემდეგია: **მაქსიმალურად შეეცადოს წარმოაჩინოს, რომ საზოგადოება 26 მაისის დარბევის ნეგატიურ შეფასებაში ერთსულოვანი არ არის და არსებობს საზოგადოების მნიშვნელოვანი (თანაზომადი) სეგმენტი, რომელიც ხელისუფლების მოქმედებას, პრინციპში, ამართლებს. აზრთა ამ „სხვაობის“ დაფიქსირება სააკაშვილისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.**

ისე, უცნაური რამ არის ცხოვრება. ამდენი წაკითხული წიგნი, დისკუსიებში გატარებული უძილო ღამე, მოსმენილი თუ წაკითხული ლექცია და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობასთან არადამიანური ანგარიშსწორება გაამართლო. **თუმცა შესაძლოა, მას ყველაფერი ჯერ კიდევ წინ აქვს. შეგვიძლია ვურჩიოთ, წინასწარ მოამზადოს განცხადება, საქართველოში საკონცენტრაციო ბანაკების გახსნის დაუყონებლივი და გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ. როგორც ჩანს, მაინც იქეთკენ მივდივართ და, ალბათ, აჯობებს თადარიგი წინასწარ დაიჭიროს.**

**დიმიტრი მონიავა**

# საგანმანათლებლო სექსი ზუგდიდის თეატრის წინ




**ჟურნალ „ღია ბოქლომის“ რედაქციას, ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები, აღშფოთებული მოსახლეობა დაუკავშირდა. ადგილზე მისულ ჩვენს ჟურნალისტს, კულტურული დაწესებულების წინ მდებარე მინი ბაღში მომხდარის შესახებ იქვე შეკრებილმა მოქალაქეებმა უამბეს.**

როგორც გაირკვა, ინციდენტი საპრეზიდენტო პროგრამის „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში სამეგრელოში ჩამოყვანილ უცხოელ პედაგოგებს უკავშირდებოდა.

**„თეატრთან ახლოს ვცხოვრობ. საღამოს 7 საათისთვის გარეთ გავიხედე, ჩემი ყურადღება მინდორზე გაშხლართულმა მამაკაცმა მიიპყრო, რომელსაც ზემოდან ქერათმიანი ქალი აჯდა. თავიდან ვერ დავიჯერე, მაგრამ კარგად რომ დავაკვირდი, მივხვდი, სქესობრივ კავშირს ამყარებდნენ. გავიფიქრე, იქვე საბავშვო ატრაქციონი მდებარეობს და ამ ყველაფერს ბავშვები შეესწრებიან-მეთქი. ეზოში ჩავედი. სეირის მაყურებელი ბავშვები იქაურობას გავარიდე. სწორედ ამ დროს ერთ-ერთმა მითხრა, ესენი ჩვენს სკოლაში ასწავლიან ინგლისურს და მათ კარგად ვიცნობო. როცა ყველაფერს მორჩნენ და წასვლა დააპირეს, შევატყვეთ, რომ მთვრალები იყვნენ...“** — ამბობს რესპონდენტი.

სხვათაშორის, ეს მიშას უცხოელი პედაგოგების მიერ მოწყობილი პირველი სკანდალი არ არის. „ღია ბოქლომმა“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ფალოიმიტატორების ბუმი ზუგდიდში – ახალი სკანდალი ინგლისურენოვანი პედაგოგების გარშემო (+18)“, სადაც საუბარია 26 წლის ავსტრალიელი მარიას მიერ ბავშვებში გარყვნილების დანერგვის მცდელობასა და ქართული ოჯახის დანგრევაზე; ინგლისური ენის მასწავლებელი ზუგდიდის №4 საჯარო სკოლაში, ტომას ფლეჩერი კი საკუთარ პირველკლასელ მოსწავლეებში, Facebook-ის მეშვეობით გავრცელებული ფოტოებით, თავისი ჰომოსექსუალური წარსულის დემონსტრირებას ახდენდა.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**უვიზო რეჟიმი ცუდი არ არის, მაგრამ ამის გამოყენება ირანში რევოლუციის ექსპორტისა და იქაური ოპოზიციის დაფინანსებისთვის ნადვილად დაუშვებელი და არაკორექტული ქმედება იქნება. ირანი აქამდე ყოველთვის კორექტული იყო ჩვენდამი და ჩვენც კორექტულობა გვმართებს. მიუხედავად დიდი შანსისა, იმედს ვიტოვებ, რომ ამ ნაბიჯს არც ამერიკა და არც საქართველოს ხელისუფლება არ გადადგამს, თუმცა ჩვენი ხელისუფლების „შორსმხედველობას“ თუ გავითვალისწინებთ, მხოლოდ სასწაულის იმედად თუ ვიქნებით**

# სააკაშვილის დრო წავიდა!



## „მათთვის ირანული ოპოზიციის დაფინანსება გაცილებით ადვილია, ვიდრე ხელისუფლების დატოვება“

**26 მაისს მოწყობილი ბართლომეს ღამისთვის ვაშინგტონმა სააკაშვილი არ დატუქსა, თუმცა „სახალხო კრების“ დაკნინების ფონზე მისი შემცვლელის ძებნა ე. წ. რვიანში, ანუ „კონსტრუქციულ ოპოზიციაში“ აქტიურად მიმდინარეობს. „საქართველო და მსოფლიოს“ ტრადიციონალისტთა ლიდერი, ბატონი აკაკი ასათიანი ესაუბრა.**

– ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია, რა უნდოდათ „სახალხო კრებას“ და საერთოდ ამ აქციის ორგანიზატორებს. ბევრი სისულელე მინახავს, მაგრამ მსგავსი – არაფერი. ვინმემ იცის, რას მოითხოვდნენ ისინი? რომ მეძახი, სად მეძახი, რატომ მეძახი? მხოლოდ იმიტომ, რომ პარადი ჩავშალო?! ასე უმოტივოდ, უაზრო დაძახილზე მე პირადად ვაკის პარკში სასეირნოდაც არ გავყვები ადამიანს, არამც თუ – აქციაზე. მოდით, მე სისულელეს ვაკეთებ და თქვენც ჩემთან ერთად ისულელეთო, მაგარი ლოგიკაა არა?!

დაღუპულებზე პასუხისმგებლობა მთავრობას არანაირად არ ასცდება, მაგრამ აქციის ლიდერებმა რატომ დააყენეს ეს ხალხი ამხელა საფრთხის ქვეშ? ხელისუფლება ისედაც იმდენ უკანონობას სჩადის და ლიდერების მიერ მიცემულ საბაბს არ გამოიყენებდა სათავისოდ? **ჯერ ერთი, აქციისთვის ნებართვის აღება რა საჭირო იყო; თუ ილებდნენ, 25 მაისის 12 საათს რაღას უთითებდნენ, ან მერე რატომ არღვევდნენ საკუთარ პირობას?!**

**– როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ხალხის რაოდენობის სიმცირე?**

– ფაქტია „სახალხო კრების“ აქციას მხარდაჭერა ნამდვილად არ ჰქონდა, ალბათ, მისი ლიდერებიდან გამომდინარე. ყოველ შემთხვევაში, ბურჯანაძე ნამდვილად არ იყო ისეთი პოპულარული ხალხში, რომ მას ათასობით ადამიანი გაჰყოლოდა. ამ აქციებით მან კიდევ უარესად გაიფუჭა პოლიტიკური რეპუტაცია.

ზოგადად, კომიკური სიტუაციაა ქვეყანაში, კომიკურია თავად ის ფაქტი, როცა უშიშროების ყოფილი მინისტრი (ბათიაშვილი. – რედ.) სასაზღვრო ჯარების ყოფილი სარდალი (ბიწაძე. – რედ.) და გენერალი (უჩავა. – რედ.) მოღიავებულ რესტორანში სხედან და რაღაც გეგმებს აწყობენ.

**– ეთანხმებით მოსაზრებას, რომ აქციის დასარბევად ხელისუფლება ჯონ ბასის განცხადებამ წააქეზა?**

– ჯონ ბასმა ამის გამო მორალური კუთხით ბოდიშიც კი მოიხადა. მან თქვა ერთი, სააკაშვილმა გაიგო მეორე. ეს ჩვენ ვამბობთ, რომ მისი განცხადება წაქეზებას უდრიდა, მაგრამ იურიდიულად ამას ვერავინ დაუმტკიცებს. ბასმა აღნიშნა, შეიძლება მომიტინგეების დაშლაო, ხელისუფლებაც ადგა და მთელი თავისი ძალები მათ წინააღმდეგ მიმართა. სააკაშვილმა ნებართვა მიიღო, მაგრამ იმდენი ვერ განსაზღვრა, რომ მერე ამისთვის პასუხსაც მოსთხოვდნენ. **სააკაშვილი თავიდანვე მიჩვეული იყო ამერიკისგან თავზე ხელის გადასმას. 7 ნოემბრის შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნები მეორედ გაყალბდა და სააკაშვილისთვის მილოცვა საქართველოს ცესკოს ბუშმა დაასწრო. არადა, ცესკოს ჯერ კიდევ დაუჯამებელი ჰქონდა არჩევნების შედეგები. დასავლეთის მხრიდან ეს ქმედება პირდაპირი დიქტატი და თავხედობა იყო. დღეს სიტუაცია შეიცვალა, სააკაშვილის დრო წავიდა...**

**– ანუ ამერიკა ორმაგ სტანდარტებს მიმართავს...**

– გეთანხმებით, ამ სტანდარტებს ისინი ყველაზე ეშმაკურად იყენებენ, ვიდრე სხვა ქვეყნები. ავიღოთ თუნდაც მსოფლიო მოვლენებში ამერიკის როლი, იგი ერთი კვირა შეეცადა მუბარაქის დაცვას, მაგრამ, როცა ჩათვალა, რომ მილიონობით ეგვიპტელი მაინც თავისას გაიტანდა, მერე კი ამერიკას მტრად მოუბრუნდებოდა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და თქვა, ჩვენ ხალხის მხარეზე ვართ – გინდათ დემოკრატია? იყოს დემოკრატიაო!

ამერიკა ორპირია, მაგრამ პოლიტიკური ტაქტიკა სწორი აქვს, ორ კურდღელს ერთად იჭერს. ასევე მოიქცა ჩვენ შემთხვევაშიც, ამერიკამ სააკაშვილი ჯერ მიუშვა, ახლა კი ტუქსავს. ხელისუფლების ძალის გადამეტება სახელმწიფო დეპარტამენტმა და კონგრესმაც აღიარა, ამიტომ დასავლეთი ამ ფაქტის გამოძიებას აპირებს, ეს უკვე მათ ინტერესებში შედის.

ამერიკა სააკაშვილს აქამდეც მოუვლიდა, უბრალოდ, მაშინ სათავისო ძალა არ ჩანდა. თუმცა დაბეჯითებით შემიძლია გითხრათ, რომ ამერიკას არც ახლა ჰყავს შერჩეული სააკაშვილის შემცვლელი, მაგრამ ვნახოთ, აწი რა იქნება.

**– რამდენად შესაძლებელია, რომ 26 მაისის ფაქტით „გამოჭერილი“ და „დატუქსული“ სააკაშვილი აიძულონ, გადადგას სახიფათო ნაბიჯი (მაგალითად, ირანში „ფერადი რევოლუციის“ ექსპორტის ხელშეწყობა, ახმადინეჯადის ოპოზიციის დაფინანსების ორგანიზება...).**

– ჩვენი ქვეყნისთვის ეს ძალიან დიდი პრობლემა იქნება. სამწუხაროდ, ეს ხელისუფლება ქვეყნის სათავეში დარჩენის სანაცვლოდ ყველაფერზე წავა. მათთვის ირანული ოპოზიციის დაფინანსება გაცილებით ადვილია, ვიდრე ხელისუფლების დატოვება. ანალოგიურად იქცეოდა შევარდნაძის ხელისუფლებაც.

რაც უნდა სამწუხარო იყოს, ავღანეთში ჩვენი კონტინგენტის გაზრდა თავისთავად აღნიშნულ საფრთხეებზე მიგვანიშნებს და მოწმობს, რომ ძალაუფლების შესანარჩუნებლად ხელისუფლება ყველაფერზე წავა.

**უვიზო რეჟიმი ცუდი არ არის, მაგრამ ამის გამოყენება ირანში რევოლუციის ექსპორტისა და იქაური ოპოზიციის დაფინანსებისთვის ნადვილად დაუშვებელი და არაკორექტული ქმედება იქნება. ირანი აქამდე ყოველთვის კორექტული იყო ჩვენდამი და ჩვენც კორექტულობა გვმართებს. მიუხედავად დიდი შანსისა, იმედს ვიტოვებ, რომ ამ ნაბიჯს არც ამერიკა და არც საქართველოს ხელისუფლება არ გადადგამს, თუმცა ჩვენი ხელისუფლების „შორსმხედველობას“ თუ გავითვალისწინებთ, მხოლოდ სასწაულის იმედად თუ ვიქნებით.**

ესაუბრა
**ეკა როზაქიძე**

# დიდმა ბრიტანეთმა სამხედრო მრჩეველი ოფიციალურად დაგვინიშნა




**თანამედროვე პოლიტოლოგების განსჯის საკითხთა-საკითხი ახალ საერთაშორისო პოლიტიკურ წესრიგზე გადასვლაა, რომელიც დაკავშირებულია „სერიოზულ პოლიტიკურ ძვრებთან; საერთაშორისო ასპარეზზე მთავარი მოწინააღმდეგის დადგენის დროებით დეზორიენტაციასთან; ძალთა, კოალიციებისა და კავშირების გადაჯგუფებასთან; ადრეული სტერეოტიპების ჩანაცვლებასთან; პოლიტიკური რეჟიმების შეცვლასთან; ახალი სახელმწიფოების შექმნასთან და ა.შ.“.**

ამ ჭკვიანური ტერმინებისა და გონიერი დასკვნების უკან დგას მსოფლიო სურათის სერიოზული ტრანსფორმაცია, რომელიც პოლიტიკური ექსტრემიზმისა და აგრესიული ნაციონალიზმის აფეთქებით, რელიგიური შეუწყნარებლობით, ეროვნებათაშორისი კონფლიქტების გაღვივებითა და მიგრაციული პროცესების გაძლიერებით ხასიათდება.

ეს ყველაფერი ჩვენთვის სავსებით გასაგებია, რადგან საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი და გადატანილი.

თავისთავად ამ მზის ქვეშეთში ახალი არაფერი ხდება: დღეს საერთაშორისო ურთიერთობის კოორდინატთა სისტემის ცვლილებას ბაცილების განსაკუთრებული პოპულაციის მეშვეობით ახდენს ერთპოლარული მსოფლიოს სათავეში მოქცეული ძალა.

**უწინ – „ცივი ომის“ ეპოქაში – ერთმანეთთან დაპირისპირებული ძალები.**

**სისტემა საგანგებო მრჩევლების, ძირითადად, სამხედრო მრჩეველთა ჩანერგვაზე იყო დაფუძნებული იმ ქვეყნებში, რომლებიც ინტერესის საგანს წარმოადგენდა ზესახელმწიფოებისთვის.**

კლასიკური და საყოველთაოდ ცნობილი მაგალითია ავღანეთი, სადაც ჯერ საბჭოთა სამხედრო მრჩევლები ახდენდნენ გადატრიალებებს და „ჯარების შეზღუდული კონტინგენტის“ შესასვლელად ამზადებდნენ შესაფერის ნიადაგს, შემდეგ – ამერიკელმა სპეცებმა და სპეცსამსახურებმა დაიწყეს საერთაშორისო ტერორიზმთან ომი.

**ლათინური ამერიკის ქვეყნებში სამხედრო მრჩევლები სახელმწიფოთა სათავეში მოსასვლელად ამზადებდნენ და შემდეგ რეკომენდაციას უწევდნენ მედროვე ავანტიურისტებს, მომავალ დიქტატორებს, რომლებიც ყვლეფდნენ საკუთარ ხალხს, საკუთარ ქვეყნებს ამერიკელი პატრონების საამებლად და მათი უკიდეგანო გავლენის გასაძლიერებლად.**

შედეგად ჩნდებოდა „ბანანის რესპუბლიკები“, სახეწაშლილი, ეროვნებაგამოცლილი, უძალო, სხვის ნება-სურვილს დამორჩილებული ქვეყნები.

ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება, პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, რომლებსაც ახალი საერთაშორისო პოლიტიკური წესრიგის მსახვრალი ინტერესი შეეხო და ბალკანიზაციად არის მონათლული. ამ პროცესს ფრანგი ანალიტიკოსი ლოლანი „პლანეტის ბალკანიზაციას“ უწოდებს, მიიჩნევს, რომ სოლიდარულ ურთიერთობათა და ურთიერთდამოკიდებულების სტაბილურობა, რომელიც მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბდა ომისშემდგომ პერიოდში, რღვევისა და დაშლის შეუქცევადი პროცესის სტადიაში გადავიდა.

**ბალკანიზაციის, ლიბანიზაციის, ლათინოამერიკანიზაციის შედეგები მსოფლიოს ხელისგულზე უდევს: რელიგიურ-კონფესიური, ენთიკური დაპირისპირება, ქვეყნების ტერიტორიების დანაწევრება-დაქუცმაცება, ექსტრემიზმის აღზევება, დემოკრატიის ნიშნების საბოლოოდ მოშლა და დიქტატურის აღზევება. „ჩვენი შობელძაღლების“ იმ დრომდე შენარჩუნება, სანამ პატრონები ერთის მეორეთი ჩანაცვლებას არ მოისურვებენ. საქართველოც ამ ორბიტაზე ტრიალებს.**

პერსპექტივა – უარესი და ამის ერთ-ერთი ნიშანია ის კონკრეტული შედეგი, რომლითაც დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა საერთაშორისო ურთიერთობის სტრატეგიის საკითხებში ჯერალდ ჰოვარდმა ეს-ესაა გაგვახარა: დიდი ბრიტანეთიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამუშაოდ გამოიგზავნება სამხედრო მრჩეველი, „ვოენიე სოვეტნიკების“ იმ კასტის წარმომადგენელი, რომლის დამკვიდრება ქვეყანაში, გადატრიალების თუ არა, ბანანის რესპუბლიკად ტრანსფორმაციის აშკარა ნიშანია.

ისე ლამაზად შეგვიფუთა ეს სიახლე, როგორც ნაძვისხის ქვეშ დადებული საშობაო საჩუქარი: **„მინდა, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა ბრიტანეთის მხარდაჭერას საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების გზაზე...** (ესენი ისეთი თავგამოდებით გვიჭერენ მხარს ნატოში გასაერთიანებლად, ისე უსაზღვროდ ირჯებიან, რომ დღეს საქართველო გამოსული უნდა იყოს ამ სტრუქტურიდან. – **ა.ს.). დღეს სიამოვნებით მინდა განვაცხადო, რომ ბრიტანეთიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამუშაოდ უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში მრჩეველი გამოიგზავნება“ (სიამოვნებს ბატონს! მაგრამ ჩვენ რომ უკვე „ნანახი გვაქვს ეს კინო“? ანუ ვიცით, როგორ სასწრაფოდ აიკრეს გუდა-ნაბადი საქართველოს პირველი რესპუბლიკის უსაფრთხოებისა და თავდაცვისთვის ინგლისიდან მოვლენილმა მრჩევლებმა და სამხედროებმა, როცა საქართველოს ძალიან გაუჭირდა. ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ის პრომეთე-ამირანი, რომლის გამოგზავნას ბატონი მინისტრი გვპირდება, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის მსგავსი ვითარების განმეორების შემთხვევაში (ღმერთმა არ ქნას!), თავის ლიმუზინს არ გაასწრებს თურქეთის საზღვრის გადასაკვეთად? – ა.ს.).**

დაბოლოს: „ჩვენ ერთმანეთის მხარდამხარ ვიბრძვით ავღანეთში და **მინდა მადლობა ვუთხრა ქართველ ხალხს იმ მსხვერპლისთვის, რომელსაც ის მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის შესანარჩუნებლად იღებს“.** ჯერ ამის მთარგმნელს რა ვუთხარი, შემდეგ ამის მთქმელს – ბატონ ჰოვარდს:

**ბატონო მინისტრო, დავიჯეროთ, რომ ინგლისში ჭირისუფალს მისამძიმრების ნაცვლად მადლობას ეუბნებიან? საქართველო ავღანეთში დაღუპული სამხედროების ჭირისუფალია და, უწინარეს ყოვლისა, სამძიმარი ეგების.**

**მაგრამ ასეთი მორალისთვის თქვენ სად გცალიათ, ახალი მსოფლიო წესრიგი გაქვთ დასამყარებელი, მსოფლიოს ახალი კონფიგურაცია მოსაწყობი, სადაც მაღალი ზნეობისთვის ადგილი არ რჩება!**

**არმაზ სანებლიძე**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**მაისის კრიზისს სხვა რაკურსიდან თუ შევხედავთ, ვნახავთ, რომ სააკაშვილი ვაშინგტონზე გაცილებით დამოკიდებული გახდა, მისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ამერიკელებმა 26 მაისის შემდეგ მისი, როგორც „საზიზღარი დიქტატორის“, იმიჯის დამკვიდრებას ხელი არ შეუწყონ. ამასთანავე, უმწვავესი შიდაპოლიტიკური კონფრონტაციის პირობებში შტატების დახმარება სააკაშვილისთვის ჰაერივით საჭირო გახდა. მისი მართვა კი ამერიკელებისთვის გაცილებით გაიოლდა და ამ მდგომარეობის მიღწევაში განმსაზღვრელი როლი, შესაძლოა, სწორედ ჯონ ბასმა შეასრულა**

# რა მოსთხოვა ჯოზეფ ბაიდენმა რომში მიხეილ სააკაშვილს

**5 ივნისს ხელისუფლების პირველი პირები ამერიკელ სტუმრებთან ერთად კინოთეატრ „რუსთაველში“ რენი ჰარლინის ფილმის „აგვისტოს 5 დღე“ პრემიერას დაესწრნენ. ამავე კინოთეატრში ათიოდე დღით ადრე, 26 მაისს სააკაშვილის პოლიცია მომიტინგეებს სასტიკად გაუსწორდა. იმას, რაც 26-ში ამ კინოთეატრში მოხდა, ათეულობით თვითმხილველი აღწერს და მათი მონათხრობი პოლიციელების აღვირახსნილი სადიზმის შესახებ, ერთმანეთს მცირე დეტალებშიც კი ემთხვევა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ მისთვის მნიშვნელოვანი ფილმის საზეიმო წარმოდგენისთვის სწორედ ეს, 26 მაისის სისხლით გასვრილი კინოთეატრი აირჩია. იყო ეს შემთხვევითობა, თუ ცინიკური დამოკიდებულების მიზანმიმართული დაფიქსირება? რა აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე ფიქრობდნენ დარბაზში შეკრებილი ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი ამერიკელი პარტნიორები (ცხადია, მომხიბლავი შერონ სტოუნისა და დანარჩენი კორდებალეტის გამოკლებით).**



„WHEN JOHNNY COMES MARCHING HOME AGAIN...“ – იყო ამერიკული სამოქალაქო ომის დროს ასეთი სიმღერა, რომელსაც ფრონტის ორივე მხარეს მღეროდნენ, რადგან სამხრეთელებსაც და ჩრდილოელებსაც უნდოდათ, რომ ჯონი სახლში, რაც შეიძლება მალე დაბრუნებულიყო. გამორიცხული არაა, ის ჯონ ბასისთვის ეს მოტივი მალე აქტუალური გახდეს, რადგან ძია სემს ზოგადად არ ხიბლავს სიტუაცია, როდესაც ტელეეთერში მისი ელჩის გამოჩენისთანავე მასპინძელი ქვეყნის მოსახლეობას ეკრანისთვის ჩუსტების ტყორცნის დაუოკებელი სურვილი უჩნდება (ამას საქართველოში, სავარაუდოდ, ძალიან ცოტა უკლია).

## წითელი კვადრატი მწვანე ჩარჩოში

თავისთავად ფილმზე „აგვისტოს 5 დღე“ ყურადღების გამახვილება ნამდვილად არ ღირს. **ეს ერთი ჩვეულებრივი, ძველად რომ იტყოდნენ, „ჭ-კლასის ბოევიკია“ (აქ და შემდგომ, ფილმთან დაკავშირებით პირადი შთაბეჭდილებები და სუბიექტური შეფასებებია), რომელშიც გეკტოლიტრობით „წითელი საღებავი“ იღვრება, ხოლო უცხოელი მსახიობების მიერ განსახიერებული სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები სრულ იდიოტებად გამოიყურებიან.** ეს ბოლო ასპექტი ერთობ სახალისო კია, თუმცა ის მაყურებელი, რომელმაც აგვისტოს ომის ტრაგედია განიცადა და გაიაზრა, ამ ფილმის ნახვის შემდეგ, სავარაუდოდ, ძლიერ გაღიზიანდება და თავს შეურაცხყოფილად იგრძნობს. ეს, ალბათ, ის შემთხვევაა, როდესაც უნიჭობას რეალური ტკივილის მიყენება შეუძლია.

**„ეს პირველი ჰოლივუდური პროექტია ქვეყანაში და ადამიანი, ვინც კრიტიკულად უდგება, ჩემი აზრით, ის არის ჩვენი ქვეყნის მტერი“, – განუცხადა „Netgazet“-ს კორესპონდენტს დეპუტატმა კობა ნაყოფიამ, რომელმაც ამ, რბილად რომ ვთქვათ, მარაზმატული ფილმის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ხოლო 5 ივნისს, საღამოს შერონ სტოუნის გვერდით დაჯდომისთვის, სააგენტო „პირველის“ ცნობით, 20 ათასი ლარი გადაიხადა.** Apropos-ის, ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში შერონმა თქვა, რომ მას არ უყვარს ისინი, ვინც საკუთარ თავს „მაგარ ტიპებად და დღის გმირებად თვლის“ და მსგავსი კომპლექსებისგან თავისუფალი ადამიანები მოსწონს, თუმცა ეს ისე, სხვათა შორის. **ფაქტი კი ისაა, რომ მმართველი პარტიის დეპუტატმა ფილმისადმი კრიტიკული მიდგომა ლამის სამშობლოს ღალატს გაუთანაბრა. კინემატოგრაფის ისტორიაში მსგავსი იდეების განვითარებას ადგილი მხოლოდ „მესამე რაიხში“ თუ ჰქონდა. თუმცა აქ ადგილი ერთ სტილისტურ ნიუანსს აქვს: ნაყოფიას განცხადებაში ნახსენებია „ჩვენი ქვეყანა“ და არა „საქართველო“; ბევრი ადამიანისთვის კი, განსაკუთრებით 26 მაისის ბარბაროსული დარბევის შემდეგ, ეს ორი ცნება ერთმანეთს, სავარაუდოდ, ძლიერ დაშორდა: მარცხნივ „მათი ქვეყანაა“, ანუ სააკაშვილის, ნაყოფიას და ნუგზარ წიკლაურის ქვეყანა, მარჯვნივ კი საკუთრივ საქართველო. „აგვისტოს 5 დღე“, რომელიც „მათ ქვეყანაში“, კინოხელოვნების უბადლო ნიმუშად ითვლება, საქართველოში, ალბათ, შეფასდება, როგორც ერთი ბანალური უნიჭო ფილმი.**

**მართალია, კინოთეატრ „რუსთაველის“ პერსონალმა ათი დღის განმავლობაში ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ იქაურობისთვის წითელი ლაქები მოეცილებინა, მაგრამ იმ საღამოს დომინანტური ფერი მაინც წითელი იყო. ეკრანიდან, სადაც ამაყად დაფრინავდნენ ჰელიკოპტერები და გოროზად დაცოცავდნენ ტანკები, „წითელი საღებავი“ ღვარად მოედინებოდა, თუმცა იმ საღამოს აშშ-ს ელჩის – ჯონ ბასის თვალში სამყაროს სურათი, სავარაუდოდ, მწვანედ იყო შეღებილი, გასული კვირის განმავლობაში ეს ფერი მას მოსვენებას აშკარად არ აძლევდა.** ბასს სპეციალური განცხადების გაკეთება მოუხდა იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდებას 26 მაისის აქციის დარბევაზე „მწვანე შუქის ანთების“ შესახებ „უსაფუძვლოდ მიიჩნევს“. საზოგადოებაში ეს მოსაზრება საკმაოდ ფართოდ მას შემდეგ გავრცელდა, რაც 25 მაისს საღამოს, ბასმა გააკეთა განცხადება, რომელშიც შემდეგი ფრაზა იყო: **„ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ვალდებულებაა დაიცვას სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, თუმცა, ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ საპროტესტო მოქმედებით არ შეილახოს სხვა მოქალაქის უფლებები არ შეეშალოთ ხელი მათ თავის საქმიანობაში, გადაადგილებაში და თუნდაც გარკვეული მნიშვნელოვანი დღეების სათანადო აღნიშვნაში“. ამასთანავე, ბასმა იქვე თქვა, რომ „პროტესტის გამომხატველ ჯგუფებს შორის არიან ადამიანები, რომლებიც ძალადობრივ კონფრონტაციას იწვევენ“.**

**ფორმალურად, ეს „მწვანე შუქის ანთება“ მართლაც არ არის. ბოლოს და ბოლოს, არც ჰენრი II-ს უბრძანებია ტომას ბეკეტის მოკვლა, მან უბრალოდ თქვა: „ნუთუ ვერავინ მიხსნის ამ ადამიანისგან?!“, ჯონ ბასის განცხადება კი გაცილებით უფრო ბუნდოვანი იყო. თუმცა ეშმაკი დეტალებშია – გასულ კვირას „საქართველო და მსოფლიო“ წერდა: „ჯონ ბასმა გააკეთა განცხადება, რომელიც სააკაშვილმა, სავარაუდოდ, აღიქვა როგორც „მწვანეს ანთება“, ანუ ამ კონტექსტში მთავარია არა იმდენად ის, თუ რა თქვა ბასმა, არამედ ის, თუ როგორ აღიქვა მისი ნათქვამი სააკაშვილმა; ის ფაქტი, რომ კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა, დიდი ხანია, დადგენილია. შვიდწლიანმა გამოცდილებამ კი ნათლად აჩვენა, რომ მიხეილ სააკაშვილს პოლიტიკური დალტონიზმის უცნაური ფორმა ჭირს: ის მწვანეს გარდა სხვა ფერებს არ აღიქვამს და პრაქტიკულად გამორიცხულია, ბასის განცხადებიდან რაიმე სხვა დასკვნა გამოეტანა.**

## «როდესაც ჯონი შინ დაბრუნდება»

**საერთოდ, როდესაც ელჩს „მწვანის“ (ან „წითლის“) ანთებაში ადანაშაულებენ, ეს თავისთავად მის შეცდომაზე მიანიშნებს, რადგან მსგავსი რამ მასპინძელი ქვეყნის საქმეებში უხეშ ჩარევად აღიქმება. საერთოდ, გამოცდილი დიპლომატები, ზესახელმწიფოს წარმომადგენლები, ასეთ ვითარებაში, გამაფრთხილებელი „ყვითლის“ გარდა, სხვა ფერებს, როგორც წესი, არ იყენებენ. საინტერესოა, რატომ მოხვდა ჯონ ბასი ამ გაუგებრობაში?**

შესაძლოა, პრობლემაა ისაა, რომ ჯონ ბასს ელჩის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება არ ჰქონია, საქართველოში ჩამოსვლამდე კი ერაყში **„ბაღდადის პროვინციული რეკონსტრუქციის გუნდს“ ხელმძღვანელობდა. 2009 წლის იანვარში, ამ თანამდებობაზე ყოფნისას, ის ასეთ განცხადებებს აკეთებდა: „ჩვენ კი არ ვუკეთებთ კანალიზაციას, არამედ ვასწავლით, როგორ შეაგროვონ და გაანალიზონ მონაცემები, რათა კანალიზაციის პრობლემის გადაწყვეტის გზები თავად გამონახონ“. გასაგებია, რომ ბაღდადის კანალიზაცია თავისთავად, ჩახლართული, ღრმა და ამოუწურავი თემაა, თუმცა, ალბათ, უკეთესი იქნებოდა, ჯონ ბასს საქართველოში ჩამოსვლის წინ ცოტა სხვა ნიადაგზე წაევარჯიშა.**

აშშ-ს ელჩის 25 მაისის განცხადებამ ქართული საზოგადოების საკმაოდ მოცულობით ნაწილში, ძალიან დიდი ალბათობით, ანტიამერიკული განწყობის მკვეთრი ზრდა გამოიწვია. ჯონ ბასი ფრიად ორაზროვან მდგომარეობაში აღმოჩნდა. მეტიც, ერთ-ერთი მომდევნო განცხადებით, მან ეს მდგომარეობა, შესაძლოა, კიდევ უფრო დაამძიმა. მართალია, 3 ივნისს მან თქვა, რომ პოლიციელების მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალის გადაჭარბებას და დასძინა **„ნამდვილად შეწუხებული ვარ იმ ინფორმაციით, რომ არიან ადამიანები, ვისი ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია“ („ინტერპრესნიუსი“), მაგრამ პრაქტიკულად დაუყონებლივ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში განაცხადა: „პრობლემა ნაწილობრივ თავად ტერმინის განსხვავებაშია. ნაწილი ადამიანებისა, რომლებიც იყვნენ დაკავებული, დაკარგულებად ითვლებოდნენ, მეორე ნაწილი კი მხოლოდ დაპატიმრების შიშით არ ამჟღავნებდა თავიანთ ადგილსამყოფელს. მას შემდეგ, რაც ამ ადამიანებმა შეიტყვეს, რომ ამის საშიშროება აღარ არსებობს, ისინი გამოჩნდნენ“.** მსგავსი განცხადება შსს-ს წარმომადგენელს, შოთა უტიაშვილს რომ გაეკეთებინა, ეს გასაკვირი, ალბათ, არც იქნებოდა, რადგან შოთას, მარტივად რომ ვთქვათ, „სამუშაო აქვს ასეთი“, მაგრამ რა მიზნებს ისახავდა ჯონ ბასი, როდესაც ამ ვერსიის ტირაჟირებას ეწეოდა, ძნელი სათქმელია. გაკვირვება ამ განცხადებით, ისეთმა ზომიერმა დეპუტატმაც კი დააფიქსირა, როგორიცაა დიმიტრი ლორთქიფანიძე.

**„When Johnny comes marching home again...“ –** იყო ამერიკული სამოქალაქო ომის დროს ასეთი სიმღერა, რომელსაც ფრონტის ორივე მხარეს მღეროდნენ, რადგან სამხრეთელებსაც და ჩრდილოელებსაც უნდოდათ, რომ ჯონი სახლში, რაც შეიძლება მალე დაბრუნებულიყო. **გამორიცხული არაა, ის ჯონ ბასისთვის ეს მოტივი მალე აქტუალური გახდეს, რადგან ძია სემს ზოგადად არ ხიბლავს სიტუაცია, როდესაც ტელეეთერში მისი ელჩის გამოჩენისთანავე მასპინძელი ქვეყნის მოსახლეობას ეკრანისთვის ჩუსტების ტყორცნის დაუოკებელი სურვილი უჩნდება (ამას საქართველოში, სავარაუდოდ, ძალიან ცოტა უკლია). შესაძლოა, ახლო პერსპექტივაში მას სხვა დიპლომატით ჩაანაცვლებენ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბასმა თავისი მისია წარუმატებლად შეასრულა.**

**მაისის კრიზისს სხვა რაკურსიდან თუ შევხედავთ, ვნახავთ, რომ სააკაშვილი ვაშინგტონზე გაცილებით დამოკიდებული გახდა, მისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ამერიკელებმა 26 მაისის შემდეგ მისი, როგორც „საზიზღარი დიქტატორის“, იმიჯის დამკვიდრებას ხელი არ შეუწყონ. ამასთანავე, უმწვავესი შიდაპოლიტიკური კონფრონტაციის პირობებში შტატების დახმარება სააკაშვილისთვის ჰაერივით საჭირო გახდა. მისი მართვა კი ამერიკელებისთვის გაცილებით გაიოლდა და ამ მდგომარეობის მიღწევაში განმსაზღვრელი როლი, შესაძლოა, სწორედ ჯონ ბასმა შეასრულა (ნებით თუ უნებლიეთ – საკითხავი აი ეს არის). იდეაში, მას ვაშინგტონში საყვედურით კი არ უნდა შეეგებონ, არამედ ორდენით, საპატიო სიგელით, ცხრასართულიანი ტორტით და უფასო საგზურით გრენლანდიაში.**

რაც შეეხება ქართული საზოგადოების ნეგატიურ რეაქციას ელჩის განცხადებებზე, ის ამ კონტექსტში შეიძლება განხილულ იქნას, როგორც უსიამოვნო, თუმცა არაკრიტიკული თანმდევი ეფექტი. თუმცა, ალბათ, დროა უფრო წონიან ფიგურებზე ვისაუბროთ. ▶

**საინტერესოა, რომ უშუალოდ რომის შეხვედრამდე და მის პარალელურად, შტატებში კვლავ დაიწყო საუბარი სააკაშვილისთვის იარაღის მიწოდების თაობაზე. პირველი, რასაკვირველია, ისევ ჯონ მაკკეინი იყო, შემდეგ ამ იდეას მხარი ერთმანეთის მიყოლებით ორმა ექსპერტმა – რონ ალექსანდერმა და კეიტ სმიტმა დაუჭირეს. ამასთანავე, „WASHINGTON POST"-ში ჯენიფერ რუბინის ისეთი ტონალობის წერილი გამოქვეყნდა, გეგონებოდა, რომ საქართველო ერთადერთი ადგილია პლანეტაზე, სადაც „ცივი ომი" გრძელდება და კონფრონტაციას ალტერნატივა არ აქვს. ყველა ეს კომენტარი ძალიან შემჭიდროებულ ვადებში გაკეთდა.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

◀ რომში (მათ შორის) სააკაშვილთან შესახვედრად და შიდაქართული კრიზისის შედეგად მიღებული „მოსავლის ასაღებად" აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი გაემართა.

### «ოპერაცია Y» და მიშას სხვა თავგადასავლები

**კომენტატორები სააკაშვილი-ბაიდენის შეხვედრის შემდეგ ორ ძირითად თემაზე საუბრობდნენ. „EurasiaNet"-მა ყურადღება ავღანეთში ქართული კონტინგენტის სავარაუდო გაზრდაზე გაამახვილა (მინიმუმ 1550 სამხედრომდე). მოგვიანებით თავდაცვის სამინისტროში სააგენტო „პირველს" დაუდასტურეს, რომ საკითხი დღის წესრიგში მართლაც დგას, თუმცა დამატებითი კონტინგენტის რაოდენობა განსაზღვრული ჯერაც არ არის. ისე, ამ ტემპით თუ გავაგრძელეთ მალე ავღანეთში მთელი შეიარაღებული ძალები აღმოჩნდებიან. შემდეგ, ალბათ, ტოტალურ მობილიზაციას გამოვაცხადებთ, და ყველანი ერთად ვიბრძოლებთ იმ საეჭვო ომში გაუგებარი მიზნებით, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გვესვრის: ესენი – აქ, თუ ისინი – იქ.**

მეორე საკითხთან დაკავშირებით, „Thomson Reuters"-ის წყაროები იტყობინებიან, რომ „საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებას აღარ დაბლოკავს". ადგილობრივი პოლიტიკოსების თანმდევი კომენტარები მიანიშნებს იმაზე, რომ თბილისი მსო-სთან დაკავშირებულ საკითხებში მართლაც თეთრი სახლის რეკომენდაციებით (თუ ინსტრუქციებით?) იხელმძღვანელებს. ის, რომ საქმე აქეთკენ მიდიოდა, ცხადი, ალბათ, მას შემდეგ გახდა, რაც ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ამ პრობლემით პირადად დაკავდა.

**მხარეები ქართული „დემოკრატიის" თემასაც შეეხნენ. გამორიცხული არაა, რომ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა მოსთხოვა სააკაშვილს ქვეყნის შიგნით გარკვეული ნაბიჯების (არ) გადადგმა, რათა საერთაშორისო არენაზე მთლად მობუტუ სესე სეკო კუკუ ნგბენდუ ვა ზა ბანგად არ წარმოჩინდეს, თორემ ფიგურანტმა, ამ თვალსაზრისით, ბოლო დროს აშკარად „გაუტია".**

თითქოსდა სულ ეს იყო, თუმცა შეიძლება გაჩნდეს ეჭვი, რომ ვაშინგტონი ამით არ დაკმაყოფილდებოდა და მაქსიმალურად გამოიყენებდა სააკაშვილის შეჭირვებულ მდგომარეობას, რათა ის რეგიონში, რომელიმე სარისკო სტრატეგიის განხორციელებაში ჩაერთო. **საინტერესოა, რომ უშუალოდ რომის შეხვედრამდე და მის პარალელურად, შტატებში კვლავ დაიწყო საუბარი სააკაშვილისთვის იარაღის მიწოდების თაობაზე. პირველი, რასაკვირველია, ისევ ჯონ მაკკეინი იყო, შემდეგ ამ იდეას მხარი ერთმანეთის მიყოლებით ორმა ექსპერტმა – რონ ალექსანდერმა და კეიტ სმიტმა დაუჭირეს. ამასთანავე, „Washington Post"-ში ჯენიფერ რუბინის ისეთი ტონალობის წერილი გამოქვეყნდა, გეგონებოდა, რომ საქართველო ერთადერთი ადგილია პლანეტაზე, სადაც „ცივი ომი" გრძელდება და კონფრონტაციას ალტერნატივა არ აქვს. ყველა ეს კომენტარი ძალიან შემჭიდროებულ ვადებში გაკეთდა.**

საქართველოსთვის იარაღის მიწოდების თემას, როგორც წესი, მაშინ ახსენებენ, როდესაც ობამას საგარეო პოლიტიკის, რუსეთთან „გადამეტებული გადატვირთვის" გაკრიტიკება სურთ. თუმცა დღეს მსოფლიოში იმდენი „პირველი რანგის" კრიზისი ფეთქავს, რომ ამ თემას შტატებში ყურადღების ცენტრში მოხვედრის შანსი არ აქვს. შეიძლება გამოითქვას მეორე ვერსია, რომ ამ კომენტატორებმა იგრძნეს (შეიტყვეს), რომ საკითხი შეიძლება დადებითად გადაწყდეს და წინდაწინ ქულების ჩაწერა განიზრახეს, თუმცა აბსოლუტურად არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ აშშ თბილისისთვის იარაღის მოწოდებაზე „არაფორმალური ემბარგოს" მოხსნას აპირებს. **შეიძლება მესამე ვერსიაც გაჩნდეს, რომ ვაშინგტონი რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების შემდგომ გაღვივებას ცდილობს, ან კიდევ, კრემლს, ამ კონფრონტაციიდან გამომდინარე, ზოგადკავკასიური არასტაბილურობით ემუქრება. ამ ვერსიას არსებობის უფლება ნამდვილად აქვს, მაგრამ ეს ობამას ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის 180 გრადუსით შეტრიალებას ნიშნავს, რაც ნაკლებად სავარაუდოა.**

ამასთანავე, შეიძლება გამოითქვას მეოთხე ვერსიაც: განცხადებების ერთობ არაბუნებრივად გაზრდილი ინტენსიურობა და შეცვლილი ტონალობა შეიძლება მთელი კამპანიის ხელოვნურობაზე მიანიშნებდეს, იმაზე, რომ ეს მხოლოდ დამაბნეველი მანევრია, სინამდვილეში კი ვაშინგტონი საქართველოს გამოყენებას არა რუსეთის, არამედ რეგიონის სხვა ლიდერი სახელმწიფოს წინააღმდეგ აპირებს (მაგალითად, „ფერადი რევოლუციის" აქტიური მომზადების საქმეში). **იარაღის ჰიპოთეტური მიწოდება და რუსეთთან კონფრონტაციის მოჩვენებითი ესკალაცია, ამ კონტექსტში შეიძლება ვაშინგტონის სტრატეგიული ოპერაციის „ქართული შემადგენლის" ლეგენდირებისთვის გამოიყენებოდეს. მარტივად რომ ვთქვათ, „დაე, ძველი შაბლონებიდან გამომდინარე იფიქრონ, რომ სააკაშვილს მოსკოვთან ქიშპის გარდა სხვა საზრუნავი და ფუნქცია არ აქვს".** კონკრეტული სამიზნე ქვეყნის დასახელება ამ ვერსიის ჩარჩოებში დადასტურებული ფაქტების გარეშე შეუძლებელია, თუმცა, თუ ის სიმართლეს შეესაბამება, ეს ფაქტები, სავარაუდოდ, მალე გამოჩნდება. მანამდე კი, ალბათ, ყურადღებით უნდა მივადევნოთ თვალი დემონსტრაციულ სიგნალებს ამერიკულ მედიაში და დავაკვირდეთ, რა მიმართულებით წავა ეს საინფორმაციო კამპანია.

**დიმიტრი მონიავა**

# ლევან კალანდაძე: გაუგებარია, რატომ ვიწყებთ რევოლუციობანას თამაშს ირანთან

**„კაცო, სანამ ბასი არ იტყვის, მოკვლევა ჩაატარეთო, ჩვენ საკუთარი ჭკუა და აზრი არ გვაქვს?! მაშინ, თუ ასეა, ავირჩიოთ ბასი კავკასიაში აშშ გუბერნატორად და გადაწყდება ყველა პრობლემა – გვეტყვის ბასი, ჩვენ აღვასრულებთ; არ გვეტყვის, ჩვენც უმოქმედოდ ვიქნებით".**

**რამდენიმე დღის წინათ ეს კომენტარი ექსპერტმა საკუთარ „ფეისბუქზე" გამოაქვეყნა. რატომ ფიქრობს, რომ ჯონ ბასი კავკასიაში აშშ-ის გუბერნატორად უნდა ავირჩიოთ, ლევან კალანდაძე თავად მოგვიყვება.**

**დავიქირაოთ შვედეთის გადამდგარი მთავრობა და ამათზე უკეთ გააკეთებენ ქართულ საქმეს**

**– ჯონ ბასთან დაკავშირებულ კომენტარს როგორ განმარტავთ?**

– ჩემი გაღიზიანება ჯონ ბასის განცხადებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ ქართული პოლიტიკური სპექტრის უუნარობით, დუმილითა და უმოქმედობით. **რაც უნდა მოხდეს (ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენა), გაყუჩდება ხოლმე მთელი პოლიტიკური სპექტრი და ელოდება, რას იტყვის ამერიკა, რას იტყვის ამერიკის ადმინისტრაციის პრესმდივანი ან რომელიმე ჩინოვნიკი.** მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ხოლმე რეაგირებები კონკრეტულ საკითხებზე. ეს არის ძალიან გამაღიზიანებელი და შეურაცხმყოფელი. ეს ადამიანები ანგარიშვალდებულნი არიან ქართული საზოგადოების და არა ამერიკის ელჩის წინაშე.

ჯონ ბასის გუბერნატორად დანიშვნაზე უკეთესი წინადადება მაქვს საქართველოს ხელისუფლებასთან, ძალიან რომ შესტკივათ ქვეყნის მომავალზე გული. **ამასწინათ შვედეთში მთელი მთავრობა გადადგა, პრემიერი თავის მინისტრთა კაბინეტიანად. დავიქირაოთ შვედეთის გადამდგარი მთავრობა და ამათზე უკეთ გააკეთებენ ქართულ საქმეს. ეკონომიკასაც მიხედავენ, სოციალურ მდგომარეობასაც და პოლიტიკასაც. მითუმეტეს საქართველოში ახლა ხომ ძალიან პოპულარულია ყველაფრის კომერციალიზაცია და ვითომ რატომ არ შეიძლება შვედეთის გადამდგარი მთავრობა დავიქირაოთ?! 5-6 წელიწადში იდეალურ სახელმწიფოს ჩამოაყალიბებენ.**



**ყოველთვის ძალიან მოზომილად და ფრთხილად უნდა ვიყოთ ირანთან ურთიერთობაში, განსაკუთრებით თავისუფალი სავიზო რეჟიმისა და, ღმერთმა დაგვიფაროს, „რევოლუციის იმპორტისათვის" ჩვენი გამოყენების მცდელობის შემთხვევაში**

**– რა არის ჩვენი პრობლემა, რის გამოც ვერ ვახერხებთ ნორმალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას?**

– ვთვლი, რომ ჩვენი მთავარი პრობლემა არის „მენტალური ტორმუზი"... ჩვენ, ერთის მხრივ, ლიბერალური, დასავლური უნიფორმა გვაცია და, მეორეს მხრივ, შინაგანად ისევ ტოტალიტარული აზროვნება გვაქვს. ქართველებს ყველაზე მეტად გვეზარება პასუხისმგებლობის აღება. ეს არის ჩვენი საზოგადოების სენი. სამწუხაროდ, ისეთი კონიუნქტურა ჩამოყალიბდა პოლიტისტებლიშმენტში, რომ პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები აღარც კი სჭირდებათ. სჭირდებათ ისეთი ადამიანები, რომლებიც კარგად შეასრულებენ ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორების" მესიჯებს.

**– ბატონო ლევან, საქართველო-ირანს შორის ვიზების გაუქმების საკითხს და თეირანში „ფერადი რევოლუციის" იმპორტისთვის საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის გამოყენების შესაძლებლობას როგორ შეაფასებთ?**

– ზოგადად, საზღვრების ღია პოლიტიკა საქართველოს განვითარებისთვის ძალიან კარგია. მაგრამ ირანი არის განსაკუთრებული მოვლენა. ეს არის ქვეყანა, რომელიც პრაქტიკულად კონფრონტაციაშია დასავლეთთან. ირანის შესახებ არაერთი სახიფათო მინიშნება გაკეთდა სხვადასხვა ქვეყნის პოლიტისტებლიშმენტის მხრიდან. არც ერთი უცხოელი დიპლომატი არ ადგება და ღია ტექსტით არ გვეტყვის, რომ ირანთან ურთიერთობები არ უნდა განვავითაროთ. წესით, ჩვენ უნდა მივხვდეთ, ვისთან როგორი ურთიერთობები უფრო სასარგებლოა ქვეყნისთვის.

**ირანთან ურთიერთობის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ძალიან მოზომილად და ფრთხილად უნდა ვიყოთ მასთან ურთიერთობაში, განსაკუთრებით თავისუფალი სავიზო რეჟიმისა და, ღმერთმა დაგვიფაროს, „რევოლუციის იმპორტისათვის" ჩვენი გამოყენების მცდელობის შემთხვევაში.** მიუხედავად იმისა, რომ ირანში ბევრი ეთნიკურად ქართველი ცხოვრობს და ის არგუმენტი, რომ ამ მხრივ ირანთან დაახლოება კარგია, პოლიტიკური და რეგიონალური უსაფრთხოების თვალსაზრისით, გარკვეული თავშეკავებულობა და უფრო მეტი დაფიქრება გვმართებს. **ჩემთვის გაუგებარია, რატომ ვიწყებთ რევოლუციობანას თამაშს ირანთან, როდესაც ვიცით, რომ შესაძლოა, პოლიტიკურად ეს თამაში ჩვენთვის წამგებიანი იყოს...**

**– როგორ ფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლება, რომელიც უმნიშვნელო საკითხებსაც კი არ წყვეტს ამერიკის ადმინისტრაციის ჩარევის გარეშე, დამოუკიდებლად მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამერიკა საქართველოს ირანში რევოლუციის ექსპორტის ან სულაც იქაური ოპოზიციის დასაფინანსებლად იყენებს?**

– პირიქით მგონია. ჩემი აზრით, საქართველო თვითონაც ვაჭრობს ირანთან ურთიერთობით. გასაგებია, რომ პოლიტიკაში ასეთი „ვაჭრობები" მოსულა, მაგრამ ვთვლი, რომ იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში არც პოლიტიკური და არც ეკონომიური უსაფრთხოების საკითხები მოგვარებული არაა, ასეთი თამაშის წარმოება უკიდურესად სახიფათოა.

არ ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე მაინც და მაინც სამხედრო ესკალაციამდე მივა ამერიკა-ირანის ურთიერთობა, მაგრამ ვაიდა მოხდეს, ირანი საერთოდ არ მიაქცევს იმას ყურადღებას, თუ რა ურთიერთობას აწარმოებდა საქართველო ირანთან და რა სერიოზული პრობლემების წინაშე დადგება ქვეყანა, ამერიკა-ირანის დაპირისპირებაში საქართველოს უსაფრთხოებას ყველა შემთხვევაში დიდი საფრთხე დაემუქრება.

**ესაუბრა**
**თეო ტაბატაძე**

## „მედიაპალიტრის" საწყობები დალუქეს

**გუშინ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა „მედიაპალიტრის" ექვს სტრუქტურაში არაგეგმური შემოწმება ერთდროულად დაიწყო.** დალუქეს პრესის გავრცელების სამსახურის, გამომცემლობა „პალიტრა L"-ის, ქაღალდის საწყობის, სტამბის, წიგნების მაღაზიათა ქსელის და სხვა სტრუქტურების საწყობები. „მედია პალიტრის" კრეატიული დირექტორის მარიკა დარჩიას განცხადებით, აუდიტი ერთდროულად ამოწმებს ერთმანეთისგან დამოუკიდებელ შპს-ებს. „მათ რომ სხვადასხვა დროს მოეხდინათ ცალკეული სტრუქტურების შემოწმება, ეს ეჭვებს არ გამოიწვევდა; ასეთი გეგმაზომიერი თავდასხმა გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენს", – აღნიშნა დარჩიამ.

პალიტრა მედია

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, „რვიანის" მოითხოვნები აბსტრაქტულია. როგორ შეიძლება ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, როდესაც „შინსახკომი" არსებობს? წარმოუდგენელი პოლიტიკური ფანტასმაგორიაა და იმიტომაც „რვიანს" საზოგადოების არანაირი მხარდაჭერა არა აქვს. ოპოზიციურ „რვიანში" გაერთიანებული პარტიები, მართალია, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის იბრძვიან, მაგრამ ამავე დროს, მათ ამ ბრძოლაში გამარჯვების ყოველგვარი შანსი უკვე დაკარგეს."**

# სოსო მანჯავიძე: „26 მაისის კავშირი" უზრუნველყოფს ქვეყნის დე ფაქტო ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობის გამოსავლენად რეფერენდუმის ჩატარებას

**„საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობა" საზოგადოების წარმომადგენლებთან, პოლიტიკურ პარტიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციებს იწყებს. თუ რა კონკრეტული პუნქტების ირგვლივ აპირებენ გაერთიანებას, ორგანიზაციის გეგმებსა და ინიციატივებზე, „საქართველო და მსოფლიოს" მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი სოსო მანჯავიძე ესაუბრა.**

**– „წინააღმდეგობის მოძრაობის" წარმომადგენლებმა, „26 მაისის კავშირი" დააფუძნეთ, თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში ბევრი ორგანიზაცია დაარსდა. რით იქნება გამორჩეული თქვენი ერთობა და როგორ აპირებთ გეგმების განხორციელებას?**

– „26 მაისის კავშირი", სხვადასხვა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას იმ პუნქტების გარშემო გააერთიანებს, რაც „წინააღმდეგობის მოძრაობამ" 12 მაისის მანიფესტში ნათლად ასახა.

**უპირველესად, აუცილებელია შს სამინისტროს დეცენტრალიზაცია, „სოდის", „კუდისა" და სხვა პოლიტიზებული სამსახურების გაუქმება. ხოლო საპატრულო პოლიციის, კრიმინალური პოლიციის, დაზვრევის, კონტრდაზვერვის, საზღვრის დაცვის სამსახურების დამოუკიდებელ უწყებებად ჩამოყალიბება.**

**პროკურორის ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს და მის ნაცვლად, სახელმწიფო ბრალმდებლის ინსტიტუტი ამოქმედდეს, რომელსაც არ ექნება საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობის უფლება. ასევე საჭიროა, დამოუკიდებელი ერთიანი საგამოძიებო სამსახურის ჩამოყალიბება. ხოლო, სახალხო დამცველის მოთხოვნის შემთხვევაში, გამომძიებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.**

**უცილებელია, სასამართლო პროცესებზე მედიასაშუალებების დასწრება, ქვეყანაში ფართომასშტაბიანი ამნისტიის გამოცხადება, რათა საპატიმროებში, ევროსტანდარტების შესაბამისად, 5 ათასზე ნაკლები პატიმარი დარჩეს. საჭიროა ნარკომომხმარებლების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება და მათი იძულებითი მკურნალობა.**

**საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა გარდაიქმნას არაკომერციულ იურიდიულ პირად – ჟურნალისტთა კავშირად, რომლის წევრებიც თავად აირჩევენ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექციას.**

აღნიშნულ პუნქტებზე შეთანხმება და მისი განხორციელებისთვის თანმიმდევრული მოქმედების დაწყება ხელს შეუწყობს მიხეილ სააკაშვილის დიქტატორული რეჟიმის ნგრევას.

ჩვენ უზრუნველვყოფთ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებულობას და პერმანენტული საპროტესტო აქციების გამართვას, ხოლო, ქვეყნის დე-ფაქტო ხელისუფლებისადმი მოსახლეობის ნდობის გამოსავლენად რეფერენდუმის ჩატარებას.

**აუცილებელია გამოჩნდეს ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც რეალურ ოპონირებას გაუწევს ხელისუფლებას და სააკაშვილთან კომერციული გარიგებებით არ იქნება დაკავებული.**

**– თქვენს განცხადებებში შსს-ს დეცენტრალიზაციას, ვანო მერაბიშვილის გადადგომასა და დასჯას ითხოვთ. რეალურად გეჩვენებათ ამ ეტაპზე აღნიშნულის განხორციელება?**

– ძალიან რეალურია მერაბიშვილის გადადგომა და შსს-ს დემონტაჟი, რადგან ეს სამინისტრო არის ანაქრონიზმი და დიდხანს ვერ გასტანს. სააკაშვილის რეჟიმს არსებობის შესანარჩუნებლად ორი გზა აქვს დარჩენილი: ან მასობრივი ტერორი და ხალხის დახვრეტა დაიწყოს (რასაც სიამოვნებით გააკეთებდა, რომ არა საერთაშორისო საზოგადოება), ან უნდა მოხდეს ოდიოზური ფიგურების მოცილება და სტრუქტურების დემონტაჟი. ჩვენ ვაიძულებთ ხელისუფლებას ასე მოიქცეს.

**– როგორ აპირებთ თქვენს მიერ ჩამოთვლილი პუნქტების განხორციელებასა და ნიჰილისტურად განწყობილი საზოგადოების კონსოლიდაციას?**

– ხალხში პროტესტის გრძნობა არსებობს, მაგრამ ისინი ვერ ხედავენ რეალურ ძალას, რომელიც აქციების მასშტაბურ და ჭკვიანურ ორგანიზებას შეძლებს. ჩვენ მიერ შემუშავებული ყველა პუნქტი გასაგებია ცივილიზებული ევროპისთვის და შესაბამისად, **ჩვენი მოთხოვნების გახმაურების შემთხვევაში, ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციაში არ აღმოჩნდება, როგორც ეს „სახალხო კრებას" დაემართა, როცა, აშშ-ს ელჩმა ჯონ ბასმა ხალხის დასარბევად, ხელისუფლებას, ფაქტობრივად, „მწვანე შუქი" აუნთო და ასევე მოიქცა ევროკავშირიც.** „შინსახკომის" გაუქმება რომ აუცილებელია, მგონი ამაზე საერთაშორისო საზოგადოებრიობაც დაგვეთანხმება.

**– თუმცა, ჩვენ უკვე მივეჩვიეთ, რომ დასავლეთი და ევროკავშირი საქართველოში მიმდინარე მოვლენების გამო პერიოდულად მხოლოდ შეშფოთებას გამოთქვამს, რეალური ცვლილება კი არ ჩანს.**

– ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, საქართველოში არსებული რეალობის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციებს შევატყობინოთ. ამ მიზნით იმყოფებიან ამჟამად სტრასბურგში ირმა ინაშვილი და დავით თარხან-მოურავი, საიდანაც ბრიუსელში წავლენ და მნიშვნელოვან და გავლენიან ევროპელ ჩინოვნიკებს შეხვდებიან.

შედეგი კი ჯერჯერობით იმიტომ არ ჩანს, რომ დღემდე არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ჰქონია კვალიფიციური მოთხოვნები.

**– „ოპოზიციურ რვიანსაც" საკმაოდ კონსტრუქციული მოთხოვნები აქვს...**

– საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, „რვიანის" მოითხოვნები აბსტრაქტულია. როგორ შეიძლება ქვეყანაში საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება, როდესაც „შინსახკომი" არსებობს? წარმოუდგენელი პოლიტიკური ფანტასმაგორიაა და იმიტომაც „რვიანს" საზოგადოების არანაირი მხარდაჭერა არა აქვს.

**ოპოზიციურ „რვიანში" გაერთიანებული პარტიები, მართალია, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის იბრძვიან, მაგრამ ამავე დროს, მათ ამ ბრძოლაში გამარჯვების ყოველგვარი შანსი უკვე დაკარგეს.** სააკაშვილის მონოპოლისტური ხელისუფლება არ დაუშვებს ისეთი ავტორიტეტის მქონე პოლიტიკური ძალის გააქტიურებას, რომელმაც შეიძლება მას პრობლემები შეუქმნას. ის ვიდრე ბოლომდე არ გაანულებს „რვიანის" პოლიტიკურ პოტენციალს, არ მოისვენებს და ვხედავთ ხელისუფლების მიერ მუდმივად როგორ მიმდინარეობს „რვიანის" დისკრედიტაცია. ხან ცალ-ცალკე დაიბარეს „რვიანის" წარმომადგენლები, ხან ერთად მიიყვანეს მოლაპარაკებაზე.

ანეკდოტურია უკვე „რვიანის" მოლაპარაკებები კუბლაშვილთან. შეიძლება მათ საქციელზე მთელი საქართველო იცინოდეს?

**– თქვენ ამბობთ, რომ ნებისმიერ ოპოზიცურ ძალასთან ითანამშრომლებთ, მაგრამ 25 მაისის შემდეგ გამართულ აქციებზე პოლიტიკოსებს სიტყვით გამოსვლის საშუალება არ მიეცით, რის გამოც ბევრმა გაგაკრიტიკათ და ითქვა, რომ რეალურ შედეგს პოლიტიკოსების გარეშე ვერ მიაღწევდით.**

– ჩვენ არავისთვის არ დაგვიშლია სიტყვით გამოსვლა, უბრალოდ, აქციაზე ბევრ პოლიტიკოსს საფრთხე შეექმნა, ვინაიდან, 25 მაისის შემდეგ, პოლიტიკოსების მიმართ ხალხი უარყოფითად იყო განწყობილი.

**– თქვენ 21 მაისიდან აქტიურად იყავით ჩართული საპროტესტო აქციებში. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ნინო ბურჯანაძისა და „სახალხო კრების" მარცხი?**

– „სახალხო კრება", სამწუხაროდ, კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან გააიგივეს, რომლის მიმართაც დიდი პოლიტიკური სიმპათიები არ არსებობს. მიზეზი ისიც გახლდათ, რომ არ იყო ჩამოყალიბებული რეალისტური მოთხოვნები, აქციები არ იყო ორგანიზებული და ხალხმა ვერ გაიგო, რატომ გადაინაცვლეს აქციის ორგანიზატორებმა ტელევიზიასთან, მაშინ, როდესაც აქციაზე უამრავი ადამიანი მოვიდა, და რატომ დაბრუნდნენ მინიმალური რაოდენობით თავისუფლების მოედანზე. თუმცა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 25 მაისს, აქციაზე საკუთარი ღირსების დასაცავად ერის საუკეთესო ნაწილი მოვიდა.

**– თქვენ გაქვთ თქვენი გეგმები, მაგრამ თუ რომელიმე ოპოზიციური პარტია ქუჩის საპროტესტო აქციებს დაიწყებს, შეუერთდებით?**

– აქციებს ჩვენ ყოველთვის შევუერთდებით, მაგრამ ამ აქციებს უნდა ჰქონდეს მიზანმიმართული და ხალხისთვის გასაგები ხასიათი. აქცია უნდა იყოს ორგანიზებული. საპროტესტო აქცია არის ბრძოლის არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი. ჩვენ აქამდეც ყველა მიტინგს ვესწრებოდით, რადგან მიგვაჩნია, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხები პირადი სიმპათია-ანტიპათიით არ უნდა წყდებოდეს. მალე გამოჩნდება ვინ არის ქართველ ხალხთან და ვინ არის ამ რეჟიმთან და შერონ სტოუნთან.

**– თუმცა ხელისუფლება აცხადებს, რომ შერონ სტოუნისა და უცხოელი ხელოვანების საქართველოში ჩამოყვანა, ქვეყნის პოპულარიზაციისა და ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა.**

– ხელისუფლების ბოდვას კომენტარს ვერ გავუკეთებ, ეს არის ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ხალხს განუწყვეტლივ სატანისტურ რიტუალებს უტარებს. **ჯერ კიდევ აგვისტოს ომის შემდეგ, ცხინვალში გვამები არ იყო დამარხული და აქ რუსთაველის პროსპექტზე ტაშ-ფანდური გამართეს. ანალოგიური იყო 26 მაისი ალლუმიც და კიდევ კარგი „ხორუმი" მაინც არ იცეკვეს. რენი ჰარლინის სტანდარტული უნიჭო ფილმი ქვეყანას არაფერში წაადგება, ხოლო შერონ სტოუნთან ჩვენი ძალოვნების ბღლარძუნი გულის ამრევი სანახაობა იყო.**

**– თუ ფლობთ ინფორმაციას, სპეცრაზმელების მიერ, 25 მაისის აქციის მონაწილეების გაუპატიურების შესახებ გავრცელებული ხმები რამდენად შეეფერება რეალობას?**

– რა გასაკვირია, რომ ასეთი რამ მომხდარიყო იქ, სადაც 11 წლის ბავშვი და 75 წლის მოხუცები სცემეს? რაიმე ზნეობრივი ნორმა შეაჩერებდათ? ეს არ იყო აქციის დაშლა, ეს იყო სამხედრო-სადამსჯელო ოპერაცია. ჯერჯერობით, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქმე ორ ქალბატონს ეხება და, სამწუხაროდ, ვადასტურებ, რომ აღნიშნული ფაქტი სიმართლეა. მალე საზოგადოება ყველაფერს შეიტყობს.

**– რამდენად რეალურია, ხელისუფლების შესანარჩუნებლად სააკაშვილის გაკოტრებულმა რეჟიმმა გადადგას ისეთი სახიფათო და რადიკალური ნაბიჯები, როგორიცაა მაგალითად, ირანში „ფერადი რევოლუციის" ექსპორტი ან სულაც აჰმადინეჯადის ოპოზიციის დაფინანსება?**

– სააკაშვილი ნებისმიერ შეკვეთას შეასრულებს, რაც მისი პირადი ძალაუფლების განმტკიცებას შეუწყობს ხელს. ამას თუნდაც ავღანეთში კონტინგენტის გაზრდის ფაქტიც ადასტურებს, მაშინ, როცა ნატოს არაწევრი ქვეყნებიდან, ავღანეთში საქართველომ ყველაზე მეტი ჯარიკაცი გაგზავნა.

**ირანში „ფერად რევოლუციას" კი არა, რასაც გინდა, იმას დააფინანსებინებენ, ვინაიდან მიხეილ სააკაშვილი არის მარიონეტი, რომელიც მუდმივად სხვა ქვეყნის შეკვეთებს ასრულებს და თანაც იმ ქვეყნების, რომლებიც საქართველოს მიმართ მტრულად არიან განწყობილნი.**

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**



**ირანში „ფერად რევოლუციას" კი არა, რასაც გინდა, იმას დააფინანსებინებენ, ვინაიდან მიხეილ სააკაშვილი არის მარიონეტი, რომელიც მუდმივად სხვა ქვეყნის შეკვეთებს ასრულებს და თანაც იმ ქვეყნების, რომლებიც საქართველოს მიმართ მტრულად არიან განწყობილნი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ქუჩაში გამოსულთა სამაგალითო დასჯისა და ანგარიშსწორების გვირგვინად სისხლშეუმშრალ ქვაფენილზე შაბაშის მოწყობა იქცა, რომელიც ჩვენ თვალწინ ჯერ 26 მაისის აღლუმზე, შემდეგ კი 5 ივნისის პრემიერაზე გადაიშალა. დიქტატორებიც კი ერიდებიან სამხედრო პირების სიმრავლეს აღლუმების დროს, სააკაშვილის ზურგსუკან კი მხოლოდ კურსანტები ისხდნენ. ბრწყინვალების ორდენებით საგანგებო დაჯილდოება კიდევ ერთი ჩაფურთხება იყო სულში იმ ადამიანებისთვის, რომლებიც რამდენიმე საათის წინ უმოწყალოდ სცემეს ზუსტად ამ ადგილზე. და ეს არ იყო მხოლოდ ხელისუფლების „დამსახურება“. ხალხს სულში „ბრწყინვალე“ ორდენოსნებმაც ჩააფურთხეს.**

# სააკაშვილის ძირითადი ინსტინქტი

**რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ინგა გრიგოლიას (ჯერ კიდევ) თოქშოუ ჰქონდა (ჯერ კიდევ) ცოცხალი ბადრი პატარკაციშვილის „იმედში“, ხელისუფლებიდან „გამოჟონა“ ინფორმაციამ, რომ ჰოლივუდისთვის (ჯერ კიდევ „ივერიის“ წინ მდგომი) დავით აღმაშენებლის შესახებ ფილმი უნდა დაეკვეთათ. ბევრი იკამათეს მაშინ სცენარისტებმა და კინორეჟისორებმა, უბრალო და კარის მწერლებმა, მაგრამ საბოლოოდ ფილმის გადაღებამდე საქმე არ მივიდა.**



სამაგიეროდ, სააკაშვილის შესახებ ფილმის გადაღებაზე გავრცელებულ ანონსს არავითარი ვნებათაღელვა არ მოჰყოლია. 2009 წელს ჩვენი ყოჩაღი ოპოზიცია სააკაშვილის სახლში გაშვებას გეგმავდა და ფილმი ვილას ახსოვდა! **სხვადასხვა წყაროს მიხედვით, „აგვისტოს ხუთი დღე“ 35 თუ 40 მილიონი დოლარი დაჯდა და თუმცა საქართველოს ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფდა დაფინანსებაში მონაწილეობას, ფილმის პომპეზური პრემიერა და მისი საქველმოქმედო გაგრძელება თვალნათლივ მოწმობდა, თუ ვინ იყო იქ დამკვეთი და ვინ – შემსრულებელი.**

ნუ ვილაპარაკებთ ფილმის მხატვრულ ღირსებებზე; მას უკვე თვით ლიბერალურმა ინტელექტუალურმა ელიტამ გამოუტანა განაჩენი. ნურც რენე ჰარლინის (ლაური რენე ჰარიოლას) მოღვაწეობის ანალიზს შევუდგებით; **მისი შემოქმედების გვირგვინი კაციჭამია ზვიგენები და საავტომობილო რბოლებია. ნურც ჰალსტუხის ჭამის არშემდგარ კინოვერსიას შევეხებით (გასტრონომიულ თემას მოგვიანებით მივუბრუნდეთ). არც საგრძნობლად მოსუქებულ ველ კილმერსა და მოსკოვიდან „ბარემ“ ჩამოყვანილ შერონ სტოუნზე ღირს ყურადღების გამახვილება: ეს უფრო ძირითადი კერძის გარნირის მოვალეობას ასრულებდა.**

გაცილებით უფრო საინტერესოა, შევადაროთ, როგორ იქცეოდა ქართული პოლიცია 26 მაისსა და 5 ივნისს. კინემატოგრაფი იცნობს ტექნოლოგიას, რომელსაც პარალელური მონტაჟი ჰქვია. მისი ჩემპიონი ეიზენშტეინი იყო (რენე ჰარლინთან რა მოსატანია!). **პარალელურ მონტაჟში ჩინებულად გამოჩნდებოდა, რომ თუ 26 მაისს იმავე ადგილზე ადამიანებს თავ-პირი დაუჩეჩქვეს და სისხლი ადინეს, 5 ივნისს სისხლისფერ ხალიჩასა და შეგროვებულ ხალხს შორის ლითონის ღობურები დადგეს და ჰოლივუდის ვარსკვლავებს ახლოს არ მიაკარეს თაყვანისმცემლები. პოლიციამ ისიც მოახერხა, რომ კინოთეატრიდან საკმაოდ მოშორებით რამდენიმე სამოქალაქო აქტივისტი „გააუვნებელყო“, ანუ მანქანებში ჩატენა და სასწრაფოდ გაარიდა იქაურობას. ექსცესები არ ყოფილა.**

რატომ არ იმოქმედა პოლიციამ ასევე თუნდაც 26 მაისის ღამეს?

ზღაპრები „არასანქცირებული“ მიტინგის შესახებ გვერდზე გადავდოთ, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა არ იცნობს ამგვარ ცნებას. ისინი, ვინც ამ ტერმინს იყენებენ, მეოცე საუკუნის 80-იან წლებში არიან ჩარჩენილი. უკანასკნელად ამ მოტივით 1989 წლის 9 აპრილის ბარბაროსული დარბევის გამართლება სცადეს საბჭოთა გენერლებმა.

26 მაისს პოლიციის აგრესიული ქცევის მიზეზი მარტივია: მისი მიზანი, არ იყო მხოლოდ მოედნის გაწმენდა აღლუმისთვის, მიზანი ობერლეიტენანტ ჰანს კლოსისა არ იყოს, „სიცოცხლეზე მეტი“ იყო – ქუჩაში გამოსულთა სამაგალითო დასჯა და ანგარიშსწორება. ამ ყოველივეს გვირგვინად სისხლშეუმშრალ ქვაფენილზე შაბაშის მოწყობა იქცა, რომელიც ჩვენ თვალწინ ჯერ 26 მაისის აღლუმზე, შემდეგ კი 5 ივნისის პრემიერაზე გადაიშალა. **დიქტატორებიც კი ერიდებიან სამხედრო პირების სიმრავლეს აღლუმების დროს, სააკაშვილის ზურგსუკან კი მხოლოდ კურსანტები ისხდნენ. ბრწყინვალების ორდენებით საგანგებო დაჯილდოება კიდევ ერთი ჩაფურთხება იყო სულში იმ ადამიანებისთვის, რომლებიც რამდენიმე საათის წინ უმოწყალოდ სცემეს ზუსტად ამ ადგილზე. და ეს არ იყო მხოლოდ ხელისუფლების „დამსახურება“. ხალხს სულში „ბრწყინვალე“ ორდენოსნებმაც ჩააფურთხეს.**

ჩვენი ხელისუფლების არჩევანი რენე ჰარლინზე შემთხვევით არ შეჩერებულა. ისიც მათსავით ზედაპირულია, მისთვისაც მუტანტი-ზვიგენების გამოყვანაა უფრო საინტერესო, ვიდრე ცოცხალი ადამიანების ცხოვრება და სიკვდილი. ადამიანები მხოლოდ ზვიგენის საკვების როლს ასრულებენ.

**ჩვენი ხელისუფლებაც ხომ როგორც კინოში, ისე ცხოვრობს. მათ წარმოსახვაში მორიგი დუბლის შემდეგ ქუჩაში დახვრეტილი ადამიანი ფეხზე უნდა წამოდგეს და ვითომ არც არაფერი ყოფილა, ისე გააგრძელოს ცხოვრება. მაგრამ ცხოვრება კინო არ არის. სინამდვილეში სანდრო, ბუტა, გიორგი, სხვები და სხვები ველარ წამოდგებიან.**

ფილმი, რომლის პრემიერა ხელისუფლებამ ასე პომპეზურად აღნიშნა, ისეთივე მდარე სცენარითაა გადაღებული, როგორც სხვა „ფილმები“, ყოველდღირად რომ გვიჩვენებენ ნაციონალური არხების საინფორმაციო გამოშვებებში. ამ „ფილმების“ სიუჟეტი ძირითადად შეთქმულებებს ეძღვნება, თუმცა მათ შემქმნელებს რომ უსმინო, მათ „შეთქმულებების თეორიების არ სჯერათ“. არ სჯერათ, როცა საქართველოს წინააღმდეგ მათ შეთქმულებას ამხელს ვინმე, სამაგიეროდ, ურყევად სწამთ, რომ მათ წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობს ყველა, მათივე ვიწრო წრის გარდა, რომელიც თავს ამ ქვეყნის ბატონ-პატრონად მიიჩნევს.

**26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ყინწვისში დააკავეს ახლადშექმნილი „ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის“ 23 წევრი, რომელთაც ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით წაუყენეს (შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად).**

ერთ-ერთი ადვოკატის განცხადებით, პროკურატურა ამტკიცებს, რომ ეს 23 კაცი დაუკავშირდა ერთმანეთს, რათა ჩამოეყალიბებინათ შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც მერე ცხინვალის ტერიტორიიდან შემოიყვანდა დაახლოებით 2000 კაცს. ისინი იქნებოდნენ ქართულ ფორმებში ჩაცმული, ქართულად მოლაპარაკე, ოღონდ რუსი ჯარისკაცები (!) და დაეხმარებოდნენ სახელმწიფო გადატრიალებაში. ნიკა გოგუაძე („ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის“ თავმჯდომარე) აღიარებით ჩვენებაში აცხადებს, რომ მაისის დასაწყისში მათ მოსკოვში მიიღეს დავალება, შეექმნათ „ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა“, რომლის ძირითადი ფუნქციაც იქნებოდა ნინო ბურჯანაძისა და ბადრი ბიწაძის მიერ გამართული საპროტესტო აქციების მხარდაჭერა.

**ამ სასწრაფოდ შექმნილი ორგანიზაციის სახელწოდებაც საინტერესოა; ტერმინის სახით ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგია და მოძრაობა რამდენიმე წლის წინათ შემოიტანა ბესარიონ გუგუშვილმა, რომელიც ინტერნეტ-რესურს PRESA.GE-ს გარშემო დატრიალებული სკანდალის შემდეგ, მარტში უეცრად ამ საიტის ბლოგერი გახდა. შეგახსენებთ, რომ საიტი დამფუძნებელთა ჯგუფმა იანვარში ხმაურით დატოვა და განაცხადა, რომ იგი შსს-ს კონტროლს ქვეშ გადავიდა.**

ერთი სიტყვით, იდეოლოგიის ავტორი ზვიად გამსახურდიას დევნილი მთავრობის თავმჯდომარეა, პოლიტბიურო – სააკაშვილის მიერ განდევნილი პოლიტიკოსები და ძალოვანები, ხოლო აღმსრულებლები – საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი (ან თითქმის უცნობი) პიროვნებები, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებაში მომყვან პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს და ორგზის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ეხმარებიან! ჩვენს სამშობლოს რომ არ ეხებოდეს, საკმაოდ სახალისო ვოდევილის ხასიათს ატარებს ეს ყოველივე.

**ამ სცენართან შედარებით „აგვისტოს ხუთი დღე“ ყოველგვარ ინტრიგასა და მასშტაბს არის მოკლებული. სამაგიეროდ, ქართული ნიჭი იგრძნობა იმაში, თუ როგორ მოგვაწოდეს ჰოლივუდის ვარსკვლავების თბილისში ჩამოსვლა: „რენე ჰარლინი თვითმფრინავიდან გადმოსვლისთანავე ქართულ მიწას ემთხვია“! „შერონ სტოუნმა ქართული ჩირი და ჩურჩხელა გასინჯა“!**

ეს თავგანწირვა ქართველმა ხალხმა უთუოდ უნდა დაუფასოს შერონ სტოუნს, რადგან იგი დიაბეტით არის დაავადებული და 2001 წელს გადატანილი ინსულტის შემდეგ კატეგორიულად არ ეკარება შაქარს, მაკარონს, თეთრ პურს, ბრინჯსა და კარტოფილს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ შერონმა ჩირი და ჩურჩხელა მოსკოვში მირთმეულ ხიზილალიან ბლინებსა და პელმენებს დააყოლა, მთელი ამ კინოაბსურდის დრამატურგია გასაგები გახდება.

**რუსთაველის თეატრში საქველმოქმედო საღამოზე ბილეთების ფასი 5-დან 10.000 დოლარამდე მერყეობდა. სულ 1,5 მილიონი ლარი შეიკრიბა. „ეს თანხა მთლიანად მოხმარდება აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებს“ – ამაყად გვამცნეს ნაციონალურმა არხებმა. დიახ, მხოლოდ ჩვენს ხელისუფლებას შეუძლია, 40 მილიონი დახარჯოს „მოგებული ომის“ მთავარსარდლის უკვდავსაყოფად, ხოლო დაღუპულთა ოჯახებს ქველმოქმედთა ხელიდან მილიონ-ნახევარი ლარი უბოძოს!**

ვიდრე ეს ქველმოქმედნი კულინარიის დარგში სამგზის „ოსკაროსან“ ალან პასარის მიერ მომზადებულ დელიკატესებს აგემოვნებდნენ, სოსო ჯაჭვლიანი მცხეთის იზოლატორში შიმშილობდა და უკვე 16 კილოგრამი ჰქონდა დაკლებული.

რუსთაველის მცირე დარბაზი ეკვადორიდან საგანგებოდ ჩამოტანილი 4 ფერის 7.000 ვარდით გააფორმეს, ოღონდ სააკაშვილისთვის არავის უყვირია, გადადექიო! საინტერესოა, ნინო ბურჯანაძეს რომ 10.000-დოლარიანი ბილეთი ეყიდა, ერთი ვარდიც აელო ხელში და სააკაშვილისთვის ამ უზნეობის პარადის ჩატარებაში შეეშალა ხელი, იქნებ შედეგი უკეთესი ყოფილიყო, ვიდრე 26 მაისს?

„კრავთა დუმილი“ საქართველოში უკვე დაირღვა. არც შერონ სტოუნია ჯოდი ფოსტერი და არც ჩვენი ხელისუფლება – ისეთი მარადიული, როგორც თავად წარმოუდგენია. ძროხებმაც კი იციან თავისიანის სისხლის ფასი. ერთხელ სოფელში გასაოცარი ფაქტის შემსწრე აღმოვჩნდი: ძროხებმა განწირული ბღავილით აიკლეს სოფელი, მთელი დღე გაუჩერებლად ბღაოდნენ, ადამიანს არ იკარებდნენ. მოხუცებმა ამიხსნეს, რომ ვიღაცას ხბო დაუკლავს, ტყავი და თავ-ფეხი კი დაუმარხავად დაუყრია. ამიტომ ბღაოდნენ ასე განწირულად ძროხები.

**ინსტინქტიაო, ვინმე იტყვის. იქნებ ასეც იყოს, მაგრამ „ძირითადი ინსტინქტი“ სინამდვილეში გვარის გაგრძელებაა და არა სექსი, რომლის სიმბოლოდაც ჰოლივუდმა შერონ სტოუნი 1992 წელს აქცია. ვინც ამ ორ ცნებას შორის განსხვავებას ვერ ხედავს, მისთვის სააკაშვილის ძირითადი ინსტინქტი 2008 წლის აგვისტოსა და წლევანდელი 26 მაისის შემდეგაც უცნობი ყოფილა.**

**ნანა დევდარიანი**

ნაც-ტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**– ზუგდიდში გრძელდება ტერორი, იჭერენ უდანაშაულო ადამიანებს. „ოპერატიული წამალი“ – არსებობს ასეთი მცნება. ხალხს ალტერნატიული აზრისთვის უდებენ „ოპერატიულ წამალს“, მიმდინარეობს ამ ადამიანებისა და მათი ოჯახების ტერორი და ა.შ. რა, ეს ახალია? ახალაიას კლანი, გუნავასა და ქარდავას ხელმძღვანელობით ახორციელებს ტერორს სამეგრელოში. ის ფაქტიც, კი, რომ უკვე საეკლესიო პირს, მღვდელს ესროლეს, ყველანაირ ზღვარს სცილდება. ისინი არ დაგიდევენ არაფერს – არც ეკლესიას, არც საზოგადოებას.**

# რატომ ესროლა ზუგდიდელმა პოლიციელმა მამა ილარიონს ეკლესიის ეზოში

**საქართველოს უახლეს ისტორიას ეკლესიაზე შეტევის არაერთი შემთხვევა ახსოვს; არამხოლოდ ინფორმაციული, ყოფილა ტაძრის ხელყოფის ფაქტებიც. თუმცა დღეს კიდევ უფრო საშიშ ტენდენციებთან გვაქვს საქმე. ზუგდიდში ორი ნასვამი პოლიციელი წმიდა გიორგის სახელობის ტაძარში შევარდა და ღვთისმსახურს დამიზნებით ესროლა. შეურაცხყოფა მიაყენეს მრევლსაც. დღეს კი ოპოზიციის წარმომადგენლის, კახა მიქაიას განცხადებით, მამა ილარიონი ისეთი ზეწოლის ქვეშ არის, რომ ფაქტს, რომელსაც უამრავი ადამიანი შეესწრო, უარყოფს.**

## კახა მიქაია: სამეგრელოში როლანდ ახალაიას საქართველოს პრეზიდენტს უწოდებენ





**კახა მიქაია:**

– „საღამოს ლოცვების დასრულების შემდეგ ორი ნასვამი პოლიციელი (ერთ-ერთის გვარია ფონია) შევარდა ტაძარში. **მრევლმა გადამალა სტიქაროსნები, რის შემდეგაც ისინი დაემუქრნენ ერთ უნარშეზღუდულ ადამიანს, თავზე იარაღს ადებდნენ და აიძულებდნენ ემღერა, ამაზრზენად იქცეოდნენ. მამა ილარიონმა მოუწოდა მათ სიმშვიდისკენ, რის გამოც მას ერთ-ერთმა დამიზნებით ესროლა. ამ დროს, ვინაიდან ის ნასვამი იყო, ფეხი აუცდა და ჩავარდა ორმოში, თორემ მამა ილარიონი იქნებოდა ამ ინციდენტის მსხვერპლი.** ამის თვითმხილველები არსებობენ – იქვე იყო მამა ილარიონის მეუღლე, მძღოლი და შვილი. მართალია, შემდეგ მამა ილარიონმა ამაზე კომენტარი არ გააკეთა და განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონდაო, მაგრამ ჩვენ გვაქვს მამა ილარიონის მეუღლესთან სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომელშიც ის ადასტურებს ყოველივე ამას, რასაც ახლა თქვენ გეუბნებით. ამის თვითმხილველები ასევე არიან მრევლი და მესანთლე, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ. ეს ეკლესია მდებარეობს ჭითაწყალის სასაფლაოს ეზოში, პატრულის შენობიდან ორას მეტრში. ხუთი გასროლა მოხდა, მაგრამ პატრულს არანაირი რეაგირება არ მოუხდენია.

**– რა მიზნით შეცვივდნენ პოლიციელები ტაძარში?**

– მთვრალები იყვნენ. დღეს აღვირახსნილი და უკონტროლოა ზუგდიდის პოლიცია, საშიში მდგომარეობაა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლების თავგასულობას საზღვარი არ აქვს.

**– შსს-ის გენერალურმა ინსპექციამ არ მოახდინა რეაგირება?**

– არანაირი რეაგირება არ მომხდარა. ამბობენ, რომ ისინი გაათავისუფლეს სამსახურიდან, მაგრამ მხოლოდ სამსახურიდან გათავისუფლება თუ უნდა ჩაითვალოს ასეთ ფაქტზე რეაგირებად, არ ვიცი. ცინიზმია ეს, მეტი არაფერი.

**– სხვა რა შემთხვევებს აქვს ადგილი, რომელშიც ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლების თავგასულობა გამოიხატება?**

– ზუგდიდში გრძელდება ტერორი, იჭერენ უდანაშაულო ადამიანებს. „ოპერატიული წამალი“ – არსებობს ასეთი მცნება. ხალხს ალტერნატიული აზრისთვის უდებენ „ოპერატიულ წამალს“, მიმდინარეობს ამ ადამიანებისა და მათი ოჯახების ტერორი და ა.შ. რა, ეს ახალია? **ახალაიას კლანი, გუნავასა და ქარდავას ხელმძღვანელობით ახორციელებს ტერორს სამეგრელოში. ის ფაქტიც, კი, რომ უკვე საეკლესიო პირს, მღვდელს ესროლეს, ყველანაირ ზღვარს სცილდება. ისინი არ დაგიდევენ არაფერს – არც ეკლესიას, არც საზოგადოებას.** მამა ილარიონთან მივიდნენ და დააშინეს. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაშია ის, როცა უარყოფს მომხდარ ფაქტს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დავუდეთ მისი მეუღლის საუბრის ჩანაწერი. წარმოიდგინეთ, როგორი ზეწოლა მიმდინარეობს მასზე.

**– საოლქო პროკურორი არის ვანო მერაბიშვილის ფავორიტი, დათა ახალაიას მამა, როლანდ ახალაია; ის აკონტროლებს სიტუაციას რეგიონში?**

– რეგიონში როლანდ ახალაიას საქართველოს პრეზიდენტს უწოდებენ. ის აკონტროლებს ყველაფერს: პროკურატურასაც, სასამართლოსაც, კუდსაც, სოდ. პოლიციის დანაშაულზე ზუგდიდში, საერთოდ სამეგრელოში და მთლიანად საქართველოში, რეაგირება არ ხდება. ახლახან გარემოვაჭრეები დაარბიეს. შიდა მოვაჭრეები ხელისუფლებამ დაუპირისპირა გარემოვაჭრეებს და მოხდა საშინელი დარბევა, რაშიც მონაწილეობდა ლევან მესხია – ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, გამგებლის მოადგილე. სასტიკად სცემეს ადამიანებს, გარემოვაჭრეებს დახლები გადაუყარეს მდინარეში... თუმცა ისინი ისევ აგრძელებენ ბრძოლას, ლევან მესხიამ ჯიუტები უწოდა მათ.

**– როგორი დამოკიდებულებაა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების მიმართ?**

– საშინელი, ისევე, როგორც ჩემ მიმართ. მერაბიშვილი იყო ათი დღის წინ ანაკლიაში და ბრძანება გასცა, მიქაია და მისი მეგობრები უნდა დავამთავროთო. ერთ-ერთმა ცნობილმა ზონდერმა, პოლიციელმა თორიამ ეს დავალება საკუთარ თავზე აიღო.

**ესაუბრა**
**სოფო გელაშვილი**

# წერილი ციხიდან: მიმდინარეობს გამოძიება...

**„ტელეკომპანიებსა და პრესას მოგმართავთ თხოვნით, რომ თქვენთვის ძვირფასი დრო და ადგილი დაუთმოთ აქ ჩამოთვლილ პრობლემებს. ჩემი ჩამოთვლილი პრობლემები რაღაც დოზით მაინც მივაწვდინოთ საზოგადოებას, რადგან პატიმარი, ყველას თუ არა, თითქმის ქვეყნის 1/3-ს მაინც მოიცავს და მე კი აქ ვააშკარავებ, თუ რა ხდება რეალურად და რა მძიმე პირობებში (ეს იქნება ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ყოფა) უწევს პატიმარს სასჯელის მოხდა. სასჯელი ერთია, მაგრამ თავისუფლება თუ ეღირსებათ საერთოდ?**

ჩემი, როგორც პიროვნების და მსჯავრდებულის აზრით, თქვენ და ნაწილობრივ ყველამ, ხელი შეუწყვეთ იმას, რომ დაუსჯელობა ჯერ სინდრომად ჩამოყალიბებულიყო და შემდეგ გაბატონებულიყო. ამის დასამტკიცებლად კი მომყავს ფაქტები, რასაც სჩადიოდნენ სასჯელაღსრულების მაღალი ჩინოვნიკები და რა უსუსურობასა და არაადექვატურობას იჩენს პროკურატურა. ხოლო „სამართლიანობასთან“ რა კავშირშია, ხომ სულ დამავიწყდა. სამართლიანობის შემყურე კი დაითრგუნები კაცი, როცა წინ ხელში შეგრჩება ახალგაზრდა, რომელსაც „დაყვირების ტექსტიც“ არ აქვს გავლილი, ის კი დანამდვილებით იცის, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა უნდა მოითხოვოს. ახალგაზრდობასთან კი არ მაქვს პრობლემა, პრობლემას მიქმნის ის საქმეები, რომლებიც დაგროვილია და „მაკიაჟის სისქე“ ჭუჭყი ადევს. დამეთანხმებით, სისუფთავეს რა სჯობს, მაგრამ ამ ხალხს, ეტყობა, დაავიწყდა, სტრუქტურული „ჰიგიენა“ რომ საჭიროა.

მივყვები თანმიმდევრობით და მოგახსენებთ, თუ რა უსუსურობაზე ვსაუბრობ ზემოთ. კერძოდ, ჩამოვთვლი საქმეებსა და პრობლემებს გარკვევით:

**პრობლემა: საქმე №1**

**2006 წლის ამაზრზენი ფაქტი, ქ. რუსთავის №6 საპყრობილეში მომხდარი ფაქტი – წამება, ცემა, არაადამიანური მოპყრობა (ნაცემ-ნაწამებს კარცერში მამყოფებდნენ ტრუსის ამარა), ღირსების შელახვა, საქმე კი აღძრეს გადამეტებით. აქედან იკვეთება კანონის დარღვევათა მთელი სერია, იმ ჩინოვნიკებში „ბატონდება დაუსჯელობა“, რაც შემდგომში კიდევ იკვეთება. პროკურატურის პასუხი კი ასეთია: „მიმდინარეობს ძიება“, უკვე მეოთხე წელია.**

**პრობლემა: საქმე №2**

**2007 წელს ქ. რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის „კრიტის“ ტიპის საპყრობილე. მომხდარი ფაქტი – ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, დამუქრება. ამ საქმესთანაც იგივეა: „ძიება მიმდინარეობს“, „ექვმიტანილები“ კი დღეს განაგრძობენ სამსახურს.**

**პრობლემა: საქმე №3**

**2008 წლის ბოლოს ქ. რუსთავის №6 საპყრობილე. ჩემი გადაყვანა ხდება უკანონოდ „კრიტის“ რეჟიმზე, რადგან არ მცნობია, თუ რა მიზეზით ვიქენი ეტაპირებული. იქ კი ხდება ჩემი ცემა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, ზეწოლა, დამუქრება სიცოცხლის ხელყოფით. საქმის მდგომარეობა იგივეა – „ძიება გრძელდება,“ დამნაშავე განაგრძობს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობას.**

ამ ყველაფრის მოხსენების შემდეგ, მინდა შევეხო პენიტენციალური სისტემების (ციხეებს ვგულისხმობ) პრობლემებს, რომელთაც ვხედავ.

მე, როგორც მსჯავრდებული და პიროვნება მივიჩნევ, რომ (თქვენ გინდ დამეთანხმეთ, გინდ არა) პენიტენციალურ სისტემებში მომრავლდა „შარიანი“ თანამშრომლები, რომელთაც ამოძრავებთ ძველი გადმონაშთი, კონკრეტულად, თუ რა მუხლით ვიხდი სასჯელს და რატომ ვარ დაპატიმრებული. აი, მაგალითად: ჩემთვის უკითხავთ, თუ რა მუხლით ვიხდი სასჯელს. მითქვამს, რომ ყაჩაღობით. ამის შემდეგ დაუწყია გამომწვევი პასუხები და იქამდე მიუყვანია ეს ყველაფერი, რომ დამთავრებულა კარცერითა და შემდგომ „გაკრიტვით“. კი, მაგრამ, ეს ხომ „ევროპული ციხეებია“, თუ დაავიწყდათ, თავგადაკლულები რომ ამტკიცებენ ამ ყველაფერს და მაინც რატომ ავიწყდებათ ასეთი „წვრილმანები“ (უთანასწორობას ვგულისხმობ)? **მე გეკითხებით – თუ რა მნიშვნელობა აქვს, ყაჩაღობისთვის ვიხდი სასჯელს თუ ქურდობისთვის, მოსჯილს ხომ ვიხდი?** მაგრამ ეს ყოველი აწყობს ვიღაცას, უბრალო „კუჩნიკი“ ამას ვერ გადაწყვეტს.

**პატიმარს უფლება არ აქვს, არანაირ სიტუაციაში თანამშრომელს მიაყენოს ფიზიკური შეურაცხყოფა, ხოლო ფაქტი თუ მოხდა, მაქსიმუმ ერთ თვეში მოგისჯიან უმაღლეს სასჯელს. თანამშრომელს ასევე უფლება არ აქვს, პატიმარს მიაყენოს ფიზიკური შეურაცხყოფა, ხოლო თუ მოხდა ეს ფაქტი, ოთხი და მეტი წელი მიმდინარეობს ძიება, თან თანამშრომელი განაგრძობს თავის ადგილზე მუშაობას.**

**მე, უბრალოდ, შედარება გავაკეთე სიტყვების: „კანონი ყველასთვის თანასწორია“.**

**იმედა ბუთხუზი,**
**ქ. ქუთაისის №2 მკაცრი რეჟიმის საპყრობილის მსჯავრდებული**

**(სტილი დაცულია. წერილი მოგვაწოდა „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურიდიული ჯგუფის ხელმძღვანელმა ნინო ანდრიაშვილმა)**



**„სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 დაწესებულებაში, სამედიცინო ბარათისა და შესამოწმებელი პირის უშუალო გასინჯვის მონაცემებიდან გამომდინარე, გ. ზვიადაძეს აღენიშნება დაზიანებები, მრავლობითი ნაჭდევებისა და სისხლნაჟღენთების სახით, რაც მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის (საგნების) არაერთჯერადი მოქმედებით. მორფოლოგიური სურათის მხედველობაში მიღებით, დაზიანებები ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებებში მითითებულ თარიღს“.**

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# სანამ მოუკლავთ, გადაიყვანეთ!

**გაიოზ ზვიადაძე სასამართლომ 2007 წელს დაუსწრებლად დამნაშავედ ცნო, სასჯელის ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა და მასზე ძებნა გამოაცხადა. 2010 წლის 17 მარტს ძებნილი გაიოზ ზვიადაძე რუსეთში დააკავეს და, განაჩენის აღსრულების მიზნით, გადმოსცეს საქართველოს.**

## ლალი აფციაური: გაიოზ ზვიადაძეს საგამოძიებო ოთახში სცემდა 8 პირი, რომელთა ვინაობა არ იცის, თუმცა რამდენიმე მათგანის ამოცნობა შეუძლია

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, მას სსკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის მისჯილი აქვს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. სწორედ ამავე განაჩენის მიხედვით დადგენილია, რომ სასჯელის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს დაკავების დღიდან. შესაბამისად, მისი პატიმრობის ვადა დამთავრდა 2011 წლის 17 მარტს. მიუხედავად ამისა, ადვოკატის განცხადებით, ზვიადაძე 2011 წლის 6 აპრილამდე (ახალი ბრალდების წარდგენამდე) დაკავებული იყო თვითნებურად, კანონით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძვლების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, ზვიადაძის ექსტრადიციის შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციას წარუდგინა მთელი რიგი გარანტიები იმისა, რომ ზვიადაძის მიმართ დაცული იქნებოდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნები. მაგრამ ეს პირობა არ შესრულებულა, მეტიც, მის მიმართ არაადამიანური მოპყრობისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის ზვიადაძის საჩივარი უკვე ევროპულ სასამართლოშია.

**ლალი აფციაური,** ადვოკატი:

„2011 წლის 17 მარტს ზვიადაძემ ჩემთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ 16 მარტს სად-ის №7 დაწესებულების თანამშრომლებმა სასტიკად სცემეს. სახის არეში აღენიშნებოდა დაზიანებები, უჭირდა საუბარი, გადაადგილება და სკამზე ჯდომის დროს ვერ ინარჩუნებდა წონასწორობას, თავის არეში განიცდიდა ტკივილს.

18 მარტს იგი მოინახულეს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა. ზვიადაძის განმარტებით, 16 მარტს, რუსეთის ფედერაციიდან თბილისში ჩამოყვანის შემდეგ, იგი მოათავსეს №7 დაწესებულებაში. დაახლოებით 15 წუთში ადვოკატთან შეხვედრის მოტივით გაიყვანეს საგამოძიებო ოთახში, რა დროსაც აღმოჩნდა, რომ იგი მოატყუეს და ადვოკატის მაგივრად ოთახში დახვდა დაწესებულების ორი თანამშრომელი, რომლებმაც მიმართეს უხეშად და მოსთხოვეს იმ დოკუმენტზე ხელის მოწერა, რომლის შინაარსის წაკითხვა ვერ შეძლო უსათვალოდ.

ზვიადაძის გადმოცემით, დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მას განუცხადეს, რომ აღნიშნული დოკუმენტის შინაარსი შეიცავდა ხელწერილს ამავე დაწესებულების ხელმძღვანელებთან თანამშრომლობის შესახებ. განმცხადებელმა უარი თქვა ხელის მოწერაზე, დაწესებულების ორმა



განაწყენებულმა თანამშრომელმა მას მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. **ამ დროს ოთახში კიდევ შემოვიდა რამდენიმე პირი, მათ შორის №7 დაწესებულების დირექტორი გ. გუნიავა, რომელიც პირადად იღებდა მონაწილეობას მის ცემასა და წამებაში. გაიოზ ზვიადაძეს საგამოძიებო ოთახში სცემდა 8 პირი, რომელთა ვინაობა არ იცის, თუმცა რამდენიმე მათგანის ამოცნობა შეუძლია.**

ზვიადაძის განმარტებით, ცემის შედეგად ის წაიქცა. ამის შემდეგ შეიყვანეს დაწესებულების პირველ სართულზე მდებარე №3 საკანში. 2011 წლის 21 მარტს, ზვიადაძის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, მივმართეთ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს – ჭაკუას ზვიადაძის საავადმყოფოში გადაყვანისა და ექსპერტ ა. გეჯაძის განმცხადებელთან დაშვების თაობაზე, თუმცა მოთხოვნა რეაგირების გარეშე დარჩა.

**ამავე დღეს პატიმარი კვლავ მოინახულეს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა. გაიოზ ზვიადაძემ მათთან საუბარში განმარტა, რომ 2011 წლის 15 მარტიდან არ მიუღია საკვები, მაგრამ ადმინისტრაციისთვის განცხადებით არ მიუმართავს, ვინაიდან არ აქვს საწერი საშუალება.**

გაიოზ ზვიადაძის გადმოცემით, ამ ეტაპზე ოდნავ გაუმჯობესდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, თუმცა უჭირს წონასწორობის დაჭერა და გრძნობს სიმძიმეს თავის არეში, ასევე აქვს ყრუ ტკივილები. ის, რომ 18 მარტს სახალხო დამცველის რწმუნებულის მონახულებიდან რამდენიმე საათის შემდეგ დაწესებულების თანამშრომლები საღამოს საათებში შევიდნენ მასთან საკანში და ჩამოართვეს ჰიგიენური ნივთები, კერძოდ: კბილის ჯაგრისი და პასტა, ტუალეტის ქაღალდი და ჟურნალ-გაზეთები და დაემუქრნენ: „თუ არ დაანებებთ თავს საჩივრების წერას შენ და შენი ადვოკატი, ამ საკნიდან ხელცარიელი აღარ გავალთო“.

ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას“ ექსპერტების დასკვნაში ვკითხულობთ: **„დაწესებულების დირექტორთან ბატონ გოდერძი გუნიავასთან შეხვედრისას გაირკვა, რომ №7 დაწესებულების სამედიცინო პერსონალი სრული შემადგენლობით დაბარებული იყო სასჯელაღსრულების სამედიცინო დეპარტამენტში თათბირზე, დაწესებულების სამედიცინო ნაწილი იყო ჩარაზული და ვერ მოხერხდა ვერც პაციენტის სამედიცინო ბარათში დაფიქსირებული ინფორმაციის გაცნობა, ვერც მისი ასლის გადაღება. დაწესებულების დირექტორის, გოდერძი გუნიავას განმარტებით, სამედიცინო ნაწილის გასაღები თან ჰქონდა წაღებული №7 დაწესებულების მთავარ ექიმს და ამ გასაღების ასლი არ არსებობდა დაწესებულების ტერიტორიაზე, რის გამოც ვერ მოხერხდა აღნიშნული სამედიცინო ნაწილის კაბინეტის გამოყენება სამედიცინო-საექსპერტო კონსულტაციის ჩასატარებლად და მულტიპროფილური ჯგუფი გადაყვანილი იქნა საგამოძიებო ოთახში — დირექტორის განმარტებით, სხვა თავისუფალი ოთახი დაწესებულებაში არ არსებობდა... აღნიშნულ ოთახში არ იყო არანაირი პირობა შესაბამისი სამედიცინო შემოწმების ჩასატარებლად. შეუძლებელი იყო პაციენტის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გასინჯვა. სამმაგი გისოსების მქონე ფანჯარა არ იყო შემინული და უბერავდა ქარი. ოთახის ტემპერატურა მიახლოებული იყო გარეთა ტემპერატურას, რის გამოც სარისკო იყო პაციენტის ტანსაცმლის გარეშე გასინჯვა... აღნიშნულ, საგამოძიებო/ადვოკატთა ოთახში დამონტაჟებული იყო ვიდეო კამერა და მიმდინარეობდა ვიდეომიყურადება დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან. საექსპერტო შეფასების არაადეკვატურ გარემოში ჩატარების გამო, გამოკვლევა ჩატარდა დროში შეზღუდვით. აღსანიშნავია, რომ გამოსაკვლევი პირის განცხადებით, იგი ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ნაცემი იქნა ამავე ოთახში, რაც არასათანადოდ მოპყრობის შემთხვევაში, სამედიცინო გამოკვლევისთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს...**

ტრავმატოლოგის კონსულტაციის მიხედვით, **„..გამოსაკვლევი პირის სხეულზე აღნიშნული დაზიანებები მიყენებულია ბლაგვი საგნით. ნევროლოგიური სტატუსით, ნეიროქირურგის კონსულტაციით, ქალა-ტვინის დახურული ტრამვის, ქალა ტვინის შერყევის სურათი დამძიმებულია შიმშილობის ფაქტის გამო, რაც ართულებს თავის ტვინის შერყევის დიფერენციალურ დიაგნოსტირებასა და საჭიროებს, ერთის მხრივ, დამატებითი ობიექტური ანამნეზური ინფორმაციის მოპოვებას და, მეორეს მხრივ, გამოკვლევების ჩატარებას, კერძოდ; ოფთალმოლოგის კონსულტაციას, თავის ტვინის MR ტომოგრაფიას. თავის არეში აღწერილი დაზიანებების მიხედვით, ICD-10-ის მიხედვით, გამოტანილი იქნა შემდეგი დიაგნოზი — ქალა-სარქვლისა და სახის რბილი ქსოვილების მრავლობითი დაჟეჟილობა (S 00.7; კოდი S გულისხმობს მწვავე ტრამვის ორ კვირამდე პერიოდს). თავისა და სახის არეში მიღებული დაზიანებები მიყენებულია ბლაგვი საგნის (საგნების) არაერთჯერადი გამოყენებით.**

ფსიქიატრის კონსულტაციის მიხედვით: **ფიზიკურ და ნევროლოგიურ მონაცემებზე, ასევე ფსიქიკური სტატუსის მონაცემებზე დაყრდნობით, ICD-10-ის მიხედვით შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დიაგნოზი: თავის ტვინის დაზიანებითა და დისფუნქციით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობა – F 07 სავარაუდო პოსტტრავმული ცერებრული სინდრომი. ნეიროქირურგის კონსულტაციაზე დაყრდნობით, დიაგნოზი (დადგენის მიზნით) საჭიროებს დამატებით თვალის ფსკერის გამოკვლევასა და თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსულ კვლევას, სისხლძარღვოვან რეჟიმში (ანამნეზში ჰიპერტენზიული სინდრომის გათვალისწინებით).**

პატიმრობის პირობები სასჯელაღსრულების ექსპერტის კონსულტაციით: **საკან №3-ში, სადაც 2011 წლის 22 მარტის მდგომარეობით განთავსებული იყო გამოსაკვლევი პირი, საყოფაცხოვრებო პირობები მძიმეა და არ შეესაბამება პატიმრობის მინიმალურ (როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო) სტანდარტებს. გამოსაკვლევი პირის განცხადებით, დაწესებულების დირექტორი გოდერძი გუნიავა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, თემურ ქანთარია ხელმძღვანელობდნენ და უშუალოდ მონაწილეობდნენ მის ცემასა და წამებაში 2011 წლის 17 მარტს და აგრძელებენ თავიანთი ქმედებებით (მუქარა, დაშინება, დათრგუნვა და სხვ.) გამოსაკვლევი პირის ტერორიზებას; როგორც საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო, ისე შიდა ეროვნული სტანდარტებისა და ნორმების გათვალისწინებით, პაციენტის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან, 2011 წლის 16 მარტიდან განვითარებული მოვლენების ობიექტურად გამოძიების აუცილებლობიდან და მისი ადექვატური მკურნალობა/რეაბილიტაციის საჭიროებიდან გამომდინარე, სად-ის №7 დაწესებულებაში გაიოზ ზვიადაძის დაყოვნება დაუშვებელია.**

**ლალი აფციაური,** ადვოკატი:

„2011 წლის 24 მარტს კვლავ მივმართეთ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ზვიადაძის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანისა და ექსპერტ ა. გეჯაძის №7 საპყრობილეში დაშვების თაობაზე. დ. ჭაკუას ასევე ეცნობა, რომ დაცვის მხარის კანონიერი მოთხოვნის შესრულების დაყოვნება გამოიწვევდა ზვიადაძის სხეულზე არსებული დაზიანებების კვალის წაშლას, რაც ასევე რეაგირების გარეშე იქნა დატოვებული. 2011 წლის 29 მარტს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაციამ გასცა ნებართვა ექსპერტ, გეჯაძის №7 დაწესებულებაში დაშვების თაობაზე. 2011 წლის 30 მარტს გაიოზ ზვიადაძე შემოწმებული იქნა სასამართლო მედიკის – ალექსანდრე გეჯაძის მიერ, გაიცა სპეციალისტის დასკვნა №01, რომლის თანახმადაც, **„სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №7 დაწესებულებაში, სამედიცინო ბარათისა და შესამოწმებელი პირის უშუალო გასინჯვის მონაცემებიდან გამომდინარე, გ. ზვიადაძეს აღენიშნება დაზიანებები, მრავლობითი ნაჭდევებისა და სისხლნაჟღენთების სახით, რაც მიყენებულია რაიმე მკვრივი ბლაგვი საგნის (საგნების) არაერთჯერადი მოქმედებით. მორფოლოგიური სურათის მხედველობაში მიღებით, დაზიანებები ხანდაზმულობით არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებებში მითითებულ თარიღს“.**

30 მარტს, ზვიადაძის ცემისა და წამების ფაქტთან დაკავშირებით, სად-ის №7 საპყრობილეში მოწმის (და არა დაზარალებულის) სახით დაიკითხა განსასჯელი, რომელმაც დეტალური ჩვენება მისცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელს ილია გერგედავას, 16 მარტს მის მიმართ განხორციელებული არაადამიანური მოპყრობის თაობაზე. ზვიადაძემ განაცხადა ისიც, რომ ციხის ადმინისტრაცია დღემდე ახორციელებს სიტყვიერ მუქარას, რომ ზვიადაძე და მისი ადვოკატი თავს თუ არ დაანებებდნენ საჩივრების წერას, მის საკანში ჩადებდნენ კანონსაწინააღმდეგო საგანს. 6 აპრილს ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელმა ვასილ გოგიშვილმა გაიოზ ზვიადაძეს წარუდგინა ახალი ბრალდება, რომელშიც ზვიადაძემ თავი დამნაშავედ არ ცნო და განაცხადა, რომ მას არ ჩაუდენია მართლსაწინააღმდეგო ქმედება, არანაირი თავდასხმა არ განუხორციელებია, მეტიც, რომ იგი განზრახ იქნა მიცემული პასუხისგებაში მას შემდეგ, რაც მის მიმართ სასჯელაღსრულების №7 საპყრობილეში განხორციელებული ცემისა და წამების ფაქტთან დაკავშირებით არაერთი საჩივრით მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს, მთავარ პროკურატურას და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, საერთაშორისო ორგანიზაციებს. განსასჯელმა განმარტა, რომ მის მიმართ ინკრიმინირებული ქმედება მოგონილია სად-ის №7 საპყრობილის თანამშრომლებისა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელ გოგიშვილის მიერ, იმ დანაშაულის დაფარვის მიზნით, რომელიც ხორციელდება ზვიადაძის მიმართ 2011 წლის 17 მარტიდან დღემდე. ეს არგუმენტაცია უპირობოდ ადასტურებს, რომ გაიოზ ზვიადაძეს არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია, მიმდინარეობს მისი მიზანმიმართული დევნა და იგი უკანონო პატიმრობაში ყოფნის დროს კიდევ ერთხელ უკანონოდ, წინასწარი განზრახვით იქნა მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში“.

**სოფო გელაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„დაკავებულების უმრავლესობა ნაცემი იყო და ყველა მათგანს ხელბორკილი ედო. მოვითხოვე დარეკვა, რისი კანონიერი უფლებაც მქონდა, მაგრამ უარი მითხრეს. „კაპეზეს“ უფროსმა მითხრა, მე არ მაქვს უფლება და, ვინც მოგიყვანა, იმათ უთხარი და დაგარეკინონო. დილით ისევ დილმის სამმართველოში წაგვიყვანეს, სადაც 150-ზე მეტი დაკავებული დაგვხვდა. ნაცნობებიდან გია ბურჯანაძე და სოსო ჯაჭვლიანი შევნიშნე. როგორც დაკავებულები მიყვებოდნენ, ზედა სართულებზე ხალხს სცემდნენ და საგამოძიებო ოთახებში სისხლის გუბეები იდგა“.**

# გელა ნიკოლაიშვილი: 25 მაისის აქციის დარბევისას გაცილებით მეტი ადამიანი გარდაიცვალა

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელი, უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი პარლამენტარმა დავით დარჩიაშვილმა „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში სუბიექტურობაში დაადანაშაულა (იხ. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, №19). მიუხედავად იმისა, რომ ბატონი გელა აქტიურადაა ჩართული მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, ის კატეგორიულად არ ეთანხმება მოსაზრებას მისი პოლიტიზებულობის შესახებ და მიაჩნია, რომ „ხელისუფლების ნებისმიერ წარმომადგენელს შეფასება ობიექტურად მხოლოდ მაშინ მიაჩნია, როცა მას აქებ, „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებ და ნებისმიერ ნაბიჯს ჯერ არგაგონილ და ჯერ არნახულ წარმატებად ჩაუთვლი“. ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე კომენტარი გელა ნიკოლაიშვილს ვთხოვეთ.**



**გარდაცვლილებს ნელ-ნელა გამოაჩენენ, ზოგს მტკვარში დამხრჩვალს იპოვიან, ზოგს – სხვა ადგილას...**

**– ბატონო გელა, როგორია, 25 მაისს განვითარებული მოვლენების თქვენი, როგორც იურისტისა და თვითმხილველის, პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება?**

– 25 მაისს აქციაზე ნაცნობ ქალბატონებთან ერთად ვიმყოფებოდი. მალე, მეოთხე უცნობი ქალბატონიც შემოგვიერთდა, რომელიც შვილს ეძებდა. როდესაც აქციას სპეცრაზმი მიუახლოვდა, გადავწყვიტე, ქალბატონები გამერიდებინა და ავტომანქანით კინოთეატრ „რუსთაველის“ გვერდით ქუჩაზე ჩავუხვიე; ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ გზა იქაც გადაკეტილი იქნებოდა, რადგან ამის საჭიროება არ არსებობდა. უცნობ ქალბატონს დიაბეტი ჰქონია და ცუდად გახდა; სპეცრაზმელებს სთხოვდა, გავეშვით, მაგრამ მისი თხოვნა არ შეისმინეს. მანქანაში დაახლოებით 2 საათის განმავლობაში ვისხედით. ვხედავდი, როგორ იჭერდნენ აქციიდან გამოქცეულ ხალხს, ურტყამდნენ და სადღაც მიჰყავდათ. როგორც აღმოჩნდა, მათ იქვე მდგარ ყვითელ ავტობუსში ათავსებდნენ.

დაახლოებით პირველ საათზე დამირეკა ნინო ბურჯანაძემ და მთხოვა, ბევრ ხალხს იჭერენ და იქნებ დაგვეხმაროო, მაგრამ მე თვითონაც დამაკავეს. ალბათ, ვიღაცისგან მითითებას ელოდებოდნენ, რადგან მალე ხელბორკილი დამადეს და ავტობუსში გადამიყვანეს. **როდესაც ვკითხე, რატომ იქცეოდნენ ასე აგრესიულად, რუსებს უქვრებით და იმიტომო, მიპასუხეს. როცა შევეპასუხე, ერთმა სპეცრაზმელმა იარაღი, მეორემ კი ხელკეტი მომიღერა და მივხვდი, თუ კიდევ რამეს ვიტყოდი, რეზინის ტყვიებსა და ხელკეტებს დამიშენდნენ.** სპეცრაზმელები ისე იყვნენ მომართული, რომ მათ ვერ გავაგებინებდი, სწორედაც კომუნისტებისა და საბჭოეთის საწინააღმდეგო საქმიანობისთვის რომ ვხეხე ციხე ორი წელიწადი და ჩემთვის ასეთი ბრალდებები სასაცილოა. **პირდაპირ ვიტყვი, ისინი ხალხის ჩასახოცად გამოუშვეს.**

ავტობუსში დაახლოებით ორმოცამდე დასისხლიანებული კაცი დამხვდა. ჯერ დიღმის პოლიციის სამმართველოს „კაპეზეში“ წაგვიყვანეს, მაგრამ, ვინაიდან იქ ადგილი არ აღმოჩნდა, მოდულის „კაპეზეში“ გადაგვიყვანეს.

**– როგორ ექცეოდნენ დაკავებულებს პოლიციელები?**

– დაკავებულების უმრავლესობა ნაცემი იყო და ყველა მათგანს ხელბორკილი ედო. მოვითხოვე დარეკვა, რისი კანონიერი უფლებაც მქონდა, მაგრამ უარი მითხრეს. „კაპეზეს“ უფროსმა მითხრა, მე არ მაქვს უფლება და, ვინც მოგიყვანა, იმათ უთხარი და დაგარეკინონო. დილით ისევ დიღმის სამმართველოში წაგვიყვანეს, სადაც 150-ზე მეტი დაკავებული დაგვხვდა. ნაცნობებიდან გია ბურჯანაძე და სოსო ჯაჭვლიანი შევნიშნე. როგორც დაკავებულები მიყვებოდნენ, **ზედა სართულებზე ხალხს სცემდნენ და საგამოძიებო ოთახებში სისხლის გუბეები იდგა. იქიდან მხოლოდ 45-50 წელს გადაცილებული ხალხი გამოგვიშვეს, ამასთან, ჩამოგვართვეს მობილური ტელეფონები და დღემდე არ დაუბრუნებიათ.**

**– რამდენად ჰქონდათ ტელეფონების წართმევის უფლება?**

– რა თქმა უნდა, არ ჰქონდათ. ფაქტობრივად, გაგვძარცვეს. მოვითხოვე ტელეფონის დაბრუნება, მაგრამ ვერ მოძებნი ადამიანს, ვინც ამაზე პასუხისმგებელია. ყველა ამბობს, მე არ წამირთმევია და არაფერი ვიციო.

**– რა ინფორმაცია გაქვთ: ამჟამად რამდენი ადამიანია დაკავებული, დაკარგული ან გარდაცვლილი და რამდენად ემთხვევა თქვენი ცნობები ხელისუფლების მიერ გავრცელებულ ოფიციალურ ინფორმაციას?**

– როგორც ჩემთვის ცნობილია, სამასამდე ადამიანი იყო დაკავებული. მაგრამ აქედან რამდენს შეუფარდეს ადმინისტრაციული პატიმრობა ან ჯარიმა, რამდენი გაუშვეს და რამდენის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყეს, ამის გარკვევა ახლა ძალიან რთულია.

**ოფიციალურად, ოთხი ადამიანი გამოცხადდა გარდაცვლილად. სამწუხაროდ, ვვარაუდობ, რომ 25 მაისის აქციაზე გაცილებით მეტი ადამიანი გარდაიცვალა, ვინაიდან დაახლოებით 40 კაცი უგზო-უკვლოდაა დაკარგული და მათგან ნაწილი, ალბათ, ცოცხალიც აღარ არის. ხომ ნახეთ, ორი ადამიანის გარდაცვალებაც ელექტროსადენებთან შეხებას დააბრალეს. ვფიქრობ, გარდაცვლილებს ასე ნელ-ნელა გამოაჩენენ. მალე, ალბათ, ზოგს მტკვარში დამხრჩვალს იპოვიან და ზოგს – სხვა ადგილას...**

**– რას აკეთებთ თქვენ, ადამიანის უფლებათა დამცველები, დაკარგულთა და დაზარალებულთა დასახმარებლად? მაგალითად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ მურმან დუმბაძე, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, საავადმყოფოში არ გადაჰყავთ.**

– ჩვენ კონკრეტულ ფაქტებზე ვახდენთ რეაგირებას, ასევე ვაგროვებთ ინფორმაციას და შემდეგ სიმართლეს საერთაშორისო საზოგადოებასა და უცხოელ უფლებადამცველებს ვატყობინებთ. პროცესებზე ზემოქმედების მოხდენის სხვა არანაირი საშუალება არ გაგვაჩნია. ჩვენი ძალა არის ჩვენი სიმართლე.

**– მაგრამ დავით დარჩიაშვილმა ჩვენთან ინტერვიუში სუბიექტურობაში დაგადანაშაულათ და განაცხადა, რომ გელა ნიკოლაიშვილი პოლიტიზებული ადამიანია და ყველაფერს იტყვის, ოღონდ ხელისუფლება დაადანაშაულოსო.**

– უფლებადამცველზე ამის თქმა მხოლოდ და მხოლოდ ცილისწამებაა. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს ვალდებულება და უფლება, მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე ჰქონდეს საკუთარი აზრი და, თუ ამას პოლიტიზებულობა ჰქვია, არ ვიცი. **როცა კრიტიკას ოპოზიცია იმსახურებს, უკან არც მაშინ ვიხევ და ეს ასე იყო შევარდნაძის ხელისუფლების დროსაც, როცა მე და დათო დარჩიაშვილი, როგორც უფლებადამცველები, ხელისუფლებას ვაკრიტიკებდით, მაგრამ მაშინ რატომღაც დათო დარჩიაშვილს არც მე და არც საკუთარი თავი არ მიაჩნდა პოლიტიზებულად. როგორც ჩანს, თანამდებობის შეცვლა ობიექტურობის ცვლილებასაც განაპირობებს.**

ხელისუფლების ნებისმიერ წარმომადგენელს შეფასება ობიექტურად მხოლოდ მაშინ მიაჩნია, როცა მას აქებ, „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებ და ნებისმიერ ნაბიჯს ჯერ არგაგონილ და ჯერ არნახულ წარმატებად ჩაუთვლი. ბურჯანაძე არაერთხელ გამიკრიტიკებია და, თუ დაიმსახურებს, კიდევ გავაკრიტიკებ. მაგრამ არ ვიქნები მართალი, თუ არ აღვნიშნავ, რომ ამ დღეებში ნინო ბურჯანაძემ უდიდესი თავდადება და თავგანწირვა გამოავლინა, რაც ჩემთვისაც კი გასაკვირი აღმოჩნდა.

**– ხელისუფლება აცხადებს, რომ ნინო ბურჯანაძემ ხალხი მიატოვა და აქციიდან გაიქცა, მისმა ესკორტმა კი ადამიანები გადათელაო.**

– ხელისუფლება ბურჯანაძისგან მტრის ხატის შექმნას ცდილობს, მაგრამ ყველამ ვნახეთ კადრები, როდესაც ნინო ბურჯანაძე გამოვიდა აქციაზე, მაშინ იქ, ფაქტობრივად, აღარავინ იყო დარჩენილი.

ბურჯანაძემ თქვა, რომ მზადაა, მანქანებს ექსპერტიზა ჩაუტარდეს. 9 აპრილს როდიონოვის ჯარმა გასაქცევი მაინც მისცა ხალხს, აქ კი მე პირადად ვარ მოწმე, არავითარ შეტაკებაში არ მიმიღია მონაწილეობა და მაინც გზა გადამიკეტეს და დამაკავეს.

**– ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, მიტინგის დაშლა ლეგიტიმური იყო, ვინაიდან აქციისთვის განკუთვნილი დრო ამოიწურა. თქვენ იურისტი ბრძანდებით, კანონით ჰქონდა ხელისუფლებას აქციის დაშლის უფლება?**

**– რა თქმა უნდა, აქციის დაშლა, ფორმალური თვალსაზრისით, შეიძლებოდა, მაგრამ დაშლა და არა სასაკლაოდ გადაქცევა, რაც 25 მაისს მოხდა. ეს არ იყო აქციის დაშლა, დაშლა იქნებოდა, ხალხისთვის გაქცევის საშუალება რომ მიეცათ. ამასთან, არსად, არც ერთ კანონში არ წერია, რომ აქცია შეიძლება დაიშალოს, თუ განსაზღვრული ვადა ამოიწურა.**

**აქციის მონაწილეებს უთხრეს, წადით და სხვაგან ჩაატარეთ აქციაო. თუ ეს აქცია ანტისახელმწიფოებრივი იყო და სახელმწიფო გადატრიალების საფრთხეს შეიცავდა, მაშინ აქციის სხვაგან ჩატარების უფლება რატომ მისცეს?**

აქციის დაშლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ საფრთხე ემუქრება ვინმეს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ იარაღის ძალით ხელისუფლების დამხობის მოწოდებები ისმის. 25 მაისს მსგავსი არაფერი ყოფილა.

**– აშშ-ის ელჩის – ჯონ ბასის განცხადება იყო თუ არა ხელისუფლებისთვის ერთგვარი ნების დართვა აქციის დასარბევად და გაითვალისწინებს თუ არა ხელისუფლება დასავლეთის შემდგომ რეკომენდაციებს, გამოიძიებს თუ არა ძალის გადაჭარბების ფაქტებს?**

**– ხელისუფლება იძულებული იქნება, ყველაფერი გაითვალისწინოს. მე არ ვიცი, ამერიკის ელჩს როგორ გამოსტყუეს ასეთი უპასუხისმგებლო განცხადება, რითაც მან, ფაქტობრივად, „მწვანე შუქი“ აუნთო დარბევას, მაგრამ ამის შემდეგ მაინც უნდა გაითვალისწინონ ამერიკელმა დიპლომატებმა, რომ მათი უბრალო მინიშნებაც კი შეიძლება ხელისუფლებამ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.**

**– ამ დღებში საზოგადოებამ ფარული ჩანაწერები იხილა. რამდენად შეიძლება უკანონოდ მოპოვებული ჩანაწერები მტკიცებულებად ჩაითვალოს?**

– რადგანაც მათია სასამართლო, პროკურატურა და პოლიცია, ძალიან მარტივია მათთვის, ნებისმიერი უკანონო ქმედება ლეგიტიმურად აქციონ.

ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ყოველგვარი კანონის დარღვევით უსმენს ყველას. იმ ჩანაწერებში დანაშაულის დამამტკიცებელი მე ვერაფერი დავინახე. დანაშაულის ნიშნები რომ ყოფილიყო, დღეს ის ხალხი ციხეში იქნებოდა. 4 წლის წინათაც, 7 ნოემბრის შემდეგ, გამოაქვეყნეს მსგავსი ფარული ჩანაწერები, მაგრამ დღემდე ბრალი არავისთვის წაუყენებიათ.

**– გავრცელდა „შეფიცულთა“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის, გია უჩავას აღიარებითი ჩვენება. შეიძლება დაჭერების სერიის გაგრძელებას ველოდოთ?**

– გია უჩავას არსად უთქვამს, შეიარაღებულ გადატრიალებას ვაპირებდითო. გადატრიალება პლასტმასის მილებით, ხის ფარებითა და „რაგატკებით“ არ ხდება. თავდაცვითი რაზმები იქმნებოდა, შეფიცულთა რაზმებიც არსებობს, მაგრამ ეს არ ყოფილა შეიარაღებული ფორმირება. რაც შეეხება ყინწვისში დაკავებულებს, როგორც ვიცი, მათ „შეფიცულებთან“ არანაირი კავშირი არ აქვთ. უჩავას აღიარება საფუძვლად დაუდეს ბიწაძის მიმართ წაყენებულ ბრალდებას, რაც არა გადატრიალებას, არამედ პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს, თუმცა აქციაზე პოლიციელებზე თავდასხმა არ მომხდარა.

**– აღნიშნული მოვლენების შემდეგ გიორგი გეგეჭკორის შსს-ს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელად დანიშვნა რას უკავშირდება?**

**– ხელისუფლებაში, მოგეხსენებათ, ყველას თავისი ფავორიტი ჰყავს. კულუარული ინფორმაციით, გეგეჭკორი მერაბიშვილის ფავორიტია, მერაბიშვილი კი – სააკაშვილის, თუმცა გიგა ბოკერია მთელი ძალაუფლების ხელში აღებას ცდილობს, რასაც ვანო მერაბიშვილი სასტიკად ეწინააღმდეგება. სავარაუდოდ, აღნიშნული ფაქტიც შიდა სახელისუფლო გადანაწილების შედეგია.**

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

ეთერ ცხადაიამ ზუგდიდში ჩასულ პრეზიდენტთან შეხვედრაც სცადა ორჯერ, მაგრამ იგი მოტყუებით მოაცილეს ტერიტორიას. ორივე შემთხვევა მან ზუგდიდის პროკურატურაში გაასაჩივრა. წერილი პირადად სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორს, როლანდ ახალიას გაუგზავნა: „83 წლის ქალბატონი შეურაცხყოფილი ვარ. ამ გამტაცებლებს პირისპირ მინდა შევხვდე, თვალებში ჩავხედო და მითხრან, ვინ დაავალა ასე მოქცევა“. ერთ წელზე მეტია, ცხადაიას პროკურატურაში საჩივარი აქვს შეტანილი. მიუხედავად ამისა, მისი გატაცების საქმე დღემდე არ გამოძიებულა.

ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# პრეზიდენტის „იაფი კრედიტით“ გაკოტრებული ბიზნესმენები

**სტუდია „მონიტორმა“ ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა, თუ როგორ გაიცა პრეზიდენტის ინიცირებული პროგრამის – „იაფი კრედიტის“ ფარგლებში მილიონები სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ჟურნალისტ მარი როჭიკაშვილის განცხადებით, „იაფი კრედიტის“ პროგრამით 2008 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 62,4 მილიონი ლარი გამოიყო და 117 პროექტი დაფინანსდა; 2009 წელს 2,5 მილიონი ლარი გაიცა 17 პროექტისთვის; 2010 წლიდან კი პროგრამა საბოლოოდ შეწყდა. პროგრამის მიზანი ბიზნესის დახმარება იყო, თუმცა სახელმწიფომ მასში მონაწილეთა უმეტესობა არათუ ფინანსურად გააძლიერა, არამედ პრობლემები შეუქმნა და ქონების დაკარგვის საფრთხის წინაშე დააყენა.**

მიხეილ სააკაშვილი თათა ვარდანაშვილის ფეხსაცმელების საწარმოს გახსნაზე.



## თათა ვარდანაშვილი: „შეიძლება გულის სიღრმეში ღამე ვტირი, რადგან ამხელა რაღაცის პატრონი ვიყავი და ამის დათმობა მარტივი არ იყო, მაგრამ რაკი ეს ასე მოხდა, ღვთის ნებაა ყველაფერი“

**მარი როჭიკაშვილი, სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტი:**

**ფაქტი №1:** „იაფი კრედიტის“ პროგრამა 2008 წლიდან ამოქმედდა, პროექტების შერჩევა და სესხების გაცემა ეკონომიკის სამინისტროსა და მუნიციპალური განვითარების ფონდს დაევალა. პროექტის მიზანი კერძო მეწარმეებისთვის შეღავათიანი საკრედიტო რესურსის ხელმისაწვდომობა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა იყო. ზუგდიდელმა ეთერ ცხადაიამ „იაფი კრედიტის“ შესახებ ტელევიზიით მოისმინა და პრეზიდენტს წერილი გაუგზავნა: **„ბატონო პრეზიდენტო, მინდა, დიდი ბიზნესი წამოვიწყო. ამისთვის მჭირდება თანხა, რომელიც მე არ გამაჩნია და დიდი პიროვნება, რომელიც მე არ მყავს. გთხოვთ, ვინმე ხელქვეითს დაავალოთ და მცირეპროცენტიანი სესხი მომცეთ. რეგიონებში საქმე ისე არ არის, როგორც თქვენ გგონიათ. ზუგდიდში არაფერია გაკეთებული, თუნდაც უმუშევრობის მხრივ. მე ვწერ ამას პენსიონერი, 81 წლის. პატივისცემით ეთერ ცხადაია“.**

**„საარჩევნო პერიოდი იყო, 2008 წლის აპრილში მივწერე წერილი და 18 მაისს ჩამოვიდა პრეზიდენტი. შარაშიძისთვის უთქვამს, ვიღაც ხანდაზმული ქალბატონი მწერს მნიშვნელოვან წერილს და ამ ქალბატონს მიხედეთო,“** – ამბობს ცხადაია. მართლაც, მეორე დღესვე ეთერ ცხადაიას ეკონომიკის მაშინდელმა მინისტრმა ეკატერინე შარაშიძემ დაურეკა და ბიზნეს გეგმის მომზადება სთხოვა. ცხადაიამ ბიზნეს გეგმა სპეციალისტთან კონსულტაციის შემდეგ დაწერა. მასთან სტუმრად მისულ სამინისტროს წარმომადგენლებს 30 ათასი ბროილერის ჯიშის ქათმის მოსაშენებლად და ფერმის გასამართად ნახევარი მილიონი ლარი მოსთხოვა. თუმცა, როგორც ამბობს, შეხვედრაზე უთხრეს, რომ ამ ეტაპზე გამოუყოფენ 180 ათას ლარს, ამ თანხის ათვისების შემდეგ კი დამატებით გამოეყოფოდა თანხები.

**ნაცვლად მოთხოვნილი 500 ათასი ლარისა, ცხადაიას 180 ათასი ლარი 7 წლით 7 პროცენტად გამოეყო. პარალელურად პრეზიდენტმა პირდაპირი მიყიდვით 31 ათასი კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და 8 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 6 ათას ლარად გადასცა და პირობებიც დაუწესა. სწორედ აღნიშნულ მიწაზე დაევალა ცხადაიას 2009 წლის ბოლომდე არანაკლებ 30 ათას ფრინველზე გათვლილი ფერმის მოწყობა.**

შეთანხმებისამებრ, ცხადაიამ ფერმის მშენებლობა დაიწყო. ქათმების შესაძენად კი თანხა აღარ ეყო. ცხადაია ეკონომიკის სამინისტროსგან დაპირებულ 200 ათას ლარს ითხოვდა. რადგან სამინისტროდან პასუხი ვერ მიიღო, დახმარების თხოვნით პრეზიდენტის ადმინისტრაციას, მთავრობას, ეკონომიკის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარლამენტს არაერთხელ მიმართა, თუმცა უშედეგოდ.

**ზუგდიდში ჩასულ პრეზიდენტთან შეხვედრაც სცადა ორჯერ, მაგრამ იგი მოტყუებით მოაცილეს ტერიტორიას. ორივე შემთხვევა მან ზუგდიდის პროკურატურაში გაასაჩივრა. წერილი პირადად სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორს, როლანდ ახალიას გაუგზავნა: „83 წლის ქალბატონი შეურაცხყოფილი ვარ. ამ გამტაცებლებს პირისპირ მინდა შევხვდე, თვალებში ჩავხედო და მითხრან, ვინ დაავალა ასე მოქცევა“. ერთ წელზე მეტია, ცხადაიას პროკურატურაში საჩივარი აქვს შეტანილი. მიუხედავად ამისა, მისი გატაცების საქმე დღემდე არ გამოძიებულა.**

ცხადაიას დღეს მართლაც პრობლემები აქვს. მეფრინველეობის ფერმა ცარიელია, რადგან ქათმების ყიდვა უსახსრობის გამო ვერ შეძლო. შესაბამისად, სესხის გადახდის დროც დადგა. **მუნიციპალური ფონდიდან გაფრთხილება უკვე მიიღო, რომ სესხის დაფარვის გრაფიკის ზედიზედ სამჯერ დარღვევისას ფონდი ვადამდე შეწყვეტს ხელშეკრულებას და სრულად მოითხოვს ბენეფიციარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაუყოვნებლივ შესრულებას, თუნდაც იძულებითი გზით. გაფრთხილება მიიღო ეკონომიკის სამინისტროსგანაც.** სამინისტრო ცხადაიასთან გაფორმებული ხელშეკრულების მოშლას და პრეზიდენტის ბრძანებულებით გადაცემული მიწებისა და მასზე აშენებული ფერმის სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს.

**ფაქტი №2: დიზაინერმა თათა ვარდანაშვილმა 2008 წელს იაფი კრედიტის პროგრამაში მონაწილეობა მიიღო. კომპანია „დემეტრე 96“-ს, რომლის 100%-იანი დამფუძნებელი და ხელმძღვანელიც თათა ვარდანაშვილია, სახელმწიფომ 1 მილიონ 350 ათასი ლარის სესხი 7 წლით 9%-ად გამოუყო.** პარალელურად „დემეტრე 96“-ს პროფესიული სასწავლებლის ჩამოყალიბებისთვის სახელმწიფომ თბილისში, წულაძის ქ. №22-ში მდებარე 2771 კვ.მ შენობა-ნაგებობები სიმბოლურ ფასად – 1000 ლარად გადასცა. თუმცა აგვისტოს ომისა და ფინანსური პრობლემების გამო თათა ვარდანაშვილმა პროექტი შეცვალა და საწარმოს გახსნა ქუთაისის ნაცვლად თბილისში გადაწყვიტა, იქ, სადაც სასწავლებელი უნდა გაეხსნა. პროფესიული სასწავლებელიც გახსნა და საფეიქრო საწარმოც, სასწავლებელში დღეს 103 მოსწავლე სწავლობს, საწარმო კი სრული დატვირთვით მუშაობს. ძირითადად, თავდაცვის სამინისტროს დაკვეთებს ასრულებს, იქ ჯარისკაცებისთვის ფეხსაცმელი იკერება.

**მიუხედავად იმისა, რომ საწარმო მომგებიანი იყო, 2010 წლის 31 აგვისტოდან საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელი, ვარდანაშვილის ნაცვლად, სახელმწიფო გახდა. ნასყიდობის ხელშეკრულებაში ვკითხულობთ, რომ თათა ვარდანაშვილმა მთელი თავისი ქონება სახელმწიფოს აჩუქა.** ყოფილი მესაკუთრე ამბობს, რომ მისი ქონება დაახლოებით 10 მილიონ ლარს შეადგენდა და ჩუქების შესახებ შეთავაზება სახელმწიფოსგან მიიღო.

**„მე დავკარგე ძალიან დიდი შემოსავალი, მაგრამ მეამაყება და მეიმედება ის, რომ სახელმწიფომ შეიძლება ეს ყველაფერი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა არსებობდეს, რომ ჩამოაყალიბო ფაბრიკა სახელმწიფოს ხელშეწყობით, მიიღო სახელმწიფოსთვის სასარგებლო პროდუქტი და სახელმწიფოსვე მოახმარო,“** – ამბობს ვარდანაშვილი. თუმცა ინტერვიუს შემდეგ ვარდანაშვილმა პირად საუბარში სხვა განცხადება გააკეთა: **„შეიძლება გულის სიღრმეში ღამე ვტირი, რადგან ამხელა რაღაცის პატრონი ვიყავი და ამის დათმობა მარტივი არ იყო, მაგრამ რაკი ეს ასე მოხდა, ღვთის ნებაა ყველაფერი“.**

დღეს ვარდანაშვილს საკუთარი შრომით შექმნილ საწარმოში მხოლოდ დირექტორის პოსტი უკავია, თუმცა იმის გარანტია, რომ ხვალ ამ თანამდებობასაც არ დაატოვებინებენ, არ არსებობს.

**ფაქტი №3:** 2006 წლის ბოლოს ქუთაისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია დაიწყო. ძველ უბანში ერთსართულიანი მაღაზია ჰქონდა **ავთანდილ ხორგუაშვილს.** რეაბილიტაციის პროექტით კი აქ რამდენიმე სართულიანი სასტუმროს განთავსება დაიგეგმა. ამასთან დაკავშირებით ხორგუაშვილი ქუთაისის ადმინისტრაციაში დაიბარეს. **გუბერნატორმა ჩოგოვაძემ უთხრა, რომ შენობა არ შეესაბამებოდა პროექტს. ვინაიდან ხორგუაშვილს მისი გადაკეთების საშუალება არ ჰქონდა, შესთავაზეს, მაღაზია ან იმავე ფასად დაეთმო, რა ფასადაც 2004 წელს შეიძინა, ან „იაფი კრედიტის“ პროგრამაში მონაწილეობა მიეღო და სახელმწიფოსგან სესხი აეღო.**

ხორგუაშვილი ადგილობრივ ხელისუფლებას „იაფი კრედიტის“ პროგრამაში მონაწილეობის მიღებაზე დასთანხმდა. პროექტის მიხედვით, 2 მილიონ 100 ათასი ლარის სესხის გამოყოფის შემთხვევაში, 5-სართულიანი 34 ნომერზე გათვლილი სასტუმროს აშენება იგეგმებოდა, ამოქმედების შემდეგ კი – 22 ადამიანის დასაქმება. ხორგუაშვილი ამბობს, რომ პროექტის წარდგენის შემდეგ კვლავ დაურეკა ჩოგოვაძემ და განუცხადა, რომ თანამდებობის პირს მასთან შეხვედრა უნდოდა. **„შეხვდა ეს პიროვნება, მეუბნება, შენ მოგეცემა 800 ათასი. დაიწყე მშენებლობა, შემდეგ ვნახოთ, მე წარდგენილი სულ სხვა რამ მქონდა, დავეთანხმე, შევატყვე, რომ მთავრობის წარმომადგენელი იყო, რა უნდა მექნა?“.**

**როგორც ამბობს, მთავრობის წარმომადგენელმა მას სამშენებლო კომპანიაც შეურჩია. მითითებისამებრ, მისი სასტუმრო სამშენებლო კომპანია „თბილისს“ უნდა აეშენებინა. ეს ის კომპანია იყო, რომელიც იმ პერიოდში ქუთაისის ძველი უბნის რეაბილიტაციას ახორციელებდა. მართლაც, ოფიციალურად 800 ათასი ლარი გამოუყვეს, თუმცა, როგორც თავად აცხადებს, ანგარიშზე მხოლოდ 700 ათასი ლარი დაერიცხა. ხორგუაშვილს მაღაზიის მახლობლად კაფე-ბარიც ჰქონდა, რომელიც „ბანკ რესპუბლიკაში“ 100 ათასი ლარის სანაცვლოდ იპოთეკით იყო დატვირთული. სახელმწიფომ შესთავაზა, გადარიცხული თანხიდან გაესტუმრებინა ბანკის ვალი, კაფე-ბარი კი იაფი კრედიტის სანაცვლოდ გირაოში ჩაედო.**

ასეც მოხდა. 700 ათას ლარში სახელმწიფომ ბარიც და მაღაზიაც გირაოთი დატვირთა. დარჩენილი 600 ათასი ლარი კი, მითითებისამებრ, სამშენებლო კომპანია „თბილისის“ შვილობილ „იმერეთმშენს“ გადაურიცხა და მშენებლობაც დაიწყო. ხორგუაშვილს ამ კომპანიის თანხების ხარჯვის მიზნობრიობაში ეჭვი შეეპარა და ექსპერტიზისთვის კომპანია „დაგი“ დაიქირავა. დასკვნაში წერია, რომ სამშენებლო კომპანიამ ხორგუაშვილს 54 ათას ლარამდე ზედმეტი მოსთხოვა. სანამ ხორგუაშვილი კომპანია „თბილისის“ ხარჯების მიზნობრიობას არკვევდა, თანამდებობიდან გადააყენეს მიხეილ ჩოგოვაძე. სამშენებლო კომპანია „თბილისი“ გაკოტრდა, მისი ხელმძღვანელები კი დაიჭირეს.

**დღეს ხორგუაშვილს აქვს მოპირკეთებული კედელი, დაუმთავრებელი შენობა და დაგირავებული ქონება. იმის გამო, რომ პროექტი ვერ აამუშავა, სესხს ვერ იხდის და სახელმწიფოსთან პრობლემები აქვს. უახლოეს პერიოდში თუ სესხს არ დაფარავს, მის სახელზე არსებული ფართი და კაფე-ბარი ჩამოერთმევა და აუქციონზე გაიყიდება.**

## დღეს ხორგუაშვილს აქვს მოპირკეთებული კედელი, დაუმთავრებელი შენობა და დაგირავებული ქონება. იმის გამო, რომ პროექტი ვერ აამუშავა, სესხს ვერ იხდის და სახელმწიფოსთან პრობლემები აქვს. უახლოეს პერიოდში თუ სესხს არ დაფარავს, მის სახელზე არსებული ფართი და კაფე-ბარი ჩამოერთმევა და აუქციონზე გაიყიდება.

ნიშანდობლივია ერთი გარემოება: „იაფი კრედიტის“ პროგრამაში მონაწილე პროექტების შერჩევა ეკონომიკის სამინისტროში შექმნილ უწყებათაშორის კომისიას დაევალა. კომისიის შემადგენლობაში მუნიციპალური ფონდის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების წარმომადგენლები შედიოდნენ. მათ მიერ შერჩეული პროექტები კი მთავრობის სხდომაზე მტკიცდებოდა. ექსპერტების აზრით, ხელისუფლების უმთავრესი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ პროექტების შერჩევა და სესხის გაცემა ჩინოვნიკებს მიანდო და არა ბანკებს.

სოფო გელაშვილი

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**დღე არ გავა, რომ მასმედიის საშუალებებით ექიმები დამნაშავეებად არ წარმოაჩინონ. ექიმი ნარკომანია, მკვლელი, უვიცი, მექრთამე... ექიმი არის ყველანაირად საზიზღარი და საშიში არსება თურმე ამ ქვეყანაზე. რატომ ხდება ეს?! ძიების შედეგად მივდივართ ერთ საინტერესო მომენტამდე — ვიღაცას უნდა დაბრალდეს ის, რაც ქვეყანაში ხდება. ამ შემთხვევაში ექიმები აღმოჩნდნენ განტევების ვაცები.**

# ხელისუფლება მედპერსონალს მიზანმიმართულად ებრძვის

**ალბათ, შეამჩნევდით, ბოლო დროს რაღაც არაბუნებრივად გახშირდა ექიმების დანაშაული, კვირა არ გავა, რამდენიმე ექიმი არ მიაბრძანონ ჩვენს „საქებ-სადიდებლ" საპატიმროებში.
გარდა ამისა, თვალშისაცემად გაიზარდა იმ ექიმთა რაოდენობაც, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში საავადმყოფოების გაყიდვის შედეგად უსამსახუროდ და ულუკმაპუროდ დარჩნენ. ამ ყველაფერზე საკმაოდ კრიტიკული მოსაზრებები აქვს მედიცინისა და ფარმაციის თავისუფალი პროფკავშირების პრეზიდენტ ჯონი ჯანაშიას.
რა პრობლემებია დღეს მედიცინის სფეროში და რატომ მიმდინარეობს სამედიცინო პერსონალის მიმართ შავი პიარი, ჯონი ჯანაშია მოგვიყვება.**

## ჯონი ჯანაშია: ინვესტორები წურბელებივით მოასხდნენ საავადმყოფოებს კისერზე



**— ბოლო დროს თქვენ ხშირად აღნიშნავთ, რომ დღეს მედიცინა „შავ დღეშია" და რომ სამედიცინო პერსონალის დისკრედიტაცია მიმდინარეობს. რა გაძლევთ ამის საბაბს?**

— ასეთი ქართული ანდაზა არსებობს: „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო". დღეს ვერ მიადგებით ქართულ მედიცინაში ვერც ერთ მიმართულებას, მძიმე მდგომარეობა რომ არ იყოს. დავიწყოთ იქიდან, რომ ბოლო პერიოდში ქართველი მედიკოსების წინააღმდეგ აქტიურად მიმდინარეობს შავი პიარი. **დღე არ გავა, რომ მასმედიის საშუალებებით ექიმები დამნაშავეებად არ წარმოაჩინონ. ექიმი ნარკომანია, მკვლელი, უვიცი, მექრთამე... ექიმი არის ყველანაირად საზიზღარი და საშიში არსება თურმე ამ ქვეყანაზე. რატომ ხდება ეს?! ძიების შედეგად მივდივართ ერთ საინტერესო მომენტამდე — ვიღაცას უნდა დაბრალდეს ის, რაც ქვეყანაში ხდება. ამ შემთხვევაში ექიმები აღმოჩნდნენ განტევების ვაცები.**

დაიცალა ბიუჯეტი, რატომ და როგორ, ეს კარგად მოგეხსენებათ, ტაშფანდურსა და ფასადურ პოლიტიკაზე ვართ გადასული. ქვეყანა, ფაქტობრივად, არაფერს აწარმოებს. მივდივართ ერთადერთ „გამოსავალთან" — ქონების გაყიდვასთან. ეს არის გაჭირვებული კაცის პოლიტიკა, როდესაც თვითონ არ მუშაობს, თავი რომ ირჩინოს, სახლიდან გააქვს ნივთები და ყიდის. მოგეხსენებათ, საავადმყოფოებს ყოველთვის ჰქონდათ სტრატეგიულად პაციენტებისთვის მოსახერხებელი ადგილები, სადაც პაციენტისთვის მისვლა და მიდგომა გამარტივებული იყო. ასეთი ადგილმდებარეობის მქონე საავადმყოფოების გაყიდვა, როგორც ჩანს, ხელსაყრელი აღმოჩნდა სახელმწიფოსთვის, ინვესტორისთვის კი — ნოყიერი ლუკმა.

**— თქვენ შავი პიარი ახსენეთ. მოქმედებს თუ არა ეს ექიმებსა და მოსახლეობას შორის ნდობის დაკარგვაზე? როგორ ფიქრობთ, ეს შეგნებულად კეთდება?**

— რა თქმა უნდა, მოქმედებს. ამ პოლიტიკით ნელ-ნელა ჩნდება ნაპრალი პაციენტებისა და ექიმების ურთიერთობაში. ამით მიაღწევენ იმას, რომ საზოგადოების არც ერთ ფენას არ გაუჩნდება ექიმების დაცვის სურვილი. პირიქით, მკვიდრდება ასეთი შეხედულება: ეს საზიზღრები უნდა გაყაროთ სამსახურებიდან, რად უნდათ მაგათ საავადმყოფოები, სამსახური! გაყიდეთ, ესენი კი გაუშვით ქუჩაში.

**ექიმები ყოველთვის იყვნენ ქართული საზოგადოების ერთ-ერთი ავანგარდი, ამის თქმა არ მეშინია, რადგანაც ათწლეულების განმავლობაში სამედიცინო ინსტიტუტს აწყდებოდა ყველაზე მომზადებული ნაკადი აბიტურიენტებისა — მედალოსნები, წარჩინებულები, რადგან თვითონ პროფესია იყო ავტორიტეტული. გარდა ამისა, არსებობდა არაჩვეულებრივი სამედიცინო სკოლები. იმ ქმედებებით კი, რასაც ახლა სახელმწიფო ახორციელებს მედიცინის მუშაკების წინააღმდეგ, მივაღწევთ იმას, რომ თვითონ ექიმებს აღარ ექნებათ სურვილი, დაიცვან საკუთარი თავი, მედიცინა. ამ შავი პიარით ცდილობენ, ექიმთა ავტორიტეტი ნულამდე დასცენ, ხალხის თვალში შელახონ**

## სამედიცინო დარგისთვის ჩირქის მოცხება და საზოგადოების თვალში მედიკოსთა ყველანაირად დამცირება ხდება

**მედიკოსთა დღევანდელი და მომავალი საქმიანობა. ამ ყველაფერს საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს. ხალხი ნელ-ნელა დაკარგავს ამ სფეროში მოღვაწეობის სურვილს. ამათაც ეს უნდათ.**

**— დასაწყისში საავადმყოფოების გაყიდვის თემას შევეხეთ. რამდენად გამართლებულია ამ ინტენსივობით უცხოელი ინვესტორებისთვის საავადმყოფოების მიყიდვა, რამდენად კანონიერია ეს?**

— ესენი ათასნაირ კანონებს იგონებენ, რომ შემდგომ უკანონობა კანონიერი გახადონ. საავადმყოფოები ერთიმეორის მიყოლებით იყიდება, უმრავლეს შემთხვევაში კი — ყოველგვარი პროფილის შენარჩუნების გარეშე. როდესაც ადამიანს უყიდი სახლ-კარს, წესიერება და კეთილსინდისიერება მოითხოვს იმას, რომ რაღაც ალტერნატიული ფართი შესთავაზო. დღეს ყველა ამ გაყიდული საავადმყოფოს პერსონალს 3 საავადმყოფოში ტენიან. ეს არის დილმის რკინიგზის საავადმყოფო, ჟვანიას სახელობის პედიატრიული კლინიკა და ქალაქის ყოფილი 31-ე ქარხნის საავადმყოფო, რომელსაც ახლა მე-5 საავადმყოფო ჰქვია.

საინტერესოა, რომ უმრავლესობას იმ ფართების შესყიდვას სთავაზობენ, სადაც გადაყვანას უპირებენ (დაახლოებით 250-300 დოლარის ღირებულებით ერთი კვ.მ.). რამდენ საავადმყოფოს ექნება ამ თანხის გადახდის საშუალება?! თუ ვერ გადაიხდიან, ქუჩაში დარჩებიან. თანაც ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც გაგულისებით გაიძახიან, პროფესიონალი ექიმები გვჭირდებაო! ნურავინ მოგატყუებთ, რომ ქართველი ექიმები არაკვალიფიციურები არიან. უბრალოდ, როგორ პირობებსაც შეუქმნი, ისე იმუშავებენ. პირობები კი როგორიცაა, ხომ ხედავთ.

არც იმას ვამბობ, რომ დარგში არ ხდება დანაშაული, საექიმო შეცდომები, არ არიან უვიცი ექიმები. რასაკვირველია, ასეთი შემთხვევები არის, მაგრამ ხდება ამ კერძო შემთხვევების განზოგადება, მთელი დარგისთვის ჩირქის მოცხება და საზოგაოდების თვალში მედიკოსთა ყველანაირად დამცირება-დაკნინება.

**— როგორ ფიქრობთ, ეს პოლიტიკა გამოიწვევს თუ არა სამედიცინო პერსონალის დაშინებას და საკუთარი ტყავის გადარჩენის მიზნით პირში წყლის ჩაგუბებას?**

— რა თქმა უნდა, გამოიწვევს. ექიმების უმრავლესობამ შესანიშნავად იცის თავისი საქმე. თუ მას საავადმყოფოს ჩამოაშორებ, ავადმყოფს წაართმევ და არ მისცემ მკურნალობის საშუალებას, მაშინ რა უნდა აკეთოს? **მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო ყველა ექიმს, რომ გაერთიანდნენ და იბრძოლონ თავიანთი უფლებებისთვის, რადგან გათითოკაცებულის დამარცხება ბევრად ადვილია ამ ხელისუფლებისთვის.**

საქართველოს მედიცინის პროფკავშირები არანაირ პოლიტიკურ ძალას არ წარმოვადგენთ, არანაირი სურვილი არ გვაქვს ქვეყნის სათავეში მოსვლის და არც ქვეყნის მართვის ამბიცია გვაწუხებს. ჩვენი ერთადერთი მიზანი ჩვენი დარგისა და ექიმების სოციალური, ეკონომიური, მორალური მხარდაჭერა და მათი უფლებების დაცვაა.

ასევე შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მედიცინას არ სჭირდება რეფორმა, რა თქმა უნდა, სჭირდება, მაგრამ ეს რეფორმა არ უნდა იყოს ისეთნაირად წარმართული, რომ დარგი დაზარალდეს.

სამედიცინო სფეროში უკვე მთელი რიგი დარგები გაქრობის წინაშე დგას (პარაზიტოლოგია, ადამიანის რეპროდუქტოლოგია). დღეს-ხვალ გაყიდიან კანისა და ვენერიულ სნეულებათა ინსტიტუტს და დისპანსერსაც მიაყოლებენ. იგივე ელოდება დამწვრობის ცენტრსაც. გასული საუკუნის 80-იან წლებში ეს ცენტრი შექმნა ამ საქმის დიდმა ენთუზიასტმა და დიდოსტატმა ბატონმა ბესიკ იაშვილმა. ეს თავის დროზე იყო „ნოუ ჰაუ" იმ პერიოდის საქართველოსთვის. მსგავსი ანალოგი მას მთელ კავკასიაში არ ჰქონდა. ასეთ შემთხვევებში ავადმყოფის ერთი-ორი დღე მკურნალობა არ კმარა. დღეს გვეუბნებიან, რომ ასეთ ავადმყოფებს სხვა კლინიკებში დააწვენენ. ნურას უკაცრავად, დამწვრობას სხვადასხვა მიკროორგანიზმები და ვირუსები ახლავს თან, რომლებიც არაფრით არ შეიძლება სხვა დაავადების მქონე გვერდით მწოლ პაციენტს გადაედოს.

იყო საუბარი, რომ ინსტიტუტს ათსაწოლიან განყოფილებაში გადაიტანდნენ. ამაზე ავტეხეთ ერთი ამბავი, მერე დათმობაზე წავიდნენ და თქვეს, რომ ოცსაწოლიანში გადაიტანენ. ამის კმაყოფილებიც არ ვართ, რადგან დღეს ამ ცენტრში 27 პაციენტი მკურნალობს და როგორ მოათავსებენ 20-საწოლიანში?!

**— თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავთ, რომ ხშირად საავადმყოფოების ხელმძღვანელებად არასამედიცინო განათლების მქონე პიროვნებები ინიშნებიან, რომლებიც მხოლოდ მოგებაზე არიან ორიენტირებული. რამდენად საზიანოა ეს?**

— დღესდღეობით ამის არაერთი მაგალითი არსებობს. ინვესტორების ისეთი ჯგუფები გამოჩნდნენ, ნაცვლად იმისა, რომ ინვესტიცია განეხორციელებინათ, წურბელებივით მოასხდნენ საავადმყოფოებს კისერზე. მოიყვანეს თავიანთი ურიცხვი ეკონომისტი, იურისტი, წარმოუდგენლად გაბერეს ადმინისტრაციის შტატები. არადა, ახალი არაფერი შექმნილა ამ საავადმყოფოებში, ამ ხალხის გამოსაძლომად ასეთი გამოსავალი იპოვეს — ექიმებს ხელფასები დაუკლეს და პაციენტებს მომსახურების გადასახდი გაუძვირეს. შედეგად კი მოსახლეობა დაზარალდა, ადამიანები უსახსრობისა და მაღალი გადასახადის გამო ველარ მიდიან ექიმთან. ვერავინ დამარწმუნებს, რომ ადამიანები ავად აღარ ხდებიან, უბრალოდ, მათ მკურნალობის საშუალება აღარ აქვთ.

ესაუბრა
**თეო ტაბატაძე**

მოკლედ

### მერკელს საჰაერო სივრცე ჩაუკეტეს

**ირანმა ანგელა მერკელის სამთავრობო თვითმფრინავს, რომლითაც გერმანიის კანცლერი ირანის გავლით ინდოეთში მიემგზავრებოდა, საჰაერო სივრცე ჩაუკეტა.** ირანის საჰაერო სივრცეში შესულმა თვითმფრინავმა მოულოდნელად ირანის საჰაერო მოძრაობის მართვის სამსახურისგან ფრენის შეწყვეტის შესახებ ბრძანება მიიღო. სამსახურმა ბრძანების მიზეზად სათანადო ნებართვის უქონლობა დაასახელა. ნებართვის მოლოდინში მერკელის თვითმფრინავმა ირანის თავზე ოთხი წრე შემოიარა, შემდეგ კი ირანის საჰაერო სივრცე დატოვა და ერთი საათის განმავლობაში თურქეთის აღმოსავლეთით დაფრინავდა.



### ლიბიაში სამხედრო ოპერაცია გახანგრძლივდა

**ნატომ ლიბიაში სამხედრო ოპერაციის 3 თვით გახანგრძლივების გადაწყვეტილება მიიღო.** ალიანსის გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება კადაფის რეჟიმისთვის სიგნალის გაგზავნაა. **„ჩვენ ვემხრობით ოპერაციის გაგრძელებას ლიბიელი ხალხის დაცვის მიზნით",** – თქვა მან. ქვეყნის ინფორმაციის მინისტრის – მუსა იბრაჰიმის მტკიცებით, 26 მაისის მონაცემებით, ნატოს ავიადარტყმების შედეგად 718 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, 4067-მა კი მძიმე დაზიანებები მიიღო.

**რაღა შორს წავიდეთ, საკუთარ წარმომავლობას ჩვენი პრეზიდენტის ბაბუა მიხეილ სააკაშვილი არც კი მალავდა. თავის დროზე, მას თანამშრომლობა ცნობილ ქართველ პოეტ ხუტა ბერულავასთან მოუწია, რომელიც იმ დროს გამომცემლობის ხელმძღვანელი იყო და სააკაშვილის წიგნი უნდა გამოეცა სამედიცინო ისტორიის შესახებ. წიგნის განხილვისას სააკაშვილს ხუტასთვის უთქვამს, არ გიკვირს, სომეხმა კაცმა ქართულად რომ დავწერე წიგნიო? ამ ამბავს ხუტა ბერულავა ძალიან ხშირად იხსენებდა...**

საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ალექსანდრე აბდალაძე:

# სააკაშვილი იმ რევოლუციონერ კამოს მაგონებს, რომელმაც მიზნის მისაღწევად ციხეში... ყველამ ვიცით, რაც შეჭამა

**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, არმენოლოგ ალექსანდრე აბდალაძის მტკიცებით, ქართული არმენოლოგია დღეს საფრთხის წინაშე დგას. თუ ვინაა დაინტერესებული აღნიშნული დარგის გაუქმებით, რამ გამოიწვია ალექსანდრე აბდალაძესა და გიული ალასანიას შორის არსებული მრავალწლიანი დაპირისპირება და რამ აიძულა აბდალაძე, ისტორიის ინსტიტუტი დაეტოვებინა – ამ თემებზე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს" ალექსანდრე აბდალაძე ესაუბრა.**

## „ისტორიის ინსტიტუტიდან გიული ალასანიას ინტრიგების გამო გამომიშვეს. მთავარი მიზეზი სწორედ სააკაშვილის სომხური ფესვების ჩემგან აფიშირება იყო"

– სააკაშვილის ანტიქართული ხელისუფლება გარკვეულ სომხურ წრეებთან ერთად საქართველოში ქართული არმენოლოგიის მოშლას ცდილობს. ავად თუ კარგად, ქართველ და სომეხ ერებს ათასწლოვანი ურთიერთობა აკავშირებს – დაწყებული ქრისტეს შობამდე მეორე საუკუნიდან დღემდე. ეს ურთიერთობა არა მხოლოდ სომხების, არამედ ქართველი მკვლევარების, ისტორიკოსებისა და არმენოლოგების შესასწავლია. მოგეხსენებათ, ერთი მხარის მიერ შესწავლილი საკითხი ხშირ შემთხვევაში ტენდენციურია. ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილს – ლორეტაშირს სომხები საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევენ (არადა, 1918-21 წლებში, საკუთარი ინტერესების გამო, ლორეტაშირი ინგლისმა ნეიტრალურ ზონად გამოაცხადა). 1930 წლიდან სომხები თავიანთ მიწას უწოდებენ ჯავახეთსაც. მეტიც, სომხების ლიტერატურის მიხედვით, თბილისი სომხური ქალაქი ყოფილა. როგორც ხედავთ, აღნიშნულ მაგალითებში ობიექტურობა დაკარგულია, სწორედ ამიტომ უნდა არსებობდეს საქართველოში ქართული არმენოლოგია.

ხელისუფლებას არამარტო არმენოლოგიის, ჩემი განადგურებაც აქვს განზრახული.

**– იქნებ, დააკონკრეტოთ, რას გულისხმობთ და აქვე თქვენი და გიული ალასანიას დაპირისპირებაზეც გვიამბოთ...**

– ამაზე მეტი განადგურება რა გინდათ, უკვე 5 წელია, უმუშევარი ვარ გიული ალასანიას წყალობით. **ოღონდ სააკაშვილის სომხობა არ გამეხმაურებინა და დედა-შვილმა ისე დააკნინა ეს დარგი, რომ ერთ ქართველ არმენოლოგსაც ვერ ვხედავ ასპარეზზე, ერთი მოსწავლეც კი არ მყავს.**

**ისტორიის ინსტიტუტიდან გიული ალასანიას ინტრიგების გამო გამომიშვეს. მთავარი მიზეზი სწორედ სააკაშვილის ფესვების ჩემ მიერ აფიშირება იყო. ალასანია იმასაც კი ამბობს, თურმე აბდალაძე სააკაშვილის სომხობას იმიტომ ქადაგებს, ამაში ფულს უხდიანო. რა მეტყობა ან მე, ან ჩემს სახლს გამდიდრების, თავადაც ხედავთ...**

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ალასანიას მუდამ მის კონკურენტად მივაჩნდი და ჩემს გასაგდებად არაფერს თაკილობდა, ირგვლივ ყველას მიმხედრებდა, ხელმძღვანელობიდან დაწყებული, რიგითი თანამშრომლებით დამთავრებული, მაგრამ შედეგს მანამ ვერ მიაღწია, ვიდრე მისი შვილი ქვეყნის პირველი პირი არ გახდა.

მახსოვს, ახალგაზრდობაში, როცა ჩემი განყოფილების გამგედ დანიშვნა გადაწყდა, ალასანიამ ეს მისი კარიერის დასამარებად მიიჩნია და იმდენი მოახერხა, თავისი ეშმაკობის წყალობით, თანამდებობაზე თვითონ დანიშნეს. ამ დროისთვის ალასანია ასეთი „გაქაჩული" ვერ იყო, და გზის გაკვლევაში შეძლებული მამიკოს (მამამისი საზურავების ფაბრიკის დირექტორი იყო) ფულები და საჩუქრები ეხმარებოდა. **მიუხედავად ამისა, იგი არც ქალურ ხრიკებს არიდებდა თავს, ოღონდაც მიზნისთვის მიეღწია. 10-11 წლიანი თანამშრომლობა მაკავშირებს ამ „ქალბატონთან" და კარგად ვიცი, რაზეცაა წამსვლელი. ამგვარი ჩაწყობებით იგი კომკავშირის პრემიის ლაურეატიც გახდა თავის დროზე.**

1976 წელს ივანე ჯავახიშვილის ასი წლის თავზე მისაძღვნელი კრებულის გამოცემა დაგვევალა, რედაქტორად მე დამნიშნეს. წერილი გიული ალასანიამაც მოიტანა, მაგრამ უნდა გენახათ, რამდენი შეცდომა აღმოვუჩინე და როგორ გამიბრაზდა ამის გამო. მიუხედავად ამისა, მეორე დღეს ალასანიამ გასწორებული ნაშრომი მოიტანა, რომელიც ისე განსხვავდებოდა წინა წერილისგან, როგორც ცა და დედამიწა. თურმე ჩემი შენიშვნების გასწორება გამგეს დაუძალებია და მასალის ხელმეორედ დაწერაშიც ის დახმარებია. აი, ასეთი პროფესიონალი გახლავთ გიული ალასანია. თავი ისტორიკოსად მოაქვს, მაგრამ ბევრი არაფერი გაეგება ამ დარგში.



ალექსანდრე აბდალაძე

**– რა არგუმენტები გაქვთ სააკაშვილის სომხობასთან დაკავშირებით?**

– სააკიანი და სააკოვი სომხეთში დღესაც ძალიან გავრცელებული გვარებია. ამ გვარის ორიგინალი ვერსია სააკიანია, მაგრამ რუსეთში წასულებმა სააკოვად გადაიკეთეს, საქართველოში ჩამოსულები კი სააკაშვილები გახდნენ.

**რაღა შორს წავიდეთ, საკუთარ წარმომავლობას ჩვენი პრეზიდენტის ბაბუა მიხეილ სააკაშვილი არც კი მალავდა. თავის დროზე, მას თანამშრომლობა ცნობილ ქართველ პოეტ ხუტა ბერულავასთან მოუწია, რომელიც იმ დროს გამომცემლობის ხელმძღვანელი იყო და სააკაშვილის წიგნი უნდა გამოეცა სამედიცინო ისტორიის შესახებ. წიგნის განხილვისას სააკაშვილს ხუტასთვის უთქვამს, არ გიკვირს, სომეხმა კაცმა ქართულად რომ დავწერე წიგნიო? ამ ამბავს ხუტა ბერულავა ძალიან ხშირად იხსენებდა...**

გადმოცემების მიხედვით, მიხეილ სააკაშვილის (ბაბუის) მეზობლად მცხოვრები ხალხი იმასაც ადასტურებს, რომ იგი ერთხანს ნამდვილ გვარს – სააკოვს ატარებდა.

1950-58 წლებში მიხეილი სამედიცინო სექტორის რექტორი გახლდათ, რადგან სტალინის დროს გორელებს წყალობდნენ.

**გორელ სააკაშვილებზე კი, ცნობებს იაკობ გოგებაშვილი გვაწვდის. მართალია, ნაწარმოებში ნახსენები სომეხი მღვდლის ვინაობა დოკუმენტალურად უცნობია და ტერტერათი მოიხსენიება, მაგრამ იაკობ გოგებაშვილს იგი შემთხვევით არ მოუნათლავს სომეხ სააკაშვილად. მოგეხსენებათ, იაკობ გოგებაშვილის სოფელი გორთან ახლოს მდებარეობს და ამ გვარის ნამდვილი წარმომავლობა კარგად იცოდა.**

პირადად ჩემთვის სააკაშვილის სომხური წარმომავლობა ეჭვშეუტანელია, ხოლო მათ, ვისაც ამ გვარის ქართული აღნაგობა (შვილზე დაბოლოება) აბნევს, ავხსნი, რომ სავსებით შესაძლებელია, ქართული აღნაგობისა და დაბოლოებების გვარები წარმოშობით სომხური იყოს. მაგალითად, მე-17 საუკუნეში გვყავდა ქართველი ისტორიკოსი, ქართველი მემატიანე გორგიჯანიძე, რომლის გვარიც ასევე ქართული აღნაგობისა იყო, მაგრამ იგი ნასომხარი გახლდათ. ასევე ბეჟუაშვილი შვილზე მთავრდება, მაგრამ ამ გვარის მატარებელნი მე-17 საუკუნეში თეთრი წყაროს რაიონში ჩასახლებული სომხები არიან. დროთა განმავლობაში ისინი სხვადასხვა კუთხეში დაიქსაქსნენ და დღეს ქართველობენ.

სხვათა შორის, იმის შესახებაც გამოითქვა მოსაზრება, რომ გიული ალასანიასაც გადაკეთებული გვარი აქვსო, მაგრამ პირადად მე ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ გამაჩნია, ამიტომ ჩემთვის იგი ისეთივე ვაიქართველია, როგორიც – ფილიპე მახარაძე, შვილის ანტიქართულ ქმედებებსაც ამიტომ არ ეწინააღმდეგება.

**– მიუხედავად არსებული არგუმენტებისა, მიხეილ სააკაშვილი სომხურ წარმომავლობას კატეგორიულად უარყოფს...**

– რამდენიც უნდა უარყოს, მას თავისი ვიზუალობა ისედაც ყიდის. **ბევრი სომეხი ამაყობს, ნასომხარი პრეზიდენტი გყავთ და, რაც კი რამ გაკეთებულა საქართველოში, ისევ ჩვენი კაცის წყალობითო. თავად სააკაშვილი კი ეროვნების დასამალად რას აღარ კადრულობს. ქართველები ცოტათი მაინც რომ გამოფხიზლდნენ, მას კუთვნილ ადგილს მიუჩენდნენ, სწორედ ეს აშინებს მას. სააკაშვილი დღეს ქვეყნის მთავარი ჭირია. მას საქართველო მეწველ ფურად სჭირდება. იგი განსაკუთრებით ამერიკაში მყოფ გავლენიან სომხურ წრეებთანაა შეკრული. ისინი ერთობლივი ძალისხმევით ცდილობენ საქართველოს დასუსტებას და სომხეთისთვის ზღვაზე პირდაპირი გასასვლელის მოპოვებას.**

სააკაშვილი იმ რევოლუციონერ კამოს მაგონებს, რომელმაც მიზნის მისაღწევად ციხეში...... ყველამ იცის, რაც შეჭამა.

ასევე მაგონებს XIX საუკუნის ერთ-ერთი დოკუმენტის პერსონაჟს – სტეფანე შიხუაშვილს მარკიროზას ძეს, რომელმაც ბატონისგან თავის დასახსნელად საკუთარი – სომხური ეროვნება – უარყო, დედამისს მრუშობაც კი დააბრალა. მართალია, შიხუაშვილად ვითვლები, მაგრამ დედაჩემს მანდუაშვილი დასწოლოდა და მე იმ მანდუაშვილს შევექმენო, ანუ მიზნის მისაღწევად ნაბიჭვარი დაირქვა და დედას მრუში უწოდა. მამამისი კი შვილის ამ ქმედებას დასტიროდა. ასე საგულდაგულად მალავს სააკაშვილიც საკუთარ ფესვებს.

**– ამ მოსაზრების გაჟღერებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია რობერტ სტურუას ირგვლივ...**

– რა თქვა ასეთი ამ ადამიანმა, აჟიოტაჟი რომ გამოიწვია?! აღნიშნა ის, რაც ისედაც დადასტურებული ფაქტი იყო, მითუმეტეს სახელი არც კი დაუკონკრეტებია. რობიკოსთან მე სულ სხვა სასაყვედურო მაქვს; რამდენიმე წლის წინათ მან ქართველების ეროვნული სახარება – „ვეფხისტყაოსანი" აბუჩად მოიხსენია. ამის უფლება საკუთარი თავისთვის არ უნდა მიეცა...

**– ბატონო ალექსანდრე, რამდენად ახლოსაა ის ფაქტი რეალობასთან, რომ საქართველოში 650 სომხური ეკლესია არსებობდა, რომლის აღდგენასაც სომხები დღეს ითხოვენ?**

– დავიწყოთ იმით, რომ სომხეთის ეკლესიას იმთავითვე ჩაფიქრებული ჰქონდა, რომ საქართველო როგორმე სომხეთის დაქვემდებარებაში გადაეყვანა, თუმცა ისე აღმოჩნა, რომ სომხეთი ქართველების დასაცავი გახდა მუსლიმანური შემოტევებისას. ამ დროს საქართველო არამარტო სისხლს ღვრიდა ერთმორწმუნე სომხეთის მხარდამხარ, არამედ სომეხ მოსახლეობასაც იხიზნავდა. სწორედ ამ დროს ჩნდება საქართველოში სომხური ეკლესიები, რათა ამ შემოხიზნულ ხალხს თავისი სალოცავებიც ჰქონოდა.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სომხების გარკვეული ნაწილის ეს მოთხოვნა აბსოლუტურად უსაფუძვლო და უსამართლოა. თუმცა არ ვიცი, ამასთან დაკავშირებით რას გადაწყვეტს თავად ნასომხარი სააკაშვილი და რის უფლებას მისცემს სომხურ გავლენიან წრეებს.

აქვე მინდა ვთქვა, რომ სააკაშვილს ჩემი არსებობა დედამისივით არ მოსდის თვალში, მაგრამ მე არც მისი მეშინია და არც გიული ალასანიასი. ისტორიულ რეალობას ყოველთვის გავახმიანებ.

**ესაუბრა**
**ეკა რობაქიძე**

---

მოკლედ

### თბილისი აფხაზეთში ზონდერბრიგადებს გაგზავნის

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ თბილისი აფხაზეთში სპეცოპერაციასა და ადამიანთა გატაცებას ამზადებს. ამის შესახებ მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა განაცხადა. მისივე თქმით, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზონდერბრიგადები და სპეცრაზმი ახერხებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე შეღწევას, იტაცებენ ადამიანებს, ატარებენ სპეცოპერაციებს. ვიმედოვნებ, ჩვენი ქართველი კოლეგები ადრე თუ გვიან მიხვდებიან მათი განცხადებების, ღონისძიებებისა და, რაც მთავარია, თავიანთ ქვეყანასა და რეგიონში საზოგადოებრივი ფსიქოზის გაბერვის კონტრპროდუქტულობასა და სახიფათოობას".



### ჰაკერებმა აშშ-ს შეუტიეს

**ჩინელმა ჰაკერებმა აშშ-ის მაღალი პოლიტიკური ეშელონების წარმომადგენლების, სამხედროებისა და ჟურნალისტების ელექტრონული ფოსტები გატეხეს.** „გუგლის" წარმომადგენლის განცხადებით, უკანონო შეღწევის მცდელობა შანდუნის პროვინციის ქალაქ ცზინანიდან განხორციელდა. ჰაკერების თავდასხმის ობიექტები ასევე გახდნენ ჩინელი პოლიტიკური ლიდერები და აზიის სხვადასხვა ქვეყნების ოფიციალური პირები.

ჩელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„როცა ჩვენი ერის, ეკლესიის ისტორიას ვეცნობით, ვგრძნობთ, ჩვენი წინაპრები ყოველთვის შეგვახსენებენ, რომ ჩვენ სასულიერო პირები უნდა ვიყოთ მაგალითის მიმცემნი ერისთვის, თუნდაც თავგანწირვის ფასად! დიახ, ჩვენ უნდა დავდოთ თავი ერისთვის მისთვის მნიშვნელოვან ჟამს და სწორედ ამის შემდეგ გამოფხიზლდება და გაერთიანდება ერი, ამის შემდეგ თითოეული ჩვენგანი დავფიქრდებით – თუ რისთვის ვართ ამქვეყნად!..**

მეუფე იობი:

# ჩვენ, სასულიერო პირები, უნდა ვიყოთ მაგალითის მიმცემნი ერისთვის, თუნდაც თავგანწირვის ფასად! დიახ, ჩვენ უნდა დავდოთ თავი ერისთვის მისთვის მნიშვნელოვან ჟამს და სწორედ ამის შემდეგ გამოფხიზლდება და გაერთიანდება ერი



## რა თქმა უნდა, მოთმინებით ძალიან ბევრი რამ უნდა მოვითმინოთ, მოთმინება ღვთიური ნიჭია, მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს!.. წერტილი უნდა დაესვას იმას, რაც დღეს საქართველოში ხდება

**(ამონარიდები ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობის ქადაგებებიდან, რითაც მან მრევლს მიმართა 2011 წლის 22 მაისს ყინწვისის წმიდა ნიკოლოზისა და 5 ივნისს ქარელის წმიდა ნიკოლოზის ტაძრებში)**

თვალს თუ გადავავლებთ საქართველოს ისტორიას, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ საქართველო მართლაც ჯვარცმულია ქრისტესთვის. ძალიან ბევრი შემთხვევა ყოფილა, როცა თვით მეფე-დედოფალთაც საკუთარი სისხლით დაუმტკიცებიათ ჭეშმარიტი სარწმუნოება და ასე განუდიდებიათ უფალი! ისეც მომხდარა, მეფეები ბერებად შემდგარან, ხოლო დედოფლები – მონაზვნებად. ეს იშვიათი შემთხვევა იყო სხვა მართლმადიდებელი ქვეყნის ისტორიაში, მაგრამ ჩვენთან ხშირად ხდებოდა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი მეფე-დედოფალნი სულიერებას ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდნენ... და, როცა ქვეყნის პირველი ხელისუფალი ასე მოიქცეოდა, ეს იყო მაგალითი მთელი ქვეყნისთვის. ასე მოიქცა წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის შვილი – დემეტრე, რომელიც დავით აღმაშენებელმა სიცოცხლეშივე გაამეფა და სწორედ მას უანდერძა ჯვრის ძალისა და მადლის შეწევნა და შეახსენა, რომ ეს არის სწორედ ის ღვთაებრივი ძალა, რომლითაც ყოველთვის გაიმარჯვებდა ხილულსა თუ უხილავ მტერზე. დემეტრე მეფე ის მეფეა, რომელზედაც მემატიანე წერს, რომ იგი „აღემატებოდა სიბრძნით, სიმხნევით, ახოვნებით თვით დავით აღმაშენებელსაც კი“. მეფე დემეტრე დიდი პიროვნება ბრძანდებოდა, მაგრამ თქვენ კარგად უწყით, საქართველოში გამცემობა, ღალატი, უმსგავსო ქმედებები არც თუ იშვიათი მოვლენა იყო. დემეტრეს თავადები შეებრძოლნენ, შემდეგ მას თავისი შვილი – დავითიც კი აუჯანყდა. დაინახა დემეტრემ ამ ქვეყნის ამაოება, გადაწყვიტა, გარეჯში წასულიყო და იქ აღკვეცილიყო ბერად – მას ბერობაში დამიანე ეწოდა. სწორედ ბერობაში დაწერა მან ერთ-ერთი იამბიკო – ღმრთისმშობლის საგალობელი – „შენ ხარ ვენახი“. ვენახსაა შედარებული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი დედა. ბერად აღკვეციდან ექვსი თვის შემდეგ ღვთის განგებულებით მისი შვილი – დავითი გარდაიცვალა, სახელმწიფოს ისევ დასჭირდა მისი ერში მეფედ დაბრუნება, მან გააგრძელა თავისი საერო მოღვაწეობა (თანამმართველად კი თავისი შვილი – გიორგი ჰყავდა). უუდიდესი განსაცდელების გადალახვა მოუხდა დამიანეს – მეფე დემეტრეს; თქვენ კარგად უწყით, რომ დიდი ღვაწლის, თავგანწირვის ფასად დაიცვა მან სრულიად საქართველო.

დღევანდელი გადასახედიდან, ალბათ, ბევრისთვის წარმოუდგენელია, რომ მეფემ მეფობა დათმოს და უბრალო ბერად შედგეს, მაგრამ ეს ხდებოდა საქართველოში, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენი მეფენი კი მეფობდნენ, მართავდნენ ქვეყანას, მაგრამ მთელი ყურადღება მაინც სულიერებაზე ჰქონდათ გადატანილი. ეს არის უდიდესი მაგალითი ქრისტიანობისა – მიატოვო ამქვეყნიური დიდება, პატივი და გახდე რიგითი ბერი. სწორედ ამაშია გამჟღავნებული სურვილი მეფე დემეტრესი, რომ მას სულის ცხონება, სულის გადარჩენა სურდა... (......და თუკი მეფენი ასეთ გადაწყვეტილებას ღებულობდნენ, დღეს საოცრად მტკივნეულია ზოგიერთის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი – როდესაც შვილი მიდის მონასტერში, მას ან დედა, ან მამა უკრძალავს და საზოგადოების ნაწილისგან დაცინვისა და დამცირების ობიექტიც კი ხდება – უკვირთ, განა შეიძლება ადამიანი მონასტერში წავიდესო. პირიქით, თუკი ადამიანი ღვთისაგან გამორჩეულია, ვინც უნდა იყოს იგი – მამაკაცი თუ ქალი, ჩვენ მას ყველანაირად ხელი უნდა შევუწყოთ, მაგრამ მისი მონასტერში წასვლის სურვილი არ უნდა იყოს გატაცება, ეს არ უნდა იყოს ხიბლით გამოწვეული, ეს უნდა იყოს გამიზნული, სწორი გადაწყვეტილება, რომელიც მოძღვრის ლოცვა-კურთხევით უნდა განხორციელდეს. დღეს არც შვილი უსურვებს მშობელს მონასტერში წასვლას და არც მშობელი – შვილს, ეს გამონაკლის შემთხვევაში ხდება, როცა მშობელიც და შვილიც ღრმად მორწმუნეა... და როცა ჩვენ ვწუხვართ და არ ვუშვებთ ჩვენს ახლობელს მონასტერში, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მცირედ მორწმუნენი ვართ...).

რა არის ჩვენი ყოფა ამქვეყნიური? როგორც ქართველებმა უწოდეს, ჩვენი ყოფა წუთიერია, წუთისოფელში ვცხოვრობთ, მაშინ რაღა დაგვრჩენია, თუ არა ის, რომ ყოველდღიურად ვიზრუნოთ სულის გადარჩენაზე, სულის ცხონებაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ქრისტიანობა ზოგიერთს უნდა მხოლოდ კეთილდღეობისთვის, კარგი პირობებისთვის, კარგი თანამდებობისთვის, სიმდიდრისთვის! არადა, გვავიწყდება, რომ ღმერთი ჩვენზე საკუთარ დედაზე მეტად ზრუნავს. მოსიყვარულე დედა რომ შვილებისთვის იზრუნებს, იმაზე ათჯერ და ასჯერ უფრო მეტად ზრუნავს უფალი ჩვენზე და, თუ ამას გავაცნობიერებთ, მაშინ მივენდობით უფალს, მაშინ ყველაფრისთვის – გაჭირვებისთვის თუ დალხინებისთვის, ავადმყოფობისთვის თუ ჯანმრთელობისთვის მადლობას შევწირავთ უფალს და ჩვენც ვიტყვით, როგორც იოანე ოქროპირმა ბრძანა – მადლობა უფალს ყველაფრისთვისო!

**სამწუხაროდ, ერის დღევანდელი მდგომარეობით განისაზღვრება ქართული ეკლესიის სულიერება – დღეს რა მდგომარეობაცაა საქართველოში, ის სულიერებაა ეკლესიაში. თუ ჩვენ გვაკმაყოფილებს ერის ასეთი მდგომარეობა, ეს იმას ნიშნავს, რომ გვაკმაყოფილებს სულიერების დონეც ეკლესიაში. ხოლო თუ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა არ მოგვწონს, არ გვაკმაყოფილებს, მაშინ უნდა დავიწყოთ სულიერი გამოცოცხლება, სულიერი გაზრდა. ეს ჩვენ – სასულიერო პირებმა, ეკლესიამ უნდა გავაკეთოთ!.. სამწუხაროდ, საქართველოში მომხდარი ბოლოდროინდელი მოვლენები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ჩვენი ერი სულიერად აღზრდილი არაა, ეს კი სწორედ ჩვენი, სამღვდელოების, „დამსახურებაა“ – ჩვენ არასწორად ვზრდით მრევლს, არ ვაძლევთ მათ მაგალითს სულიერი ძალისას, რწმენისას, რაც საჭიროა თითოეული თქვენგანისთვის.** ერი რომ სულიერად სწორად აღზრდილი იყოს, დემეტრე თავდადებულისნაირი მაგალითის მიმცემი რომ ჰყავდეს, ჩვენ ერთიანი ვიქნებოდით, მაშინ საქართველო ერთიანი იქნებოდა – არ გვექნებოდა წართმეული არც აფხაზეთი, არც სამაჩაბლო. სწორედ ამ ტერიტორიების წართმევა, სულიერი თუ მატერიალური დანაწევრება ერისა, მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენში ძალიან დაბალი სულიერებაა. ერში მაღალი სულიერება მაშინ იქნება, როდესაც ნებისმიერი რიგითი მღვდელი ლოცვა-კურთხევას მოგცემთ ნებისმიერ საქმეზე და თქვენ ამ კურთხევას მორჩილებით აღასრულებთ. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ჩვენ ეკლესია და მოძღვართან ურთიერთობა მხოლოდ კეთილდღეობისთვის, მხოლოდ კარგი პირობებისთვის გვჭირდება, მხოლოდ იმისთვის, რომ ვთქვათ: „აი, ეს ჩემი მოძღვარიაო“, და ამითაც კი ვიტრაბახოთ, ამითაც თავი მოვიწონოთ, ეს ყველაფერი პირად განდიდებას ემსახურება. აბა, გვყავდეს მკაცრი მოძღვარი? აბა, მიგვითითოს ნაკლოვანებებზე? ჩვენ მაშინვე დავტოვებთ მას!...ასეთი მდგომარეობაა, სამწუხაროდ, ერში და **ჩვენ – ეკლესიამ და ღვთის მსახურებმა, ყველანაირად უნდა ვიზრუნოთ, რომ საქმით, სიტყვით, სულიერებით მაგალითის მიმცემნი ვიყოთ ჩვენი მრევლისთვის. აქ მრევლი არაა დამნაშავე, აქ დამნაშავენი ვართ ჩვენ – მოძღვრები! „მწყემსნი“ არიან პასუხისმგებელნი მრევლის ასეთ სულიერ მდგომარეობაზე. როცა ჩვენი ერის, ეკლესიის ისტორიას ვეცნობით, ვგრძნობთ, ჩვენი წინაპრები ყოველთვის შეგვახსენებენ, რომ ჩვენ სასულიერო პირები უნდა ვიყოთ მაგალითის მიმცემნი ერისთვის, თუნდაც თავგანწირვის ფასად! დიახ, ჩვენ უნდა დავდოთ თავი ერისთვის მისთვის მნიშვნელოვან ჟამს და სწორედ ამის შემდეგ გამოფხიზლდება და გაერთიანდება ერი, ამის შემდეგ თითოეული ჩვენგანი დავფიქრდებით – თუ რისთვის ვართ ამქვეყნად!..**

ძალიან რთული დრო დაგვიდგა. ეს არის დრო, როდესაც „რჩეულნიც კი შეცდებიან“. იმდენად საშიში მდგომარეობაა, ადამიანების დასაღუპად, წარსაწყმედად ისე ბრდღვინავს ეშმაკი, „ვითარცა ლომი“, ამიტომაც მეტი სულიერება გვმართებს, მეტად უნდა ვიაროთ ეკლესიაში, რადგან უმთავრესი ღირებულება, ფასეულობა – სული გადავირჩინოთ, ეს კი ეკლესიური ცხოვრებით მიიღწევა! სულიერი სიმტკიცით, ეკლესიური, სწორი ცხოვრებით მოვიპოვებთ ღვთის წინაშე სულიწმინდის მადლს, რომელიც დაგვიცავს ხილული და უხილავი მტრებისგან...

როგორც წმიდა მამები გვასწავლიან, ეს ცხოვრება გამოცდაა თითოეული ჩვენგანისთვის, თითოეულ ჩვენგანს ათი, ასი, ორასი ეშმაკი დაჰყვება დასაღუპად, ეს უნდა გვახსოვდეს და ამიტომ **ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ, როგორც სახარება გვმოძღვრავს, „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესიო“, ერთმანეთის თანადგომით, ერთმანეთის გვერდით ყოფნით ჭირსა თუ ლხინში უნდა გავაძლიეროთ ერთმანეთი, სწორედ ესაა ქრისტიანობა!.. ხოლო თუ გული გაგვიცივდა, თუ ერთმანეთს გვერდით არ დავუდექით, თუ სხვისი ჭირი ჩვენთვის ლხენაა, მაშინ ჩვენი საქმე ცუდად ყოფილა. ერთმანეთის სიყვარულში უნდა განვმტკიცდეთ. ქრისტიანობა მხოლოდ პირჯვრის გადაწერა და ტაძარში სიარული არ არის, ქრისტიანობა მოყვასის თანადგომაა, მიტევებაა, ქრისტიანობა თავდადებაა მოყვასისათვის, ერისათვის...და სწორედ ამ სულისკვეთებით უნდა აღვზარდოთ ჩვენ – მოძღვრებმა ჩვენი სულიერი შვილები, ჩვენი მრევლი. სწორედ ამის მაგალითს გვაძლევენ ჩვენი ღირსეული წინაპრები!..**

დღეს, როგორც ვხედავთ, პირადი კეთილდღეობა აღემატება ქვეყნის ინტერესებს. ძალიან ბევრი დიდი პიროვნებისგან მომისმენია, რომ, თუ ჩემი ოჯახი კარგად იქნება, ჩემი შვილები კარგად იქნებიან, მე ეს „მაწყობსო“, მთლიანად საქართველო, მთელი ერი კი არა, საკუთარი ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნავენ მხოლოდ! ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ უკვე არჩევანი გააკეთეს. არჩევანი გააკეთეს წარმავალზე, ხრწნადზე, დროებითზე... ჩვენ მარადიული ღირებულებები უნდა ავიყვანოთ თავის სიმაღლეზე – ეს არის სამშობლოს, დედაეკლესიის, მოყვასის სიყვარული. ჩვენი ცხოვრება სწორედ ამ ღირებულებებზე უნდა დავაფუძნოთ, ეს უნდა იყოს მთავარი და არა ფიქრი და ზრუნვა მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე, კარგად ცხოვრებაზე, კარგ თანამდებობაზე. **დღეს ვინც თანამდებობისთვის იბრძვის, ვინც თავის პირადულს სამშობლოზე წინ დააყენებს, მას ხელი მოეცარება. ასეთი ადამიანები წარმატებას ვერ მიაღწევენ, ვერ გაიმარჯვებენ... და თუ საქართველოსთვის, საქართველოს გაერთიანებისთვის, ეკლესიის ერთიანობისთვის იბრძვიან, მათზე ღვთის მფარველობა და ღვთის კურთხევა იქნება. ეს ყოველთვის უნდა გვახსოვდეს!..**

ძალიან რთულია, ადამიანმა აიტანო ამდენი განსაცდელი, ამდენი შეურაცხყოფა, ამდენი დამცირება, ქართველი ერის ღირსებების ფეხქვეშ ასე გათელვა. ამის ატანა მართლაც ძალიან ძნელია. ჩვენ, უპირველესად, რა თქმა უნდა, ღმერთის იმედი გვაქვს, რომ უფალი მოგვხედავს, მოგვხედავს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი დედა, ვისი წილხვედრიცაა საქართველო. მათი იმედი გვაქვს, რომ ასე აღარ გაგრძელდება. ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ ერთსულოვანნი ვიყოთ, გვიყვარდეს ჩვენი დედაეკლესია და ჩვენი სამშობლო. თორემ, თუ ჩვენ, სასულიერო პირნი, ვიტყვით, რა თქმა უნდა, ამას ძალა მიეცემა – **ყველა იუდა, გამყიდველი, მოღალატე იუდასავით დაასრულებს თავის ცხოვრებას, ხოლო სამშობლოს, დედაეკლესიის ერთგული ყველა ადამიანი დაცული იქნება** ▶

„ქართველებმა ფერეიდანში უძველესი დალოცვა შემოინახეს: „ღმერთს ებარებოდეო!“. ეს საოცრად დიდი და ღრმა სიტყვებია, რადგან ღმერთს მიბარებული ადამიანი ყოველთვის მშვიდია, გაწონასწორებულია, ძლიერია! ამიტომ ერთმანეთს ვუსურვოთ – „ღმერთს ებარებოდე!“.

## რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

### საქართველოში მომხდარი ბოლოდროინდელი მოვლენები კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ჩვენი ერი სულიერად აღზრდილი არაა. ეს კი სწორედ ჩვენი –სამღვდელოების „დამსახურებაა“ – ჩვენ არასწორად ვზრდით მრევლს

ღმრთისაგან! უფალს შევთხოვ, მისი მფარველობის ქვეშ ამყოფოს ერთგული, თავდადებული ადამიანები. ჩვენ დღეს ისე, როგორც არასდროს გვჭირდება ერთსულოვნება, ერთგულება სამშობლოსა და დედაეკლესიის მიმართ...

რა თქმა უნდა, მოთმინებით ძალიან ბევრი რამ უნდა მოვითმინოთ. მოთმინება ღვთიური ნიჭია, მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს!.. წერტილი უნდა დაესვას იმას, რაც დღეს საქართველოში ხდება, ხდება მასმედიის საშუალებებით, ტელევიზიით, ინტერნეტით, ეს ერთგვარი გამოცდაა ქართველი ერისთვის და ეს გამოცდა ჩვენ სულიერებით უნდა ჩავაბაროთ! უნდა გვქონდეს ღმერთის დიდი იმედი, ღმერთს მინდობილნი უნდა ვიყოთ... დედა ღმრთისმშობელს შევავედროთ ჩვენი ქვეყანა, რადგან სწორედ იგია ჩვენი ერთადერთი პატრონი!.. ეს არასოდეს დაგვავიწყდეს!

შევთხოვ უფალს, დედა ღმრთისმშობელს, რომ ინებოს ქართველი ერის ერთობა, ღმერთმა ინებოს, გვყავდეს ეკლესიური ხელისუფალი, ერისათვის თავდადებული და ეკლესიის პატრონი – აი, სწორედ ეს სჭირდება ჩვენს ერს და ამისთვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, მხოლოდ ლოცვით, რა თქმა უნდა! შევთხოვოთ უფალს, რომ მოგვივლინოს ისეთი ხელისუფალი, რომელიც მშვიდობას დაამყარებს, ჩვენს ტერიტორიებს გააერთიანებს და ეკლესიას დაეპატრონება არა როგორც მომხმარებელი, არა როგორც მტარვალი, არამედ როგორც პატრონი, როგორიც იყვნენ დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, რომელნიც ეკლესიებს მფარველობდნენ, ეკლესიებს აძლიერებდნენ, ეკლესია-მონასტრებს აშენებდნენ! **ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ ლოცვები გავაძლიეროთ, რადგან დღეს ძალიან დიდი განსაცდელებია საქართველოში, დღეს ერს ძალიან უჭირს. ამიტომაც ჩვენ, სამღვდელოება უნდა დავდგეთ ხალხთან მთლიანად, მთელი ერის ნების გამომხატველი უნდა ვიყოთ. მე მჯერა, რომ ღვთის მადლით, ღვთის კურთხევით, საქართველოში დამყარდება მშვიდობა, საქართველო გაერთიანდება...**

ქართველებმა ფერეიდანში უძველესი დალოცვა შემოინახეს: „ღმერთს ებარებოდეო!“. ეს საოცრად დიდი და ღრმა სიტყვებია, რადგან ღმერთს მიბარებული ადამიანი ყოველთვის მშვიდია, გაწონასწორებულია, ძლიერია! ამიტომ ერთმანეთს ვუსურვოთ – „ღმერთს ებარებოდე!“. ღმერთს ებარებოდეს სრულიად საქართველო, ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილი, ყველა ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, ხოლო ის, ვინც არ არის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი, ღმერთმა გამოასწოროს, ღმერთმა გაუხსნას გონება, რომ დაინახოს, სად არის სიკეთე და სად – ბოროტება, ამის გარჩევა მხოლოდ სულიწმინდის მადლით შეიძლება. სულიწმინდის მადლი კი თავმდაბლობით, დედაეკლესიისადმი მორჩილებითა და იმ სწავლებებით უნდა მოვიპოვოთ, რასაც წმიდა მამები, ჩვენი დიდი წინაპრები გვასწავლიან. **მოძღვრებმა სწორედ ეს უნდა გავითავისოთ, ჩვენც ასე უნდა ვიცხოვროთ და ამ წესით ცხოვრებისაკენ მოვუწოდოთ ქართველ ერს...**

მინდა, განსაკუთრებით დავლოცო ჩვენი ბავშვები, ვინც წელს ამთავრებს სკოლას. ისინი თავიანთი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე იმყოფებიან, რადგან სწორედ ახლა უნდა გააკეთონ არჩევანი და მინდა, მათ მოვუწოდო, რომ მათთვის ამოსავალი წერტილი იყოს უფალი და სამშობლო! მინდა, მათი სულიერი კლდე ისეთი მყარი იყოს, რომ ვერანაირმა ცხოვრებისეულმა ტალღებმა ვერ შეარყიოს! უფალი და სამშობლო – ამ ორ უმთავრეს საწყისზე დააფუძნონ თავიანთი ცხოვრება, და თუ ეს ასე იქნება, მათზე გადმოვა მადლი და წყალობა ღმრთისა, მათი ცხოვრება სათნო იქნება უფლისთვის!

ღმერთს ებარებოდეთ! ღმერთს ებარებოდეს სრულიად საქართველო! ღმერთმა დაგლოცოთ! ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი. უფლის, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი დედის, დღევანდელ წმინდანთა ლოცვა-კურთხევა ეწეოდეს სრულიად საქართველოსა და ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს!

**ჩვენთან არს ღმერთი!**

**(მოამზადა შორენა სიხარულიძემ)**

**დღეს ვინც თანამდებობისთვის იბრძვის, ვინც თავის პირადულს სამშობლოზე წინ დააყენებს, მას ხელი მოეცარება. ასეთი ადამიანები წარმატებას ვერ მიაღწევენ, ვერ გაიმარჯვებენ...**

# თბილისის გერბის ავტორი, ცნობილი მხატვარი, 74 წლის ემირ ბურჯანაძე 26 მაისს სპეცნაზმა ცემით სიკვდილის პირას მიიყვანა



**ფერთა სიმბოლიკა დომინირებდა იმ დღეს – წითელი ხალიჩა, წითელი ვარდები, რომლებიც საგანგებოდ ეკვადორიდან ჩამოიტანეს მაძღართა პურის საჭმელი ადგილის – რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზის თეთრი სუფრის დასამშვენებლად... შერონ სტოუნის ხასხასა წითელი კაბა ავლაბრის რეზიდენციაში მასპინძლის ჯინსების ფონზე. და მეწამული სისხლი, რომელიც რუსთაველზე დაიღვარა 26 მაისის ღამეს. წითელი ვარდი, კარგა ხანია, საქართველოში სიყვარულის სიმბოლოდ არ აღიქმება, ხალხის სისხლთან ასოცირდება.მაინც ერთგულებს ამ ფერს ჩვენი ხელისუფლება... არ ვიცი, ფიქრობდა თუ არა ფერთა სიმბოლიკაზე ცნობილი ქართველი მხატვარი ემირ ბურჯანაძე, რომელიც 26 მაისს ფეხქვეშ გაიგდეს შავხალათიანმა „წესრიგის დამცველებმა“.**

ალბათ, არ ფიქრობდა.

მაგრამ ჩვენ უნდა დავფიქრდეთ, როგორც ჩანს, რადგან პერსონალურად მის თავს გადამხდარ ამბავშიც აისახა საქართველოს ხელისუფლების მათრახისა და თაფლაკვერის პოლიტიკის არნახული სიკეთე სრულად და კონკრეტულად.

თანაც ისე მარტივად, როგორიც სასკოლო თვალსაჩინოებაა დამწყები კლასებისთვის.

**თაფლაკვერი: ბატონ ემირს სწორედ დღევანდელმა ხელისუფლებამ მიანიჭა საპატიო თბილისელობა (2005 წელს) და ეროვნული სახელმწიფო პრემია (2009 წელს).**

**მათრახი: იმავე ხელისუფლების ერთგულმა ოპრიჩნიკებმა 26 მაისის ღამეს ისე გამეტებით ურტყეს საქართველოსთვის ომებში გაცვეთილი რეზინის ხელკეტები, რომ ეს დამსახურებული, 74 წელს მიღწეული ადამიანი დღეს ლოგინად არის ჩავარდნილი და ახლობლები ღმერთს მის უვნებლად გადარჩენას ევედრებიან.**

ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისგან ინტერვიუს ჩამორთმევაზე ფიქრიც კი ამორალურია. პროფესიულ ეთიკაზე არაფერს ვამბობ.

თვითმხილველთა ნაამბობს გადმოგცემთ.

მათ შორის პირველი ყოფილი პარლამენტარი, „ნაცმოძრაობის“ წევრი დაფუძნების დღიდან, ამათი წესდებისა და პროგრამის თანაავტორი (ვანო მერაბიშვილთან ერთად), „ნაცების“ მიერ ნაპატივები და ნალოლიავები იგორ პატარიძეა, ხანდაზმული კაცი, რომელსაც, როგორც „ობიექტივი“ იტყობინება, დაუნდობლად სცემეს რუსთაველზე და რომელმაც „სხეულის სხვადასხვა დაზიანებებთან ერთად ტვინის შერყევა მიიღო“.

ეგეც კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ ამათგან მიღებული სიკეთე სატანისეულია, მეფისტოფელისთვის ფაუსტის მიერ სულის მიყიდვასავითაა და უბედურებად შემოუბრუნდება ნებისმიერს.

ბატონი პატარიძე ყვება, რომ კინოთეატრ „რუსთაველს“ შეფარებულს შეხვდა მას ემირ ბურჯანაძე. გარეთ გასვლას რომ შეეცდებიან, სპეცრაზმელები გზას გადაუღობავენ, ცხვრებივით წინ გაირეკავენ, შემდეგ ხელებს გადაუგრეხენ და მიწაზე დაყრიან: „ემირ ბურჯანაძეც გამოიყვანეს, პატარა ბიჭიც და კიდევ ვილაც მოხუცი. 8 თუ 9 კაცი ვიყავით. ესენი გვერდზე დააწვინეს. ამ საწყალ ბურჯანაძეს სისხლი მოსდიოდა. მხოლოდ თვალები უჩანდა. მოვტრიალდი და ერთ-ერთ სპეცრაზმელს ვუთხარი: – ბიჭო, ნახე ეს კაცი რა დღეშია, ხელები გამიხსენი და სადმე წავიყვან. ცემა გინდოდათ და უკვე გვცემეთ-მეთქი.

ამ დროს დაუჭერელი ხალხი, დაახლოებით 60 კაცი გამოჩნდა. ქვემოთ კორდონი იდგა. ერთი მაღალი სპეცრაზმელი დავინახე. ვიფიქრე, ამას ვაჟკაცობა მაინც ექნება-მეთქი და ვუთხარი: ბიჭო, ახალგაზრდა ხომ ხარ? ხომ მიდის ეს ხალხი? გამიხსენი ხელები, ამ კაცს წავიყვან-მეთქი. ისიც ვუთხარი, ხომ ხედავ, რა დღეშია. მეორე სპეცრაზმელმა ხელი მომკიდა, შენ რა აქეთ-იქით დადიხარ, დადექი, ნიკაპი მანქანაზე დადეო“.

იმ მაღალმა მე ხელები არ გამიხსნა, მაგრამ, ეტყობა, ექიმის მოსაყვანად წავიდა. შემდეგ გავიგე, რომ ემირ ბურჯანაძე საავადმყოფოში წაეყვანათ“ (ობიექტივი.net, 2011 წლის 3 ივნისი).

საავადმყოფოში მიყვანილ ბურჯანაძეს ვიღაც 4 უცნობი მიჰყვა და დაემუქრა, არსად, არავისთან წამოგცდეს, რომ გცემეს, თორემო და ა.შ.

ახლობლებმა იმავე ღამეს გამოაპარეს საავადმყოფოდან.

**ათი წლის ბიჭი ტყიბულში ისე დაეცა, რომ სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა – ოპერაცია თავის ტვინზე, ბედად ომგამოვლილი ქირურგი შეხვდა, რომელმაც ტრეპანაცია გაუკეთა და გადაარჩინა, ფაშისტებთან ნაომარმა კაცმა.**

60-ზე მეტი წლის შემდეგ მშობლიური უშიშროების ძალების უსახელო გმირმა ჩექმის ქუსლი ჩასცხო მიწაზე დაგდებულ ადამიანს შუბლში, წარბებშუა.

„ჩემი პოლიცია მე მიცავს!“

ემირ ბურჯანაძე პოლიტიკაში არასოდეს ჩარეულა, მხატვარია და მთელი თავისი შემოქმედება სამშობლოსთვის აქვს მიძღვნილი.

– ჩარევა? არ ჩარევა? – ჰამლეტისეული ორჭოფობა დღევანდელ პოლიტიკასთან დაკავშირებით ასე ტრანსფორმირდება: ჩაერევი ვაია, არ ჩაერევი – ვუი?

მაშ, რა?

პასუხი არ ჩანს ისევე, როგორც არ ჩანს დემოკრატია.

სამაგიეროდ შედეგი სახეზეა: **ნაცემ-ნაბეგვი ადამიანი, რომელიც ლოგინად არის ჩავარდნილი და ახლობლებს უკვე ის უხარიათ, რომ „მუცლის ღრუ ნორმაშია“, გულ-მკერდის მდგომარეობაა რთული, უჭირს სუნთქვა, ტვინი აქვს შერყეული.**

**სპეცრაზმი დაიძრა მულღაზანზარის ჯარების წინააღმდეგ, გაიქცა ხალხი, გაერიდა. უტევენ შავხალათიანები, რომლებიც შავი ხელკეტებითა და პოლიციის შენობებივით გამჭვირვალე ფარებით არიან აღჭურვილი.**

ფეთქდება გაზის ყუმბარები.

კვამლი დგას ყროლი და მომწამვლელი.

ისვრიან. ეცემა ხალხი.

სპეცრაზმელთა ცუნამის ტალღას ტალღა მოსდევს: გადაუვლიან ერთნი, სხვები გადაუვლიან ხელმეორედ და მიწაზე რჩებიან ხელფეხდაბორკილი „რუსეთის აგენტები და მოღალატენი“.

ურტყამენ წიხლებს, ხელკეტებს.

**ერთ სპეცრაზმელს კარგად ნაცემი მომიტინგე გაუკოჭავს. ზურგიდან ყავს დაჭერილი, მეორე ფინია სპეცრაზმელი სახეში გამეტებით ურტყამს მუშტებს. ვერ წვდება. მაღალია ის კაცი. ახტება და დაარტყამს ერთი მხრიდან. ახტება და დაარტყამს მეორე მხრიდან.**

მომიტინგე დგას, არ იძვრის.

ფინია კი ხტება და ურტყამს.

ლესია უკრაინკას ქუჩიდან წვიმის ღვარში გდია პერანგგადახეული კაცი უძრავად, გულაღმა. მკვდარია?

ემირ ბურჯანაძე მიჰყვება მასის ნაკადს. უცებ მის წინ მავალი წაიქცევა – ან ტყვია მოხვდა, ან გაზმა მოწამლა. იქნებ, ფეხი დაუცდა ძალაგამოლეულს?

ემირ ბურჯანაძე თავს ვერ შეიმაგრებს და ვარდება. ზედ ეცემიან სხვები – დომინოს პრინციპი სწორედ მასაში ვლინდება ყველაზე უკეთ.

მდევრები მყისვე თავს დაადგებიან და ურტყამენ. ურტყამენ ხელჯოხებს.

ერთი ადამიანის სახედაკარგული „ზონდერი“ ქორივით დააცხრება მიწაზე დაგდებულ ემირ ბურჯანაძეს და შუბლში წიხლს ჩააზელს.

ქუხს, ელავს. მეხის გავარდნა ყოველწუთიერია. აირია და აიზილა ერთმანეთში ცა და დედამიწა.

თავგახეთქილი ადამიანების სისხლი აწითლებს რუსთაველის პროსპექტს იქ და იმ ადგილზე, სადაც 10 დღის შემდეგ საზეიმო მეწამულ ხალიჩას დააფენენ ერთი-ორი ჰოლივუდელისთვის.

ერთ მწერალთან ამოვიკითხე: „ადამიანი კეთილშობილურად იქცევა მაშინ, როცა სხვა გამოსავალი არ აქვს“. ეტყობა, სახელმწიფოც ასეა. ყოველ შემთხვევაში, სწორად ასე ირჯება ჩვენი სახელმწიფო.

როცა სჭირდებოდათ, ხელის გულზე ატარეს ბატონი ემირ ბურჯანაძე.

როცა ხალხის უკმაყოფილება იგრძნეს, სასიკვდილოდ გაიმეტეს.

ეს მათრახისა და თაფლაკვერის პოლიტიკა კი არა, ბოროტებაა.

მხოლოდ ბოროტმა და უგნურმა შეიძლება აღმართოს ხელი ადამიანზე, ვინც კოდები გაშიფრა ქართული დამწერლობის. გადატრიალების წინაშე ვდგავართ?

**„აი ია“ ამოხსნა ისე, როგორც, ეტყობა, იაკობ გოგებაშვილმაც არ იცოდა, მაგრამ იყო ამ ორ სიტყვაში დაშიფრული. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია.**

**წიგნი, რომელიც ამ აღმოჩენის შესახებაა, დასაბეჭდად იყო გამზადებული, როცა ცეცხლის კევრი დაატრიალეს ემირ ბურჯანაძის თავზე.**

არაჩვეულებრივია წმიდა გიორგის ხატი, რომლის დამთავრებას სულ ცოტა აკლია. გრაფიკაა, ოქრო-ვერცხლით, ლალით გამდიდრებული და დამშვენებული.

უიშვიათესია.

ასეთი კაცი, შემოქმედი ადამიანი მიუგდეს საჯიჯგნად გამხეცებულ ზონდერებს.

დაღვარეს სისხლი.

**P.S. ძველ გერმანულ ტომებს ჰქონდათ ასეთი ცნება – „ვერგელდი“ – „სისხლის ფასი“.**

**როგორ ზღავს ხალხის იმ სისხლს ხელისუფლება, რომელიც საკუთარი თავის გადასარჩენად დაღვარა?**

**როგორია ჩვენი ხელისუფლების „ვერგელდი“?**

**არმაზ სანებლიძე**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**„რუსთაველზე იმ ხალხის დგომა მიმაჩნია მორალურად აბსოლუტურად მისაღებად, აღლუმის არდაშვების მოთხოვნა კი – ზნეობრივად, ადამიანურად და პოლიტიკურად გამართლებულად... ჩვენ ჭირისუფალი ქვეყანა ვართ. ჩვენმა მთავარსარდალმა ჩააბარა კოდორის ხეობა, ჩემი წინაპრების მიწა-წყალი (მე ვარ პირდაპირი შთამომავალი კოდორელი მარშანიების), 152 სოფელი დღე-ნახევარში მოსწყვიტა საქართველოს და სამხედრო აღლუმების მიღების უფლება არ აქვს.“**

# „ზონდერები“ და „სპეცნაზელები“ გამეტებით ურტყამდნენ ადამიანებს და ყვიროდნენ: „მეტი საქმე არ გვაქვს, თქვენს გამო ხელფასები დავკარგოთ“

**ადა მარშანია არა მარტო ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეა, არამედ ერთგვარი სიმბოლოც დედასამშობლოს მოკვეთილი აფხაზეთის, სიმართლისა და სამართლიანობისთვის მებრძოლი პასიონარია. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან შვილია იგი ლორიკ მარშანიასი, დიდი კაცის, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთამდე ქართველთა და აფხაზთა ძმობისა და ერთობის მეციხოვნედ დარჩა.**
**ღმერთმა ნათელში ამყოფოს!**
**„საქართველო და მსოფლიოს“ დღევანდელი სტუმარია ქალბატონი ადა მარშანია.**
**26 მაისის ღამეს იგი რუსთაველის პროსპექტზე იდგა მომიტინგეთა შორის. ამაზე ილაპარაკებს და იმ გორგალსაც გაჰკვეთს, რომელიც საგანგებოდ დაბურდეს, რათა საზოგადოებას აუბნიონ გზა და კვალი თბილისური ბართლომეს ღამის ორგანიზატორთა გამოაშკარავებასა და ჭეშმარიტ მიზეზთა დადგენაში. მხოლოდ ერთ ფრაზაში – საბრძოლო ყიჟინაში, რომლითაც „სამშობლოს გმირი დამცველები“, შავხალათიანი, „ზონდერებად“ და „სპეცნაზელებად“ წოდებული აფთრები დაერივნენ ხალხს, დაშიფრულია ის კოდი, რომელიც იძლევა უტყუარ პასუხს კითხვაზე – ვინ არის დამნაშავე? მანამდე კი ორიოდ შტრიხი ადა მარშანიას ბიოგრაფიიდან**

## ადა მარშანია:

## ბაგაფში იყო ის ადამიანი, რომლისთვისაც არ უნდა აგეხსნა, რა არის საქართველო



– დავამთავრე ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი; სამი წელიწადი ვიმუშავე საქართველოს უმაღლეს სასამართლოში, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში; 1988 წლიდან ეროვნულ მოძრაობაში ჩავერთე და მას შემდეგ ვარ პოლიტიკაში, პირველ რიგში, აფხაზეთის გამო. ვარ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი: მივლინებულები ვართ დევნილობაში მყოფ აფხაზეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რომელიც არჩეული იყო ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს და ჯერ კიდევ საბჭოთა კონსტიტუციის ძალით.

**– საუბარსაც აფხაზეთით დავიწყებთ. გასულ კვირაში დაკრძალეს აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში...**

– შეხების წერტილები ჩვენს ოჯახს სერგეი ბაგაფშთან ხშირად ჰქონდა. არაერთხელ ყოფილა ჩვენთან სტუმრად, სადილად. ეს მაშინ ბუნებრივი იყო. მამაჩემის ჯერ სტუდენტი, შემდეგ კი ასპირანტი იყო. მამა საქართველოს სახელმწიფო სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პრორექტორად მუშაობდა და ბევრი სტუდენტი და ასპირანტი ჰყავდა. სერგეი ბაგაფში მათ შორის გამორჩეული იყო...

**– ცნობილი პოლიტოლოგი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ჭაჭია ჩვენი გაზეთის წინა ნომერში წერდა, რომ საქართველოს ხელისუფლებას არც სურს და არც შეუძლია აფხაზეთის პრობლემის მოგვარება: „მხოლოდ მოღალატეები და დამნაშავეები არ ისარგებლებდნენ ქართველებისა და აფხაზეთის დასაახლოებლად იმ პერიოდით, როცა ხელისუფლებაში სერგეი ბაგაფში და მისი თაობის წარმომადგენლები იყვნენ. აფხაზი პოლიტიკოსების ახალ თაობასთან ჩვენ სალაპარაკო აღარაფერი გვექნება“.**

– დღევანდელ ხელისუფლებას ვისთან არ გაუჭირდება ურთიერთობა?! საკუთარ ხალხთანაც კი ვერ ახერხებს საერთო ენის გამონახვას და იქ, სადაც ძალიან გართულებულია ურთიერთობა და სადაც უამრავი ტრაგედია დატრიალდა, მის უნარზე ლაპარაკიც კი ზედმეტია – არა მხოლოდ გაუჭირდება, არამედ, სამწუხაროდ, დაკეტილი აქვს ყველა გზა.

**ბაგაფში იყო ის ადამიანი, რომლისთვისაც არ უნდა აგეხსნა, რა არის საქართველო. რადგან სწავლობდა და მუშაობდა საქართველოში, ხშირად ჩამოდიოდა თბილისში, სადაც უამრავი მეგობარი და კოლეგა ჰყავდა. მისი მეუღლე ქართველი ქალი, შონიების გვარიდანაა. პიროვნებად ჩამოყალიბდა იმ წლებში, როცა ქართველის და აფხაზის გარჩევა სირცხვილიც კი იყო. ბაგაფში ჩვენი ისტორიული მეხსიერების მატარებელი ადამიანი გახლდათ.**

დაბეჯითებით გიპასუხებთ, მასთან ნორმალური, ეფექტიანი კონტაქტების დამყარება აბსოლუტურად შესაძლებელი იყო.

მამაჩემი ამას ცდილობდა. ინდივიდუალური კონტაქტები, რა თქმა უნდა, ჰქონდათ, მაგრამ სერიოზულად და ფართოდ არ განვითარდა იმიტომ, რომ ხელისუფლებას ამის არც უნარი, არც სურვილი არ გააჩნდა.

**– თქვენ შეეცადეთ, აგემოქმედებინათ?**

– გეტყვით. „ვარდების რევოლუციის“ 9 თვის თავზე სააკაშვილმა ინება დევნილობაში მყოფი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრებთან შეხვედრა. სამწუხაროდ, საგნობრივი და კონკრეტული საუბარი თემაზე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს როლის, ადგილისა და ფუნქციის შესახებ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების კუთხით არ შედგა. უამრავ სისულელეზე ლაპარაკში დაიკარგა დრო. ბოლოს ვთხოვე სააკაშვილს, კვლავ გამართულიყო შეხვედრა, სადაც საგნობრივად განვიხილავდით პრობლემას.

დაგვპირდა, რომ ვაშინგტონიდან დაბრუნების შემდეგ, სექტემბრის ბოლოს ვისაუბროთ. მას შემდეგ რამდენი წელიწადი გავიდა და არ გაგვკარებია.

**იმასაც გეტყვით, რომ ამ შეხვედრაზე მას გადავეცი დოკუმენტები, რომლებიც მამაჩემს ჰქონდა შეგროვებული აფხაზეთთან დაკავშირებით, მათ შორის, რეკომენდაციები, წინადადებები პრობლემის გადაწყვეტის თაობაზე და წერილის პროექტი პუტინისადმი.**

სააკაშვილმა მთხოვა, მამას ჯერ არ გაეგზავნა ეს წერილი რუსეთის პრეზიდენტისთვის, გადავხედავ და შემდეგ გავაგზავნითო.

**– შედეგი?**

– არავითარი... მამას პრინციპი იყო – ვინც გინდა ყოფილიყო საქართველოს ხელისუფლებაში, მიეწოდებინა თავისი აზრი, რჩევები...

ასე იყო პირველ თვეებში. თორემ შემდეგ აშკარა გახდა, რომ არავინ მისი რჩევის მიმღები არ იყო. და, საერთოდაც, აფხაზეთის საკითხებში გარკვეული, კომპეტენტური ადამიანები სრულიად იგნორირებული ვიყავით.

რატომ მოხდა ასე, ჩემთვის დღემდე ამოუხსნელია.

ამჟამად აფხაზეთში იმდენად დამძიმებულია ვითარება, რომ ეს ხელისუფლება კი არა, ძალიან კარგი ხელისუფლება რომ ჩაუდგეს სათავეში საქართველოს, იმასაც ძალიან გაუჭირდება... მაგრამ ბევრი რამის გაკეთება მაინც შესაძლებელი იქნება.

**– ღმერთმა გისმინოთ... შეგეკითხებით, როგორც პროფესიონალ იურისტს: 26 მაისის ბართლომეს ღამის სამართლებრივი საფუძვლების გარჩევისას გამართლებული იყო თუ არა საპროტესტო აქციის დარბევა მოქმედი კანონმდებლობით, კონსტიტუციით? ამ სადამსჯელო ოპერაციის ანალიზისას რატომღაც (შეგნებულად ხომ არა?) არაფერს ამბობენ იმ მიზეზთა-მიზეზზე, რომელმაც საპროტესტო აქცია გამოიწვია, – საქართველოში შექმნილი მდგომარეობა ყურადღების მიღმა რჩება. სხვა სიტყვებით: უარყოფს თუ არა სამართალი საერთო სიტუაციას, საიდანაც აღმოცენდა პროტესტი, უგულებელყოფს მის გამომწვევ მიზეზებს და მხოლოდ 26-ის 00 საათისთვის აქციის ჩატარების ნებართვის ვადის ამოწურვით იფარგლება?**

– არ უარყოფს. რასაც აკეთებენ, ეს არის ფორმალური ჩაკირკიტება და მხარეების კინკლაობა... ამიტომ შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მე აბსოლუტურად არ მაინტერესებს ამ საკითხის სამართლებრივი მხარე. ამ ყველაფერს პოლიტიკური თვალთახედვით ვუყურებ და ვაფასებ.

იმ ღამეს იქ აღმოვჩნდი, უპირველესად, იმიტომ, რომ მივედი ხალხთან. ბევრი ჩემი მეგობარი იყო იქ, იყვნენ დევნილები და, რა თქმა უნდა, მათთან უნდა ვყოფილიყავი.

იმასაც გეტყვით, რომ იქ იდგა სასოწარკვეთილი ხალხი, იმედგადაწურული იმ ვითარების გამო, რომელიც საქართველოშია გაბატონებული, და არა იმიტომ, რომ ვინმეს მომხრეა თუ მოწინააღმდეგე. მე მგონი, ეს შორიდანაც კარგად ჩანდა, მით უფრო აშკარა იყო აქციაზე მისულებისთვის. **ამიტომ რუსთაველზე იმ ხალხის დგომა მიმაჩნია მორალურად აბსოლუტურად მისაღებად, აღლუმის არდაშვების მოთხოვნა კი – ზნეობრივად, ადამიანურად და პოლიტიკურად გამართლებულად... ჩვენ ჭირისუფალი ქვეყანა ვართ. ჩვენმა მთავარსარდალმა ჩააბარა კოდორის ხეობა, ჩემი წინაპრების მიწა-წყალი (მე ვარ პირდაპირი შთამომავალი კოდორელი მარშანიების), 152 სოფელი დღე-ნახევარში მოსწყვიტა საქართველოს და სამხედრო აღლუმების მიღების უფლება არ აქვს.**

არც ქვეყანას არ აქვს ამის უფლება. მთავარი ჩვენი საფიქრალი ქვეყნის გამთლიანებაა.

**– გავაფრთხილეთ და არ დაიშალნენო, ამას რომ იმიზეზებენ?**

– 12 საათი ჯერ არ იყო შესრულებული, როცა გაზის გაშვება დაიწყეს... ხალხი დარბევას ელოდებოდა, მაგრამ – უფრო გვიან.

გაფრთხილება მე ასე მესმის: ხალხი უნდა გააფრთხილო და, თუ არ დაიშლება, მის წინააღმდეგ ძალას გამოიყენებ – წყლის ჭავლით, ტყვიით, გაზით დაშლი. მინდა გითხრათ, რომ მას მერე, რაც გაზს გაუშვებენ, არავითარ წინააღმდეგობის გაწევაზე ლაპარაკიც არ შეიძლება: ადამიანი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ არ დაიღრჩოს... ერთადერთი ინსტინქტი, რომელიც ამ დროს მუშაობს, გადარჩენის ინსტინქტია.

გაფრთხილება იყო ფორმალური – მივიდა მერიის წარმომადგენელი და ხელმძღვანელობის დანაბარები გადასცა. გამოცხადებით კი არაფერი გამოუცხადებიათ, თუმცა საამისო ყველა შესაძლებლობა ჰქონდათ.

გაფრთხილება უნდა გამოაცხადოს იმ ძალამ, ოფიციოზმა, რომელიც დარბევას აპირებს.

**– ქალბატონო ადა, გჯერათ, რომ კომისია, რომლის შექმნასაც ითხოვენ, შეძლებს საქმის ობიექტურ გამოძიებას?**

– გააჩნია, ვინ იქნება კომისიის შემადგენლობაში. მგონი, მემარჯვენეებმა წამოაყენეს წინადადება, რომ ომბუდსმენთან ჩამოყალიბდეს კომისია. ჩემთვის უფრო იმედიანი იქნება. წინასწარ ვიცი, რომ მრავალ დაბრკოლებას შეუქმნიან ელემენტარული საკითხების გამოძიების დროსაც კი, მაგრამ ეს ფაქტი უნდა შედგეს. რაც შეიძლება ცნობილი, ავტორიტეტიანი, პატიოსანი ადამიანები უნდა შევიდნენ იმ კომისიაში, ვისაც ხალხი ენდობა, ვისი ნათქვამისაც სჯერა. აუცილებელი არ არის, რომ იურისტებისგან იყოს დაკომპლექტებული. კონსულტანტებად, კი, ბატონო, მიიწვიონ, ეს აუცილებელიცაა.

**სახალხო დამცველი ტულუში კი არის საპარლამენტო უმრავლესობის მიერ არჩეული, მაგრამ ისეთი სტრუქტურა აბარია, რომ უნდა თქვას სიმართლე, გაბედოს... სხვათა შორის, ცდილობს კიდეც. მაგრამ საზოგადოება უნდა დაეხმაროს თავისი ავტორიტეტით, გვერდით დგომითა და აქტიურობით.**

**– მეტრო „თავისუფლების მოედანთან“ ერთსართულიანი მაღაზიის სახურავზე ორი გარდაცვლილი ადამიანის „აღმო-**

▶

**ცნობილ ადამიანებს რეზინის ხელკეტებს თავში ურტყამდნენ, ამცირებდნენ, აიძულებდნენ, გაემეორებინათ ბინძური სიტყვები ბურჯანაძის და მისი მომხრეების მისამართით. წააქციეს ხელებშეკრული ხალხი, ზურგზე უვლიდნენ მათ. როგორც ყვებიან, ის, რაც იქ ხდებოდა, ნორმალური ადამიანის ქცევაში არ ჯდება. ეს არის სიმხეცე, რომელიც პოლიციელებმა გამოიჩინეს, და შეუძლებელია, ეს ადამიანები არ დაისაჯონ.**

ნაც-ტერორი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ჩენის" ფაქტს როგორ შეაფასებთ?**

– დავუშვათ, რომ ის ადამიანები რაღაცნაირად აძვრნენ სახურავზე და დაარტყა მაღალი ძაბვის დენმა. რუსთაველზე გამართულ მიტინგზე მისული მოქალაქეები რამ აიძულა ასე მოქცეულიყვნენ, რა დღეში იყვნენ ისინი? ამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი.

საკუთარი თვალით ვნახე, გადარჩენის ინსტინქტით შეპყრობილი ხალხის რა მასა მიაწყდა კინოთეატრ „რუსთაველის" ჩაკეტილ კარს.

მე და ჩემი მეუღლეც მათ შორის ვიყავით. მაშინ ისეთი რაოდენობით გაუშვეს გაზი, რომ თავის გადარჩენას შენობაში შეღწევით თუ შევძლებდით. ვერ შევედით და ფურცელაძის ქუჩაზე დავაპირეთ დაშვება, რომელიც კინოთეატრს ჩაუყვება, მაგრამ იქ ხუთ რიგად იდგნენ პოლიციელები, რომლებიც, როგორც მათი კოლეგები რუსთაველზე, გვესროდნენ ტყვიებს და გაზის ყუმბარებს ფეხქვეშ გვიფეთქებდნენ.

ხალხი მირბის, თავის გარიდებას ცდილობს. შევუხვიეთ სახელმწიფო მუზეუმისკენ, სადაც, ცოტა ქვემოთ ასევე ხუთ რიგად იდგა პოლიცია და გზა სატვირთო ავტომანქანებით იყო ჩახერგილი. ხალხმა გვერდი აუარა და მიაწყდა ღობეს, რომლითაც შემორაგული იყოს რაღაც მშენებარე ობიექტი. ძნელია იმის აღწერა, რაც იქ დატრიალდა იმ დროს.

რაც შეეხება ორ ახალგაზრდას, რომლებიც, ოფიციალური ვერსიით, დენის დარტყმით დაიღუპნენ, ამის დადგენა კვალიფიციური ექსპერტისთვის ძველადაც არ იყო ძნელი, ახლა მით უფრო ადვილია. იმის დადგენაც ადვილია, შემდეგ „დაარტყეს" დენი თუ არა.

**– როგორც ამბობენ, 50-მდე ადამიანი დაკარგულად ითვლება.**

– გადამოწმებული ინფორმაციით, ზუსტად 49 ადამიანია დაკარგული.

**– 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის დროსაც უამრავი ადამიანი დაიკარგა. მაშინ გავრცელდა ხმები, რომ ისინი დახოცეს და მტკვარში გადაყარეს. შეიძლება იმის დაშვება, რომ 26-შიც ასე მოიქცნენ?**

– იმდენჯერ არ დავუშვი საშინელი რაღაცები, რაც შემდეგ მაინც მოხდა, თანაც უარესი ვარიანტით, რომ ახლა უკვე ვშიშობ, ვაითუ ისეა, როგორც თქვენ თქვით... ასეთია ჩემი პასუხი.

**– დღეს საქართველო დაჩეხილია არა მარტო ტერიტორიულად, არამედ საზოგადოებაც დანაწევრებული და დაცალკევებულია, ლამის გათითოკაცებულია. მეთანხმებით?**

– გეთანხმებით.

**– რა უნდა მოხდეს ისეთი, რამაც შეიძლება გაგვაერთიანოს?**

– ეს შეკითხვა დღეს ხშირად მესმის. **საქართველო გვაქვს გასამთლიანებელი და მეტი მიზეზი ერთად დგომისთვის, გაერთიანებისთვის რაღა გინდათ, ადამიანებო? სხვა რა უნდა დაგვემართოს ამაზე მეტი? სამი წლის**



## გადამოწმებული ინფორმაციით, ზუსტად 49 ადამიანია დაკარგული

**წინათ 152 სოფელი დავკარგეთ! რა მნიშვნელობა აქვს, მიშას ბრალია, რუსეთის ბრალია თუ ამერიკის?! ეს უბედურება ჩვენ გვეწვია და ვინ უნდა მიხედოს, ჩვენ თუ არა?!**

**– რუსეთი ახსენეთ და ამასთან დაკავშირებით: რა ვქნათ, ისევ ვეჯაჯგუროთ და ვაგინოთ რუსეთს, თუ სხვა გზები უნდა მოვსინჯოთ და არ უნდა შეგვაშინოს რუსეთის აგენტებად მონათვლამ?**

– რუსეთში ვსწავლობდი და ძალიან კარგად მახსენდება ჩემი სტუდენტური წლები. მგონია, რომ ის დრო სრულიად საქართველოსაც კარგად ახსენდება.

**არავის არ უნდა ვაგინოთ, უპირველესად, მეზობლებს, ეს ხომ ანბანური ჭეშმარიტებაა! რაც უფრო დემოკრატიული იქნება რუსეთი, მით უფრო კარგი იქნება საქართველოსთვის, განა ასე არ არის? მაგრამ ეს რუსეთის საქმეა და მიშას „ფილიპიკები" ვერაფერს შეცვლის. სამაგიეროდ – ურთიერთობას უკიდურესად ძაბავს.**

ჩვენი მთავარი სტრატეგიული, ზნეობრივი ამოცანა – საქართველოს გამთლიანება, გვინდა თუ არა, რუსეთის სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული.

**– 21-26 მაისის მოვლენებმა, თქვენი აზრით, „ვარდების რევოლუციის" ტრიუმვირატის ცოცხლად დარჩენილი ორი წევრიდან ვინ უფრო „ააფეთქა" – ნინო ბურჯანაძე თუ მიხეილ სააკაშვილი?**

– ბურჯანაძეზე არაფრის თქმა არ მინდა – არც ცუდის, არც კარგის. უეჭველია, რომ ერთმნიშვნელოვნად დააზარალა ხელისუფლება, არა მხოლოდ სააკაშვილი. ის სპეცრაზმელები ხალხს გამეტებით რომ ურტყამდნენ, იცით რას ჰყვიროდნენ?

**– არა, არ ვიცი.**

– ყვიროდნენ: „მეტი საქმე არ გვაქვს, თქვენს გამო ხელფასები დავკარგოთ". ასეთია იმათი მორალური სახე, ვის იმედზეც არის სააკაშვილის ხელისუფლება.

**– ერთგული დამცველები!**

– ჩემი ყურით მოვისმინე! უარესსაც ყვიროდნენ...

**(ქალბატონ ადასთვის მიცემულ არგამოქვეყნების პირობას ვარღვევ და თავს უფლებას ვაძლევ, მოვახდინო იმის ტიცირება, რასაც გულადი მებრძოლები, საბრძოლო ყიჟინად დასძახებდნენ იმ ბართლომეს ღამეს თანამოქალაქეებს – ქართველებს, სისხლითა და ხორცით ნათესავ ადამიანებს, ურტყამდნენ, სასიკვდილოდ იმეტებდნენ და ყვიროდნენ: „თქვე რუსეთისა და პუტინის ბოზებო!"**

**ასე – არც მეტი, არც ნაკლები, – ბოზებოო!**

**ექსპერტები დავობენ და კამათობენ, ვინ უნდა დაისაჯოს თბილისური სადამსჯელო ექსპედიციის მოწყობის გამო – ორგანიზატორები თუ შემსრულებლები, ვინც „ძალას გადაამეტა"?**

**თუ – ისინი, ვინც ამ ტვინგამორეცხილთა მასას ჩაუნერგა, რომ თავისუფალი აზრის გამოხატვა, ადამიანის უფლებების დაცვა, პროტესტი რუსეთისა და პუტინის ბოზობა ყოფილა?**

**მთავარი დამნაშავის საკითხი გადაწყვეტილია და არაა საჭირო იურისპრუდენციის ღობე-ყორეს მიდებ-მოდება. განა ასე არ არის?).**

– აღლუმის შემდეგ ბათუმში რომ გადაფრინდა სააკაშვილი, **– განაგრძობს ადა მარშანია,** – და სიტყვით გამოვიდა, ისეთი ფრაზა წარმოთქვა, რომელიც 26 მაისის ღამის დაგვირგვინება იყო: **რუსთაველის პროსპექტზე ჩვენმა პოლიციამ სცემა (ანუ მე ვცემეო) ფეესბეს და პუტინს!**

როგორი ვაჟკაცია, ააა!

ამის შემდეგ ვის გაუკვირდება „ზონდერებისა" და „სპეცნაზელების" არაადამიანური ქცევა, რომლებიც, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, სააკაშვილის პროპაგანდას უდიდესი მორალური წნეხის ქვეშ ჰყავდა!

**– თქვენ შავები რომ გაცვიათ, ქალბატონო ადა...**

– 13 აგვისტოს მამას გარდაცვალების წლისთავი შესრულდება.

**– მიგაჩნიათ, რომ საქართველო ძაძით უნდა შეიმოსოს იმის გამო, რაც მოხდა?**

– გარდაცვლილთა ხსოვნისადმი ყველაზე ღირსეული პატივის მიგება, ალბათ, დამეთანხმებით, გაათმაგებულად იმ საქმის კეთებაა, რასაც იმ ადამიანებმა სიცოცხლე შესწირეს.

**ესაუბრა**
**არმაზ სანებლიძე**

# კინოთეატრ „რუსთაველში" მომხდარ გაუპატიურებაზე ინფორმაცია გროვდება

**26 მაისის აქციის დარბევის სისასტიკის შესახებ დღემდე ვრცელდება სხვადასხვა ინფორმაცია, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი კი ადამიანის უფლებათა დამცველმა მანანა კობახიძემ გაახმიანა: კინოთეატრ „რუსთაველში" შეფარებული მომიტინგეები პოლიციის თანამშრომლებმა გააუპატიურეს. ამის თაობაზე „საქართველო და მსოფლიომ" საზოგადოებრივი დამცველის აღმასრულებელ დირექტორს – მანანა კობახიძეს ინტერვიუ სთხოვა.**

**– თქვენ ამბობთ, რომ მოგაწოდეს ინფორმაცია, თითქოს კინოთეატრ „რუსთაველში" მომიტინგეები გააუპატიურეს.**

– ამის თაობაზე ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის თავმჯდომარემ უჩა ნანუაშვილმა მითხრა. როგორც ჩანს, მისი თანამშრომელი იმყოფებოდა იმ დროს იქ, მაგრამ დეტალურად არაფერი უთქვამს. როგორც ჩანს, თვითმხილველებს არ სურთ ჯერ ვინაობის დასახელება. ეს ძალიან მძიმე დანაშაულია და ძალიან დელიკატური საკითხი. ამიტომ ამაზე საჯაროდ და ღიად საუბარი, როგორც ჩანს, არც დაზარალებულს სურს და არც თვითმხილველებს. ამას დრო სჭირდება. შეიძლება გარკვეული დროის შემდეგ მათ მოგვმართონ კიდეც დახმარებისთვის.

**– თუმცა გამორიცხული არ არის, რომ მათ უკვე მიმართეს სამართალდამცავ ორგანოებს.**

– შესაძლებელია, მაგრამ ჩვენთვის, როგორც უფლებადამცველებისთვის, მათ, როგორც დაზარალებულებს, არ მოუმართავთ. ყოველ შემთხვევაში, ეს ისეთი თემაა, რომ საჯაროდ ამის გაცხადება ვერ მოხდება.

**– რამდენი შემთხვევა დაფიქსირდა?**

– მე როგორც ვიცი, საუბარია ორ ადამიანზე.

**– „რუსთაველში" საკმაოდ ბევრი ხალხი იყო, იქ მყოფი მომიტინგეების ნახევარი ამ კინოთეატრს აფარებდა თავს. ცოტა უცნაურია, რომ სამართალდამცავებს მსგავსი დანაშაულის ჩადენის საშუალება მიეცათ.**

– იქ იყო 300-მდე ადამიანი, მათ შორის ქალებიც და მამაკაცებიც. როგორც ვიცი, მამაკაცები შეიყვანეს დარბაზში, ქალები გამოიყვანეს. იქ ისეთი ქაოსი იყო, რომ ამისი კონტროლი ძალიან ძნელი იქნებოდა. **ცნობილ ადამიანებს რეზინის ხელკეტებს თავში ურტყამდნენ, ამცირებდნენ, აიძულებდნენ, გაემეორებინათ ბინძური სიტყვები ბურჯანაძის და მისი მომხრეების მისამართით. წააქციეს ხელებშეკრული ხალხი, ზურგზე უვლიდნენ მათ. როგორც ყვებიან, ის, რაც იქ ხდებოდა, ნორმალური ადამიანის ქცევაში არ ჯდება. ეს არის სიმხეცე, რომელიც პოლიციელებმა გამოიჩინეს, და შეუძლებელია, ეს ადამიანები არ დაისაჯონ.**

**– დასავლეთმა უკვე მოითხოვა ამ ფაქტების გამოძიება. როგორ ფიქრობთ, სერიოზულად ჩაერთვება საერთაშორისო საზოგადოება ამ პროცესში და აღნიშნულ საკითხს გამოიძიებს?**

– 2007 წელს გატაცებულ ადამიანებსაც ზუსტად ასევე მოექცნენ, მუხათგვერდში წაიყვანეს, სიკვდილს თვალებში ჩაახედეს. მიუხედავად ჩივილისა, რეაგირება არ მომხდარა. თუ ამის მიხედვით ვიმსჯელებთ, ალბათ, ახლა არც მოხდება რამე, მაგრამ არსებობს კიდევ სხვა გზა. ჩემის აზრით, **ასეთი სისასტიკე კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია: ხელფეხშეკრული ადამიანების ძირს დაგდება და გამეტებით თავის არეში ცემა, რომ განსაკუთრებული ტკივილი მიეყენებინათ მათთვის. ამას ემატება ადამიანების იძულებით გაუჩინარება, მკვლელობა. ჩემი ინფორმაციით, ხუთი ადამიანია გარდაცვლილი.**

როცა ასეთი რამ ხდება, გარკვეული პერიოდის შემდეგ, თუკი აღმოჩნდა, რომ ხელისუფლება საქმეს არ იძიებს, ამისთვის არსებობს საერთაშორისო სასამართლო, ინდივიდუალური საჩივრებისთვის – ევროსასამართლო და მეორეს მხრივ, ვინაიდან ეს არის უკვე საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაული საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, როცა ერთი ჯგუფის მხრიდან ხდება მასობრივი დაპატიმრებები პოლიტიკური ნიშნით, მასობრივი დევნა, ეს პირდაპირ ჯდება რომის სტატუტის მეშვიდე მუხლში და არ არის გამორიცხული, რომ თვით ჰააგის ტრიბუნალამდეც მივიდეს ასეთი საქმეები. როგორც ჩანს, ჩვენ ძალოვნებს არ აქვთ გააზრებული, რა ჩაიდინეს. უნდა მოხდეს დოკუმენტირება, დაზარალებულების გამოკითხვა, მტკიცებულებების შეგროვება და, თუ აქ არაფერი მოხდება, არსებობს საერთაშორისო მექანიზმები, რომელთაც უნდა მიმართონ უფლებადამცველებმა და ყველა იმ ადამიანმა, რომელიც მოწინააღმდეგეა ძალადობის და ასეთი ფორმებით ანგარიშსწორების.

**„საქართველო და მსოფლიო" დაუკავშირდა ადამიანის უფლებათა ცენტრის ხელმძღვანელ უჩა ნანუაშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ** „შემოსულია ინფორმაციები და მათი სანდოობა მოწმდება. ჩვენ ოფიციალური განცხადება არ გაგვიკეთებია და არ გავაკეთებთ, სანამ საბოლოოდ არ დავადგენთ ამ ინფორმაციებისა და ფაქტების სისწორეს".

**ასეთი ფაქტების გაჟღერების შემდეგ, მათი სისწორის დადგენაზე არა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები, არამედ სამართალდამცავი ორგანოებიც უნდა ზრუნავდნენ; მითუმეტეს, რომ ამას მათ კანონიც ავალდებულებს. მაგრამ ფაქტია, რომ შს სამინისტრო, რომელსაც, პრეზიდენტის განცხადებით, ნდობის უპრეცენდენტო მანდატი აქვს, მსგავსი დანაშაულის დადგენით, ჩამდენის გამორკვევითა და დასჯით არც დაინტერესებულა.**



**სოფო გელაშვილი**

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## მთელი არმია ხომ არ გაგვეგზავნა?



**ავღანეთში საქართველოს სამშვიდობო კონტინგენტის გაზრდის საკითხი დღის წესრიგში დგას, მაგრამ დამატებით გასაგზავნი კონტინგენტის რაოდენობასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის.** ამის შესახებ თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა სალომე მახარაძემ განაცხადა. **„EurasiaNet“**-ის ინფორმაციით, საქართველო, რომელსაც ამჟამად ავღანეთში 925-კაციანი სამხედრო კონტინგენტი ჰყავს, იქ დამატებით, სულ მცირე, 625 სამხედრო მოსამსახურის გაგზავნას გეგმავს („პირველი“).

## მოკლედ

### შავი ზღვის ფლოტი ისევ ვარჯიშობს



**რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა სარაკეტო ხომალდების ტაქტიკური წვრთნა ჩაატარა.** მცირე სარაკეტო ხომალდებმა **„Штиль“-მა** და **„Мираж“-მა**, აგრეთვე, სარაკეტო კატარღებმა ფრთოსანი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით რთულ სამიზნეს შეუტიეს, რომელიც პირობითი მოწინააღმდეგის ესკადრას განასახიერებდა. ფლოტის სარდლობამ წვრთნების შედეგი დადებითად შეაფასა. წვრთნებში 15 ხომალდი და საზღვაო ავიაცია მონაწილეობდა.

### აშკარად კადაფის უმიზნებენ



**დიდი ბრიტანეთის საჰაერო ძალებმა ჯოია-დელ-კოლეს ბაზაზე სამხრეთ იტალიაში „Enhanced Paveway III“-ის ტიპის ბომბები მიიღეს.** მათ ლიბიაში სამთავრობო შენობებისა და ბუნკერების წინააღმდეგ გამოიყენებენ. **„Enhanced Paveway III“**-ის საბრძოლო ნაწილის მასა 907 კილოგრამია, მას **GPS/INS/** ლაზერული დამიზნების სისტემა აქვს. დეტონაციის მომენტამდე ბომბს შეუძლია 2,4 რკინა-ბეტონის საფარი გაარღვიოს.

### ჩავესს კადაფის ბედი არ ხიბლავს



**ვენესუელამ რუსული შეიარაღების მსხვილი პარტია მიიღო.** მათ შორის, 35 ტანკი **„Т-72Б1“**, 16 **„БМП-3“**, 32 **„БТР-80А“**, 24 რეაქტიული სისტემა **„9К51 БМ-21 Град“**-ი, 13 საარტილერიო სისტემა **2С23 „Нона-СВК“**-ი, 4 სამეთაურო პუნქტი **„1В152“** არტილერიისთვის, 24 თვითმავალი ნაღმსატყორცნი **„2С12 Сани“**, აგრეთვე, **„ЗУ-23-2”**-ის, 4,5 და 6-ტონიანი **„Урал“**-ის პარტიები. ვენესუელა აპირებს, კიდევ 60-მდე **„Т-72Б1“** და დაუდგენელი რაოდენობის **„БМ-30 Смерч“**-ები შეიძინოს.

### არ მოასვენეს ეს კაცი



**ახალ ამერიკულ მრავალმიზნობრივ ატომურ ავიამზიდს (CVN-79) აშშ-ის 35-ე პრეზიდენდის, ჯონ ფიცჯერალდ კენედის სახელს უწოდებენ.** მისი აგება ახლახან დაიწყო, ხოლო საზღვაო ძალებისთვის გადაცემა 2020 წლისთვის იგეგმება. ეს **„Gerald R. Ford“**-ის კლასის მეორე ავიამზიდია, რომლებმაც პერსპექტივაში **„Nimitz“**-ის კლასის ავიამზიდები უნდა ჩაანაცვლოს.

# სარაკეტო კატარღა – იაფი, სწრაფი და საშიში

**საქართველო პატარა ქვეყანაა და, ცხადია, ავიამზიდები და ატომური სუბმარინები არასოდეს ეყოლება. ჩვენნაირი სახელმწიფოების ამოცანა შორეულ აკვატორიებში საზღვაო ძლიერების პროეცირება კი არ არის, არამედ – ტერიტორიული წყლების დაცვა და ეკონომიკური ზონების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ერთ-ერთი ძირითადი საშუალება ამ ამოცანის შესრულებისთვის სარაკეტო კატარღაა. მოკლედ მიმოვიხილოთ მისი განვითარების ძირითადი ტენდენციები, რაც დღეისათვის იკვეთება.**



**ფაქტია, ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების მოქმედების რადიუსი საკმაოდ სწრაფად იზრდება. ამასთანავე, მათი დამიზნებისა და კორექტირების სისტემები სულ უფრო „ჭკვიანი“ ხდება. იხვეწება სარაკეტო კატარღების რადიოტექნიკური აღჭურვილობა, ამასთანავე, სულ უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება მათი თავდაცვითი შეიარაღება:** თანამედროვე კატარღებზე აყენებენ არა მხოლოდ 20-30 მმ. საარტილერიო დანადგარებსა და ახლო რადიუსის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს, არამედ 57 მმ. (და ზევით) უნივერსალურ არტილერიას, მაგალითად, „Oto Melara“-ს 76 მმ. დანადგარებს – „Compact“-სა და „Super Rapid”-ს (რადიუსი 20 და 30 კმ. შესაბამისად). დღეს სარაკეტო კატარღა უკვე აღარ არის უბრალოდ პლაფტორმა ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებისთვის, ის თანდათან უნივერსალურ საპატრულო ხომალდად ყალიბდება. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი, ოღონდაც ამჯერად ზესახელმწიფოების გამოცდილებას არ შევეხოთ, არამედ ვნახოთ, თუ რა მიმართულებით მიდიან მათთან შედარებით მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე ქვეყნები.

**ფინური „Hamina“-ს კლასის კატარღის სიჩქარე 30 კვანძია. მას „MTU“-ს ორი დიზელი „16V 538 TB93“ (საერთო სიმძლავრე – 7550 ცხენის ძალა) აქვს. „Hamina“-ზე დამონტაჟებულია ოთხი კონტეინერული ტიპის გამშვები დანადგარი რაკეტებისთვის „MTO-85M“. ეს რაკეტა შვედური „შააბ“-ის მიერ გაუმჯობესებული „RBS-15 Mк 2“-ია, რომლის მოქმედების რადიუსი 50%-ით, 150 კილომეტრამდე გაიზარდა.** კატარღა აღჭურვილია „Bofors”-ის 57 მმ. საარტილერიო დანადგარით და სამხრეთაფრიკული „Denel“-ის რვა მართვადი საზენიტო რაკეტა „Umkhonto”-თი, აგრეთვე, ორი – 12,7 მმ. ტყვიამფრქვევით. „Hamina“-ს გააჩნია საბრძოლო მართვის სისტემა „ANCS-2000“, „TRS-3D/I6-ES“-ი რადიოსალოკაციო სადგური (საჰაერო სამიზნეებს 90 კმ. რადიუსში აღმოაჩენს) და საცეცხლე საშუალებების მართვის სისტემა „Ceros 200”. ფინელებს 4 ასეთი კატარღა ჰყავთ.

**საბერძნეთში „Roussen“-ის კლასის 5 სარაკეტო კატარღა უკვე მწყობრშია, კიდევ ორის აგება მალე დასრულდება. ბერძნებს ფინელებთან შედარებით მოქმედება უფრო დიდ მანძილებზე უწევთ, ამიტომ მათ კატარღებს გაზრდილი წყალწვა (660 ტონა) და ოთხი დიზელი „595TE“ აქვს (ჯამური სიმძლავრე – 23 170 ცხენის ძალა). კატარღის სიჩქარე 35 კვანძია.** ბერძნულ სარაკეტო კატარღას გააჩნია ოთხი კონტეინერული ტიპის გამშვები დანადგარი რაკეტებისთვის „Exocet MM-40 block 2” (სროლის სიშორე – 70 კმ) ან „ბლოცკ 3“ (180 კმ.). კატარღა აღჭურვილია საზენიტო-სარაკეტო თავდაცვის კომპლექსით (21 რაკეტა „RIM-116”), „Oto Melara“-ს 76 მმ. „Super Rapid”-ით და ორი 30 მმ. საარტილერიო დანადგარით.



ტაივანური კატარღა

**დაახლოებით მსგავსი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები აქვს თურქულ „Kilic“-ს (პროექტი გერმანიაში შემუშავდა; მწყობრში უკვე 9 ასეთი კატარაღაა) მას „MTU“-ს ოთხი დიზელური ძრავი „956 TB91“ აქვს (საერთო სიმძლავრე 15 120 ცხენის ძალა); მისი სიჩქარე 40 კვანძია.** „Kilic“-ს გააჩნია ორი ოთხკონტეინერიანი გამშვები დანადგარი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებისთვის „Harpoon Block 2“ (სროლის მაქსიმალური სიშორე – 120 კმ.), „Oto Melara“-ს 40 მმ. საარტილერიო დანადგარი და ორი 7,62 ტყვიამფრქვევი. **როგორც თურქულ, ისე ბერძნულ სარაკეტო კატარღაზე რადიოელექტრონული არქიტექტურის „ღერძს“ სადგური „MW-08“ წარმოადგენს.**

**იმ შემთხვევაში, თუ ამ წერილში ჩამოთვლილ სარაკეტო კატარღებს შორის „მაყურებელთა სიმპატიის პრიზის“ გათამაშება მოხდებოდა, მას, სავარაუდოდ, ნორვეგიული „Skjold“-ი მიიღებდა. „Skjold“-ს ორიგინალური ორკორპუსიანი კონსტრუქცია აქვს. ექსპერტთა შეფასებით, მსუბუქი კომპოზიტური მასალების გამოყენება, ერთის მხრივ, მის სანაოსნო შესაძლებლობებს ზრდის; მეორეს მხრივ კი, მისი აღმოჩენის ალბათობას ამცირებს. გაზოტურბინული დანადგარი (16 ათასი ცხენის ძალა) უზრუნველყოფს 57 კვანძის სიჩქარეს კარგი ამინდის პირობებში (შედარებით რთულ პირობებში სიჩქარე 44 კვანძია). ეს ძალიან შთამბეჭდავი მაჩვენებელია.** კატარღა აღჭურვილია ორი ოთხკონტეინერიანი გამშვები დანადგარით რაკეტებისთვის „Kongsberg NSM“-ი, რომელიც ნორვეგიელებმა თავად შექმნეს (სროლის მაქსიმალური სიშორე – 185 კმ.). კატარღაზე, აგრეთვე, დამონტაჟებულია 76 მმ. „Super Rapid“-ი. „Skjold“-ი აღჭურვილია „Thales“-ის ერთ-ერთი საუკეთესო რადარით – „MRR-3D-NG“.

**მაშინ, როდესაც სახელმწიფო საომარ მოქმედებაში ჩაბმის უშუალო საფრთხის წინაშე დგას, კონსტრუქტორები შედარებით იაფ გადაწყვეტილებებს ეძებენ, რაც მასიური წარმოების შესაძლებლობას იძლევა. ტაივანზე ამჟამად „Kuang Hua VI“-ის კლასის სარაკეტო კატარღების აგება მიმდინარეობს. მისი სიჩქარე 33 კვანძია. მას ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტების („Hsiung Feng II“; სროლის მაქსიმალური სიშორე – 150 კმ.) ოთხი გამშვები დანადგარი აქვს და 20 მმ ეროვნული წარმოების საარტილერიო დანადგარი „Type 75”, აგრეთვე, არის ადგილი კიდევ ერთი ასეთი დანადგარის დასამონტაჟებლად.** აღსანიშნავია, რომ ტაივანური, ისევე, როგორც ჩინური სარაკეტო კატარღების საჰაერო თავდაცვა გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების მეშვეობით ხდება, ხოლო საჰაერო საფრთხის აღმოჩენის თვალსაზრისით ტაივანური კატარღა, ისევე როგორც მისი ჩინური ვიზავი „Houbei (Type 022)“, პრაქტიკულად, „ბრმაა“.

**სარაკეტო კატარღების განვითარების ტენდენციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი მრავალფუნქციურ საბრძოლო სისტემებად ყალიბდება და თავისი რადიოტექნიკური შესაძლებლობებითა და სარაკეტო-საარტილერიო შეიარაღებით კორვეტისა და მსუბუქი ფრეგატის ტიპის ხომალდებს უახლოვდება.**



ბერძნული კატარღა



თურქული კატარღა



ფინური კატარღა



## დამზადებულია ჩინეთში

**ჩინეთმა საზღვარგარეთ საბრძოლო მანქანა „ZBL-09“-ის გაყიდვა დაიწყო, რომელსაც საექსპორტო ვარიანტში „VN-1“ ეწოდა.** წარმოდგენილია სამი ვარიანტი: ჯავშანტრანსპორტიორი (ეკიპაჟის სამი წევრი და 7-კაციანი დესანტი), ქვეითთა საბრძოლო მანქანა (30 მმ. ქვემეხი) და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი (105 ან 122 მმ. ჰაუბიცა). **„ZBL-09“**-ის მასა 21 ტონაა, სიგრძე – 8 მ., სიგანე – 3 მ., სიმაღლე – 2,1 მ., სიჩქარე – 100კმ/სთ გზატკეცილზე, სვლის მარაგი – 800 კმ.

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# პენტაგონმა წყალში გადაყარა მილიარდობით დოლარი

**აშშ-ის არმიის სარდლობამ, ადმინისტრაციის მოთხოვნით, 1995 წლიდან 2010 წლამდე განხორციელებული სამხედრო პროგრამები შეაფასა. კომისიის ანგარიში გასაიდუმლოებულია, თუმცა მისი ასლი „Washington Post“-ის ხელთ აღმოჩნდა. გაირკვა, რომ სამხედროების მოქმედება უარყოფითად შეფასდა; რიგ შემთხვევებში ის დაახასიათეს როგორც „მიუღებელი“.**





A-12 Avenger II



FA22 Raptor

**ბოლო 15 წლის განმავლობაში აშშ-ის არმიამ სხვადასხვა დაუმთავრებელ პროექტებზე 32 მილიარდი დოლარი დახარჯა და ამის სანაცვლოდ პრაქტიკულად არაფერი მიიღო. სულ 15 წლის განმავლობაში 22 სამხედრო პროექტი დაიხურა, მათ შორის 15 – ბოლო ათ წელიწადში. თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეითსმა მაისში აღიარა, რომ 2001 წლის 11 სექტემბრიდან დღემდე „700-მილიარდიანმა ხარჯებმა ახალი ტექნიკის შეძენასა და შექმნაზე შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალის მხოლოდ უმნიშვნელო ზრდა მოიტანა“.**

ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ დაუსრულებულ პროექტებად იმ ანგარიშში, რომლის ციტირებას „Washington Post“-ი ახდენს, შეფასდა მრავალმიზნობრივი სადაზვერვო ვერტმფრენ „RAH-66 Comanche“-ს შექმნისა და „მომავლის საბრძოლო სისტემების“ („Future Combat Systems“; „FCS“) პროგრამები. ჯამში მათზე 25 მილიარდი დოლარი დაიხარჯა.

„RAH-66 Comanche“-ს ეპიკური ისტორია ჯერ კიდევ 1988-ში დაიწყო. ახალი მანქანა „სტელსის“ ტექნოლოგიის გამოყენებით იქმნებოდა და პერსპექტივაში უნდა ჩაენაცვლებინა ყველა „UH-1 Iroquois“-ი, „AH-1 Cobra“, „OH-6 Cayuse“ და „OH-58 Kiowa“; პენტაგონი საერთო ჯამში 1292 ასეთი ვერტმფრენის შეძენას გეგმავდა. 1996-ში საცდელი ნიმუშის პირველი გაფრენა მოხდა. ეს იყო კარგი ვერტმფრენი მკვეთრად შემცირებული აკუსტიკური, რადიოსალოკაციო და ინფრაწითელი სიგნატურითა და კარგი საფრენი მახასიათებლებით, მაგრამ მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ ის საჭირო აღარ არის. **2004 წელს პენტაგონმა პროგრამა დახურა, რადგან ჩათვალა, რომ სადაზვერვო მიზნებისთვის გაცილებით იაფი იქნება უპილოტო საფრენი აპარატების შეძენა, ხოლო სხვა მისიების შესრულებისთვის მოდერნიზებული ძველი ვერტმფრენებიც გამოდგება. ამ პროგრამის ერთადერთი დადებითი მომენტი ის იყო, რომ „RAH-66“-ის ტექნოლოგიები „AH-64D Apache Longbow Block III“-ში გამოიყენეს.**

„Future Combat Systems“-ი გაცილებით ამბიციური პროგრამა იყო. ის, ყუმბარმტყორცნით დაწყებული და ტანკებით დამთავრებული, სამხედრო ტექნიკის მთელი სპექტრის შექმნას გულისხმობდა; პროგრამა ჯარებში მთელი პერსპექტიული, მათ შორის ლაზერული შეიარაღების დანერგვას ითვალისწინებდა. მან 2003-დან 2009 წლამდე უამრავი სახეცვლილება განიცადა, შემდეგ კი დახურეს. **„როდესაც თქვენ ცდილობთ, ყველაფერი შეცვალოთ და რაღაც აბსოლუტურად ახალი შექმნათ, თქვენ, როგორც წესი, ძვირადღირებული კატასტროფით ამთავრებთ. თუ „Google“-ს შეუძლია რაღაც რევოლუციური შექმნას, ჩვენ სამხედროებს ამის შესაძლებლობა არ გვაქვს“,** – თქვა რობერტ გეითსმა, როდესაც პროგრამაზე 19 მილიარდი დოლარი იყო დახარჯული.

საერთოდ, ამერიკულ პროგრამებს ხარჯების (და საბოლოო პროდუქტის ფასის) ზვავისებური ზრდა ახასიათებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონსტრუქტორები გარკვეულ პრობლემებს აწყდებიან. ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი, ამ მხრივ, „A-12 Avenger II“-ა, რომელსაც ამერიკულ ავიამზიდებზე „A-6 Intruder“-ი უნდა ჩაენაცვლებინა. კონსტრუქტორები მხოლოდ მაშინ გააჩერეს, როდესაც ერთი ბომბდამშენის სავარაუდო ღირებულებამ მართლაც რომ მანიაკალურ ნიშნულს – 165 მილიონ დოლარს მიაღწია. ამასობაში იკარგებოდა არა მხოლოდ ფული, არამედ დროც. **შესაძლოა, ფუჭი მოლოდინი ამა თუ იმ „სუპერ-იარაღთან“ დაკავშირებით გახდა იმის მიზეზი, რომ ამერიკულ ავიაციაში ნელ-ნელა ნორმად იქცა ის სიტუაცია, როდესაც თვითმფრინავი პილოტზე უფრო ასაკოვანია.** ვერტმფრენების ზოგადი ნაკლებობის გამო კი პენტაგონი იძულებულია, ავღანეთში „OV-10 Bronco“-ების გაგზავნაზე იფიქროს, რომელიც ვიეტნამში გამორჩეული თვითმფრინავი კი იყო, თუმცა...

**მაგრამ, შესაძლოა, დახურული პროგრამა იმდენად საშიში არაა, რამდენადაც ნაჩქარევად დასრულებული და გაუაზრებელი.** ფორმალურად „F-22 Raptor“-ი შეიარაღებაზე მყოფი მეხუთე თაობის გამანადგურებელია, რეალურად კი, დღესდღეობით ეს, ალბათ, მაინც 411,7 მილიონი დოლარის ღირებულების მფრინავი ჯართია, რომლის ელექტრონიკა ტენიან კლიმატში მწყობრიდან გამოდის, ჟანგბადის საბორტო გენერაციის სისტემა არ მუშაობს და რომელსაც სხვა ამერიკულ თვითმფრინავებთან კავშირის დამყარება არ ძალუძს.

**არც ერთი მინიმალური პასუხისმგებლობის მქონე ამერიკელი მეთაური საჭიროების შემთხვევაში ამ თვითმფრინავებს, ჩინურ და რუსულ გამანადგურებლებთან ბრძოლაში არ გაუშვებს, რადგან ასეთი ჰიპოტეტური ბრძოლის შედეგად მოწინააღმდეგე მუდამ გაუმართავი „Raptor“-ებისგან ძალიან დიდი ალბათობით „ვინეგრეტს“ დაამზადებს.** ამერიკელი მეთაური იძულებული გახდება ისევ ძველი გამანადგურებლები გამოიყენოს. თუმცა „Raptor“-ი დღეს აქტუალური აღარაა, აშშ-ის მთავრობამ მის მომდევნო შეძენაზე უარი თქვა.

**ახლა მთავარი აქცენტი „F-35 Lightning II“-ზე გადავიდა. ამ პროგრამაზე უკვე დაიხარჯა 56 მილიარდი დოლარი, ერთი თვითმფრინავის ფასმა კი 138 მილიონ დოლარს მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ პენტაგონი მას მეხუთე თაობის გამანადგურებელ-ბომბდამშენად ასაღებს, ექსპერტების აბსოლუტური უმრავლესობა მას 4+ თაობის თვითმფრინავად იხსენიებს.**

„Lightning“-ის პროგრამა, უბრალოდ, არ შეიძლება დაიხუროს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში აშშ XXI საუკუნის პირველ ათწლეულებში „A-10 Thunderbolt II“-ების, „F-16“-ების, „AV-8B Harrier II“-ების „F/A-18 Hornet“-ების ამარა დარჩება, რაც რუსეთისგან და ჩინეთისგან ხარისხობრივ ჩამორჩენას ნიშნავს. ასე რომ, „F-35 Lightning II“-ი „ნებისმიერ ფასად“ უნდა შეიქმნას. თუმცა საინტერესოა, რა შედეგი შეიძლება მიიღონ ამერიკელებმა ასეთი აჩქარების, ციებ-ცხელების პირობებში? მომავალი ათწლეული მათთვის კრიტიკული იქნება; **აბსოლუტური საავიაციო უპირატესობა, რომელიც ცოტა ხნის წინათ ასეთი ახლო და ხელმისაწვდომი ჩანდა, მოულოდნელად შეიძლება ჩამორჩენად გადაიქცეს და ამის მიზეზი სამხედრო პროგრამების გაუაზრებელი განხორციელება გახდება.**



Rah-66 Comanche



A-12 Avenger

## გამონათქვამები

**ვლადიმერ პუტინი,**
**რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**



რუსეთი გულდასმით გადაამოწმებს სამომხმარებლო კონტროლის აკრძალვას, მაგრამ არ ვაპირებთ ხალხი იმის გამო მოვწამლოთ, რომ ეს აკრძალვა რაღაც პრინციპებს, თუნდაც მსო-ს პრინციპებს ეწინააღმდეგება. კიტრს, რომლისგანაც ხალხი იხოცება, ნამდვილად ცუდი სუნი უდის. ჩვენ ველით, რომ ჩვენმა პარტნიორებმა ამ სენის წყარო მაინც დაასახელონ.

*vedomosti.ru*

**კირილი,**
**მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი:**



ქართველებსა და რუსებს სულიერი ძმობის მჭიდრო ჯაჭვი აკავშირებს და მათ განსაცდელი ვერაფერს დააკლებს, რადგან არ არსებობს უფრო მყარი საფუძველი მეგობრობისათვის, ვიდრე საერთო ლოცვა და ჭეშმარიტი მშვენიერებისადმი სიყვარულია.

*100storon.ru*

**რომან კუზინიარი,**
**პოლონეთის პრეზიდენტის მრჩეველი:**



პოლონეთისთვის აუცილებელია საკუთარი უშიშროების სტრატეგიის შეცვლა. ხანდახან სახელმწიფოებსა და პოლიტიკოსებს რაღაც სიგიჟე იპყრობთ, ჩნდებიან პოლიტიკური და სოციალური ძალები, რომელთაც არ მოსწონთ არსებული განლაგებები და მის შეცვლას ცდილობენ. სინამდვილეში მოვლენათა განვითარების პროგნოზირება ადვილი არაა. 2008 წლამდე საუბარი იყო, რომ რუსულ-ქართულ საზღვარზე ფეთქებადსაშიში მდგომარეობაა, მაგრამ ვერავის მოუვიდოდა თავში აზრად, რომ საქართველო რუსეთს დაეტაკებოდა. ბოლომდე ყველაფრის დაგეგმვა შეუძლებელია.

*regnum.ru*

**ალექსანდრე დუგინი,**
**ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი:**



არაბული სამყარო აფეთქებულია და აღარასდროს იქნება ისეთი, როგორიც რევოლუციების დაწყებამდე იყო... ვთვლი, რომ პოსტსაბჭოთა სივრცე იმავე სცენარით აფეთქდება. სააკაშვილი პროამერიკული მმართველია და ეს ნიშნავს, რომ დასავლეთისთვის ამ გარემოში მოქმედება ძალზე ადვილია. თუ სამხრეთ კავკასიის აალება მოხერხდება, ცეცხლი უმალ გადავა ჩრდილოეთ კავკასიაზეც.

*georgadze.org*
*newsru.com*

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ყველაზე მეტად რაც მაწუხებს, არის ის, რომ უფლება ეძლევა რაღაც ჯგუფს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ჩამოგლიჯოს ან გაანადგუროს მონუმენტები, რომლებსაც საბჭოთა სიმბოლოები აქვს. ეს ყველანაირ ლოგიკას მოკლებულია. ერთი, რომ კანონი არ ამბობს, საზოგადოებრივ ქონებას ეხება ეს თუ კერძოს, რაც პოტენციურად საფრთხეს უქმნის კონსტიტუციას და იმას, თუ რას ამბობს იგი კერძო საკუთრებაზე. ისტორია ეკუთვნის ხალხს, ანუ თუ მე, მაგალითად, ლენინის თავს მივახატავ ჩემს სახლს, შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიღაც ჯგუფს ექნება უფლება, მიბრძანოს, რომ წავშალო ნახატი ჩემს საკუთრებაზე? რატომ?!**

# მარკ მალენი: საქართველოს მთავრობა ცდილობს, გავლენა მოახდინოს ისტორიის ნარატივზე

**მარკ მალენი, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარე, ერთ-ერთი იყო მათ შორის, ვინც პარლამენტის მიერ თავისუფლების ქარტიის დამტკიცებას კრიტიკულად შეხვდა. თავისუფლების ქარტია უკვე კანონია, რომლის ძალითაც საბჭოთა სიმბოლიკასთან ბრძოლასა თუ ლუსტრაციის პროცესში შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩაერთვება. მალენის აზრით, მსგავსი მეთოდებით ცვლილებების განხორციელება ხელისუფლების მცდელობაა, გავლენა მოახდინოს ისტორიაზე.**



**რადიო „თავისუფლება“: – როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს ეს ყველაფერი იმ კონტექსტში და იმ მდგომარეობაში, რომელშიც დღეს საქართველო იმყოფება?**

**მარკ მალენი:** – რამდენიმე რამ უნდა ვახსენოთ: პირველი, თავად კანონი, რომელიც საოცრად ცუდადაა დაწერილი. ის ბუნდოვანია, ბევრს არაფერს ამბობს და რეალურად უფრო მეტ კითხვას აჩენს, ვიდრე პასუხობს. ახლა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კამერების დაყენება სტრატეგიულ ობიექტებზე. ვის აწუხებს ეს?! ამას ისედაც აკეთებენ, ამას არ სჭირდება კანონი, რომელიც ეტყვის მათ, რომ ამის გაკეთება შეუძლიათ. რაც შეეხება ლუსტრაციას, რომელიც მნიშვნელოვანი საკითხია, აქ არის ერთი „მაგრამ“: ამ შემთხვევაში კანონი უნდა იყოს ბოლო ნაბიჯი დიდ საზოგადოებრივ დისკუსიაში... აქ გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს კანონს, ვიდრე დისკუსიას ლუსტრაციის შესახებ. დისკუსია კომუნიზმის, კა-გე-ბეს შესახებ და საქართველოს როლზე ამ პროცესში არ არის. **ყველაზე მეტად რაც მაწუხებს, არის ის, რომ უფლება ეძლევა რაღაც ჯგუფს შინაგან საქმეთა სამინისტროში, ჩამოგლიჯოს ან გაანადგუროს მონუმენტები, რომლებსაც საბჭოთა სიმბოლოები აქვს. ეს ყველანაირ ლოგიკას მოკლებულია.** ერთი, რომ კანონი არ ამბობს, საზოგადოებრივ ქონებას ეხება ეს თუ კერძოს, რაც პოტენციურად საფრთხეს უქმნის კონსტიტუციას და იმას, თუ რას ამბობს იგი კერძო საკუთრებაზე. **ისტორია ეკუთვნის ხალხს, ანუ თუ მე, მაგალითად, ლენინის თავს მივახატავ ჩემს სახლს, შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიღაც ჯგუფს ექნება უფლება, მიბრძანოს, რომ წავშალო ნახატი ჩემს საკუთრებაზე? რატომ?!** ან თუნდაც მონუმენტი ავიღოთ. თუ, მაგალითად, მთავრობა ფლობს ხიდს და მასზე არის ლენინის ძველი პორტრეტები, მათ ეს უნდა წაშალონ?.. არა, ამის გაკეთება ახლაც შეუძლიათ – მათ არ სჭირდებათ კანონი იმისთვის, რომ ეს გააკეთონ, თუმცა იმედი მაქვს, რომ ამას არ გააკეთებენ, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი არის საქართველოს ისტორიის ნაწილი და ხალხს აქვს განსხვავებული შეხედულებები მასზე. რაც მთავარია, საბჭოთა კავშირის მთავარი დეტალი არ ყოფილა სიმბოლოები. და იდეა, რომ შენ შეგიძლია წაშალო სიმბოლოები და ამ გზით დაივიწყო ისტორია, საშიში კონცეპტია.

## პოლიტიკოსები – და ეს მხოლოდ საქართველოში არ ხდება – იყენებენ ისტორიას საკუთარი მიზნების მისაღწევად

**– საშიში, რა გაგებით, ანუ როგორც ისტორიით მანიპულირება ან ისტორიის გადაწერის, ან მასზე გავლენის მოხდენის მცდელობა?**

– ისინი ისტორიის თავიდან დაწერას არ ცდილობენ, უფრო ცდილობენ, მიჩქმალონ ისტორიის ვიზუალური გამოვლინებები. არადა, ამ დროს შენ შეგიძლია გქონდეს კომუნიზმის მარშრუტი თბილისში: უყურებდე სხვადასხვა შენობას, არკვევდე, ვინ ააშენა ისინი, რატომ ააშენა, რა ხდებოდა იმ შენობებში... ეს ქალაქის ნაწილია და ეს უნდა დარჩეს, როგორც ქალაქის ნაწილი. მე მჯერა, რომ ხალხს აქვს უფლება, ჩემს შვილებს აქვთ უფლება, ნახონ ეს რაღაცები და გაიგონ ეს რაღაცები და ისაუბრონ მათზე მეგობრებთან, მშობლებთან, თანაკლასელებთან, მასწავლებლებთან, თუ რას ნიშნავს ეს ყველაფერი. და აქ იქნება ძალიან განსხვავებული მოსაზრებები ამ ყველაფერზე, და ეს მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია, გქონდეს განსხვავებული მოსაზრებები და მნიშვნელოვანია, გქონდეს ფიზიკური მანიფესტაციები იმისთვის, რომ უფრო ღრმა თემების განსაგნება ხდებოდეს...

**– ერთი, რასაც ამ ყველაფერს ეძახიან, არის დეკომუნიზაცია. და ამას, ერთი, რომ გეგმავენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაწილეობით და, მეორე, სიმბოლოებით, რომლებიც, როგორც თქვენ თქვით, არ იყო ის, რაც მთავარია კომუნიზმში. როგორ აფასებთ მცირე ჯგუფის მიერ წამოწყებულ დეკომუნიზაციის იდეას?**

– ეს არ არის დეკომუნიზაცია. საქართველო არ არის კომუნიზმში და არც ისაა ჩემთვის გარკვეული, ოდესმე იყო თუ არა კომუნიზმში. ის ცხოვრობდა სისტემაში, რომელსაც კომუნიზმი ერქვა. ბევრი ადამიანი ცდილობდა, ექცია ის კომუნისტურად, რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს,... მაგრამ მთელი ეს პერიოდი იყო უზომოდ მდიდარი და მრავალფეროვანი პერიოდი საქართველოს ისტორიაში და აუცილებელია ამაზე დისკუსია, რათა ამ პერიოდის გაგება მოხდეს. **კომუნიზმი იყო თუ არა, ის არსებობდა ადამიანების თავებში და სწორედ ამიტომ მოხდა რაღაცები... მოხდა რაღაცები ეკონომიკაში, ადამიანის უფლებათა სფეროში, განათლებაში, სწორედ ამ ფაქტორმა მოახდინა გავლენა ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის – არქიტექტურაზეც. ამის გასაგებად კი არა არქიტექტურის მოშლა, არამედ დისკუსია უნდა წარმოებდეს და ამ ყველაფრის მოცილება და მთელი ეს კონცეპტი ამის გაკეთებისა არა მარტო საშიშია, არამედ თავისთავად არის ის, რასაც „საბჭოურს“ ეძახიან.**

**– ანუ ფორმით შინაარსის მართვის მცდელობა....**

– დიახ, კონცეპტი, რომ ჯგუფი შინაგან საქმეთა სამინისტროში დაჯდება და ისაუბრებს, რა არის კლასიფიცირებული როგორც კომუნისტური და რა არა, და შემდეგ გადაწყვეტს მოიცილოს ეს ან არა, მთელი ეს იდეა მე მიდასტურებს, რომ ის, რასაც კომუნისტურ იდეებს ეძახიან, ცოცხალია ამ ქვეყანაში და საკმაოდ მძლავრია....

## გვყავდეს შინაგან საქმეთა სამინისტროში პატარა ჯგუფი, რომელიც განაგებს იმას, თუ რა უყონ სიმბოლოებს, ეს თავისი შინაარსით არის ყველაზე საბჭოთა რამ, რის წარმოდგენაც კი მე შემიძლია

**– იქნებ, პრობლემა საზოგადოებაშია... 20 წელი გავიდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და სერიოზული ფართო დისკუსია არ ყოფილა; როგორც თქვენ ამბობთ, ანალიზი ამ პერიოდისა არ მომხდარა. ახლა მთავრობა სწევს ამ თემას წინა პლანზე, შემდეგ პარლამენტი ისევ რეალური დისკუსიის გარეშე ამტკიცებს ახალ კანონს, ანუ მცირე ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას, რა უნდა მოხდეს. იქნებ, ფართო საზოგადოებრივ დონეზე ჩვენ, უბრალოდ, მიჩვეული ვართ, რომ მცირე ჯგუფებმა უნდა მიიღონ მსგავსი გადაწყვეტილებები?**

– მე ვფიქრობ, ეგ სიმართლეა. მე ვფიქრობ, რომ საქართველოს მოსახლეობა მიჩვეულია, მცირე ჯგუფებმა მიიღონ გადაწყვეტილებები და ეს არაა ჯანმრთელი. უნდა იყოს მეტი დისკუსია ამ თემაზე საზოგადოებრივ დონეზე, მნიშვნელობებზე და ასე შემდეგ. თუ ვინმეს მართლა სურს, რაიმე სასარგებლო გააკეთოს კომუნიზმთან დაკავშირებით, იმის მაგივრად, რომ ლენინის ფოტოები წაშალონ ან წაშალონ ქუჩების დასახელებები (რაც შესაძლოა გამართლებული იყოს იმ შემთხვევებში, როცა საქმე ადამიანების უფლებათა დარღვევაში მხილებულ ადამიანებთან გვაქვს), დაიწყონ, მაგალითად, ფართო დონეზე დისკუსია, სკოლებში, სადაც ისტორიის გაკვეთილებზე ბავშვებს წაახალისებენ, გაესაუბრონ საკუთარ ბებია-პაპებს, ჰკითხონ მათ კომუნიზმის შესახებ, ჰკითხონ რას ფიქრობენ ისინი, რა იყო ეს მათთვის. აქ არ უნდა არსებობდეს წინასწარ გაწერილი სწორი და არასწორი პასუხები; ჩვენ მათ არ უნდა ვთხოვოთ, გვიპასუხონ, რომ ეს იყო ცუდი. მათ უნდა შეეძლოთ თქმა, რომ ეს იყო კარგი და არის ბევრი ადამიანი, ვინც ფიქრობს, რომ მაშინ უკეთესი იყო მათთვის, ვიდრე არის დღეს. ბუნებრივია, ასევე ბევრი ადამიანი იფიქრებს საპირისპიროს... და კომუნიზმი ძალიან განსხვავდებოდა 1982 ან 1936 წლებში. მიეცეს ახალგაზრდებს საშუალება, ესაუბრონ მშობლებს და ბებია-პაპებს ამ თემებზე – როგორი იყო ეს, როგორ მუშაობდა იგი, როგორ შეიცვალა განათლების სისტემა. სწორედ ეს იქნებოდა ისტორიის აღიარება, ეს იქნებოდა პოზიტიური დისკუსია. ამის მაგივრად გვყავდეს შინაგან საქმეთა სამინისტროში პატარა ჯგუფი, რომელიც განაგებს იმას, თუ რა უყონ სიმბოლოებს, ეს თავისი შინაარსით არის ყველაზე საბჭოთა რამ, რის წარმოდგენაც კი მე შემიძლია.

**– როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი ისტორიაზე გავლენის მოხდენის მცდელობაა? მცდელობა ხელისუფლების სტრუქტურისა, რომელიც ქმნის პირობებს იმისათვის, რომ ისტორიას გარკვეული მიმართულებით უბიძგოს?**

– აბსოლუტურად.

**– და რატომ ხდება ეს ფართო ჭრილში, ეს ხელისუფლების სტრუქტურული ნაწილია თუ...?**

– ეს ხდება ყველა ქვეყანაში. მაგალითად, ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში არის გავლენიანი ჯგუფი რესპუბლიკელებისა, რომელიც გამალებით ცდილობს, გავლენა მოახდინოს სასკოლო კურიკულუმზე. ასე რომ, საქართველო ამაში მარტო არაა. მაგრამ, ამავე დროს, მე მჯერა, რომ საქართველოს მთავრობა ცდილობს, გავლენა მოახდინოს ისტორიის ნარატივზე. მაგალითად, მე გავიგე სასკოლო თავისუფალი თემების, ესეების შეჯიბრზე, რომლის ორგანიზებაც განათლების სამინისტრომ მოახდინა. მათ სთხოვეს ბავშვებს, გაევლოთ პარალელები 1921-სა და 2008 წლებს შორის. თუმცა თავისუფალი თემების კონკურსში არსებობდა წინასწარ განსაზღვრული სწორი პასუხი. განათლების სამინისტროს მიხედვით, სწორი პასუხი იყო, რომ დამოუკიდებლობა არის დასაცავი და რომ ჩვენ ნებისმიერ დროს, შესაძლოა, დაგვესხან თავს და ჩვენ უნდა დავიცვათ ეს. კარგი, ეს შესაძლოა იყოს ან არ იყოს სიმართლე. მაგრამ მთელი ეს იდეა, გქონდეს თავისუფალი თემების შეჯიბრი, რომელშიც არსებობს მზა სწორი პასუხი, სულ მცირე, შექმნის ბევრ უინტერესო თემას. უფრო მნიშვნელოვანია, ადამიანებს სთხოვო, ესაუბრონ სხვა ადამიანებს, ვისაც ისინი იცნობენ და ენდობიან და არ მიუთითო მათ, რა არის სწორი და არასწორი პასუხი....

**– როგორ გგონიათ, მთელი ეს მიდგომა დღევანდელი მთავრობის პოლიტიკის ნაწილია? პოლიტიკისა, რომლის ნარატივიც რუსული ფაქტორის მიმართ, ასე ვთქვათ, მტრულადაა განწყობილი, რომლის ნარატივიც ამბობს, რომ რუსეთში ჯერ კიდევ საბჭოთა მართვის სისტემაა და სხვა ამგვარი?**

– ვფიქრობ, ამ ქვეყნის ლიდერები ცდილობენ, თავი დაიმკვიდრონ იმასთან ოპოზიციაში, რასაც საბჭოთა ჰქვია. ამასთან ერთად, საბჭოელობა საქართველოში სულ უფრო მეტად ხდება დაკავშირებული რუსულ ფაქტორთან. არსებობს იდეა, რომ კომუნიზმი „იმპორტირებული პროდუქტია“, რომელიც საქართველოში ძალით შემოიტანეს, რომელიც ქვეყანას ძალით მოახვიეს თავს. შესაძლოა, ასეც იყო, მაგრამ ერთია, რომ სტალინი ქართველი იყო და, გარდა ამისა, იყო თუ არა კომუნიზმი ორგანული ნაწილი აქაურობისა? არ ვიცი. **ვიცი, რომ დღევანდელ მთავრობაში არსებობს მცდელობა ამ ნარატივის შექმნისა, რომ საქართველო ბუნებრივად მენშევიკური იყო და კომუნიზმი ძალით შემოვიდა და საქართველო დაპყრობილი იყო.... შესაძლოა, ასეც იყოს. არ ვიცი, მაგრამ კითხვაა: რამდენად ღია იყო კარი?.. მგონია, რომ ეს მნიშვნელოვანი შეკითხვაა. ასე რომ, მე მგონია, რომ პოლიტიკოსები – და ეს მხოლოდ საქართველოში არ ხდება – იყენებენ ისტორიას საკუთარი მიზნების მისაღწევად.** და ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის, რომ კრიტიკულად შეხედონ ამ საკითხებს, რომ ესაუბრონ ამ თემებზე საკუთარ ოჯახებს, ადამიანებს, რომლებსაც ენდობიან. და დასკვნები თვითონ გააკეთონ....

**– საკუთარი მიზნების მისაღწევად რა არის მათი, ანუ მმართველი ჯგუფის მიზნები ამ შემთხვევაში, შეგვიძლია ვთქვათ, სახელი დავარქვათ ამას?**

– არ ვიცი, რა კონკრეტული იდეა დევს ამ კანონის უკან.... თუმცა ერთ რამეს ვიტყვი, რაც უფრო მნიშვნელოვანია და რაც დიდი პრობლემაა. ეს კი არის ის ფორმა, რომლითაც ამ კანონმა პარლამენტი გაიარა – ისინი, უბრალოდ, ადგნენ და გაატარეს კანონი. ეს კარგი ილუსტრაციაა იმისა, რამდენად უმნიშვნელო გახდა საქართველოს პარლამენტი დღეს.

**– პარლამენტი, რომელშიც არ არის რეალური დისკუსია.**

– დიახ, სადაც არ არის რეალური დისკუსია, ხმის მიცემის ჩანაწერები ყურადღებით არ არის გაშიფრული და პროცესი არ არის საკმარისად გამჭვირვალე. კანონის მიღება უნდა იყოს დისკუსიის საბოლოო წერტილი. ამის ნაცვლად, ძირითადად, ვიღაცებს ალმასრულებელ რგოლში უჩნდებათ რაღაც იდეები და ამის შემდეგ პარლამენტი, უბრალოდ, კანონს ამტკიცებს.

**– და ამის შემდეგ იწყება დისკუსია....**

– შეიძლება იწყება, შეიძლება – არა. ხშირად ადამიანები ყველაფერ ამას, უბრალოდ, უყურადღებოდ ტოვებენ.

ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ სტალინის მიერ ამ წინადადების მიუღებლობა ყოველმხრივ გამართლებული იყო: ფართომასშტაბიანი დარტყმა ვერმახტის პრაქტიკულად გაშლილი ჯარებისთვის საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება ქცეულიყო სასოწარკვეთილთა ჟესტად: ოპერატიული დოკუმენტების დეტალური დამუშავებისა და საარმიო ნაწილების აუცილებელი დაჯგუფების შექმნის გარეშე ასეთი, თავისთავად სარისკო, ნაბიჯი ავანტიურად შემოტრიალდებოდა.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ხვალ იყო ომი

**სულ რამდენიმე დღე დარჩა გასული საუკუნის ერთ უმნიშვნელოვანეს თარიღამდე, რომლის 70 წლისთავი წლეულს აღინიშნება: 1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს, დაიწყო სისხლისმღვრელი ომი, რომელსაც მილიონობით ადამიანი შეეწირა ორივე მხრიდან. ნიკიტა ხრუშჩოვის ანტისტალინური პროპაგანდის მთელი სიბინძურე და სიყალბე ბოლო პერიოდში სულ უფრო ნათლად მჟღავნდება. სრულიად უსაფუძვლო გამოდგა თითიდან გამოწოვილი შეცდომების ბელადისთვის დაბრალება, რამაც თითქოს გამოიწვია წითელი არმიის მარცხი ომის პირველ პერიოდში. ელექტრონული გამოცემა „სტრატეგიული კულტურის ფონდის“ მიერ გამოქვეყნებული წერილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, სიმართლის დადგენისკენ გადადგმული ერთ-ერთი ნაბიჯია.**

## მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე სტალინმა მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რამაც მაქსიმალურად შეამცირა დანაკარგები და ის უპირატესობა, რომელიც ჰიტლერის კარგად გაწვრთნილ და საბრძოლო გამოცდილებამიღებულ არმიას გააჩნდა





ცნობილია, რომ ომისწინა რამდენიმე თვის განმავლობაში სტალინის და, შესაბამისად, ქვეყნის ხელმძღვანელობასა და არმიის მოქმედება ერთ მთავარ მიზანს ემსახურებოდა – როგორმე თავი აერიდებინათ ომისთვის და არავითარი საბაბი არ მიეცათ გერმანელებისთვის საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. ამ მიზნის მისაღწევად **საბჭოთა ლიდერი ერთდროულად დიამეტრალურად განსხვავებულ ღონისძიებებს მიმართავდა. სტალინი გრძნობდა, რომ აგრესიის საშიშროება დღითიდღე ძლიერდებოდა, ქვეყანა კი მტრის მოსაგერიებლად მზად არ იყო.** იგი, ერთის მხრივ, ფიურერის დაშოშმინებას ცდილობდა: აკრძალა გერმანული ავიაციის საბჭოთა ტერიტორიაზე ფრენის შეზღუდვა, მკაცრად აკონტროლებდა, რათა გერმანიაში ხორბლის, ქვანახშირის, ნავთობპროდუქტების და სხვა სტრატეგიული მასალების მიწოდება გრაფიკის დაურღვევლად განხორციელებულიყო, დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა გერმანელების მიერ ოკუპირებულ ყველა ქვეყანასთან; მეორეს მხრივ, ცდილობდა, თავისი მოქმედებითა თუ განცხადებით ზემოქმედება მოეხდინა ჰიტლერზე, დაებრკოლებინა მისი აგრესიული განზრახვანი ძალის დემონსტრაციით. **სწორედ ამ მიზნით 1941 წლის დადგომისთანავე ქვეყნის სიღრმიდან დასავლეთის საზღვრებისკენ დაიწყეს ოთხი არმიის გადმოყვანა. შეიარაღებულ ძალებში 800 ათასი რეზერვისტი გაიწვიეს. შემტევი ტონალობით იყო გამორჩეული სტალინის სიტყვა, რომელიც მან 1941 წლის 5 მაისს სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა კრემლში შეკრებაზე წარმოთქვა.**

ღონისძიებათა შორის, რომლებიც ფიურერის დეზინფორმირებას ისახავდა მიზნად, იყო მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომლებსაც კრემლთან შეთანხმებით საბჭოთა სპეცსამსახურები განახორციელებდა.

**ასე მაგალითად, გერმანიის აგენტურას მოსკოვში შეუგდეს (თანაც – წარმატებით, რასაც მოწმობს, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში დაცული ამგვარი ხასიათის დოკუმენტები) ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირზე ყველაზე რეალურ და საშიშ შესაძლო დარტყმად ქვეყნის ხელმძღვანელობა მიიჩნევს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებას – აღმოსავლეთ პრუსიიდან ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და ლენინგრადისკენ. ავრცელებდნენ ხმებს, რომ აქ თავს იყრის წითელი არმიის ძირითადი ძალები. სამხრეთ-დასავლეთის და სამხრეთის მიმართულება (უკრაინა და მოლდავეთი) კი, პირიქით, შედარებით დაუცველად არის მიტოვებული. სინამდვილეში სწორედ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით იყო კონცენტრირებული წითელი არმიის მთავარი ძალები: კიევის საგანგებო სამხედრო ოლქის ჯარების შემადგენლობაში ომის წინ 58 დივიზია და 957 ათასი ადამიანი იყო გაერთიანებული.**

პოტენციური მოწინააღმდეგის მხარეს ავრცელებდნენ ინფორმაციას იმაზე, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობაში ოპოზიციური განწყობილება იკიდებს ფეხს. მაგალითად, თავდაცვის სახალხო კომისარი ტიმოშენკო თითქოს დაბეჯითებით მოითხოვდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ყოველმხრივ გაძლიერებას, რათა, როგორც გერმანული აგენტურა პატაკობდა, შეესუსტებინა მისი მშობლიური უკრაინის სამხედრო პოტენციალი და ამით გარანტირებულად ჩაებარებინა იგი გერმანელებისთვის.

**დეზინფორმაციის ფიგურანტად თვით სტალინიც კი მოგვევლინა. „რიბენტროპის ბიუროში“ შენახულია აგენტურული პატაკები საკავშირო კომუნისტურ პარტიაში ერთგვარი „მშრომელთა ოპოზიციის“ ფართე მოძრაობის შესახებ, რომელიც გამოდიოდა „გერმანიისადმი სტალინის უზომო დათმობების წინააღმდეგ“.**

აღნიშნული მიმართულებით მუშაობდნენ დიპლომატებიც, რომლებიც ჩართული იყვნენ დეზინფორმაციულ ღონისძიებებში, ზოგიერთ შემთხვევაში ისე, რომ ამის შესახებ არაფერიც არ იცოდნენ. 1941 წლის 21 ივნისამდე საბჭოთა კავშირის ელჩი გერმანიაში დეკანოზოვი, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს რომ სტუმრობდა, მხოლოდ საოქმო საუბრებს სჯერდებოდა; განიხილავდა მიმდინარე საკითხებს საერთო საზღვრის ცალკეული უბნების მარკირების, ბერლინში, საელჩოს ტერიტორიაზე ბომბსაფარის მშენებლობის შესახებ და მისთ.

**დეზინფორმაციის თავისებურ მწვერვალად წარმოდგა მოსკოვის მცდელობა, იძულებული გაეხადა ბერლინი, მეტ-ნაკლებად დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია მთელ მსოფლიოში მოარულ ხმებთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. ეს იყო 1941 წლის 14 ივნისს გამოქვეყნებული საკდესის ცნობა. კრემლმა, რომელიც დეტალურად საქმის კურსში იყო სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმის მზადებასთან დაკავშირებით, საკდესის არხებით აღნიშნული მოარული ხმები „ყოველგვარ საფუძველს“ მოკლებულად გამოაცხადა.**

მათი გავრცელება კი დაუკავშირა იმ ძალების ხრიკებს, რომელთაც არ სურთ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება. სტალინს ამით სურდა, დაერწმუნებინა ჰიტლერი, რომ იგი (სტალინი) არ ფლობს ინფორმაციას საბჭოთა საზღვრებთან ვერმახტის ძალების კონცენტრირების შესახებ, რითაც აიძულებდა ჰიტლერს, თავისი პოზიცია გამოეხატა ამასთან დაკავშირებით. თუ ბედი გაუღიმებდა, ჰიტლერს შეიძლება განეხილა საკდესის ცნობა, როგორც მიპატიჟება მოლაპარაკებაზე და გადაედგა კიდეც ნაბიჯი ამ მიმართულებით. ეს კი მინიმუმ რამდენიმე თვით გადაწევდა ომის დაწყებას.

**მარშალი ვასილევსკი წერდა, რომ გენერალური შტაბის მუშაკები, ისევე, როგორც სხვა საბჭოთა ადამიანები, საკდესის ამ ცნობამ ერთგვარად გაგვაკვირვაო. ეს რომ დიპლომატიური მანევრი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ბერლინის რეაქციის გამჟღავნებას, სამხედრო ხელმძღვანელთა მცირე წრემ თუ იცოდა. ამის თაობაზე არ გაუფრთხილებიათ საზღვრისპირა სამხედრო ოლქების სარდლებიც კი, რომ არაფერი ვთქვათ უფრო დაბალი რგოლის მეთაურებზე.**

1941 წლის 15 მაისს გენერალური შტაბის უფროსმა გიორგი ჟუკოვმა, მისმა პირველმა მოადგილემ ვატუტინმა და ოპერატიული სამმართველოს უფროსის მოადგილემ ვასილევსკიმ სტალინს წარუდგინეს დოკუმენტი, რომელიც ლიტერატურაში „ჟუკოვის ბარათის“ სახელითაა ცნობილი და რომლის მიხედვით წითელ არმიას ვერმახტის შეიარაღებული ძალებისთვის გაშლის პერიოდში უნდა შეეტია. გერმანელები ვერ მოასწრებდნენ ფრონტის ორგანიზებასა და ჯარების სახეობათა ურთიერთობის აწყობას. მაშასადამე, უპირატესობა ჩვენს მხარეს იქნებოდა. წითელი არმია განავითარებდა შეტევას, დაიკავებდა ყოფილი პოლონეთის ტერიტორიასა და აღმოსავლეთ პრუსიას.

**ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ სტალინის მიერ ამ წინადადების მიუღებლობა ყოველმხრივ გამართლებული იყო: ფართომასშტაბიანი დარტყმა ვერმახტის პრაქტიკულად გაშლილი ჯარებისთვის საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება ქცეულიყო სასოწარკვეთილთა ჟესტად: ოპერატიული დოკუმენტების დეტალური დამუშავებისა და საარმიო ნაწილების აუცილებელი დაჯგუფების შექმნის გარეშე ასეთი, თავისთავად სარისკო, ნაბიჯი ავანტიურად შემოტრიალდებოდა.**

დღევანდელი გადასახედიდანაც კი კოლიზია, რომელიც 1941 წლის 22 ივნისს წინ უსწრებდა, ურთულესი და ძნელად გადასაჭრელი ჩანს, მით უფრო უძნელესი იყო იმ ვითარებაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების მიღება, რაც მაქსიმალურად შეამცირებდა დანაკარგებს და იმ უპირატესობას, რომელიც ჰიტლერის კარგად გაწვრთნილ და საბრძოლო გამოცდილებამიღებულ არმიას გააჩნდა.

ისტორიამ დაამტკიცა, რომ სტალინის მოქმედება ამ გადამწყვეტ პერიოდში საბოლოოდ გამართლებული იყო.

**www.fondsk.ru**

## გერმანიის აგენტურას მოსკოვში ინფორმაცია შეუგდეს იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირზე ყველაზე რეალურ და საშიშ შესაძლო დარტყმად ქვეყნის ხელმძღვანელობა მიიჩნევს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებას. სინამდვილეში კი სწორედ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით იყო კონცენტრირებული წითელი არმიის მთავარი ძალები


ვერმახტის ჯარი


წითელი არმია

ქრონიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**სოფლის მეურნეობის დაზღვევა შემდეგი პრინციპით ხდება: მზღვეველი (ვინც ადგილზეა) თავის რისკებს ყიდის გადამზღვევ კომპანიებზე, რომლებიც სულ რამდენიმეა მსოფლიოში. ფორსმაჟორული სიტუაციის შემთხვევაში, მაგალითად, ისეთის, როგორიც 2000 წლის გვალვა იყო, როცა 300 მილიონი დოლარის პროდუქცია დაიღუპა, ასეთ ზარალს ვერც ერთი დამზღვევი კომპანია ვერ აანაზღაურებს. გადამზღვევი კომპანია ყიდულობს ამის რისკებს, მოგების 3-5 პროცენტს ტოვებს, დანარჩენი თვითონ მიაქვს. მაგრამ მზღვეველი კომპანია თუ რაიმე სერიოზულ ღონისძიებას განახორციელებს, მათ შორის — სეტყვის საწინააღმდეგო სამუშაოების სახით, და გადამზღვევს დაანახებს, რომ ზარალს შეამცირებს, მაშინ მზღვეველი კომპანია დაინტერესებული იქნება, წამოიწყოს ეს სამუშაოები, რადგან მნიშვნელოვნად იზრდება მისი შემოსავალი.**

# მოვიდა სეტყვა, არ დახვდა ქვა

## სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის არარსებობას გლეხებისთვის კატასტროფული შედეგები მოაქვს

**კახეთს სტიქიამ შეუტია. გასულ კვირასაც სეტყვამ და ღვარცოფმა მიწასთან გაასწორა ვენახი და ნათეს-ნარგავი. სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და უარესს უნდა ველოდოთო. რატომ არ ფუნქციონირებს სეტყვის საწინააღმდეგო სამსახური, რომელიც კახეთის ზვრებსა და ყანებს სტიქიის შემოტევისგან იცავდა? „საქართველო და მსოფლიომ" მონახა ამ სამსახურში ერთ დროს დასაქმებული ადამიანები და ამ შეკითხვით მიმართა. არახელსაყრელ ჰიდრომეტეოროლოგიურ მოვლენებზე აქტიური ზემოქმედების სამსახურის ყოფილი უფროსი მურაზ ბაღსოლიანი გვესაუბრება.**



**სასოფლო სამეურნეო სავარგულები კერძო მფლობელობაში გადავიდა, დაქუცმაცდა, ხოლო მცირე ფართობებზე დაცვითი სამუშაოების ჩატარება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ისიც აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ეს სამუშაოები ძალიან ძვირი ჯდება.**

### ზარალს 80 პროცენტით ამცირებდა

— ეს სამსახური ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოში შეიქმნა 1961 წელს, 6 წლის შემდეგ — ჩრდილოკავკასიაში, ცენტრალურ აზიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ყირიმში; ჩვენი მეთოდიკით მუშაობდნენ ბულგარეთში. სეტყვის საწინააღმდეგო ჩვენს სისტემას ერქვა „ალაზანი".

**— რაკეტები იყო?**

— დიახ, რაკეტა, რომლის ქობინში ჩადებული იყო აქტიური ნივთიერება — თავიდან — იოდოვანი ტყვია, შემდეგ — იოდოვანი ვერცხლი. არის სხვა მეთოდიც, როცა ამ ინგრედიენტებს ანთებული კოჭებით ღრუბელს თვითმფრინავიდან აყრიან, ან ქვევიდან აბოლებენ. მსოფლიოში ყველგან, სადაც ეს მეთოდებია გამოყენებული, დადებითი შედეგები სახეზეა.

**— მაშ, რატომ დავიწუნეთ და რატომ მოვშალეთ ეს სამსახური?**

— 1990 წელს ასეთ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ამიერკავკასიაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარება: უნდოდათ, აეცილებინათ ამ რაკეტების იარაღად გამოყენების ისეთი პრეცედენტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ყარაბაღის კონფლიქტის დროს.

**— შეიცვალა ხელისუფლებები, უკან დარჩა კონფლიქტების წლები. იყო შემდეგ ამ სამსახურის აღდგენის მცდელობა?**

— იმ სახით მისი აღდგენა, როგორიც საბჭოთა პერიოდში იყო, შეუძლებელი გახდა, რადგან სასოფლო სამეურნეო სავარგულები კერძო მფლობელობაში გადავიდა, დაქუცმაცდა, ხოლო მცირე ფართობებზე დაცვითი სამუშაოების ჩატარება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ისიც აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ეს სამუშაოები ძალიან ძვირი ჯდება.

**— და ამიტომ ხელი აიღეს ყველაფერზე?**

— ჩვენ გვქონდა აღდგენის მცდელობა 1998-1999 წლებში. გამოჩნდნენ ინვესტორები, ძირითადად, ფრანგები; 2001 წელს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაც, რომლის მიხედვით ეს სამსახური უნდა აღდგენილიყო სადაზღვევო პრინციპების საფუძველზე, მაგრამ ამ დოკუმენტმა ვერ იმუშავა. ვერ ამოქმედდა სისტემა, რადგან მთელ რიგ წინააღმდეგობებს გადავაწყდით. იყო შემთხვევები, როცა ინვესტორებს ვილაცვილაცებმა ფული მოსთხოვეს სამუშაოს დასაწყებად.

**— „წილში ჩაუჯდნენ"?**

— რაღაც ამგვარი. ინვესტორები გაიქცნენ. მაგრამ მთავარი მაინც სხვაა.

სოფლის მეურნეობის დაზღვევა შემდეგი პრინციპით ხდება: მზღვეველი (ვინც ადგილზეა) თავის რისკებს ყიდის გადამზღვევ კომპანიებზე, რომლებიც სულ რამდენიმეა მსოფლიოში. ფორსმაჟორული სიტუაციის შემთხვევაში, მაგალითად, ისეთის, როგორიც 2000 წლის გვალვა იყო, როცა 300 მილიონი დოლარის პროდუქცია დაიღუპა, ასეთ ზარალს ვერც ერთი დამზღვევი კომპანია ვერ აანაზღაურებს. გადამზღვევი კომპანია ყიდულობს ამის რისკებს, მოგების 3-5 პროცენტს ტოვებს, დანარჩენი თვითონ მიაქვს. მაგრამ მზღვეველი კომპანია თუ რაიმე სერიოზულ ღონისძიებას განახორციელებს, მათ შორის — სეტყვის საწინააღმდეგო სამუშაოების სახით, და გადამზღვევს დაანახებს, რომ ზარალს შეამცირებს, მაშინ მზღვეველი კომპანია დაინტერესებული იქნება, წამოიწყოს ეს სამუშაოები, რადგან მნიშვნელოვნად იზრდება მისი შემოსავალი.

მაგრამ ასეთი სადაზღვევო სისტემა ჩვენთან ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ არის.

**— მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის აღდგენა ვერ შედგა?**

— შეიძლება. მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ სახელმწიფო ამ სამუშაოებს ვერ დააფინანსებს, რადგან ის, რაც უნდა დაიცვას (დააზღვიოს), მისი არ არის, კერძოა. შესაბამისი ინფრასტრუქტურა რომ ჩამოყალიბდეს, მაგალითად, ფერმერული მეურნეობები, ან კოოპერაცია, მხოლოდ მაშინ შეიძლება, სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ სამუშაოების წარმოება: ათ და ას ჰექტარზე ვერ ჩატარდება, ათასობით ჰექტარი ფართობია საჭირო, თანაც შესაბამისი სადაზღვევო ინფრასტრუქტურის არსებობისას.

ისიც არის, რომ ჩვენთან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესასყიდი ფასები ძალიან დაბალია, ამიტომ უკუგებაც დაბალი იქნება.

**— მიზეზების მთელი კომპლექსია, როგორც ჩანს.**

— მართალია. უნდა გვქონდეს ბაზარი — ევროკავშირის ქვეყნებში უნდა გავრცელდეს ჩვენი პროდუქცია, ადგილზეც პრიორიტეტულ მდგომარეობაში უნდა იყოს, საღდებოდეს და ა.შ.

**— ამიტომ არ შეიძლება ჩვენს პირობებში სეტყვისგან მოსავლის დაცვა?**

— შეიძლება, თუ მსოფლიოში არსებულ გამოცდილებას გადმოვიღებთ და დავნერგავთ. არგენტინაში, მაგალითად, არსებობს „სეტყვის გადასახადი" ჰექტრების მიხედვით, აშშ-ში სადაზღვევო კომპანიებთან ხელშეკრულებებს წინასწარ აფორმებენ. სხვადასხვა მიდგომებია. მაგრამ დღეისთვის აქეთკენ არ მივდივართ.

**— განწირულები ვართ?**

— ჯერჯერობით — კი. მაგრამ იმედია, ხვალ ევროპისკენ ფანჯარა გაიჭრება, პროდუქციას გავიტანთ, დაინტერესდებიან სადაზღვევო სისტემით და შესაბამისი ინფრასტრუქტურა ჩვენთანაც შეიქმნება.

**— თუ გახსოვთ, თქვენი სამსახური როგორი ეფექტიანობით მუშაობდა?**

— 80-იანი წლების პერიოდში დაახლოებით 80 პროცენტით ამცირებდა შესაძლო ზარალს. მაშინდელ შესასყიდ ფასებში დაახლოებით 8-დან 18 მილიონამდე მანეთის მოგებას იძლეოდა, გააჩნდა წელიწადს. ლაპარაკია სასოფლო სამეურნეო კულტურებით დაკავებულ 700 ათას ჰექტარზე.

**— ბადეებით ვენახების გადახურვა რატომ არ დაინერგა?**

— იმიტომ, რომ ძალიან ძვირი ჯდებოდა: ერთი ჰექტრის გადახურვაზე დაახლოებით 12-13 ათასი მანეთი იხარჯებოდა. ხოლო სეტყვისგან ერთი ჰექტრის დანაკარგი 180-200 მანეთი იყო. თანაც ეს მეთოდი მთლიანად ავტომატიზებული უნდა იყოს, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში ყურძნის ხარისხის დაქვეითება გარდაუვალია.

### ახლა რაკეტის მსროლელიც არავინ ჩანს

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სეტყვასთან ბრძოლის გასამხედროებული სამსახურის უფროსის მოადგილემ ჟორში თოდუამ უფრო რთული პერსპექტივა დახატა.**

— ძალიან ძნელია ჩვენი სამსახურის აღდგენა, ყველაფერი განადგურებულია და გაჩანაგებული. აპარატურის ნასახიც არ დარჩა, რკინა თუ რამე იყო, ყველაფერი გაყიდულია.

რჩეულიშვილმა იყიდა, მაგალითად, რუისპირის ჩვენი ბაზა. თითქოს უნდა გაეკეთებინა ან სასტუმრო, ან ტურისტული ცენტრი, მაგრამ ტყუილი გამოდგა. რაც იყო, ისიც განადგურდა. არადა, არაჩვეულებრივი ბაზის გაკეთება შეიძლებოდა: იყო შენობები, ვერტმფრენის მოედანი, ომალო აქედან ახლოსაა. შესანიშნავი ტურისტული მარშრუტების ამოქმედება შეიძლებოდა.

**— მაგრამ ჩვენთან ანაკლიის იქით არ იყურებიან: ანაკლია-მესტია.**

— სამწუხაროდ, ასეა. არადა, აქაურობის მიხედვა, თუნდაც ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, შედარებაც არ შეიძლება, ისე იაფი დაჯდებოდა.

**— არც უშბის განათება დაგვჭირდებოდა.**

— ახლა, მითხრეს, ბოცვრები უყიდიათ და ამათ მოშენებას აპირებენო. თუ გააკეთებენ, ესეც კარგია, მაგრამ, რა ვიცი...

**— კახელი გლეხები რას ამბობენ, გვჭირდებაო სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურიო?**

— წამალივითაა, რომელიც გამოგონებულია, მაგრამ რად გინდა, თუ ავადმყოფს დროზე არ მიაშველე?! ასეა ჩვენი საქმე. დიაგნოზი უნდა დასვა — რომელია სეტყვის ღრუბელი. მერე ის წამალი იმ ღრუბლამდე უნდა მიიტანო. მაშინ უშველის. მაგრამ ამის საშუალება დღეს არ არსებობს.

ჩვენი სამსახურის აღდგენისთვის, უწინარეს ყოვლისა, სპეციალისტებია საჭირო, გეოფიზიკოსები, რადიოლოკაციის სპეციალისტები, ისეთები, ვინც ამ საქმეს კარგადაა დაუფლებული. მაგრამ სად არიან ისინი? რაკეტების მსროლელიც არავინ ჩანს. რაკეტებს რუსეთიდან ვიღებდით. მაგრამ გაგიკეთებს რუსეთი ახლა რაკეტებს?! არა, კაცო.

თავის დროზე გავასამხედროეთ ჩვენი სამსახური, უმკაცრესი დისციპლინა გვჭირდებოდა, რადგან, რაც გინდა იყოს, იარაღთან გვქონდა საქმე, რაკეტებთან. რადიოკავშირი მოვაწყვეთ და ა.შ. პრინციპში ყველაფრის აღდგენაა შესაძლებელი, მხოლოდ მონდომებაა საჭირო და ფული. მაგრამ არც ერთია, არც — მეორე. ვენახები კი ისეტყვება.

**— სოფლის მეურნეობის სამინისტროდან თუ დაინტერესებულან, ხომ არ მოუკითხავთ ძველი სპეციალისტები?**

— არა, არა! სადაა სამინისტრო, ვინაა, რა არის?! კვეზერელი რომ იქნება მინისტრი, ის რა სამინისტროა. რა უნდა მოჰკითხო იმას.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

მოკლედ

## ევროკავშირს ცვლილებები არ მოსწონს

**ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების 2010 წლის ანგარიშში წერია, რომ ევროკავშირს საქართველოში საკონსტიტუციო ცვლილებების ტემპი და პროცესი არ აკმაყოფილებს.** „ახალი შესწორებები არ უზრუნველყოფს პარლამენტის მიერ საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებას, რადგან ძალზე გართულებულია პარლამენტის მიერ მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებისთვის აუცილებელი ხმების მოპოვება", – ნათქვამია ანგარიშში.



## ლატვიას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

**ლატვიის სეიმი, როგორც საპარლამენტო რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანო, თავად ირჩევს ქვეყნის პრეზიდენტს. ამჯერად ლატვიის პრეზიდენტად ყოფილი ბანკირი ანდრის ბერზინში აირჩიეს.** ბერზინშმა 53 ხმა მოიპოვა. გასამარჯვებლად კანდიდატს 100 ხმიდან უმრავლესობა სჭირდებოდა. ბერზინშის მეტოქე ლატვიის მოქმედი პრეზიდენტი ვალდის ზატლერსი იყო. კანდიდატებმა პირველ ტურში საჭირო ხმები ვერ მოაგროვეს, ამიტომ მეორე ტური დაინიშნა.




**მასონები ვერ იტანენ დიქტატორებს იმიტომ, რომ რომის დიქტატორმა კონსტანტინე დიდმა მე-4 საუკუნეში ქრისტიანულ რელიგიას სახელმწიფო სტატუსი მიანიჭა. დარიოსმა (სპარსეთის დიქტატორმა) მსოფლიო მოსახლეობას ჯერ კიდევ ქრისტეს მოსვლამდე მოუწოდა, ელიარებინათ მამა ღმერთი, ერთადერთი, იეღოვა (დანიელის შთაგონებით). გერმანიის რაიხს-კანცლერმა ბისმარკმა სახელმწიფო მმართველობის სისტემიდან მასონები განდევნა. ყველა დროის უდიდესმა დიქტატორმა სტალინმა კი მასონთა სატანური გეგმების განხორციელების შესაძლებლობები მინიმუმამდე დაიყვანა და, რომ დასცლოდა, დღეს ასე ვერ იპარპაშებდნენ ისინი.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ჩვენ არ ვიცით, ვის ვებრძოლოთ!

## დასავლეთი მარტო საბჭოთა კავშირის დანგრევით არ შემოიფარგლა. მისი საბოლოო მიზანი მართლმადიდებლობის განადგურებაა

**დღეს საქართველოში დარჩენილი მოსახლეობა (გარდა მთავრობის შემადგენლობისა, პარლამენტის წევრებისა, ძალოვანი სტრუქტურებისა, ინტელიგენციის მოსყიდული ნაწილისა და გაბრიყვებული რიგითი მოქალაქეებისა, რომლებიც თვალებში შესციცინებენ სააკაშვილს და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ) დარწმუნებულია, რომ ასეთ მდგომარეობაში მხოლოდ სააკაშვილის მმართველობამ ჩაგვაგდო. ვცდილობთ, მოვიცილოთ იგი მთელი თავისი შემადგენლობით, უფრო სწორად, ვცდილობდით. ახლა ულიმღამო ოპოზიციის ძალისხმევით ბრძოლისუნარიანობა დაგვიქვეითდა, ნიჰილიზმმა მოიცვა ჩვენი აზროვნება. ყოველდღიურად რომ უარესდება ჩვენი საყოფაცხოვრებო პირობები, ამას ვგრძნობთ და წუწუნით ვიოხებთ გულს.**

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, უფალს რომ ვშორდებით, ამას ვეღარ ვგრძნობთ; მაგალითად: არანაირ პროტესტს არ გამოვთქვამთ სახელმწიფო და კერძო ტელემაუწყებლობის მიმართ, რომლებიც გარყვნილი ტელესერიალებით, უხამსი ტელეშოუებით უფალს აცილებენ ახალგაზრდობას.

შედეგიც სახეზეა: სანთლით საძებნელი გახდა ნორმალურად ჩაცმული ქალი და კაცი. დადიან თითქმის შიშველნი, ჭიპგამოჩენილი გოგოები, დასავლური მიხვრა-მოხვრითა და გაცინების სამხრეთ აფრიკული მანერებით (როცა პირს იმდენად დააღებენ, რომ კბილებს „გადმოყრიან“ და საყლაპავ მილს გამოაჩენენ). სიამოვნებით ვუყურებთ სუხიშვილისა და რამიშვილის შთამომავლების მიერ დამახინჯებულ ქართულ ნაციონალურ ცეკვებს, რომლებშიც ქართველი ქალის ღირსება და კდემამოსილება იმდენად შეურაცხყოფილია, რომ თვით აფრიკელსაც კი, თუ ადრე უნახავს, ამჟამად ზიზღს მოჰგვრის. აბა, რას მივაწეროთ ის, როცა ქართველი მანდილოსანი სატანური მიმიკებით, ტლინკების ქნევითა და ტანის სექსუალური მოძრაობებით ასე შეურაცხყოფს ჩვენს ეროვნულ ღირსებას?!

**ჩვენ, რომ ვგრძნობდეთ ჩვენზე უფლისგან დაკისრებულ ვალდებულებას, ღვთისმშობლის წილხვედრობიდან გამომდინარე, ასეთ სავალალო მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით.**

**სააკაშვილი სასჯელია უფლისა, ჩვენი სულიერი სიღარიბის გამო, შედარებით ნაკლები სასჯელი იყო გამსახურდიასა და შევარდნაძის მმართველობები. გვსჯის უფალი, რომ მისგან მომადლებულ ნიჭსა და ენერგიას სატანის სამსახურში ვხარჯავთ.**

ოცი საუკუნეა, თალმუდისტები (შემდეგში მასონები) ებრძვიან მართლმადიდებლობას, გვებრძვიან ჩვენც, მაგრამ ღვთისმშობლის მფარველობით დღემდე მოვედით. დღეს კი, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქართველი ხალხის აქტიური ნაწილი მტრის მხარეზე გადავიდა და ქართული სახელმწიფოებრიობა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დასვა.

**იბადება კითხვა: რამ განაპირობა ქართველი ხალხის ტრაგიკული დღევანდელობა?**

**ანტირუსულმა ისტერიამ(!),** რომელსაც საფუძველი მე-19 საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა, მიზეზად სახელდება გეორგიევსკის ტრაქტატის გაუქმება, რამაც რუსეთს საშუალება მისცა, ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარეულიყო. ეს ჩვენთვის, რუსეთის ნებით თუ უნებლიეთ, სასარგებლო გახდა. რადგან ქართველი ტყვეებით ვაჭრობა აღიკვეცა, რუსეთმა დაუბრუნა საქართველოს ოსმალებისა და ირანელების მიერ მიტაცებული ტერიტორიების დიდი ნაწილი. ასევე, ჩვენს ახალგაზრდობას საშუალება მიეცა, სწავლა-განათლება მიეღოთ რუსეთისა და ევროპის პრესტიჟულ სასწავლებლებში.

იმის მტკიცება, რომ საქართველო რუსეთის კოლონია იყო, ღიმილის მომგვრელია. ფაქტია, საქართველოში ბევრად უკეთესად ცხოვრობდნენ, ვიდრე რუსეთში. მე, თქვენს მონა-მორჩილს, **მოვლილი მაქვს მთელი რუსეთის ფედერაცია, გასული საუკუნის 50-იანი წლების დასასრულიდან, საბჭოთა კავშირის დანგრევამდე და არსად შემხვედრია ქართველი, რომელიც არ იყო თანამდებობის პირი და ე.წ. კანონიერი ქურდი. ფაქტია, რომ რუსეთმა საქართველოს შეუნარჩუნა ეროვნულობა და სარწმუნოება. ამიტომ მათ ერთმანეთთან არაფერი აქვთ წამოსაყვედრებელი.**

ანტირუსული ისტერიით შეპყრობილნი კი მხოლოდ მისგან მიყენებულ ტკივილებზე ამახვილებენ ყურადღებას. მტკივნეულია ჩვენთვის აფხაზეთისა და ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მიერ, რადგან ნატოში შესვლის შესაძლებლობა მოგვესპო. იმას კი ვერ ვხვდებით, ნატოში შესვლა ჩვენი ქვეყნისთვის დაღუპვის წინაპირობა რომაა!

**სტალინის სიძულვილმა.** კაცობრიობის ისტორიაში სტალინის დარი სახელმწიფო მეთაური არ მოიძებნება, ყოველი ერი იამაყებდა მისით. ჩვენდა საზიანოდ და კაცობრიობის მტრების საამებლად, დღეს მასზე უსაზღვრო სიძულვილს ვავლენთ და უაზროდ ვყრანტალებთ უნამუსო ცილისმწამებლურ ვერსიებს, რომლებსაც დასავლეთი ცხვირში გვტენის და აზროვნებადეფორმირებულები ამას ვერ ვხვდებით.

**კაპიტალიზმმა.** წარსულში ქართველი ხალხი, თავისი რაინდული სულიდან გამომდინარე, ვერ იტანდა ჩარჩებსა და ვაჭრებს. გავიხსენოთ ყარაჩოღელების დამოკიდებულება კინტოებისადმი. ადრე ჩვენთვის დამახასიათებელი იყო პირდაპირობა, შრომის სიყვარული და ბრძოლისუნარიანობა. კაპიტალიზმის დამღუპველობა კი სადავო აღარ არის!

**დემოკრატიამ.** ეს ანტიმართლმადიდებლური უსაზიზღრესი მცნებაა. დემოკრატიამ ქრისტე ჯვარზე გააკრა და კაცობრიობას ჯოჯოხეთისკენ მიერეკება. მისი მიზანი — ხალხის ბრბოდ გადაქცევაა, ბრბო კი ადვილი სამართავია ბოროტის მიერ. ჩვენდა საუბედუროდ, ქართული პოზიცია და ოპოზიცია დემოკრატიის ქება-დიდებას ყბადაღებულნი გაჰყვირიან და ხელს უწყობენ მის აღზევებას. მჯერა „კეთილისმყოფელი ნიღბიანი“ უცხოელებისა, დემოკრატია ჩვენთან ნამდვილად ყვავის!

**მასონები ვერ იტანენ დიქტატორებს იმიტომ, რომ რომის დიქტატორმა კონსტანტინე დიდმა მე-4 საუკუნეში ქრისტიანულ რელიგიას სახელმწიფო სტატუსი მიანიჭა. დარიოსმა (სპარსეთის დიქტატორმა) მსოფლიო მოსახლეობას ჯერ კიდევ ქრისტეს მოსვლამდე მოუწოდა, ელიარებინათ მამა ღმერთი, ერთადერთი, იეღოვა (დანიელის შთაგონებით). გერმანიის რაიხს-კანცლერმა ბისმარკმა სახელმწიფო მმართველობის სისტემიდან მასონები განდევნა. ყველა დროის უდიდესმა დიქტატორმა სტალინმა კი მასონთა სატანური გეგმების განხორციელების შესაძლებლობები მინიმუმამდე დაიყვანა და, რომ დასცლოდა, დღეს ასე ვერ იპარპაშებდნენ ისინი.**

დიქტატორმა სტალინმა შექმნა მძლავრი იმპერია, რომელიც მასონების მიერ პროლეტარიატის დიქტატურის დასამკვიდრებლად იყო გამიზნული. პროლეტარიატის დიქტატურა იგივე დემოკრატიაა. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, ბუხარინი, კამენევი და სხვები მასონთა ლოჟის, ილუმინატთა ორდენის აქტიური წევრები იყვნენ. ისინი მოუწოდებდნენ პროლეტარებს, დაენგრიათ მართლმადიდებლური ტაძრები და სამლოცველოები. ახორციელებდნენ რეპრესიებს; ანადგურდებოდნენ საზოგადოების შესანიშნავ წარმომადგენლებს. დღეს ამას მხოლოდ სტალინს მიაწერენ. სინამდვილეში კი სტალინმა ტროცკისტების სალიკვიდაციოდ გაატარა რეპრესიები და შეძლო მათი პარპაშის ალაგმვა.

სტალინი 1937 წლიდან გახდა ერთპიროვნული სახელმწიფო დიქტატორი და საბჭოთა კავშირმა დაიწყო გაძლიერება, გაუმჯობესდა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები, რამაც მოთმინება დააკარგვინა მასონურ დასავლეთს და 1941 წელს ნაცისტური გერმანია აუმხედრა საბჭოთა კავშირს. გერმანიის დამარცხების შემდეგ საბჭოეთმა კვლავ დაიწყო აღმავლობის გზით მსვლელობა. ამიტომ საჭიროდ ჩათვალა დასავლეთმა სტალინის ლიკვიდაცია. სტალინის სიკვდილის შემდეგ, ხრუშჩოვის ავტოკრატიულმა მმართველობამ საბჭოთა კავშირში დემოკრატია განავითარა, რამაც განაპირობა მისი დაშლა-დანგრევა. ხოლო საქართველო, „აქტიური დემოკრატიული შუქურა“, ნანგრევებში მოექცა და, როგორც სახელმწიფო, სულს ღაფავს.

**ვისაც სინდის-ნამუსი გააჩნდა და სტალინის ეპოქის დასაწყისიდან (1937 წ.) — დამთავრებამდე (1953 წ.) შრომობდა და საქმიანობდა საბჭოთა სახელმწიფოში, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, მოუთხრობდა მომავალ თაობებს მის ავ-კარგზე, გონიერი მსმენელისთვის ადვილი მისახვედრი გახდა, რომ ნაკლი განპირობებული იყო პროდასავლური, ანტიმართლმადიდებლური განწყობის მქონე ინდივიდების მოქმედებით, რომელთა ლიკვიდაციამ ფაშიზმის რისხვას განარიდა მსოფლიო.**

საბჭოთა კავშირში დაკანონებული იყო უფასო სწავლა-განათლება, სამედიცინო მომსახურება, სტაბილური, კალკულაციური სასაქონლო ფასები, არ იყო უმუშევრობის პრობლემა.

**დასავლური ცხოვრების წესების გაფეტიშებამ.** დასავლეთი, რომ გარყვნილების წუმპეა, ამის უარყოფა გარყვნილებაზე უარესია. მაგრამ უმეტესობის ცნობიერებაში მისგან არც განრიდების მცდელობა და არც სურვილი, პირიქით — მიელტვიან მას, განსაკუთრებით ქალები აქტიურობენ და დიდ მიმბაძველობასაც იჩენენ.

**ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა და მისდამი ნოსტალგიამ.** გამსახურდია რომ დისიდენტური მოძრაობიდან მოდიოდა და დასავლეთიდან იმართებოდა, უპირისპირდებოდა საბჭოთა კავშირის ერთიანობას და ცდილობდა მის დაშლა-დანაწევრებას, ვინც ამას უარყოფს, ის მართლმადიდებლური ზნეობისგან შორს მყოფება ან გონებადეფორმირებულია.

გამსახურდია ერისკაცობის ტიტულს ეპოტინებოდა, მაგრამ წინდაუხედავი მოქმედებით ძნელად დასაძლევი დაბრკოლებები შეუქმნა ჩვენს ერსა და ქვეყანას. მიცვალებულს არ განიკითხავენ, მაგრამ, როცა მან ამდენი ზიანი მოგვაყენა, მასზე ნოსტალგია არაა საჭირო!

**დასავლეთი მარტო საბჭოთა კავშირის დანგრევით არ შემოიფარგლა. მისი საბოლოო მიზანი მართლმადიდებლობის განადგურებაა, რისთვისაც ბრძოლის სხვადასხვა ხერხებს მიმართავს. მისი სამიზნეებია: საქართველო, რუსეთი, უკრაინა, საბერძნეთი და სხვ.**

ებრძვის ყველა დროის უდიდეს სახელმწიფო დიქტატორს, სტალინს. საუბედუროდ, ჩვენც ვებრძვით სტალინს და იმის შეგნება არ გვაქვს, რომ სტალინს ვერავინ დაამარცხებს, მასთან მებრძოლი ყველა განწირულია მარცხისთვის.

ჩვენ ვებრძვით რუსეთს, რომელმაც შეგვანარჩუნებინა სარწმუნოება, ეროვნულობა და კულტურა. დღესაც რუსეთის ფედერაციაში დასაქმებულია მილიონამდე ქართველი და საარსებო საშუალებებს აწვდის თავის ახლობლებს საქართველოში.

ვებრძვით ქართულ ზნე-ჩვეულებებს, ეროვნულ ღირსებებსა და მართლმადიდებლობას.

ამას ვაკეთებთ ჩვენი მტრების გასახარად. **ვგრძნობთ ჩვენს უმწეო მდგომარეობას და იმედის თვალით შევყურებთ ამერიკას, ევროკავშირს, ნატოს, გაეროსა და სხვებს და იმის აზრი არ გვაქვს, რომ ჩვენი ამ მდგომარეობაში ჩაყენება მათი სურვილი იყო და შეისრულეს.**

იმისათვის, რომ არ აღმოვჩნდეთ გადაშენებული ერების სიაში, საჭიროა, გავარჩიოთ, ვინ არის ჩვენი მტერი და ვინ — მოყვასი... მოკეთე. ნუ გავიხდით მტრად მას, ვისაც შეუძლია ჩვენი გადარჩენა. **შევებრძოლოთ დასავლური სახელმწიფო მმართველობის ანტიმართლმადიდებლურ კანონებს. ქვეყნისა და ხალხის ბედი ვანდოთ არა დასავლეთიდან შემოგდებულ ვიგინდარებს, არამედ ჩვენი ერის ღირსეულ შვილებს. უარვყოთ ერთ და მრავალპარტიულობა, შევქმნათ ეროვნული წარმომადგენლობითი საბჭო, რომელიც ლიდერს თვითონ აირჩევს ღია კენჭისყრით.**

ღვთისმშობლის შემწეობითა და უფლის ნებით, გადავრჩებით და გავბრწყინდებით. ვინც ამას პრორუსულობაში ჩამომართმევს, ის ერის მოღალატე და ანტიქართველია.

**ჩვენთან არს ღმერთი, ამინ!**

**ისმაილ ახალაძე,**
სამტრედია.

მოკლედ

## „ძალით ვერაფერს გავხდებით!“

„ძალით ვერაფერს გავხდებით!“ – განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ბულგარელ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე და დასძინა, რომ ნატოს მიერ ლიბიაში სამხედრო ოპერაციების გაგრძელება სასურველ შედეგს ვერ მოიტანს. „ლიბიაში განახლდა დაბომბვები, ამასთან – ჩვეულებრივზე ბევრად უფრო ინტენსიურად. აღსანიშნავია, რომ დაიბომბა ის ობიექტები, რომელთა შეტანაც რთულია რეზოლუცია 1973-ის ჩარჩოებში“, – განაცხადა მინისტრმა.



## რუსეთმა ევროკავშირის ბოსტნეული აკრძალა

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთმა ბოსტნეულის შეტანა ევროკავშირის უკლებლივ ყველა ქვეყნიდან აკრძალა. ამის მიზეზი ბოსტნეულში გავრცელებული ის მომაკვდინებელი ბაქტერია გახდა, რომელმაც ევროპაში უკვე 16 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ორიოდე დღის წინათ რუსეთმა გერმანიიდან და ესპანეთიდან ბოსტნეულის იმპორტი შეაჩერა, ახლა კი აკრძალვა ევროკავშირის ყველა ქვეყანაზე გავრცელდა.

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ახალი მსოფლიო წესრიგი ანგრევს სამთავრობო აპარატებს, მიმდინარეობს შერწყმა გაერთიანებულ ერებად, რაც ერთიანი მსოფლიო მმართველობის შექმნისკენ მიდის, მსოფლიო მმართველობისა, რომელიც მიისწრაფვის, ჩიპიზაციის გზით მსოფლიოს მთელ მოსახლეობაზე სრული კონტროლი დაამყაროს. იგი იმასაც ამბობდა, რომ მიწისქვეშა სამხედრო ბაზები არა მხოლოდ თავშესაფარს წარმოადგენს სუპერთანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით ექსტრემალური შემთხვევებისთვის, არამედ ეს არის ბაზები, რომლებზეც დამონტაჟებულია ადამიანების ცნობიერების მართვისთვის საჭირო უახლესი აპარატურა, ამინდის მართვის დანადგარები და უმძლავრესი გამანადგურებელი იარაღი.**

# HAARP – კლიმატური იარაღი, ანუ ამინდის გამოყენება სამხედრო მიზნებისთვის

დასასრული. დასაწყისი იხ. №10-19.

**პირველად ამინდზე ხელოვნური ზემოქმედება 1946 წელს განხორციელდა. მაშინ ამერიკელმა ქიმიკოსმა ვინსტონ შატერმა თვითმფრინავიდან კილოგრამ-ნახევარი მშრალი ყინული გადმოყარა, რამაც თოვლის მოსვლა განაპირობა. ნალექების პროვოცირების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ღრუბლებში თვითმფრინავის, რაკეტების ან ჭურვების საშუალებით იფანტება სპეციალური რეაგენტები — ვერცხლის, მშრალი ყინულის ან ჩვეულებრივი ცემენტის შენაერთები. ისინი იზიდავს სისველეს, რომელსაც ატმოსფერო შეიცავს, მძიმდება და შემდეგ წვიმის ან სველი თოვლის სახით მოდის. აშშ-ში 40-იანი წლების დასასრულს ნალექების ხელოვნურად გამოწვევის შესაძლებლობათა ნამდვილი ბუმი იყო. კომერციული ფირმები პირდაპირ სთავაზობდნენ ფერმერებს კლიმატურ მომსახურებას. ბუნებრივი სტიქიის კოლოსალური ძალა შეიძლებოდა მასობრივი განადგურების იარაღად ქცეულიყო.**



**2005 წლის აგვისტოში მასმედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ თურქულ პორტ ისკენდერუნში ყველაზე დიდი ხომალდი აიგება. პროექტს 60-ზე მეტი ევროპული და ამერიკული ფირმისგან შემდგარი საერთაშორისო კონსორციუმი აფინანსებს. რეკორდსმენი გემის „თავისუფლების ქალაქის" ზომები მართლაც შთამბეჭდავია. მისი სიგრძე 417 მეტრია, სიგანე კი – 246, წყალზედა ნაწილის სიმაღლე 115 მეტრს აღწევს. „თავისუფლების ქალაქი" 4-ჯერ აღემატება ამჟამად მსოფლიოში არსებულ ყველაზე დიდ გემს. პროექტის ღირებულება მილიარდ დოლარადაა შეფასებული. მცურავი გემი ბორტზე 108 ათას მგზავრს დაიტევს. მის გადაადგილებას უზრუნველყოფს ბირთვული დანადგარი და ათი ძრავი. გემზე ბილეთი 1 მილიონი დოლარი ეღირება.**

**ჩნდება კითხვა: რა საჭიროა ახალი გიგანტური ტიტანიკის მშენებლობა? მაგრამ „თავისუფლების ქალაქის" ერთადერთი ღირსება უმალ თვალშისაცემია – გემს შეუძლია ძალიან დიდხანს დარჩეს ოკეანეში ისე, რომ ბორტზე საკვებისა და სასმელი წყლის დეფიციტი არ შეიქმნას. ჩნდება ლოგიკური დასკვნა, რომ ეს არის ახალი თავშესაფარი, რომელიც მგზავრებს საშუალებას მისცემს, გადაურჩნენ პერიოდს, რომლის დროსაც ხმელეთზე, სიკვდილისა და ქაოსის გარდა, აღარაფერი იქნება რომელიმე ტექნოგენური ან ბუნებრივი კატასტროფის წყალობით.**

**მსოფლიო ელიტის გეგმების ერთ-ერთი გასაიდუმლოებული პუნქტი, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მიწისქვეშა ბაზების მშენებლობას ითვალისწინებს.**

**ფილ შნეიდერი,** ***ცნობილი სამხედრო გეოლოგი:***



**– ვფიქრობდი, რომ სამშობლოს ვემსახურებოდი და სამხედრო ფიცს ვასრულებდი, მაგრამ ყველაფერი სულ სხვაგვარად შემოტრიალდა. როდესაც გავიგე, რომ სამხედრო ბაზები საიდუმლო მიზნებისთვის უნდა გამოეყენებინათ, გადავწყვიტე, სამხედრო სამსახური მიმეტოვებინა, მაგრამ საიდუმლო სამსახურიდან წასვლა ამიკრძალეს. ჯერ სამი კვირით დამაპატიმრეს, მერე კი გამათავისუფლეს, რადგან მამა მყავდა მომაკვდავი. შემდეგ იქ აღარ დავბრუნებულვარ.**

17 წლის მანძილზე ამ ადამიანმა 13 მიწისქვეშა ობიექტზე იმუშავა. შნეიდერის თქმით, 1995 წლისთვის აშშ-ში 131 მიწისქვეშა ბაზა არსებობდა. ჯერ კიდევ 1995 წელს იგი ამბობდა, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი ანგრევს სამთავრობო აპარატებს, მიმდინარეობს შერწყმა გაერთიანებულ ერებად, რაც ერთიანი მსოფლიო მმართველობის შექმნისკენ მიდის, მსოფლიო მმართველობისა, რომელიც მიისწრაფვის, ჩიპიზაციის გზით მსოფლიოს მთელ მოსახლეობაზე სრული კონტროლი დაამყაროს. იგი იმასაც ამბობდა, რომ მიწისქვეშა სამხედრო ბაზები არა მხოლოდ თავშესაფარს წარმოადგენს სუპერთანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით ექსტრემალური შემთხვევებისთვის, არამედ ეს არის ბაზები, რომლებზეც დამონტაჟებულია ადამიანების ცნობიერების მართვისთვის საჭირო უახლესი აპარატურა, ამინდის მართვის დანადგარები და უმძლავრესი გამანადგურებელი იარაღი.

ამგვარი ბაზების საშუალო სიღრმე კილომეტრ-ნახევარს აღწევს. ეს ნამდვილი სამხედრო ქალაქებია, რომელთა ფართობი 4-დან 7-მდე






კვადრატული კილომეტრია. მშენებლობისთვის გამოიყენება უზარმაზარი ლაზერული საბურღი მანქანები, რომლებსაც გვირაბები დღეში 11 კილომეტრის სისწრაფით გაჰყავს. ზოგიერთ მიწისქვეშა ბაზას უზარმაზარი გამოქვაბულები აქვს. თავის ლექციებში შნეიდერი ამბობდა, რომ გვირაბების ქსელი აერთიანებს ყველა ბუნკერს. თითოეულ თავშესაფარს უერთდება ორი ტიპის გვირაბი. პირველი ტიპის გვირაბებს წარმოადგენს ჩვეულებრივი ვიწრო ორზოლიანი გვირაბი, სატრანსპორტო გვირაბები კი აღჭურვილია





უდიდესი სისწრაფით მოძრავი ელექტრონული მატარებლების სისტემით. ზოგიერთი მატარებელი განკუთვნილია პატიმართა გადასაყვანად და მათში 147 ადგილი აღჭურვილია შესაბამისი აპარატურით.

ბაზებზე არის საკვები პროდუქტებისა და ყველა აუცილებელი ნივთის უდიდესი მარაგი. სპეციალური მიწისქვეშა მინდვრებიდან ბაზები ბოსტნეულითა და სხვა კულტურებით მარაგდება. ბაზების ქსელი განკუთვნილია ელიტის წარმომადგენელთათვის იმ შემთხვევისთვის, თუ დედამიწაზე ბუნებრივი კატაკლიზმები მოხდება. ბაზებში არის ჩვეულებრივი ქალაქის სრულყოფილი ინფრასტრუქტურა სახლებით, ქუჩებით, ტროტუარებით, წყლის გაყვანილობით, ელექტროგაყვანილობით, რესტორნით, საავადმყოფოებით, მაღაზიებით, ტრანსპორტის, ნაგვის უტილიზაციის სისტემებით.

მხოლოდ 1995 წელს ფილ შნეიდერმა წაიკითხა 30-ზე მეტი ლექცია, 2006 წელს კი უკიდურესად გაურკვეველ გარემოებებში გარდაიცვალა. გამომძიებელი რიჩარდ საუდერი თავის წიგნში მიწისქვეშა და წყალქვეშა ბაზებსა და გვირაბებზე საუბრობს. იგი ირწმუნება, რომ, აშშ-ის გარდა, მსგავსი ბაზები აქვს ჩინეთს, რუსეთს, ინგლისს, ავსტრალიას, საუდის არაბეთსა და ისრაელს. ▶



**მსოფლიო ელიტას საერთოდ არ ადარდებს ჩვენი ახლობელი ადამიანების სიკვდილი. მათ ადამიანური გრძნობები არ გააჩნიათ და ჩვენ მხოლოდ მკვდარ მდგომარეობაში ვჭირდებით. ამიტომ მათ შეუძლიათ და მომავალშიც განაგრძობენ ამინდით მანიპულირებას. სწორედ მსოფლიო მმართველობის ჭრილში იძენს ლოგიკას უამრავი ფაქტი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ხდება და ერთი შეხედვით აბსოლუტურად აბსურდულად გამოიყურება.**

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**ლეონიდ ივაშოვი**, *გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-პოლკოვნიკი:*

**– გესმით, რა მდგომარეობამდეა მისული კაცობრიობა? ორი ათასი წლის წინათ ან უფრო ადრეც, მაგრამ მე საზომად იესო ქრისტეს პერიოდს ავიღებ, ადამიანები ოცნებობდნენ, რომ ფულს შეესრულებინა არა ის ფუნქცია, რომელსაც ის ასრულებდა (განვითარებისთვის, ეკონომიკის, განათლების ან სხვა სფეროებისთვის ხელშეწყობა), არამედ ძალაუფლების ინსტრუმენტად ქცეულიყო. დღეს მსოფლიო ფულის მფლობელები – მსოფლიოს საბანკო, ჩრდილოვანი ფინანსური ქსელი – ძალზე ახლოსაა ამ მრავალსაუკუნოვანი ოცნების ასრულებასა და ფულის საშუალებით მსოფლიო ბატონობის მოპოვებასთან. იმისათვის, რომ გადამწყვეტი ნაბიჯი გადაიდგას, საჭიროა ხალხები და სახელმწიფოები მივიდნენ ისეთ მდგომარეობამდე, რომ მათ გაითავისონ და გაიზიარონ ჰუმანიტარული მანიფესტი, რომლის თანახმადაც მთელი ნაციონალური სიმდიდრე, სარაკეტო ტექნიკა, კოსმოსური ტექნიკა, ნახშირწყალბადის მარაგები და საერთოდ, ყველაფერი, რაც რომელიმე ხალხს ან სახელმწიფოს გააჩნია, მსოფლიო მმართველობას უნდა გადაეცეს. მაგრამ რას წარმოადგენს მსოფლიო მთავრობა? ესენი არიან პლანეტის ყველაზე მტაცებელი, ყველაზე ხარბი და გაუმაძღარი ადამიანები. სწორედ ამის გამო მიჰყავთ კაცობრიობა შიმშილამდე, გვალვებამდე, კრიზისებამდე და ასე შემდეგ, რომ ადამიანებმა თქვან – შეგვქმენით, რაც გინდათ, ოღონდ არ იყოს შიმშილი, გვალვა, წყალდიდობა და ასე შემდეგ.**






**სერგეი კომკოვი**, *პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო დუმის ექსპერტი განათლების საკითხებში:*

**– ჩვენ ნელ-ნელა, მაგრამ მიზანმიმართულად მივიწევთ იმისაკენ, რომ აშშ-ის სარეზერვო ტერიტორიად ვიქცეთ. ის ყველაფერი, თუ როგორ მიმდინარეობს ჩვენი ხალხის გამრავლება, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების გენოციდი, როგორ ანადგურებენ ჩვენს კულტურულ ღირებულებებს, ტრადიციებს, ფესვებს, მოხუცებს და ის, თუ რამდენად ღიად და სპეციალურად კეთდება ეს ყოველივე, ადასტურებს, რომ აბსოლუტურად გამიზნულად ხორციელდება გეგმა, რომლის მიხედვითაც რუსეთი სარეზერვო ტერიტორიად უნდა იქცეს, ანუ მთელი ტერიტორია უნდა გათავისუფლდეს მომავალი მფლობელებისთვის. საქმე ისაა, რომ 1948 წელს აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭომ მიიღო დირექტივა რუსეთთან დაკავშირებით. ამ დირექტივაში 37 გვერდზე ყველაფერი გარკვევით, პუნქტობრივად არის გაწერილი, თუ რა უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ რუსეთმა, როგორც სახელმწიფომ, შეწყვიტოს არსებობა. ჩამოყალიბებულია, თუ რა არის გასაკეთებელი საგარეო ურთიერთობებში, ქვეყნის შიგნით, კულტურის მიმართულებით, განათლების სფეროში და ასე შემდეგ. 2148 წლისთვის რუსეთში, უბრალოდ, აღარ უნდა არსებობდეს რუსი ხალხი. მთელ მოსახლეობას უნდა შეადგენდეს საიდანღაც შემოყვანილი ხალხები, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ ნამდვილ მეპატრონეებს,მაგრამ ეს ნამდვილი მეპატრონეები ამერიკელები არ იქნებიან. ამერიკელები იქნებიან მხოლოდ დაქირავებული მენეჯერები, რომლებიც მსოფლიო მთავრობას ემსახურებიან.**




**ლეონიდ ივაშოვი:**

**– ისმის კითხვა: როგორ უშვებს ამას ჩვენი ხელისუფლება? მაგრამ მე არ ვიცი, რა იგულისხმება ტერმინში „ჩვენი ხელისუფლება“. ერთის მხრივ, ეს არის ჩვენი ოლიგარქების ინტერესების დამცველი ხელისუფლება; მეორეს მხრივ კი, – ერთ-ერთი დაქვემდებარებული ელემენტი მსოფლიო ფინანსური ოლიგარქიის სისტემაში. ამიტომ იმაზე საუბარი, რომ ვინმე დაიცავს ჩვენს ნაციონალურ ინტერესებს, ზედმეტია. ხელისუფლებებს ამის ნებას არავინ მისცემს. ის, რომ დღეისთვის თანამედროვე განვითარების ინსტიტუტი არის გონებრივი ცენტრი, რომელმაც პრეზიდენტი მიმართა იმისაკენ, რომ ჩვენ უნდა შევიდეთ ნატოში, უკვე ამის დადასტურებაა. იმის თქმა, რომ ჩემმა ხელისუფლებამ ხელი მოაწერა შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ ჩვენ ვიჯაჭვებთ ისრაელის სასარგებლოდ და მას გადავცემთ სადაზვერვო ინფორმაციას ირანისა თუ არაბეთის ქვეყნების შესახებ, უაზრობაა. ეს ჩემი ხელისუფლება არაა.**



**ვლადიმერ ნიკიტინი**, *პოლიტოლოგი, რუსეთის სახელმწიფო დუმის დეპუტატი:*

**– ახლა, 21-ე საუკუნეში, მსოფლიო ელიტას ოქროს მილიარდი ჰქვია. იმისათვის, რომ ამ მსოფლიო მილიარდმა უპრობლემოდ იცხოვროს, ნამდვილად არსებობს პროგრამა მსოფლიოს ზედმეტი მჭამელებისაგან გათავისუფლების შესახებ. ამ პროგრამაში ძალზე გარკვევითაა გაწერილი, რომ იმავე რუსეთში 140 მილიონიდან 90 მილიონი ზედმეტია და ისინი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაქრნენ. საერთო ჯამში, მილიარდობით ადამიანის განადგურებაა საჭირო.**



**ალექს ჯონსი**, *ჟურნალისტი:*

**– კოპენჰაგენის სამიტის შესახებ გაეროს ანონსებში ნათქვამი იყო, რომ ეს იქნებოდა ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა და გენერალური მდივანი პან გი მუნი აცხადებდა, რომ სამიტი მსოფლიო მთავრობის ან გლობალური მმართველობის შექმნაში გადაიზრდებოდა. დევიდ როშელი ასევე გამოდიოდა სიტყვით და აცხადებდა, რომ მსოფლიო მთავრობის შექმნას აპირებდნენ. იყვნენ სხვებიც, რომლებმაც ბრძანეს, რომ ეს ჭეშმარიტი მსოფლიო მთავრობის პირველი წელი იქნებოდა და რომ ნახშირბადის გამოყოფაზე გადასახადების სისტემა ამ მთავრობის საფუძვლად დადებულ მექანიზმად იქცეოდა.**

ელ გორი ამბობდა, რომ ცვლილებების განხორციელების ერთ-ერთი საშუალება მსოფლიო მმართველობა იქნება. ჰერმან ვან რამპუი ამბობდა, რომ 2009 წელი არის მსოფლიო მართვის პირველი წელი დიდი ოცეულის შექმნით ფინანსური კრიზისის პირობებში და რომ კოპენჰაგენში კლიმატთან დაკავშირებული კონფერენციის გამართვა პლანეტის გლობალური მართვისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

**ალექს ჯონსი:**

**– მსოფლიოსთვის ცნობილი გახდა ეგრეთ წოდებული დანიური ტექსტი, რომელშიც საუბარია მესამე მსოფლიოს ქვეყნებისთვის გადასახადების გაორმაგებაზე, რათა სამუდამოდ გაიყინოს მათი ეკონომიკური განვითარება და სიღატაკეს ვერ გასცდნენ, რათა მსოფლიო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა მუდმივად ვალებში ამყოფონ. ეს უკვე სიკვდილით დასჯაში გადაიზარდა – მესამე მსოფლიოს ქვეყნებში ყოველწლიურად 15 მილიონი ადამიანი კვდება შიმშილით. 100 მილიონზე მეტი ადამიანი შიმშილობის ზღვარზეა. წარმოიდგინეთ იმ გენოციდისა და მკვლელობების მასშტაბი, რომელზეც ვსაუბრობთ. ორგანულ საწვავზე, არა მხოლოდ ნავთობზე, არამედ გაზზეც 20%-იანი მოსაკრებელი ხომ ხელისუფლების მასშტაბური მითვისებაა, როგორც პან გი მუნმა ბრძანა, მსოფლიო მმართველობის დამყარებაა. იგი ინტერვიუში „ლოს ანჯელეს თაიმსს“ პირდაპირ ეუბნება, რომ მსოფლიო მმართველობას ძალით დაამყარებს.**

მსოფლიო ელიტას საერთოდ არ ადარდებს ჩვენი ახლობელი ადამიანების სიკვდილი. მათ ადამიანური გრძნობები არ გააჩნიათ და ჩვენ მხოლოდ მკვდარ მდგომარეობაში ვჭირდებით. ამიტომ მათ შეუძლიათ და მომავალშიც განაგრძობენ ამინდით მანიპულირებას. სწორედ მსოფლიო მმართველობის ჭრილში იძენს ლოგიკას უამრავი ფაქტი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ხდება და ერთი შეხედვით აბსოლუტურად აბსურდულად გამოიყურება. ოჯახის ინსტიტუტის ნგრევა, ცხოველური სიამოვნებების კულტი, აბორტების, კონტრაცეფციის, სოდომიზმისა და სხვა გარყვნილებათა, ნარკოტიკებისა და სატანიზმის პირდაპირი თუ ფარული პროპაგანდა, სქესობრივი აღზრდის სასკოლო პროგრამები, საყოველთაო ვაქცინაცია, იუვენალური იუსტიცია, სასწაულმოქმედი წამლები, გენეტიკურად გადაკეთებული კვების პროდუქტები, კლონირება, ვირტუალურ რეალობაში ცხოვრება, ფსიქიკისა და ჯანმრთელობის მომსპობი კომპიუტერული თამაშები, საზოგადოებრივი ცნობიერების მართვა მასმედიის საშუალებებით, ადამიანზე ფსიქოტრონული ზემოქმედება, საყოველთაო ჩიპიზაცია და ნანოტექნოლოგიების დანერგვა ადამიანთა იდენტიფიკაციისთვის, ლოკალური სამხედრო კონფლიქტების ორგანიზება, კრიზისები, საერთაშორისო ცნობიერებაში ტერორიზმის შესახებ მითის დანერგვა და კიდევ მრავალი სხვა რამ ცალკეული შემთხვევითი ეპიზოდები არაა. ეს არის უდიდესი მასშტაბის მიზანმიმართული პოლიტიკა ადამიანთა სულიერი და ფიზიკური მკვლელობებისთვის.



დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ჩინური ულტიმატუმი პირველად პაკისტანელი პრემიერის – გაილანის პეკინში ვიზიტისას გაჟღერდა. ამ ვიზიტის შედეგად პაკისტანისთვის დაუყოვნებლივ და უსასყიდლოდ 50 ერთეული JF-17-ის გადაცემის შესახებ გამოცხადდა. წასვლამდე გაილანიმ აღნიშნა: „ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩინეთი ჩვენი საუკეთესო და ურთგულესი მეგობარია. ჩინეთმაც იცოდეს, რომ პაკისტანი მუდამ და ყველაფერში გვერდით უდგას. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ჰიმალაიზე მაღალ და ოკეანეზე ღრმა მეგობრობაზე, ეს რეალობაა“. ამ სიტყვებმა ამერიკული ელიტა გააღიზიანა.**

# ჩინეთი აშშ-ს აფრთხილებს:

## პაკისტანზე თავდასხმა ჩინეთზე თავდასხმას ნიშნავს!

**ჩინეთმა ოფიციალურად გააფრთხილა აშშ, რომ ვაშინგტონის მიერ დაგეგმილი პაკისტანზე თავდასხმა პეკინზე აგრესიის აქტად ჩაითვლება. ეს ხისტი დემარში უკანასკნელი 50 წლის მანძილზე პირველი სტრატეგიული ულტიმატუმია, რომელიც აშშ-მა 1958-1961 წლების ბერლინის კრიზისის შემდეგ მიიღო და რომელიც აშშ-პაკისტანის კონფლიქტის შემთხვევაში საყოველთაო ომის სერიოზულ საფრთხეზე მიანიშნებს. ჩინეთის იმ თხოვნის კომენტირებისას, რომლის თანახმადაც ბენ ლადენის ლიკვიდაციის შემდეგ აშშ-მა პატივი უნდა სცეს პაკისტანის სუვერენიტეტს, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ „პაკისტანის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა აუცილებელია“. პაკისტანის დიპლომატიური წყაროების თანახმად, „ჩინეთმა ცალსახად გააფრთხილა აშშ, რომ პაკისტანზე ნებისმიერი თავდასხმა განხილული იქნება ჩინეთზე თავდასხმად“.**



ულტიმატუმი ვაშინგტონში 9 მაისს გაჟღერდა, როდესაც იქ სტრატეგიული დიალოგის გაგრძელებისა და ეკონომიკური მოლაპარაკებებისთვის ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს ვიცეპრემიერის – ვან ციშანისა და სახელმწიფო საბჭოს წევრის დაი ბინგოს მეთაურობით ჩინეთის დელეგაცია ჩავიდა. გაფრთხილების ფუნდამენტია ჩინეთის ბირთვული რაკეტები, მათ შორის 66 კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა, რომელთაც აშშ-ის განადგურება შეუძლია და ასევე საშუალო სიშორის 118 რაკეტა, 36 რაკეტმზიდი წყალქვეშა ნავი და ახლო სიშორის უამრავი სისტემა.

**რეგიონული დამკვირვებლები ჩინეთის მხრიდან მხარდაჭერას პაკისტანისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანს უწოდებენ.**

**ჩინური ულტიმატუმი პირველად პაკისტანელი პრემიერის – გაილანის პეკინში ვიზიტისას გაჟღერდა. ამ ვიზიტის შედეგად პაკისტანისთვის დაუყოვნებლივ და უსასყიდლოდ 50 ერთეული JF-17—ის გადაცემის შესახებ გამოცხადდა. წასვლამდე გაილანიმ აღნიშნა: „ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩინეთი ჩვენი საუკეთესო და ურთგულესი მეგობარია. ჩინეთმაც იცოდეს, რომ პაკისტანი მუდამ და ყველაფერში გვერდით უდგას. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ჰიმალაიზე მაღალ და ოკეანეზე ღრმა მეგობრობაზე, ეს რეალობაა“. ამ სიტყვებმა ამერიკული ელიტა გააღიზიანა.**

აშშ-სა და პაკისტანს შორის სტრატეგიული კრიზისი უკიდურესად დაიძაბა 1 მაისს, როდესაც აშშ-მა, ყოველგვარი თხოვნისა და ნებართვის გარეშე, ვითომდა მოკლა „ფანტომური“ ბენ ლადენი ბოტაბადში და ამით უხეშად დაარღვია პაკისტანის სუვერენიტეტი. აშკარად ორი ქვეყნის ურთიერთობის დაძაბვისკენ მიმართული ეს „სამხედრო ფოკუსი“ არანაირად არ უკავშირდება ტერორიზმთან ბრძოლას, მაგრამ პირდაპირაა მიბმული პაკისტანში მარტის ბოლოს საუდის არაბეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მეთაურის, პრინც ბანდარის ვიზიტთან. ვიზიტმა გაპირობა ერ-რიადისა და ისლამაბადის დე ფაქტო კავშირი, ერ-რიადისა, რომლის ჯარსაც შეუძლია აშშ-ის მიერ წამოწყებული ნებისმიერი „ფერადი რევოლუცია“ ალაგმოს. გარდა ამისა, ეს ამცირებს თეირანის მხრიდან საფრთხეს და შესაბამისად – აშშ-ის შესაძლებლობებსაც, თავისი დაცვით აშანტაჟოს ნავთობის შეიხები. **ცხადია, რომ პაკისტანის დაახლოება საუდის არაბეთთან სასიკვდილოდ სახიფათოა სამხრეთ აზიაში აშშ-ის იმპერიის მბრძანებლობისთვის.**

რაც შეეხება აშშ-ის ვერსიას ბენ ლადენზე თავდასხმის შესახებ, ის იმდენად ბუნდოვანი და წინააღმდეგობებით აღსავსეა, რომ უმჯობესია, ლიტერატურულმა კრიტიკოსებმა განსაჯონ. ცხადი და უდავო ფაქტი მხოლოდ ერთია **– აშშ-ის მთავარი სამიზნე ამჟამად პაკისტანია და სახეზეა იმ პროგრამის რეალიზაცია, რომელზეც ობამა საუბრობდა 2009 წლის დეკემბერში.**

ჩინურმა ულტიმატუმმა ზუსტად მოუსწრო პაკისტანის პარლამენტში გაილანის სიტყვით გამოსვლას. **„ვიტყვი უკიდურესად გულახდილად. პაკისტანის სტრატეგიულ აქტივებზე ნებისმიერი თავდასხმა ღიად ან საიდუმლოდ, განაპირობებს შესაბამის პასუხს... პაკისტანი იტოვებს უფლებას, სრული ძალით მიიღოს ზომები. არავინ არ უნდა მოინდომოს, სათანადოდ არ დააფასოს ჩვენი ხალხისა და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობები და გამბედაობა ჩვენი უწმინდესი სამშობლოს დასაცავად“,** – ამბობდა გაილანი. ბირთვული სახელმწიფოს მხრიდან გაკეთებული ამგვარი გაფრთხილებებს კი ყური არ უნდა აარიდონ თვით ობამას მსგავსმა ადამიანებმაც კი.

სტრატეგიული აქტივები, როგორც გაილანიმ პაკისტანის ბირთვულ შეიარაღებას უწოდა, ინდოეთის თავშეკავების მთავარი ძალაა, ინდოეთისა, რომელიც სულ უფრო და უფრო კოოპერირდება ვაშინგტონთან ბირთვული იარაღის შექმნის პროგრამაში. **დღეისათვის უკვე აღარაა საიდუმლო (აშშ-მა ვერ დამალა), რომ აშშ-ის ჯარებს ავღანეთში გეგმაში აქვს პაკისტანის ბირთვული ბომბების ან ქობინების მიგნება და განადგურება, ან ხელში ჩაგდება. Fox News-ის ინფორმაციის თანახმად, აშშ-ს პაკისტანში შეღწევისა და მისი ბირთვული არსენალის ხელში ჩაგდების ზუსტი გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ ხელისუფლებაში „თალიბანის“, „ალ ქაიდას“ ან სხვა ექსტრემისტების მოსვლის საფრთხე დადგება.** როგორც წყარო ირწმუნებოდა, გეგმის ავტორი გენერალი სტენლი მაკკრისტალი იყო და ეს გეგმა მან სპეციალური ოპერაციების შტაბის მეთაურობის პერიოდში შეიმუშავა.

ლონდონის „Sunday Express“-ის მონაცემებით, ამ მიმართულებით აქტიური ნაბიჯების გადადგმას ობამა უკვე მიემხრო. **„ამერიკული ჯარები პაკისტანში გადაჯგუფდებიან, თუ ამ ქვეყნის ბირთვული იარაღი ბენ ლადენის გამო შურისმაძიებელთა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება... ამ გეგმამ, რომელიც არ გულისხმობს პრეზიდენტ ზარდარის თანხმობას, პაკისტანის მთავრობაში მრისხანე რეაქცია განაპირობა. ბარაკ ობამამ გადაწყვიტა, გეგმა საჰაერო დესანტის ძალებით საკვანძო ობიექტებზე და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვაზე, ანუ „sargodxa HQ“-ზე – ბირთვული F-16-ების, საბრძოლო და სულ მცირე 80 ბალისტიკური რაკეტის ბაზაზე დარტყმებით განახორციელოს. ამერიკელი ჩინოვნიკის თქმით, „გეგმას მწვანე შუქი აუნთეს და პრეზიდენტმა მიანიშნა, რომ მზადაა, ჯარები პაკისტანში შეიყვანოს, თუ აშშ-ის ნაციონალური უშიშროება საფრთხის წინაშე დადგება“.**

ამ საკითხის ირგვლივ უკიდურესი დაძაბულობა, ფაქტობრივად, ომის ზღვარზე მდგარი ბალანსი საშუალებას იძლევა, „ობამას 1 მაისს“ უდიდესი სისულელე ვუწოდოთ, ან... შეუძლებელია, ობამას არ ესმოდეს, რომ პაკისტანი ახლა თავის ბირთვულ ბაზებზე შეტევას ელის და New York Times-ის მონაცემებით, მან ისიც კი იცოდა, რომ რეიდი ომის დასაწყისად იქცეოდა და **„მოითხოვდა, პაკისტანში საკმაო რაოდენობით ჯარი გაეგზავნათ, რათა ამ ჯარს ადგილობრივი პოლიციის ან ჯარის მხრიდან მტრული დამოკიდებულების გამოვლენის შემთხვევაში უკან გზის გაკვალვა შეძლებოდა“.**

რეპეტიცია დაწყებულია. 17 მაისს აშშ-სა და პაკისტანელებს შორის სროლა გამწვავდა. მაშინ აშშ-ისა და ნატოს ვერტმფრენებმა პაკისტანის საჰაერო სივრცე ვაზირისტანში დაარღვიეს. როგორც გაირკვა, პაკისტანის ძალები გაძლიერებულ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდა და მაშინვე ცეცხლი გახსნა.

**პაკისტანზე ამერიკულ-ინდური თავდასხმისთვის საფუძვლის გამოძებნის კიდევ ერთი საშუალება ტერორისტების, თითქოსდა თალიბების, გამოსვლების გააქტიურებაა.** პაკისტანური მასმედიის ცნობით, ცსს-მ მოსადის დახმარებით და ინდურმა „RAW“-მ „მართვადი თალიბების“ საკუთარი ვერსია შექმნეს. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ ცსს-ს ოპერატიულმა მუშაკებმა მოახერხეს თალიბებისა და „ალ ქაიდას“ სტრუქტურაში შეღწევა და შექმნეს საკუთარი ტეხრიკ-ე-თალიბანი, რომლის ამოცანაც ქვეყანაში მდგომარეობის დესტაბილიზებაა. პაკისტანის უწყებათშორისი დაზვერვის პანჯაბის განყოფილების ექს-მეთაურმა, ბრიგადის გადამდგარმა გენერალმა ასლამ გუმანმა განაცხადა, რომ ამის შესახებ აშშ-ში ვიზიტისას შეიტყო. მეორეს მხრივ, რუსული დაზვერვის მონაცემებით, **„ცსს-ს შტატგარეშე თანამშრომელმა რაიმონდ დევისმა და მისმა აგენტებმა „ალ ქაიდა“ ქიმიური, ბირთვული და ბიოლოგიური იარაღით აღჭურვეს. ასე რომ, ახლა პაკისტანის დადანაშაულება ყველაფერში შეიძლება“. დევისი „ISI“-ს ორი აგენტის მკვლელობისთვის დააკავეს, მაგრამ შემდგომ, სახელმწიფო დეპარტამენტის ველური ისტერიკის შედეგად, პაკისტანის ხელისუფლებამ იგი გაათავისუფლა.**

აშშ-ის სპეციალურმა წარმომადგენელმა ავღანეთსა და პაკისტანში, რიჩარდ ჰოლბრუკის შემცვლელმა მარკ გროსმანმა 19 მაისს სრულიად უარყო პაკისტანის ხელისუფლების პრეტენზიები იმ გარანტიების მიღებაზე, რომ ახალი აბოტაბადები აღარ იქნება. ამგვარი გარანტიების მიცემაზე უარის შემდეგ გროსმანმა განაცხადა, რომ პაკისტანის ოფიციალურ პირებს უკანასკნელი წლების მანძილზე მათი საზღვრებისადმი პატივისცემა არ მოუთხოვიათ და ნურც ახლა დაიწყებენ ამის მოთხოვნას.

მთელი ამ სტრატეგიული კრიზისის ფონზე ინდოეთმა პროვოკაცია მოაწყო, როდესაც პაკისტანის საზღვრებთან ახლოს მანევრები დაიწყო. რაჯასტანის ჩრდილოეთით მდებარე უდაბნოში გამოიცადა სწრაფი დარტყმის ატომურ-ბიოლოგიურ-ქიმიური ჯარები, მათ შორის სახელგანთქმული მეორე სატანკო კორპუსი, რომელიც ინდოეთის შეიარაღებული ძალების ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე ბრძოლისუნარიან შენაერთად ითვლება და რომელმაც უკვე ორჯერ დაამარცხა პაკისტანის ჯარი ორ სრულმასშტაბიან ომში.

**ჩარევისთვის კიდევ ერთი მიზეზია ვიღაც საიფ ალ-ადელი, რომელიც ცსს-მ უკვე დანიშნა „ალ ქაიდას“ ახალ შეფად და რომელიც თურმე ვაზირისტანში იმალება. ობამასთვის ძალზე მოსახერხებელი სიტუაციაა, რომ ეს კაცი ყველაზე ცხელ წერტილში ცხოვრობდეს და არა – სადღაც, ლონდონში.**

„1 მაისის შეტევის“ შემდეგ პაკისტანელმა სამხედროებმა გენერალ კაიანის პირით გამოაცხადეს, თითქოს პაკისტანში ამერიკული კონტინგენტი მკვეთრად შემცირდა. „ISI“-ის შეფასებით, ქვეყანაში ახლა ცსს-ს 7 ათასამდე ოპერატიული მუშაკია, რომელთაგან ყველა არაა ხელისუფლებისთვის ცნობილი. მკვეთრად შემცირდა სადაზვერვო მონაცემების გაცვლის დონეც. პასუხად ცსს-მ პაკისტანელი სარდლის კომპრომეტირება სცადა – „ვიკილიკსმა“ აღმოაჩინა უცნაური მაქინაციები, თითქოსდა პაკისტანელი გენერალი ითხოვდა უპილოტო საფრენი აპარატების პრედატორების რაც შეიძლება ბევრ აფრენას. ეს სწორედ ის პრედატორებია, რომელთა ფრენების ორგანიზებასაც ცსს ანხორციელებს და რომელთა დარტყმებსაც სამოქალაქო მოსახლეობა ეწირება. ამის შედეგი, შესაძლოა, სამოქალაქო ომი და პაკისტანის სიდნად, ბელუჯისტანად და პუშტუნისტანად დაშლა გახდეს, ანუ გადაწყდება ერთიანი პაკისტანის, როგორც ირანსა და ჩინეთს შორის ენერგეტიკული დერეფნის მოსპობის გეოპოლიტიკური ამოცანა.

**1 მაისის შემდეგ პრედატორების ექვსი შეტევის შედეგად პაკისტანის 42 მოქალაქე დაიღუპა, საზოგადოებრივი აზრი უკვე ზღვრამდეა მისული. 14 მაისს პაკისტანის პარლამენტმა ერთხმად მოითხოვა ამერიკული სარაკეტო შეტევების შეწყვეტა და მთავრობას მოუწოდა, დარტყმების გაგრძელების შემთხვევაში შეამციროს ნატოს ძალების მომარაგება ავღანეთში. ეს ნატოს იქ ყოფნას უკიდურესად გაართულებს და ეს შესაძლო ომის დაწყების კიდევ ერთი მიზეზია**.

„Washington Post“-ის ინფორმაციით, ახლა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს არანაირი საფუძველი არ გააჩნია, არ მართავდეს მოლაპარაკებებს თალიბანთან. ახლა აშშ მზადაა, თავად ლეგენდარულ მულა ომარს ესაუბროს. ცხადია, აშშ თალიბანს პაკისტანის წინააღმდეგ კავშირს სთავაზობს. ახლო მოკავშირეს ხედავს აშშ ხაკანშიც, რომლის მოცილებასაც არავინ ცდილობს, მიუხედავად იმისა, რომ იგი არაფრით ჩამოუვარდება განსვენებულ ბენ ლადენს.

**მრავალი ამერიკელი ფიქრობს, რომ ბენ ლადენის სიკვდილი ტერორიზმთან ბრძოლისა და ავღანეთში ომის ფინალია, სინამდვილეში კი ეს მხოლოდ დასაწყისია, სერიოზული დაძაბულობის დასაწყისი.** ერაყში ომის წინააღმდეგ შემართული ძალები, თავგამოდებული ლიბერალებიც კი, მხარს უჭერენ ობამას, მიუხედავად იმისა, რომ იგი გაცილებით უფრო აქტიურად მიილტვის მესამე მსოფლიო ომისკენ, ვიდრე ამას ბუში და ჩეინი აკეთებდნენ. თუ კიდევ არის დრო, თავიდან იქნეს აცილებული მსოფლიო ტრაგედია, ეს დრო მხოლოდ ახლაა.

*badnews.org.ru*

ჯერ მილოშევიჩი გაცვალეს გენერლებისა და ოფიცრების ჯგუფთან ერთად ნატოს მიერ დარბეული ქალაქებისა და სოფლებისთვის გადახდის პირობაზე; შემდეგ კარაჯიჩი – კრედიტების დაპირებაზე; ახლა მლადიჩი იცვლება დაპირებაზე, რომ სერბ „დემოკრატებს“ ევროპაში დაუშვებენ. სწორედ ამგვარია ამ ჯიშის პოლიტიკოსთა მთავარი მახასიათებელი: გააკეთონ ყველაფერი, რასაც კი მოასწრებენ ვილაც სარკოზისა თუ ობამას მხრიდან მხარზე ხელის მოთათუნების დასამსახურებლად.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ლეონიდ ივაშოვი:

# საკუთარი ხალხის ღალატის გარეშე ევროპაში არავის ღებულობენ

**სერბი ხალხის ეროვნული გმირი, ლეგენდარული გენერალი რატკო მლადიჩი დააკავეს და ნატოს ტერიტორიაზე – ჰააგის ტრიბუნალზე – ექსტრადიციას დაუქვემდებარეს. სერბეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, პრეზიდენტ ტადიჩის მეთაურობით, შეასრულა, როგორც თავად მიიჩნევს, სერბეთის ევროკავშირში მიღების უკანასკნელი პირობა – ჩაატარა 90-იან წლებში ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში სერბთა შეიარაღებული ფორმირებების სარდლის, გენერალ რატკო მლადიჩის ადგილსამყოფელის დადგენისა და მისი დაკავების ოპერაცია.**

სერბული სპეცრაზმის მიერ ჩატარებული ოპერაცია ნამდვილად „გმირული“ იყო, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ გენერალმა მძიმე ინსულტი გადაიტანა და მას სხეულის მარჯვენა ნაწილი მთლიანად პარალიზებული აქვს. მაგრამ სერბი ხალხის მკვლელების ერთგულ მსახურებაში ტადიჩმა და მისმა რაზმმა, დიდი ხანია, შეიძულა სერბი ხალხის ტრადიცია – მოუფრთხილდნენ საკუთარ მებრძოლებსა და გმირებს. ამ კატეგორიის ადამიანებისთვის მთავარია, რამენაირად მიღებულნი აღმოჩნდნენ თავიანთ ჰომოსექსუალურ სკანდალებში, საერთაშორისო ყაჩაღობასა და კორუფციაში ჩაფლული ევროპული „ელიტის“ თავყრილობებზე. **საკუთარი ხალხის ღალატის გარეშე კი ევროპაში არავის ღებულობენ. ჰოდა, „ცვლიან“ კიდეც ეროვნულ გმირებს ხან ერთზე და ხან – მეორეზე: ჯერ მილოშევიჩი გაცვალეს გენერლებისა და ოფიცრების ჯგუფთან ერთად ნატოს მიერ დარბეული ქალაქებისა და სოფლებისთვის გადახდის პირობაზე; შემდეგ კარაჯიჩი – კრედიტების დაპირებაზე; ახლა მლადიჩი იცვლება დაპირებაზე, რომ სერბ „დემოკრატებს“ ევროპაში დაუშვებენ. სწორედ ამგვარია ამ ჯიშის პოლიტიკოსთა მთავარი მახასიათებელი: გააკეთონ ყველაფერი, რასაც კი მოასწრებენ ვილაც სარკოზისა თუ ობამას მხრიდან მხარზე ხელის მოთათუნების დასამსახურებლად.**

რატომ უფრთხილდებოდნენ სერბები ათ წელზე მეტ ხანს თავიანთ საყვარელ გმირს? დიდი იუგოსლავიის დაშლის ამუშავებული პროცესი იქამდე მივიდა, რომ 1990 წლის ოქტომბერში ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ფორმალურად გამყარდა ეთნიკური დაპირისპირება სამ ნაციონალურ დაჯგუფებას – მუსლიმანებს, ხორვატებსა და სერბებს შორის. უკანასკნელნი მოწყვეტილი აღმოჩნდნენ იუგოსლავიაში თავიანთი ძმებისგან და ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში გაიფანტნენ.

**ბოსნიელი სერბები მდგომარეობიდან გამოსავალს ორი ვარიანტიდან ერთ-ერთში ხედავდნენ. პირველი ვარიანტი იუგოსლავიის შემადგენლობაში ერთიანი ბოსნიისა და ჰერცოგოვინის შენარჩუნება იყო, მეორე კი – სერბული ტერიტორიების იუგოსლავიის შემადგენლობაში შესვლა. არსებობდა სათადარიგო, მესამე, ვარიანტიც – ერთიანი ბოსნიისა და ჰერცოგოვინის კანტონიზაცია ეროვნული ნიშნის მიხედვით და სერბული რაიონების იუგოსლავიასთან მიერთების პერსპექტივით. სერბებს ყველა ამ ვარიანტზე უარი უთხრეს.**

1992 წლის 1 მარტს ბოსნიელი სერბების, ანუ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მთელი მოსახლეობის ერთი მესამედის მონაწილეობის გარეშე ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის შედეგების თანახმად, ბოსნია და ჰერცოგოვინა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. იმ დღიდანვე დაიწყო ახლადგაჩენილი სახელმწიფოს აღიარება: 1992 წლის 7 აპრილს ბოსნია და ჰერცოგოვინა აღიარეს აშშ-მა, ევროპის ქვეყნებმა, ხორვატიამ, სლოვენიამ. ბოსნიაში სერბების ბედი არავის აღელვებდა. **ბოსნიელებმა და ხორვატებმა, როგორც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, მათ მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან სერბების დევნა, მათი ქონების ძარცვა, მთელი სოფლების ჟლეტა დაიწყეს. ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში სერბებისთვის საკონცენტრაციო ბანაკების შექმნა დაიწყეს და ამ საქმეშიც მეორე მსოფლიო ომის გამოცდილება გამოიყენეს.**

ლეონიდ ივაშოვი



იუგოსლავიის მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მცდელობა – გაეწია მატერიალური, პოლიტიკური და სამხედრო დახმარება ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში მყოფ მოძმეთათვის, იუგოსლავიის მოკავშირე რესპუბლიკის წინააღმდეგ სანქციების დაწესებით დასრულდა. რაღა რჩებოდათ ბოსნიელ სერბებს? მათ ხელში აიღეს იარაღი, რომელიც ბოსნიელებმა და ხორვატებმა მათ წინააღმდეგ უკვე გამოიყენეს.

**1992 წელს რადოვან კარაჯიჩი ხალხის ნებით სერბული რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა, რატკო მლადიჩი – რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდალი. წლის დასასრულისთვის სერბები უკვე აკონტროლებდნენ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის მთელი ტერიტორიის 70 პროცენტზე მეტს. შესაბამისად, ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ბედი ჰაერში იყო გამოკიდებული, რაც არანაირად არ აძლევდა ხელს დასავლეთს. შესაბამისად, ერთის მხრივ, ნატოს ავიაციამ სერბული პოზიციების, სამხედრო ობიექტებისა და მოსახლეობის მასირებული დაბომბვა დაიწყო, მეორეს მხრივ კი, ხორვატებისა და მუსლიმანების შეიარაღება მიმდინარეობდა.**

1994 წელს კარაჯიჩსა და მლადიჩს ჰააგის ტრიბუნალმა გენოციდსა და კიდევ სხვა დანაშაულებში დასდო ბრალი და მათზე ძებნა გამოცხადდა. მუსლიმანებისა და ხორვატების ლიდერები კი, იზეტბეგოვიჩი და ტუჯმანი, რომლებმაც სერბების განადგურების ოპერაციების ორგანიზება ითავეს და მათ წინააღმდეგ სამხედრო ქმედებებს აწარმოებდნენ, „საერთაშორისო საზოგადოებაში“ მიიღეს და დასავლეთის ქვეყნებში ვიზიტებზე სიარულის ნება დართეს.

და მაინც, სერბების შეიარაღებული წინააღმდეგობის შედეგად გაჩნდა დეიტონის მშვიდობიანი შეთანხმება, რომელიც სერბული რესპუბლიკის საზღვრებს ადგენს და ბოსნიისა და ჰერცოგოვინის შემადგენლობაში სერბებს გარკვეულ ავტონომიას ანიჭებს. სწორედ აქ იქნა განლაგებული რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტი.

**სერბები პატივს სცემენ გენერალ რატკო მლადიჩს ათობით ათასი ადამიანის გადარჩენის გამო და აქედან მომდინარეობს მათი პროტესტიც ჰააგის სასამართლოსთვის ამ გმირის მოღალატეობრივ გადაცემასთან დაკავშირებით.** სერბეთის ხელისუფლება კი გესტაპოს სტილში მოქმედებს. მაგრამ **დასავლური დემოკრატია, რომელსაც იუგოსლავიის, ერაყის, ავღანეთისა და ლიბიის წინააღმდეგ ომების წამომწყები ამერიკის შეერთებული შტატები ხელმძღვანელობს და მართავს, სულ უფრო და უფრო მეტად ემსგავსება ფაშისტურ პოლიტიკურ რეჟიმს.**

1938 წელს გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი შუბარტი თავის ნაშრომში „ევროპა და აღმოსავლეთის სული“ წერდა: **„დასავლეთმა კაცობრიობას აჩუქა ტექნიკის, სახელმწიფოებრიობისა და კავშირგაბმულობის ყველაზე თანამედროვე სახეობები, მაგრამ სული წაართვა“.** დღევანდელი ევროპა მომაკვდავი საზოგადოებაა და ბუნებაც აჩქარებს გადაშენების პროცესს სულ უფრო მოხშირებული კატაკლიზმებით. ამ ბედს ვერც ამერიკა გაექცევა.

გენერალ მლადიჩის ანგარიშსწორებისთვის გადაცემამ ტადიჩი და მისი გარემოცვა ევროპასთან ვერ დააახლოვა. ახლა მათგან მოითხოვენ, აღიარონ კოსოვოს დამოუკიდებლობა, შემდეგ აიძულებენ, გადაწერონ სერბული ისტორია, ნატოს მიერ დაბომბვების დაწყების დღე კი სერბეთის სახელმწიფო დღესასწაულად გამოაცხადონ. **ვიდრე სერბები უარს არ განაცხადებენ კოსოვოზე, როგორც თავიანთი კულტურის აკვანზე, ვიდრე არ უღალატებენ მართლმადიდებლობას, ვიდრე არ შეწყვეტენ სერბობას, მათ ევროპაში არავინ მიიღებს.**

შეეგუება კი ამგვარ ბედს სერბი ხალხი? თუ შეეგუება, მაშინ სერბულ ისტორიას ხაზი გადაესმება და თავისუფლებას, დამოუკიდებლობასა და სერბობის უფლებას შეწირული უამრავი მსხვერპლი ამაო იქნება. სამაგიეროდ, სერბეთის ხელისუფალნი შეძლებენ, ფოტოსურათები გადაიღოს სარკოზისთან, ბერლუსკონისთან და ობამასთან, თუკი, რა თქმა უნდა, პირველი ორი მანამდე ციხეში არ ამოყოფს თავს სექსუალური ბანდიტიზმის ბრალდებით.

რაც შეეხება რატკო მლადიჩის ჰააგურ სამსჯავროს, როგორც სლობოდან მილოშევიჩის პროცესის დაცვის მონაწილე, ვადასტურებ: **რატკოს ბრალდება უკვე გამოტანილია და არა ჰააგაში, არამედ ნატოს შტაბ-ბინაში. არანაირ არგუმენტებს, ფაქტებსა და დოკუმენტებს მნიშვნელობა არ აქვს.** ალბანელების, ბოსნიელებისა და მითუმეტეს ნატოელების ჩვენებები ტრიბუნალზე მიიღება როგორც ერთადერთი ჭეშმარიტების უმაღლესი ინსტანცია, სერბების სასარგებლო ჩვენებები კი ზღურბლიდანვე უკუგდებულია. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის, რომ თავად გახლდით მოწმე არა მხოლოდ სლობოდანის, არამედ ჩემი მეგობრის, გენერალ დრაგოლიუბ ოიდანიჩის სასარგებლოდ. ჩემი დოკუმენტირებული ჩვენებებიდან არც ერთი არავის გაუთვალისწინებია. **როდესაც ოიდანიჩის მოწმის სახით ჩავედი ჰააგაში, ტრიბუნალის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გამომიცხადა, რომ გენერალს ჩემთან შეხვედრა არ სურდა. როდესაც მაინც შევხვდი ძველ მეგობარს, გენერალი ცრემლებს ვერ იკავებდა და მიმეორებდა: „ლეონიდ, საერთოდ არ მეძინა, შენთან შეხვედრას ველოდი“. აი, ასეთია დასავლური მართლმსაჯულება.**

გამაგრდი, რატკო, შენ ისევ ბრძოლის ველზე ხარ კაცობრიობის უბოროტესი მტრების წინააღმდეგ.

**ლეონიდ ივაშოვი,**
**გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტი, გენერალ-პოლკოვნიკი**
*fondsk.ru*

რატკო მლადიჩი და რადოვან კარაჯიჩი




მოკლედ

## კოფი ანანი ნარკომაფიაზე მუშაობაში დაადანაშაულეს

**რუსეთის ნარკოკონტროლის ფედერალური სამსახურის დირექტორი ვიქტორ ივანოვი ნარკოტიკული პოლიტიკის საერთაშორისო გლობალური კომისიის იმ მოხსენებას აკრიტიკებს, რომელიც ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზების მოწოდებას შეიცავს.** ივანოვმა მიანიშნა მოხსენების მომმზადებელთა პირდაპირ ან ირიბ დაინტერესებაზე და მათ მიერ ნარკომოვაჭრეების ლობირებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ მოხსენების ავტორ საერთაშორისო კომპანიას, რომელსაც სათავეში გაეროს ყოფილი გენერალური მდივანი კოფი ანანი უდგას, არანაირი კავშირში არ აქვს გაეროსთან და ჩვეულებრივი არასამთავრობო ორგანიზაციაა.

## ბირთვულ სამხილებს ვერ პოულობენ

**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი ვარაუდისა, რომ ირანი ბირთვულ იარაღს ამზადებს.** „მოცემული მომენტისათვის შეუძლებელია ხელაღებით ვისაუბროთ ირანის ბირთვული პროგრამის მშვიდობიანი მისიის შესახებ, თუმცა ასევე არ არსებობს არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ ირანი ამზადებს ბირთვული იარაღს“, – განაცხადა მან. გასულ კვირას ოფიციალური ირანის წარმომადგენელმა ალი ასგარ სოლთანიემ განაცხადა, რომ ირანის მიერ ბირთვული იარაღის წარმოების შესახებ ფიქრიც კი სტრატეგიული შეცდომაა.

მემკვიდრეობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**თავიდანვე ახალჩამოსულების ურთიერთობა „ძველ კავკასიელებთან“ არ აეწყო, მაგრამ მერე ყველაფერი დალაგდა. საომარმა მდგომარეობამ ბევრი აიძულა, საკუთარი ამბიციები გვერდზე გადაედო და წვრილმანი წყენები დაევიწყებინა. იმავე დროს, კავკასიაში ახალი საჯარისო შენაერთების გაგზავნის მიუხედავად, „ძველი კავკასიელები“ სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ მხარეში წარმატებული საომარი მოქმედებების საწარმოებლად საჭირო იყო სპეციალურად მომზადებული ჯარები, რომელთაც ადგილობრივ პირობებში ბრძოლის გამოცდილება ექნებოდათ და მორალურად და ფიზიკურადაც გამობრძმედილი იქნებოდნენ.**

მეცხრამეტე საუკუნის შუა წლები ქართული კულტურის, საზოგადოებრივი აზრისა და საერთოდ, ეროვნული ენერგიის აღდგენისა და განვითარების ახალი ეტაპის დასაწყისად არის მიჩნეული. იმჟამინდელმა ქართველობამ, გარეშე მტერთაგან თავდახსნილმა და ფეხზე წამომდგარმა, „თავისი დაკარგული ვინაობის აღდგენაზე“ ფიქრი დაიწყო და ძიებებით აღსავსე გზას დაადგა. **„ქართველ საზოგადოებას XIX საუკუნის პირველ ნახევარში, – როგორც ამას არჩილ ჯორჯაძე შენიშნავდა, – ეროვნულად გარკვეული ფიზიონომია აღარ ჰქონდა. ძველ დროში თუ იყო რაიმე კულტურის ნასახი, თითქოს წაშლილიყო. პოლიტიკურად დასნეულებული ეროვნული სხეული დასნეულდა ზნეობრივად და გონებრივადაც. ორმოციან წლებში უკვე დასრულებული იყო დეზორგანიზაცია ეროვნულ ცხოვრებისა“.**
ამის შემდეგ კი, ე.ი. XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან, **„მიძინებული ერი თითქოს გამოფხიზლდა და დეზორგანიზაციაში მოყვანილი საზოგადოებრივი სხეული გამთლიანებისა და განკურნების იმედმა შეიპყრო... ვორონცოვის ხანა შეიქმნა ქართული კულტურის აღორძინების ხანად“.**
ასე გაჩნდა ქართულ სინამდვილეში გამოთქმა „ვორონცოვის ხანა“...
კავკასიის მეფისნაცვალი მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი (1782-1856) უაღრესად საინტერესო ფიგურად წარმოგვიდგება.
შევეცდებით, ვრცლად მოგითხროთ ვორონცოვის მიერ საქართველოში გატარებული რეფორმების, ქალაქმშენებლობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილის შესახებ, რის გამოც ქართულმა საზოგადოებამ მას თბილისში ძეგლიც კი დაუდგა.

# კავკასიის

**კავკასიის მიწა უხსოვარი დროის სიძველეთა ნაკვალევს ინახავს. ძველი სამყაროს თითქმის ყველა ხალხი, აზიიდან ევროპისკენ გადაადგილებისას, კავკასიაში თავის მოსახლეობას ტოვებდა. ისინი ერთმანეთში და ადგილობრივ მოსახლეობაში „ირეოდნენ“ და ასე წარმოიშვა მრავალი ენა. „მრავალეროვანი კავკასია“ – ასე უწოდებდნენ ამ მიწას. უძველესი დროის უძლიერესი ერები – ფინიკიელები, ეგვიპტელები, ბერძნები, რომაელები, არაბები – ესახლებოდნენ რა ამ მიწაზე, ცდილობდნენ აქ კოლონიების შექმნას. ამ მიზნით ადგილობრივ მოსახლეობაში ავრცელებდნენ თავიანთ ენას, სარწმუნოებას, წესებს... უძველესი დროის მწერლები, პოეტები ამ მიწის სილამაზესა და მის მცხოვრებთა ვაჟკაცობას უმღეროდნენ.**



# არნახული უფლებამოსილებანი

XIX საუკუნის 30-იან წლებში რუსეთის ხელისუფლებაში კავკასიის მმართველობასთან დაკავშირებით ორი თვალსაზრისის შეჯახება მოხდა. პირველი ითვალისწინებდა რეგიონისადმი, როგორც კოლონიისადმი დამოკიდებულებას. ასეთ მიდგომას უარყოფდა ფინანსთა მინისტრი ე.ფ. კანკრინი. იმავე დროს მთავარმართებელი გ.ვ. როზენი თვლიდა: **„რა თქმა უნდა, ამ ნახევრად ველურ მხარეში ბევრ რამეს სჭირდება გაუმჯობესება და სრულყოფა, მაგრამ ვიმეორებ: კავკასიაზე, როგორც ინდოეთზე ან ამერიკაზე, შეხედვა, გაზვიადებულად მიმაჩნია“.**

**1838 წელს ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს საბჭო, ხოლო 1839 წლის დეკემბრიდან ამიერკავკასიის მხარის მოწყობის კომიტეტი განსაზღვრავდა თავის დამოკიდებულებას რეგიონთან, როგორც რუსეთის ნაწილთან.**

მმართველობის აპარატის სირთულემ, მრავალსაფეხურიანობამ, საქმის წარმოების შენელებამ და გასავლის ზრდამ აიძულა ნიკოლოზ I-ის ხელისუფლება, კვლავაც შემოეღო ნაცადი ადმინისტრაციული ფორმა – კავკასიის მეფისნაცვალობა, რომელიც პირველად 1785 წელს დაწესდა. იგი მოიცავდა: ეკატერინოდარის, ყიზლარის, მოზდოკის, ალექსანდროვისა და სტავროპოლის მაზრებს. 40-იანი წლების დასაწყისში მეფისნაცვლობის არეალი საგრძნობლად გაფართოვდა და, 1846 წლის ამიერკავკასიის მხარის დაყოფის დებულების თანახმად, ზემოთ ნახსენებ ოლქებს დაემატა თბილისის, ქუთაისის, შემახინისა და დერბენტის გუბერნიები, ხოლო 1849 წლიდან – ერევნის გუბერნიაც.

1844 წლის ნოემბერში იმყოფებოდა რა ალუპკაში, ნოვოროსიის მხარისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორმა მ. ს. ვორონცოვმა მიიღო იმპერატორის გზავნილი, რომელშიც ის იტყობინებოდა კავკასიაში სიტუაციის გამწვავების თაობაზე – მხარის ძველ პრობლემებს დაემატა კიდევ ერთი, შესაძლოა, ყველაზე სახიფათო. იმ ტომებიდან, რომლებმაც არ იცოდნენ, რა იყო ერთმმართველობა, წარმოიშვა ლიდერი, რომელმაც ყველანი თავის გარშემო გააერთიანა.

**იმამ შამილი იყო ფაზი-მუჰამედის მოსწავლე, რომელმაც თავისი ჯარები 60 ათას კაცამდე გაზარდა, გააუმჯობესა მათი ორგანიზაცია. 1840-1843 წლებში საომარი ოპერაციების მსვლელობისას შამილის რაზმებმა შეძლეს, დაეკავებინათ აბარია და დაღესტნის ტერიტორიის დიდი ნაწილი.**

**ცხენოსანი მეომრები შეადგენდნენ მსუბუქ ცხენოსანთა მთავარ ნაწილს. დაიწყო საფანტის, ტყვიის, ჭურვების საარტილერიო იარაღის დამზადება. კარგად შეჩვეულები მთაში გადაადგილებას, შამილის ჯარები იოლად გამოდიოდნენ ბრძოლიდან და ადვილად უსხლტებოდნენ ხელიდან მდევარს.**

**1940 წლიდან რუსული ჯარები მრავალჯერ დამარცხდნენ იმამის ჯარებთან.**

რამდენადაც ცნობილია, გაერთიანებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლა გაცილებით რთულია. **„საჭიროდ მივიჩნევ, ჩემი ნების აღმასრულებლად არჩეულ იქნას პიროვნება, რომელიც სარგებლობს ჩემი უსაზღვრო ნდობით და რომელსაც შეუძლია სამხედრო და სამოქალაქო საქმეების ერთმანეთთან შეხამება, აქვს რა ამის კარგი გამოცდილება“**, – წერდა იმპერატორი ნიკოლოზ I ვორონცოვს. ამასთან, ხაზს უსვამდა იმას, რომ სურვილი აქვს, ჯერ გრაფისგან შეიტყოს, რას ფიქრობს ამის თაობაზე და შემდეგ გამოაცხადოს სახალხოდ ამ დანიშვნის თაობაზე.

როგორც შემდგომში მ. პ. შჩერბინინი იგონებდა, წაიკითხა რა წერილი, მიხეილ სიმონის ძემ თქვა: **„ხელმწიფეს სურს, კავკასიაში მე დამნიშნოს, მაგრამ არსებულ სიტუაციაში შევძლებ კი რაიმე სარგებლობის მოტანას? მე მოხუცი ვარ, აქ კი საჭიროა ძალა და ენერგია. უარი უნდა ვთქვა ამ უმაღლეს სამსახურზე, რადგან მე მას თავს ვერ გავართმევ“.**

მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მ. პ. შჩერბინინი გამოძახებული იყო გენერალ-გუბერნატორთან, რომლისგანაც ამჯერად სულ სხვა რამ მოისმინა – **„მე არ ვიქნები რუსი, თუ გავბედავ და არ წავალ იქ, სადაც მეფე მიბრძანებს“.** ეს იყო ვორონცოვის ცხოვრებისეული პოზიცია.

გადაწყვეტილება მიღებული იყო.

ვორონცოვის კავკასიაში დანიშვნა მოულოდნელი აღმოჩნდა გრაფის ახლო გარემოცვისთვისაც კი. ნ. ნ. მურზაკევიჩის მოგონების თანახმად, იმპერატორის ზემოთ მოყვანილი წერილები ვორონცოვისადმი კავკასიაში მეფისნაცვლის თანამდებობის შეთავაზებაზე არავისთვის იყო ცნობილი. გრაფის ალუპკიდან ოდესაში ჩამოსვლამდე ეს ამბავი საიდუმლოდ რჩებოდა. ვორონცოვს უამრავმა სამხედრო და სამოქალაქო პირმა სთხოვა, მასთან სამუშაოდ წაეყვანა კავკასიაში.

**1845 წლის იანვარში მიხეილ სიმონის ძე პეტერბურგში ჩავიდა. 1845 წლის 30 იანვარს მისი მეფისნაცვლად დანიშვნა ოფიციალურად გაფორმდა. ბრძანებაში აღნიშნული იყო:**

**1) კავკასიის მხარე იმ ტერიტორიას ეკუთვნის, რომელზეც ვრცელდება სამოქალაქო მმართველობა და მხარის ხელმძღვანელობა საქმეების გადაწყვეტისას, თუ ის აღმატება მის უფლებამოსილებას, ვალდებულია, სამინისტროს გვერდის ავლით მიმართოს მეფისნაცვალს;**

**2) მეფისნაცვალმა თავად უნდა გადაწყვიტოს, მთავარ სამმართველო საბჭოს რომელი საკითხების განხილვა შეუძლია დამოუკიდებლად და რომლის გადაწყვეტის უფლება აქვს მეფისნაცვალს; ამასთან, საბჭოს ვორონცოვის ნაცვლად აუცილებლად უნდა ესწრებოდეს სამოქალაქო სამმართველოს უფროსი;**

**3) მეფისნაცვალს უფლება აქვს, პირადად ადგილზევე მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც გადასაწყვეტად სამინისტროში ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს მიერ ადრე იყო წარდგენილი. საკანონმდებლო საქმეები მკაცრ წესს ექვემდებარებოდა;**

**4) ზემოთ მითითებული წესებიდან გამომდინარე ვორონცოვს უფლება ეძლეოდა, რომ გამოუვალ შემთხვევებში ადგილზევე მიეღო ნებისმიერი ზომები და მხოლოდ შემდგომში შეეტყობინებინა მათ შესახებ პირადად იმპერატორისთვის.**

ყოველივე ეს კავკასიის მხარის მმართველობის დეცენტრალიზაციაზე მიუთითებდა იმ წესებთან შედარებით, რომლებიც ამიერკავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს 1842 წლის ბრძანებაში იყო მოცემული.

მოცემული წესი, მრავალ ინსტანციაზე გვერდის ავლით, ჩანაფიქრის გაცილებით სწრაფად განხორციელების საშუალებას იძლეოდა, რაც უფრო მეტად დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად აქცევდა კავკასიის მხარეს.

**1845 წლის 7 მარტს დაინიშნა მიხეილ სიმონის ძის კავკასიაში გამგზავრების დრო. გადააბარა რა ნოვოროსიის მხარის მმართველობა გენერალ-ლეიტენანტ ფედოროვს, გრაფი მ. ს. ვორონცოვი მარტის ბოლოს თავისი ახალი დანიშნულების ადგილას – თბილისში ჩავიდა.**

ვორონცოვმა ფეხი დადგა იმ მიწაზე, სადაც თავის ახალგაზრდობაში – 40 წლის წინათ იმყოფებოდა.

კავკასიაში საომარი მოქმედებების გამწვავებასთან დაკავშირებით ვორონცოვს საშუალება არ ჰქონდა, მთელი ყურადღება რეგიონის სამოქალაქო მმართველობაზე გადაეტანა, სადაც **„მოწინააღმდეგე იტაცებდა ჩვენს ქვემეხებს და ასე ქმნიდა საკუთარ არტილერიას, ისაკუთრებდა დაღესტანში ჩვენს ციხესიმაგრეებსა და სიმაგრეებს“**, – წერდა ტოლსტოი.

თბილისში ჩამოსვლიდან მალე ვორონცოვი მოვალე იყო, დაეწყო დარგოში ლაშქრობისთვის მზადება, რომლის ძირითადი გეგმა „მისი შედგენილი არ იყო და ჯარებიც მის ჩამოსვლამდე იქნა შეკრებილი“. 22 აპრილს ჯარების დათვალიერების შემდეგ, 24-ში მან დატოვა თბილისი, 1 მაისს იყო გროზნოში, 6-ში – სტანიცა ჩერვლენში, სადაც მთავარსარდლის მთავარი ბინა მდებარეობდა და საითაც მიემართებოდნენ პეტერბურგიდან წამოსული ოფიცრები.

**პეტერბურგიდან ჩამოსულ ფლიგელ-ადიუტანტებს შორის იყვნენ: გრაფი კ. კ. ბენკენდორფი; გრაფ ა. ს. სტროგანოვი; თავადი ფ. ი. პასკევიჩი; თავადი ა. ი. ბარიატინსკი; ფლიგელ-ადიუტანტი ი. გ. სკოლკოვი; პოლკოვნიკი ნ. ი. გოლფი.**

**ჩერვლენის მთავარ ბინაში მეფისნაცვალთან ერთად გამოცხადდნენ ადიუტანტები, რომლებიც ვორონცოვის გვერდით იყვნენ ოდესაში: თავადი ა.ი. გაგარინი (შემდგომში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი); გრაფი განატერსი (შემდგომში გენერალი); პოლკოვნიკი ალექსი გოლიცინი. გარკვეული დროის შემდეგ პეტერბურგიდან ჩამოვიდნენ ვორონცოვის მიერ ახლადარჩეული ადიუტანტები: თავადი ს. ი. ვასილჩიკოვი; თავადი რ. ა. ანდრონიკოვი; რ. დავიდოვი; ა. მასლოვი; ლისანევიჩი; ა. ნ. ლონგინოვი და ა. ა. ედმინსკი.**

**შტაბში ჩაირიცხნენ, ასევე, კორპუსის გენერალ ნეიდგარტთან მყოფი პირები: გლებოვი; თავადი კოზლოვსკი; თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი; თავადი ტრუბეცკოი; პოლკოვნიკი დრუჟინინი; ა. ნ. ვერევკინი; ბარონი მიკვიცი და სხვ.**

თავიდანვე ახალჩამოსულების ურთიერთობა „ძველ კავკასიელებთან“ არ აეწყო, მაგრამ მერე ყველაფერი დალაგდა. საომარმა მდგომარეობამ ბევრი აიძულა, საკუთარი ამბიციები გვერდზე გადაედო და წვრილმანი წყენები დაევიწყებინა. იმავე დროს, კავკასიაში ახალი საჯარისო შენაერთების გაგზავნის მიუხედავად, „ძველი კავკასიელები“ სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ მხარეში წარმატებული საომარი მოქმედებების საწარმოებლად საჭირო იყო სპეციალურად მომზადებული ჯარები, რომელთაც ადგილობრივ პირობებში ბრძოლის გამოცდილება ექნებოდათ და მორალურად და ფიზიკურადაც გამობრძმედილი იქნებოდნენ.

**მთავარსარდალს და მის ხელქვეითებს სამხედრო გამოცდილების შესაძენად დრო სჭირდებოდათ. მაგრამ მიიღო რა ბრძანება, ვორონცოვი ვალდებული იყო, იგი შეესრულებინა.** ▶

მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**მეფისნაცვლის მიერ გატარებული რეფორმები ითვალისწინებდა კავკასიის ეროვნულ თავისებურებებს. ვორონცოვი ფრთხილად მოქმედებდა, თვლიდა რა, რომ თითოეული პრობლემა ღრმა და მრავალმხრივ შესწავლას მოითხოვდა: „ყველაფრის ერთი ხელის დაკვრით გაკეთება შეუძლებელია; და თუ უნდათ, რომ მე რამდენიმე ხანს აქ დავრჩე, არაა საჭირო, მაიძულონ, ვაკეთო ის, რისი გაკეთებაც არასწორად მიმაჩნია, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე“. ვორონცოვის აზრით, ადგილობრივი არისტოკრატიის, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოსახლეობაში, მხარდაჭერის გარეშე, რეფორმის განხორციელება შეუძლებელი იყო.**

# მეფისნაცვალი

◄ სოფელ დარგოს აღების მიუხედავად, ექსპედიციის მონაწილეთა მონათხრობის თანახმად, რაზმი მთლიანად დაიღუპებოდა, რომ არა მთავარსარდალი, კრაინის ისტორიული გმირი, თავადი მ. ს. ვორონცოვი, რომელიც თავად არა ერთხელ იდგა საფრთხის წინაშე.

ამგვარად, ერთ-ერთი ბრძოლის დროს, მთავარი შტაბის უფროსის, გენერალ ბურკოვისგან მიღებული ცნობის მიხედვით, რომ „პოზიცია მიუდგომელია, ჯარები ვერ გადაადგილდებიან, რაც დაღუპვას გვიქადის“, ვორონცოვი პირადად წარუძღვა ბრძოლაში ყაბარდინოს პოლკის ეგერებს და ამ შეტაკების შედეგად სიმაგრე აიღეს. საბედნიეროდ, ვორონცოვმა მოახერხა „იჩქერიის ლაბირინთებიდან“ რაზმის გამოყვანა, რის შემდეგაც მის პირველ საზრუნავს დაჭრილები წარმოადგენდნენ (სამედიცინო მომსახურებისთვის მიხეილ სიმონის ძემ თითოეულ დაჭრილს საკუთარი ჯიბიდან 15-15 მანეთი დაურიგა).

**დარგოს აულის აღებისთვის მ. ს. ვორონცოვს თავადის ტიტული ებოძა. ამის თაობაზე იგი ხუმრობდა, რომ ადრე ყველაზე მოხუცი გრაფი იყო, ახლა კი ყველაზე „ახალგაზრდა“ თავადია. მონაწილეობდა რა ლაშქრობებში, ვორონცოვი თავის მოწინააღმდეგეებს არაჩვეულებრივი ამტანობით, ვაჟკაცობით, გასაოცარი პრინციპულობით ატყვევებდა.**

**გამოიარა რა ბოროდინო და კრაონი, ვორონცოვმა ისწავლა ტყვიების ქვეშ წელგამართული სიარული.**

დარგოს ლაშქრობის დროს მთავარსარდალი ყველა ბრძანებაში „გამუდმებით აქებდა ჯარებს მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვის“. ამგვარად, **მ. ს. ვორონცოვი არა მარტო სულიერად ამხნევებდა თავის ხელქვეითებს, არამედ ხაზს უსვამდა, რომ ლაშქრობა იყო იმ გეგმის შესრულება, რომელიც მისი მონაწილეობის გარეშე შეადგინეს პეტერბურგში.**

1845 წლის 1 სექტემბერს ვორონცოვი სევასტოპოლში გაემგზავრა, სადაც ის იმპერატორს შეხვდა. ნიკოლოზ პავლეს ძესთან საუბრისას ვორონცოვი, როგორც ჩანს, ერთხელ კიდევ შეეცადა თავის უფლებამოსილებათა დამტკიცებასა და სამინისტროს ხელმძღვანელთაგან რეალურ გამიჯვნას.

საომარი ოპერაციების გეგმები უნდა შედგენილიყო კავკასიაში მოქმედი ჯარების მთავარ შტაბში, რეგიონში რეალურად არსებული პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით; სამხედრო მმართველობა მჭიდროდ უკავშირდებოდა სამოქალაქოს.

**ჩვენ მიერ აღწერილ პერიოდში პოლიციისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მმართველთა ქმედებები მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. თანამედროვეთა თქმით, „ქვეყნის შიგნით, მმართველობით აპარატში, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებამ, ქურდობამ და გულგრილობამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა“.**

ამიერკავკასიის მხარის ერთი დივიზიის უფროსს სამსახურში 60 მასზე დაქვემდებარებული ჩინოსანი ჰყავდა. ამასთან, ბევრი ჯარისკაცი პოლკში სამსახურის ნაცვლად ხელობის შესწავლის მიზეზით მაღაზიების უცხოელი მეპატრონეების სამსახურში მიდიოდა.

ამით რუსული მხარე, ახალი მომხრეების შეძენის ნაცვლად, ძველსაც კარგავდა. ამგვარად, გროდნენსკის ჰუსართა პოლკის პოლკოვნიკმა ბეგმა მეხტულინსკიმ, მომავალში რუსეთის ხელისუფლებისთვის ერთ-ერთმა თავდადებულმა უცხოელმა, დატოვა თავისი დიდებული მამული, კარგი საზოგადოებრივი მდგომარეობა და შამილთან გაიქცა.

**რუსეთიდან ჩამოსული ზოგიერთი რაზმი კავკასიელთათვის დიდი უბედურების მომტანად იქცა. მთიელებზე თავდასხმებმა მუდმივი ხასიათი მიიღო, შამილმა კი რუსეთის არმიის დეზერტირებისგან პირადი დაცვისთვის მთელი რაზმი შეადგინა. მაგრამ მოღალატეთა ყველაზე დიდი უმსგავსოება მოწინააღმდეგეთათვის ჩვენი საბრძოლო მარაგის ფარულად გადაცემა იყო. დარგოში თავადი პირადად დარწმუნდა, რომ იქ ნაპოვნი ჭურვები და პატრონები რუსული მარაგიდან იყო აღებული.**

დეზერტირების უკან დასაბრუნებლად ვორონცოვმა მოახერხა ნებართვის აღება მათი პასუხისგებიდან გათავისუფლების თაობაზე, თუკი ისინი ნებაყოფლობით დაბრუნდებოდნენ და სამხედრო სამსახურს საზღვრისგან მოშორებულ ნაწილებში გააგრძელებდნენ. ამ მეთოდმა შედეგი გამოიღო. საფანტით უკანონო ვაჭრობაზე მრავალი საქმე აღიძრა. ამ გამოძიებამ სერიოზულად შეაშინა ის უფროსები, რომელთაც ტყვია-წამლის შენახვა ევალებოდათ. სამარცხვინო ვაჭრობა მალე შეწყდა.

მხარეში გზები დაუცველი იყო. ხშირად ხდებოდა თავდასხმები, ტყვედ მიჰყავდათ და კლავდნენ ადამიანებს; ძარცვავდნენ მგზავრებს და სხვ.

**კავკასიის საბოლოო დამორჩილებისთვის მომზადება დაასრულა მეფისნაცვლის განკარგულებამ ზამთრის თვეებში ტყის გაკაფვისა და ყველა მიმართულებით გზების (რომელიც მებრძოლ ტომებამდე მიდიოდა) გაყვანის თაობაზე.**

**„ლუდოვიკო XIV-ის დროს საფრანგეთში,** – ამბობდა თავადი ვორონცოვი, – **მარშალმა ვილარმა შვიდწლიანი სერიოზული და ზოგჯერ წარუმატებელი ომის შემდგომ რელიგიური უთანხმოების გამო სევენის მთებში ყველა მიმართულებით გზების გაყვანა ბრძანა. შედეგად ამ მთების მცხოვრებნი იძულებულნი გახდნენ, შერიგებოდნენ უბადრუკი ნაციონალური არმიის უფროსობას, რომელმაც მთის ყველა ლაბირინთში შეაღწია“.**

ვორონცოვის ბრძანების შესაბამისად, იჩეხებოდა ტყეები და თავისუფლდებოდა გზები დიდ და მცირე ჩეჩნეთში, დაღესტანსა და შავზღვისპირეთში. ვორონცოვი დარწმუნებული იყო, რომ გზების გაუვალობა იყო ერთ-ერთი მთავარი წინააღმდეგობა მხარის დამორჩილების საქმეში. ამიტომ ის ყველაფერს აკეთებდა ამ პრობლემის გადასაჭრელად.

**ვორონცოვის დანიშვნიდან სამი წლის გასვლის შემდეგ რეგიონის გზებზე სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა: ყაჩაღობა შეწყდა, პურის მოყვანა ფართოდ განვითარდა; შეწყდა ადგილობრივი ქრისტიანების გამაჰმადიანება, ინგილოები მართლმადიდებლობას დაუბრუნდნენ.**

ვორონცოვი მოითხოვდა, რომ ამიერკავკასიაში გახსნილიყო მოსკოვის ფაბრიკების ნაწარმის დეპო. ფაბრიკანტებმა შეადგინეს ასოციაცია, დაიქირავეს თბილისში სახლი, რომლის თითოეულ ოთახში გამოფენილი იყო სხვადასხვა საქონელი. ორი წლის განმავლობაში კვირაში ორჯერ ექსტრაფოსტით იგზავნებოდა 10 ათასობით მანეთი, მაგრამ თანამედროვე მოსკოველმა მრეწველებმა თავიანთი ნაწარმის გაყიდვა სომხებზე ძვირად დაიწყეს. საბოლოო ჯამში საწყობიდან ანუ ბითუმად ვაჭრობამ ვერ გაამართლა ვორონცოვის იმედები, რომელსაც სურდა, თბილისში შეექმნა ადგილობრივი ნედლეულის შესყიდვის ცენტრი და შემდგომ გაეგზავნა მოსკოვში.

მალე, დარგოს ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, ვორონცოვმა განკარგულება მისცა ვ. ტოლსტოის, მკაცრი გამოძიება ჩაეტარებინა ტამანის, ანაპის, ნოვოროსიის ჰოსპიტალებში და ყურადღება გაემახვილებინა იმაზე, **„თუ რამდენად ყურადღებით ეკიდებიან დაბალი ჩინის ავადმყოფებს“.** გარდა ამისა, ვორონცოვის განკარგულებით ტამანის ჰოსპიტალში შეშის ნაცვლად ნახშირის გამოყენება დაიწყეს. ამასთან, მეფისნაცვალმა საკმაოდ გასაგებად აუხსნა ტოლსტოის, როგორ უნდა გაეკეთებინა ეს. ტოლსტოის გაოცების პასუხად, თუ საიდან იცის თავადმა მსგავსი რაღაცები, მან უპასუხა, რომ, **„როცა ოდესაში შეშა გაძვირდა, გადაწყვიტა, სახელმწიფო შენობებში იგი ნახშირით შეეცვალა, ამისთვის კი ექსპერიმენტების ჩატარება თავის სახლში დაიწყო“.**

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს მეფისნაცვლის მამა, გრაფი ს. რ. ვორონცოვი, ლონდონიდან წერდა რუსეთში, რომ ჩვენთან უმოწყალოდ ჩეხენ ტყეებს მაშინ, როცა არსებობს ქვანახშირის დიდი მარაგიო.

**კავკასიაში ჩამოსვლის შემდეგ მ. ს. ვორონცოვი რამდენიმე თვით, 1845 წლის დეკემბრამდე, ეწვია სამეგრელოს, იმერეთს, ქართლს, კავკასიის ოლქს, ჩრდილო და მთიან დაღესტანს, შავი ზღვის სანაპიროს, ახალციხის მაზრას, კახეთს, ჭარბელაქნის ოლქს.**

მეფისნაცვალმა შეადგინა ამიერკავკასიის მხარის გეოგრაფიული სივრცის მიმოხილვა და პოლიტიკური მოწყობა. ვორონცოვს ჩაფიქრებული ჰქონდა მრეწველობის, განათლების და მხარის შიდა მმართველობის განვითარება. მან შემდგომშიც გააგრძელა კავკასიაში ადმინისტრაციული და სასამართლო სისტემის სრულყოფის გზების შემოთავაზება.

**მეფისნაცვლის მიერ გატარებული რეფორმები ითვალისწინებდა კავკასიის ეროვნულ თავისებურებებს. ვორონცოვი ფრთხილად მოქმედებდა, თვლიდა რა, რომ თითოეული პრობლემა ღრმა და მრავალმხრივ შესწავლას მოითხოვდა: „ყველაფრის ერთი ხელის დაკვრით გაკეთება შეუძლებელია; და თუ უნდათ, რომ მე რამდენიმე ხანს აქ დავრჩე, არაა საჭირო, მაიძულონ, ვაკეთო ის, რისი გაკეთებაც არასწორად მიმაჩნია, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე“.**

**ვორონცოვის აზრით, ადგილობრივი არისტოკრატიის, რომელსაც დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოსახლეობაში, მხარდაჭერის გარეშე, რეფორმის განხორციელება შეუძლებელი იყო.**

არსებობდა ვერსია, რომლის მიხედვითაც მეფისნაცვალი თვლიდა, რომ დიდი დანაკარგის თავიდან აცილების მიზნით რუსეთმა აუცილებლად უნდა დადოს სპეციალური ხელშეკრულება შამილთან, „ეწოდოს რა მას დაღესტნის თავადი“.

ისევე, როგორც ნოვოროსიაში, მ.ს. ვორონცოვი ჯიუტად და თანდათანობით მიიწევდა წინ დასახული მიზნისკენ და შედეგებსაც აღწევდა.

**თბილისში, ვორონცოვის სამოქალაქო კანცელარიაში, რომელსაც შჩერბინინი ხელმძღვანელობდა, თავმოყრილი იყო კავკასიისა და ამიერკავკასიის მმართველობის ყველა ძაფის სათავე; ისევე, როგორც სხვა მთავარმართებელთა დროს, ვორონცოვის შემთხვევაშიც იყვნენ ადიუტანტები, თბილისში არსებობდა არა მარტო ცენტრალური კანცელარია, არამედ სალაშქროც.**

ვორონცოვის ერთ-ერთი შეტყობინება იყო „თავად ვორონცოვის დამოკიდებულება გრაფ კისილიოვთან, 1845 წლის 8 ივნისი, №557“. იგი შეეხებოდა რასკოლნიკების გადასახლებას ამიერკავკასიის მხარეში. ვორონცოვმა დრო ითხოვა მიწების თაობაზე ინფორმაციის შესაგროვებლად, რათა გადასახლებულთათვის საცხოვრებლად ვარგისი ადგილი შეერჩია. ამასთან, ის სთავაზობდა კომისიის შექმნას, რომელიც შემოივლიდა რასკოლნიკების დასახლებას და გაარკვევდა, თუ რა უჭირდათ და რა სჭირდებოდათ.

ვორონცოვი თვლიდა, რომ რუსული დასახლებების გამრავლება ფრიად მნიშვნელოვანი საქმე იყო მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. შემდგომში მხარის შემოვლისას ვორონცოვმა მოისმინა რა რასკოლნიკებისგან მათი შევიწროების ამბავი, ბრძანა, გაეხსნათ სამლოცველო და მიეცათ მათთვის ღვთისმსახურების უფლება.

**„თუკი საჭირო იყო აქ კანონის შესრულება,** – თქვა ვორონცოვმა, – **ხელმწიფე მე კი არ გამომგზავნიდა, არამედ – კანონთა კრებულს“.** გაბედული ფრაზაა, რომელიც ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს მეფისნაცვლისთვის იმპერატორის მიერ მიცემულ დიდ უფლებებს.

**კავკასიის არმიის მთავარსარდლად დანიშვნის შემდეგ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვს უარი არ უთქვამს რეგიონში საომარი მოქმედების წარმოებაზე, მაგრამ მისი უმთავრესი მიზანი კავკასიის ზნეობრივი გაერთიანება იყო, მისი ყველა ნაწილის რუსეთის იმპერიის მიწებთან ბუნებრივი შერწყმით. ეს კი შესაძლებელი, უპირველეს ყოვლისა, მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარებით გახდებოდა.**

**„ჟამი ხსნისა“**
**ნაწილი მერვე**




გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული
მემკვიდრეობა»
მეთვრამეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95





## კაბა – რეზერვუარი

ნიუიორკელმა დიზაინერმა ჰანა მარი ნიუმენმა მეგაპოლისებში არსებული ტოქსიკური გარემოსგან თავდასაცავად სპეციალური კაბა შექმნა. კაბას მარტივად „8“ დაარქვა. ის ჟანგბადის ბალონისგან და იმ გამჭირვალე რეზერვუარისგან შედგება, რომელიც კაბის მფლობელს თავსა და ტანზე ეკვრის. დიზაინერის თქმით, შედეგად ორგანიზმში მავნე ნივთიერებები ვერ ხვდება და სუნთქვა გაცილებით იოლია.

# მატყუარა გამომგონებლები

**ყველასათვის კარგად ცნობილ მეცნიერ-გამომგონებლებს შორის არიან ისეთები, რომელთაც საკმაოდ დამაჯერებლად მოატყუეს მსოფლიო. მათ შორის მოხვდნენ ალბერტ აინშტაინი, გალილეო გალილეი, თომას ედისონი, ალექსანდრე ბელი და ალექსანდრე ფლემინგი.**





## ფარდობითობის თეორია

**ნობელის პრემიის ლაურეატმა ალბერტ აინშტაინმა, რომელიც XX საუკუნის უდიდეს მეცნიერად აღიარეს, ფარდობითობის თეორია შექმნა.** სინამდვილეში, თეორიის დიდი ნაწილი ანრი პუანკარემ შეიმუშავა, ნაშრომს 30 წიგნი და 500 მონოგრაფია უძღვნა, მაგრამ მისი სახელი არსად ფიგურირებს. სხვათა შორის, ზოგიერთი მკვლევარის ცნობით, აინშტაინს დისლექსია და აუტიზმის მსუბუქი ფორმა ჰქონდა. ისტორიკოსები მას ყველა დროის უდიდეს მათემატიკოსთა რიცხვს მიაკუთვნებდნენ.



## ტელესკოპი

**ყველასთვის ცნობილია, რომ გალილეო გალილეიმ ტელესკოპი გამოიგონა, მაგრამ, როგორც გაირკვა, მეცნიერმა სხვისი წარმატება მიითვისა.** XVII საუკუნეში ჰოლანდიელმა მეცნიერმა ჰანს ლიპერსგეიმ ვარსკვლავებზე დასაკვირვებლად პრიმიტიული ხელსაწყო – ტელესკოპი გამოიგონა და 1608 წელს მისი დაპატენტებაც სცადა, მაგრამ გამომგონებელს ნახელავი დაუწუნეს და უარით გაისტუმრეს. ერთი წლის შემდეგ გალილეო გალილეიმ ლიპერსგეიმის ქმნილება გააუმჯობესა და დააპატენტა კიდეც. „გამომგონებლის“ სახელს ატარებს იუპიტერის ოთხი თანამგზავრი, ლიპერსგეი კი მთვარის ციცქნა კრატერს ჰქვია.



## ელექტრო ნათურა

**ამერიკელ გამომგონებელსა და მეწარმეს თომას ედისონს 1093 პატენტი აქვს დარეგისტრირებული.** არავინ იცის, აქედან ზუსტად რამდენის ავტორია თავად ედისონი, მაგრამ ცნობილია, რომ ელექტრონათურის შექმნაზე რამდენიმე მეცნიერი, მათ შორის ჟან ფუკო, ჰემფრი დევი და სხვები მუშაობდნენ. საბოლოოდ იგი ჰენრიხ გებელსმა შექმნა 1854 წელს. მეცნიერი ცდილობდა, ნახაზები ედისონისთვის მიეყიდა, მაგრამ მეწარმისთვის ის უინტერესო აღმოჩნდა. ცოტა ხანში გამომგონებელი გარდაიცვალა და ედისონმა მისი ქვრივისგან ნახაზები გროშებად იყიდა, სხვისი გამოგონება მიითვისა და სახელიც გაითქვა.



## პენიცილინი

**ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, ალექსანდრე ფლემინგის მამამ პატარა ბიჭი დახრჩობას გადაარჩინა. გადარჩენილის მამამ, თავის მხრივ, მადლობის ნიშნად, მხსნელის შვილის სწავლა დააფინანსა. ფლემინგმა სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა, პენიცილინი აღმოაჩინა და წლების შემდეგ უინსტონ ჩერჩილი – იგივე ბიჭი, რომელიც მამამისმა დახრჩობას გადაარჩინა – პნევმონიისგან იხსნა.**

საქმე ისაა, რომ ფლემინგის აღმოჩენამდე 1000 წლით ადრე აფრიკის ზოგიერთი ტომი პენიცილინს უკვე იცნობდა. მეცნიერმა ვინმე ერნესტ დუშენის აღმოჩენა მიითვისა, რომელიც პენიცილინით ღორებს მკურნალობდა. 1897 წელს დუშენმა მედიკამენტი სწავლულებს წარუდგინა, მაგრამ იგი მასხრად აიგდეს.

სხვათა შორის, ფლემინგმა პენიცილინი „აღმოაჩინა“, მაგრამ პრეპარატის თვისებები სხვა მეცნიერმა შეისწავლა.



## ტელეფონი

**ალექსანდრე ბელმა, რომელსაც ყრუ დედა და ცოლი ჰყავდა, მრავალი წელი სმენადაქვეითებულთა პრობლემების შესწავლას მოანდომა.** ერთ მშვენიერ დღეს კი ტელეფონი გამოიგონა. სინამდვილეში მან იტალიელი ანტონიო მეუჩის გამოგონება მიითვისა. 1860 წელს მეუჩიმ ტელეფონის სამუშაო ვერსია, რომელსაც „ტელეტროფონო“ ერქვა, იტალიელ მეცნიერებს წარუდგინა, 11 წლის შემდეგ კი გაუმჯობესებული აპარატის დასაპატენტებლად ამერიკაში გაემგზავრა. სამწუხაროდ, პატენტისთვის ფული არ ეყო და დაბრუნდა სამშობლოში, სადაც ცოტა ხანში ყავის მადუღარისთვის ფილტრი გამოიგონა. ორი წლის შემდეგ ტელეფონი ბელმა დააპატენტა. მეუჩიმ საქმე სასამართლოში აღძრა, მაგრამ მისი ხელნაწერები უკვალოდ გამქრალიყო. ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ იტალიელის სქემები თავად ბელმა დაწვა.



## სიგარეტის მანქანა

**თამბაქოს მოხმარებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ინდოეთში სიგარეტის ღერებისგან მანქანის აწყობა გადაწყვიტეს. მუმბაიში 200 000 სიგარეტის ღერისგან აწყობილი მანქანის ზომა რეალურს შეესაბამება და მნახველებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.** მანქანა დგას ერთ-ერთი მაღაზიის ვიტრინაში, სადაც მოძრავი სტრიქონი დამთვალიერებლებს ატყობინებს, რომ საშუალო მწეველი 200 000 ცალ სიგარეტს რამდენიმე წელიწადში ეწევა.

ამჟამად ინდოეთი თამბაქოს წარმოებითა და მწეველების რაოდენობით მსოფლიოში ჩინეთის შემდეგ მეორე ქვეყანაა. მისი 241 მილიონი მოქალაქე თამბაქოს ინტენსიურად მოიხმარს.

## მხატვარი ცხენი

**„აბსტრაქციები საჯინიბოში“ – ასე დაარქვეს ექსპოზიციას, რომელიც ესპანეთში, ბარსელონის საგამოფენო დარბაზში 4 წლის ცხენის, სახელად ნაპოლეონის, მიერ შექმნილი ნახატების გამოფენაზე იქნება წარმოდგენილი.**

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს ნაპოლეონის მეპატრონემ თავის მეგობარ მხატვარს სთხოვა, ცხენისთვის ტილოები და საღებავები მოეტანა. არავინ იცის, როგორ შენიშნა ცხენის მხატვრული ტალანტი მისმა ყურადღებიანმა პატრონმა, მაგრამ ფაქტი სახეზეა – ნაპოლეონი კბილებით საღებავში დასველებული ფუნჯს იჭერს და თავის ქნევით გადააქვს ტილოზე ფერები. როცა მისი შემოქმედებითი ნათლია, ნაპოლეონის მფლობელის მეგობარი მხატვარი, ხედავს, რომ ესა თუ ის ფერი ტილოზე საკმარისია, „ხელოვანს“ სხვა ფერის საღებავში დასველებულ ფუნჯს აწვდის.

მხატვრის თქმით, ცხენი აბსტრაქტული და იმპრესიონისტული სტილის მიმდევარია და მისი ნახატები ცნობილი ჰოლანდიელი მხატვრის – ვილემ დე კუნინგის ნამუშევრებს მოგაგონებთ. ნაპოლეონის რამდენიმე ნახატი ევროპელმა კოლექციონერებმა 3300 და 6000 ევროდ უკვე შეიძინეს.





## ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## ყეფის განრიგი



უკრაინაში, ხერსონის ოლქში, 31 მაისიდან ძალაში შევიდა კანონი, რომლის თანახმადაც შინაურ ცხოველებს – კატებსა და ძაღლებს საღამოს ათი საათიდან დილის რვა საათამდე ხმაური აეკრძალათ. გარდა შინაური ცხოვერებისა, ხმაური თხებს, ძროხებს, ღორებსა და ნუტრიებსაც აეკრძალათ. ამის შესახებ მოქალაქეებს ოლქის მერმა ვლადიმირ სალდომ განუცხადა. თავიდან ვარაუდობდნენ, რომ ცხოველებს ყეფას, კნავილს, ყმუილს, ღმუილს, ღრუტუნსა და კიკინს დილის ექვს საათამდე აუკრძალავდნენ, მაგრამ მოგვიანებით კანონი გაამკაცრეს. კანონის დარღვევის შემთხვევაში, „დამნაშავე“ ცხოველებს არაფერი ემუქრებათ, მათ მეპატრონეებს კი ჯარიმის ქვითრებს დაურიგებენ.

## უნიტაზმობილების რბოლა





**ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართა უნიტაზებით რბოლა, რომელშიც მონაწილეობდნენ მუსიკოსები და კომედიური ჟანრის მსახიობები.** კონკურსი ჯანმრთელობის პრობლემებზე საზოგადოების ყურადღების გამახვილებას ისახავდა მიზნად. სტატისტიკის თანახმად, დაახლოებით 80 ათას ავსტრიელს კუჭ-ნაწლავის პრობლემები აწუხებს და დაავადებას ყურადღებას მანამდე არ აქცევს, სანამ მძიმე ფაზაში არ გადავა.





## ჩანთები ნაგვისა და ივ სენ ლორანისგან

ცნობილი დიზაინერი ივ სენ ლორანი აქსესუარების ლიმიტირებულ კოლექციას წარმოადგენს. კოლექციაში სახელწოდებით Muse Two Artisanal შევა აქსესუარები, რომლებსაც დიზაინერი ბამბის ქსოვილისა და პოლიეთილენის პარკების გადამუშავების შედეგად მიღებული მასალისგან დაამზადებს. ამგვარი ჩანთის მფლობელი მხოლოდ 60 ქალბატონი გახდება. კოლექციის რაოდენობა შეზღუდულია, რადგან მის შექმნაზე დიდი დრო და ენერგია იხარჯება. 60-ივე ჩანთა ხელნაკეთი იქნება. აქსესუარის ღირებულება 1720 აშშ დოლარია.








## 17 ახალი პირამიდა



ამერიკელმა მეცნიერებმა ეგვიპტეში 17 ახალ პირამიდას მიაგნეს. პირამიდების გარდა, აღმოჩენილია 1000-ზე მეტი სამარხი და 3000-ზე მეტი ძველისძველი დასახლება. სპეციალისტებმა უდაბნო თანამგზავრიდან გადაღებული ინფრაწითელი სურათებით შეისწავლეს. თანამგზავრზე დამონტაჟებულ კამერებს მიწისქვეშ დაფარული ერთი მეტრის დიამეტრის მქონე ობიექტის გარჩევაც კი შეუძლია. ფოტოები 700 კილომეტრის სიმაღლიდანაა გადაღებული. აღმოჩენილი ობიექტების უმრავლესობა მიწის დიდი ფენის ქვეშ ღრმადაა დაფარული და თვალით მათი დანახვა შეუძლებელია. პირამიდების არსებობა მეცნიერებმა გათხრებით უკვე დაადასტურეს.

## მოდების ჩვენება ვირთხებისთვის



ნიუ იორკში ვირთხების მოდების ჩვენება გაიმართა. მათ ჩაცმულობაზე დიზაინერმა ადა ნივსმა იზრუნა. მღრღნელები სმოკინგებში, საქორწინო და საღამოს კაბებში იყვნენ გამოწყობილნი. თითო კაბისა და სმოკინგის ფასი 80 აშშ დოლარს შეადგენდა. ჩვენებაში მონაწილეობა უამრავმა ვირთხამ მიიღო.

მოდელების მფლობელების თქმით, ვირთხები საოცარი მღრღნელები არიან და ამიტომ ძაღლებისა და კატების ნაცვლად სახლში მათი ყოლა ბევრად უკეთესია. საერთოდ, ბოლო დროს ნიუ იორკში ვირთხების მოშინაურების ახალი მოდაა და იქაურებს ამ ცხოველების მოდების ჩვენება დიდად არ გაჰკვირვებიათ.











# გამოშერონება,

## ანუ პროვინციული „СВАДЬБА С ГЕНЕРАЛОМ“

**ყელში მობჯენილი ბედნიერებისა და სიხარულის გამო ჩახლეჩილი ხმით ყვიროდა დაბოლილივით დარეტიანებული ახალგაზრდა. ხელებს იქნევდა, ხტუნავდა და ყვიროდა: – ენდი გარსიამ ხელი ჩამომართვა! ამ ხელს აღარ დავიბან! მაგარი კაცი ვარ! დეჟავიუ! რა თქმა უნდა! გასული საუკუნის 30-იანი წლების შავ-თეთრი კინოკომედიის კადრები გაცოცხლდა – „Поцелуй Мери Пикфорд“ (რეჟისორი სერგეი კომაროვი). კი, ასეა!**

კინოთეატრის მებილეთეს – გოგა პალკინს, რომლის როლს ცნობილი მსახიობი იგორ ილინსკი ასრულებდა, მოსკოვში ჩამოსული ჰოლივუდის ვარსკვლავი აკოცებს. გადაირევა გოგა, ლოყას აიკრავს და ისე ახუნტრუცდება, როგორც ის ახალგაზრდა გასულ კვირა საღამოს რუსთაველის თეატრის წინ, იქ, სადაც ფულიანი ბიძები „საქველმოქმედო“ პურსა სჭამდნენ ჰოლივუდელებთან და პრეზიდენტთან ერთად.

კიდევ ერთხელ გამოჩნდა ჩვენი საზოგადოების დაყოფა – ჩვენ და ისინი.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ობივატელურ ჭაობში ვართ ყელამდე ჩაფლული, როგორც ნებისმიერი მაზრის გოროდნიჩები, დობჩინსკები და ბობჩინსკები.

**ამაში 2011 წლის 5 ივნისმა დაგვარწმუნა – შეკვეთით გადაღებული ფილმის „აგვისტოს 5 დღე“ პომპეზურმა საპრემიერო ჩვენებამ, როცა ჰოლივუდის ერთ რეჟისორთან და ორიოდ მსახიობთან ერთად თბილისს სააკაშვილის როლის შემსრულებელი ენდი გარსიაც ესტუმრა.**

ესტუმრა შერონ სტოუნიც, ჰოლივუდის ვარსკვლავი, მართალია, არაოსკაროსანი, მაგრამ „სექსსიმბოლო“, როგორც ჩვენ, უბირ ხალხს, არ მახსოვს, „რეალტივიმ“ თუ „რუსთავი 2“-მა განგვიმარტა.

**სიმბოლოს, რომელიც, ღმერთი, რჯული, ერთობ თავდაჭერილად იქცეოდა, მიუხედავად იმისა, რომ ავლაბრის რეზიდენციაში მისულს სააკაშვილი საკმაოდ გაშინაურებულად ეჯაჯგურებოდა, ფილმთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ თურმე „სურვილი გამოუთქვამს, ჩამოსულიყო“.**

ესეც აგვიხსნეს და განგვიმარტეს, ვინმე ხეპრეს რომ არ ჰგონებოდა – საქართველოში ჩამოსასეირნებლად დიდი ჰონორარი გადაუხადეს ქალბატონ შერონს.

ვინ გაბედავდა ამის გაფიქრებას, რადგან ყველამ იცოდა,



ქვეყნის მთავარი პიარმენეჯერი რომ იყო ამ „პეტრუშკას“ იდეის ავტორი, ფული კი – ხალხისა, რომელსაც ხელს აბა ვინ ახლებს კორუფციის დამმარცხებელ სახელმწიფოში?!

ვაჭრების გალაღების დროიდან შემორჩენილი მეშჩანური ტრადიცია – „свадьба с генералом“, რომელიც „ქეთო და კოტეს“ დასკვნით ფრაზაში შესანიშნავმა ქართველმა მსახიობმა შალვა ღამბაშიძემ – მაკარ ტყუილკოტრიაშვილმა, ვაჭარმა და სოვდაგარმა გააჟღერა:

**„– თუ ქორწილია, ქორწილი იყოს! ღუბერნატორით, არქიელითა!“**

**ღუბერნატორობა და არქიელობა შეუთავსეს ქალბატონ სტოუნს, რომელმაც ვერა და ვერ მოირგო „სვადებნი გენერლობა“ და ვერც თავისი ფუნქცია იპოვა ამ საერთო-სახალხო ზეიმში, იმდენად დაბნეული ჩანდა, რომ ხეირიანად გაღიმებასაც ვერ ბედავდა. საპრემიერო ჩვენების თაობაზე სიტყვაც ვერ დააცდენინეს, თუმცა აცრემლებულა ფილმის დემონსტრირების დროს.**

ამიტომ „გამოთქვა ჩამოსვლის სურვილი“?

თუ რეჟისორმა თქვა, ვიტირეო?

ტელეეკრანებიდან გადმოღვრილი აღფრთოვანებული შეძახილების ნიაღვარსა და ნაკადში, დაზუსტებით ვერ გავარკვიე, ვინ იტირა.

ისევე, როგორც ვერ გავარკვიე, იყო თუ არა ვინმე – აგვისტოს ომის მონაწილე, დაღუპულის ჭირისუფალი ან დევნილი მიწვეული „რუსთაველის“ კინოთეატრში.

ტელერეპორტიორებს ამაზე სიტყვაც არ დასცდენიათ.

ალბათ, არ იყვნენ: თქვენ თქვენთვის იტირეთო!

სანამ პატივცემული თვითკმაყოფილება კინოთეატრში ბრძანდებოდა, მიხეილ სააკაშვილი ალექსანდროვის ბაღში „რეჩს იჭერდა“ და ხალხზე ზრუნვის მორიგი ფაქტით გვახარებდა.

გვაუწყა, რომ ჯერ ერთი, ევროპის მსგავსად, ბაღებმა და პარკებმა ქალაქის ცენტრში გადმოინაცვლა. ისე აღარაა, როგორც უწინ, როცა პარკები „სადღაც გადასაკარგავში“ იყო, მაგალითად, ვაკეში, კუსტბაზე, სადაც ზოგჯერ ისვენებდნენ ადამიანები, რათა შემდგომ სოციალისტურ შრომას შედგომოდნენ.

ახლა დაისვენებენ ქალაქის ცენტრში და... სად ჯანდაბაში და როგორ შრომას შეუდგებიან, პატივცემულ მიხეილს არ უთქვამს.

მეორე. მანვე გვაუწყა, რომ ამ პარკში სიბინძურისა და ნარკომანიის ბუდე იყო. სიბინძურისა და ნარკომანიის ბუდე უწოდა იმ ადგილს, სადაც (განა ვინმეს დაავიწყდა?!) ქართველი ახალგაზრდების, სტუდენტების სისხლი დაიღვარა 1956 წლის 9 მარტს, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ადამიანების სისხლი.

ასეთი სახელმწიფოებრივი ხედვით გამსჭვალული შესავლის შემდეგ ვილას გაუკვირდებოდა იმ აბსურდის თეატრის ხილვა, რომელიც ლაქუცა ფინიებმა ღია ცის ქვეშ, რუსთაველის პროსპექტზე გამართეს.

**2008 წლის დღენახევრიან ომში ხომ გავიმარჯვეთ?**

**გავიმარჯვეთ.**

**2011 წლის 5 მაისს კი „მთელ მსოფლიოს დავანახეთ“, რომ გავიმარჯვეთ ხელმეორედ.**

**აბა!**

**დაქირავებული მომტირლების ხმაზე კიოდა საგანგებოდ შერჩეული და პატრიოტთა ბანაკებში რეპეტიციაგავლილი გოგო (უმთავრესად) – ბიჭების „მასოვკა“, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის წინ შეეყარათ, ტროტუარზე (ახლოს ვინ მიუშვებდა!) და რომელსაც დავალებული ჰქონდა, ამერიკული პოპსას მიბაძვით, გულ-ღვიძლის ამოყოლებამდე ეწივლათ და ესტვინათ იმ ბედნიერების გამოსახატად, რომელიც ხელისუფლებამ მიანიჭა ჰოლივუდის მსახიობთა ხილვით.**

**მეწამულ ხალიჩაზე, რომელიც ნასისხლარ ასფალტზე სტუმრებს ფიანდაზად დაუგეს, ამერიკელმა ზეადამიანებმა ისე გაიარეს, როგორც ეგზოტიკურმა სირაქლემებმა – საჰარის ცხელ ქვიშაზე.**

არ ვარგა!

სხვა ვარიანტი: **ჰოლივუდის ვარსკვლავებმა 26 მაისს დარბეული აქციის მონაწილეების ღია ჭრილობებს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებით გადაუარეს.**

**იქნებ, ასე თქმაც არაა ბოლომდე სამართლიანი: ვინ ეტყოდა მათ, თუ რა გმირობა ჩაიდინა აქ, ამ ადგილზე ხელისუფლებამ ათიოდ დღის წინათ?!**

მაგრამ, რაც ვიხილეთ, იმაზე ვამბობ. იმათთვისაც – ვინც ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო მასპინძლებს მინდობილი სტუმრები.

**არმაზ სანებლიძე**


## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.
ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru




გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციის თანამშრომლები მწუხარებით თანაუგრძნობენ კოლეგასა და მეგობარს – ლევან ზანგურაშვილს დედის, შესანიშნავი ქალბატონის

მარადი ძეძამიძის

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: ოთხშაბათს, 8 ივნისს, 17 საათზე.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 9 ივნისს, 14 საათზე.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას მე-4 კვარტალი, მე-18 კორპუსი, I სადარბაზო.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა თანაუგრძნობს კოლეგასა და მეგობარს – ლევან ზანგურაშვილს დედის

მარადი ძეძამიძის

გარდაცვალების გამო.


საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო
საქინფორმი
www.saqinform.ge

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია გამოძიება დაიჯესტი დიალოგი PDF TV online
http://www.geworld.net



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net